ბესიკ ხარანაულის პოსტმოდერნისტული, 54 მეტაპოეტური ტექსტის ფინალი არის „ღვთის სულელის“ წიგნი – ვერლიბრითა და აფორისტული მინიმებით შედგენილი – ოთხმოცი წლის პოეტისა და ოთხმოცი ათასი წლის (მოხუცის) ვირუსის – მთავარი სათქმელი.

ბესიკ ხარანაული ამ პანდემიურ ეპიკურ მეტატექსტში, შიშითა და სიკვდილის პაუზით დამუნჯებულ, პანდემიური სინამდვილის ტყვეობაში მოქცეულ ლირიკულ გმირს, პოსტმოდერნისტულ ჭეშმარიტებას ათქმევინებს: „ადამიანი ადამიანისთვის გახდესადამიწიდან ცად წასული მილიარდობით სულგამწარებულის შურისმაძიებელი, რომელმაც ავი, ბოროტი თამაში გამოიგონა სახადის, ეპიდემიის სახით.

ურთიერთგამომრიცხავი ორი სტიქია: ბოროტება//სიკვდილი – სიკეთე//სიცოცხლე – პანდემიური შიშის მიუხედავად, ჰომეროსის „ილიადადან“ მოკიდებული, ლექსით, პოეზიით აგრძელებს

ბრძოლას. ბესიკ ხარანაულის საანალიზო კრებულში „სიცოცხლე ლექსია აღერილი...“, დროშის მსგავსად. შურისმაძიებელ სულთა ლაშქარს – ვირუსებს – მხოლოდ პოეტი აჯობებს შიშის დამარცხებით და რწმენით, რომ „პოეზია ერთადერთი ნამდვილი დროა დღეში და ღამეში, ერთადერთი შესაკრებელი სასწაული“, ამიტომაც „უსმინეთ პოეტს!“

ბესიკ ხარანაულის პოეტური ამოცანა ამ პანდემიურ კრებულში უაღრესად მნიშვნელოვანია: ფიზიკურად დასწეულბული ბუნება და ადამიანი სულიერ მოგზაურობას ვერ შეწყვეტს ვირუსის შიშით. პირიქით, უფრო იდუმალი სვლაა ადამიანის სულის მოგზაურობის გზაზე ალღოს – „უსწავლელი ცოდნის“ მეშვეობით. ეს მეტაპოეტური კრებული ე.წ. „გარდამავალი ჟანრით“, ლექსი პროზით, არის დაწერილი; თუმცა ზოგჯერ ბესიკ ხარანაული კონვენციური ლექსის პარამეტრებსაც მიმართავს: ტექტს სტროფულ მონაკვეთებად წარმოადგენს და სპორადული რითმით, რეფრენით, რიტმული პერიოდის გამეორებით, ლექსის სტრუქტურას მიაშვავებს მეტაპოეტურ ტექსტს, ე.წ. „ნარატიულ ვერლიბრს“. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ ერთ-ერთი მათგანი: „ადამიანის ტყვეობის სახლი“.

სიტყვა რომ არ ყოფილიყო,
ბოროტების სახელი არ გვეცოდინებოდა.
მიტომაც, ბოროტებას სიტყვის ეშინია –
ისარს რომ სტყორცნის,
სხვას ასცდება, მას დაესობა.
ბოროტებას მარტო სიტყვის ეშინია,
ეშინია, რომ არ გააქროს მისი სახელი.

(ხარანაული 2020: 97)

ამ შვიდტაეპიან მონაკვეთში „ბოროტება“ და „შიში“ ერთმანეთს დაუწყვილდა, ხოლო „სიტყვა“, რომელიც მათ ებრძვის, ლექსია; ის ყვავილებია, რომლებიც შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებსა“ და გ. ტაბიდის „არტისტულ ყვავილებში“ ბოროტებას ამარცხებს: ადამიანის სულს, მარადიულ სამყაროს აზიარებს. ბესიკ ხარანაულის ზემოხეხებული ლექსის დასკვნაც, მთავარი სათ-

ქმელიც, ამგვარად ჟღერს: „ადამიანი ისტორია კი არ არის, არამედ სამყარო!“ „ცის აივნიდან ჩამოსულმა მოხუცმა ვირუსმა იხსნა მიწა!“ პოეზიას უბრუნდებიან ადამიანები, რადგან იგი „ერთადერთი ნამდვილი დროა დღეში და ღამეში, ერთადერთი შესაკრებელი სასწაულებსა“.

სამყაროში ღვთიური სასწაულების უტყუარი მოწმე და შემკრები პოეტი – მინდიაა, რომელსაც ყვავილებისა და ჩიტების ენა ესმის. თუ გალაკტიონის „არტიტულ ყვავილებში“ ლექსები ყვავილების სახით მეტყველებენ, ბესიკ ხარანაულის საანალიზო, ე.წ. პანდემიურ კრებულში, „სიტყვების მარცვლები ჩიტებს მიაკვთ“: „ბოლოშემართული შაშვი“ დადის და გრძნობას ვერ აგნებს“ (ხარანაული 2020: 103). სჯერა პოეტს, რომელიც „ღვთის სულელის“ წიგნით ასრულებს კრებულს. „ადამიანი ქოლვამია“ ისე, როგორც ჩიტი ფრენის დროს შეიგრძნობს სამყაროს: „შაშვი მგალობელი“, „ღმერთი მწყალობელი“, „პოეტი წინასწარმეტყველი“ კი არ უნდა გაქრეს: „პოეზიამ მიწაზე არ უნდა დააწყოს ფრთები!“ რათა სამყარო საბოლოოდ არ გაცივდეს, არ დაავადდეს:

სიტყვებო, ერთმანეთს უპოვეთ ადგილი
წერის ფრთებში იპოვეთ სიმრავლე,
დედამიწას მოუქსოვეთ ქვიშისფერი სამოსი,
აკი, რაც იყო, სიტყვებით იყო,
დედამიწა ისევ შიშველია.

(ხარანაული 2020: 58)

დამოწმებანი:

არიესი 1992: Арьес Ф. *Человек перед лицом смерти*. Перевод с французского: Ронина В. К. Москва: издательство „Прогресс – Академия“, 1992.

ბოდლერი 1922: ბოდლერი შ. *ბოროტების ყვავილები*. ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა. თბილისი: გამომცემლობა „იანუსი“, 1992.

დოიაშვილი 2016: დოიაშვილი თ. „ქართული პოსტსიმბოლისტური პოეზიის ისტორიიდან (გალაკტიონი და ვალერი ბრიუსოვი)“. წიგნში: *ქართული მოდერნის ტიპოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.

ლაზაძე 2006: ლაზაძე რ. *ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი)*. თბილისი: გამომცემლობა „ლევა“, 2006.

ტაბიძე 2016: ტაბიძე გ. *ლექსები (1915-1920). თხზულებანი თხუთმეტ ტომად.* ტ. II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.

წიფურია 2008: წიფურია ბ. „პოსტმოდერნიზმი“. წიგნში: *ლიტერატურის თეორია. XX ს. ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები.* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

ხარანაული 2020: ხარანაული ბ. *ბოლოშემართული შაშვი გრძნობას ვერ აგნებს.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020.

ხინთიბიძე 1987: ხინთიბიძე აკ. *გალაკტიონის პოეტიკა.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1987.

Maia Burdiashvili

Georgia, Kvareli

PhD Student

**Different Variations of the Artistic Narrative of the Pandemic:
Albert Camus’ „The Plague“, Gabriel Garcia Marquez’s
„Love in time of Cholera“ and Jaba Zarqua’s
„The first lane of Vazha-Pshavela“**

Summary

Historical experience has shown that pandemic radically changes pre-pandemic life style. The values is being re-evaluated and all the problems that seemed to be covered before are coming to the fore with all their intensity. Literature expresses the impact of pandemic on people’s lives from different sides. Putting different accents depends on both – the Epoch and the author’s individual point of view and the quarantine and isolation have a significant impact on the chronotope of the text as well. The subject of our discussion is Albert Camus’ “The Plague”, Gabriel Garcia Marquez’s “Love in time of Cholera” and Jaba Zarqua’s “The first lane of Vazha-Pshavela” what are instant reflections on the pandemic. We will focus on the purpose for which these texts were created, how the past catastrophes became not only an integral part of the authors’ point of view

but foundation for a new philosophical thought. We are supposed to talk about the role of quarantine and isolation, how they transform the time and space described in the texts, what kind of metamorphosis they push the characters to. Comparative analysis of research texts reveals many interesting things.

Key word: pandemic, literature, metamorphosis.

მაია ზურდიაშვილი

საქართველო, ყვარელი

დოქტორანტი

**ჟამიანობის მხატვრული ნარატივის სხვადასხვაგვარი
ვარიაციები: ალბერ კამიუს „შავი ჭირი“, გაბრიელ გარსია
მარკესის „სიყვარული ჟამიანობის დროს“
და ჯაბა ზარქუას „ვაჟა-ფშაველას I ჩიხი“**

ინფექციურ-ვირუსული დაავადებები წარმოადგენენ იმ მრავალ გამოწვევათა ნაწილს, რომელთაგანაც ადამიანს ბრძოლა უწევდა და უწევს დღესაც. მათი გავრცელების არეალი ზოგჯერ ისე იზრდება, რომ ფარავს მთლიან კონტინენტებსაც კი. ეპიდემია და მისგან გამოწვეული კატასტროფები არაერთ მწერალს უქცევია თავისი ნარატივის ძირითად თემად. საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რა მიზანი ამოძრავებდათ, ზოგჯერ თუ ყოველივე ეს იყო მათთვის რეალობის რეფლექსია, ყოფილა ისეც, რომ უბრალოდ მწერლის შინაგანი მსოფლგანცდის ნაწილი გამხდარა. ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი ტექსტები, ალბერ კამიუს „შავი ჭირი“, გაბრიელ გარსია მარკესის „სიყვარული ჟამიანობის დროს“ და ჯაბა ზარქუას „ვაჟა-ფშაველას I ჩიხი“, დაფუძნებულია ეპიდემიის თემაზე, თუმცა სრულიად სხვადასხვა რაკურსით წარმოგვისახავს მას. სამივე რომანი საკმაოდ რთული და მრავალშრიანია, ამიტომ მათი შედარებითი ანალიზისთვის გამოვყავით საკვლევი კითხვები. თავდაპირველად შევეცდებით პასუხი გავცეთ იმას, თუ რატომ ირჩევს მწერალი მხატვრული ტექსტის თემად ეპიდემიას და რა სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს. რეალურ ცხოვრებაშიც ეპი-

დემიას ძალიან დიდი გავლენა აქვს, ის მნიშვნელოვნად ცვლის დღის წესრიგს, სამოქმედო სივრცეს. თითქმის ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიაზე. ცვლის მათ მსოფლმხედველობას და იწყება ღირებულებების გადაფასება. ამიტომ მეორე ძირითადი აქცენტი გავაკეთეთ იმაზე, თუ როგორ იცვლება ეპიდემიის აღწერის დროს მხატვრული ტექსტის ქრონოტოპი. რა წნეხის ქვეშ ექცევიან ადამიანები და რა სახის მეტამორფოზას განიცდიან.

ზემოთ დასახელებული რომანები დაიწერა გარკვეული დროითი ინტერვალით: მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს „შავი ჭირი“, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისს „სიყვარული ჟამიანობის დროს“ და ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს – „ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი“. ალბერ კამიუს რომანში „შავი ჭირი“ მოქმედება ხდება ქალაქ ორანში, რომელიც არის უშნო და არაფრით გამორჩეული. იქ არ არიან მტრედები, არ არის აგრეთვე ხეები და ბაღებიც და გაზაფხული ბაზრებში იყიდება. კამიუ თხრობის დასაწყისიდანვე გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ ქალაქის მცხოვრებლები შთანთქა ყოველდღიურობამ. მათ აზრადაც კი არ მოსდით, რომ ამ უბრალო ყოველდღიურობის გარდა არსებობს სხვა რამეც. შემდგომ როდესაც მომაკვდავი ვირთხები შემოესევა ქალაქს და ჭირი ნელნელა ადამიანებზე ინაცვლებს და მუსრს ავლებს მათ, საკითხი ამგვარად დგება: „შეიძლება ითქვას, რომ კონსიერჟების სიკვდილი მომასწავლებელი იყო შემაშფოთებელი ნიშნებით სავსე პერიოდის დასასრულისა და შედარებით უფრო მძიმე პერიოდის დასაწყისისა, როდესაც პირველი დღეების განცვიფრება თანდათან პანიკად გადაიქცა, ჩვენი თანამოქალაქეები ახლად მიხვდნენ-მანამდე კი ფიქრადაც არ გაუვლიათ, რომ ჩვენი პატარა ქალაქი იქნებოდა საგანგებოდ განკუთვნილი საიმისოდ რომ ვირთხები მზის გულზე დახოცილიყვნენ და კონსიერჟები უცნაური სენის წერა გამხდარიყვნენ. არადა თურმე ცდებოდნენ და დაუყოვნებლივ უნდა გადაესინჯათ თავიანთი წარმოდგენა სამყაროზე, ყოველივე რომ ამით დამთავრებულიყო კვლავ ჩვეულების მონებად დარჩებოდნენ. ამ წუთიდან დაიწყო შიში და მასთან ერთად განსჯაც“ (კამიუ 1988: 22) ამ შემთხვევაში პანდემიით მოვლენილი განსაცდელი

თითქოს გარკვეულ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. ალბერ კამიუ მსგავს მოსაზრებას აჟღერებს „სარჩულსა და პირშიც“, მისი თქმით, ადამიანებისთვის ყოველდღიური საქმიანობა არის ხელის შემშლელიც და თავშესაფარიც. ისინი იმიზეზებენ საქმიანობას, რომ ფიქრისთვის დრო აღარ დარჩეთ და თავი აარიდონ ზედმეტ განსჯას. „შავ ჭირში“ კი ავტორი გვეუბნება, აუცილებელი არ არის მნიშვნელოვანი განსაცდელი დაგვატყდეს თავს და მაშინ დავიწყოთ ყოველივეს გადაფასება, რადგან მაშინ შეიძლება გვიანი აღმოჩნდეს. იქ უკვე სხვა ალტერნატივა აღარ არის.

ამის შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დგება, ქალაქი ექცევა დიდი ხნით იზოლაციაში, კატასტროფულად მატულობს გარდაცვლილთა რიცხვი. მრავალფეროვანია პერსონაჟთა გალერეა, არიან ისინი ვინც სარგებელს ნახულობს სენის გავრცელებით, ვისაც მემატთანედ გახდომა მოუსურვებია, ვინც თავდაუზოგავად იბრძვის ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. შეხვდებით ასევე პერსონაჟს, რომელიც მთელი თხრობის მანძილზე ცდილობს შექმნას გამორჩეული მხატვრული ტექსტი, თუმცა ერთი ფრაზის დაწერის მეტს ვერაფრის ახერხებს. კამიუ გვიხატავს ადამიანთა მრავალნაირ ტანჯვასა და სიკვდილს დაწვრილებით. ჩვენი აზრით, ამ ყოველივეს კი ის დანიშნულება აქვს, რომ მეტად შევიყვაროთ სიცოცხლე და თავად ადამიანებიც. შეიძლება პარალელის გავლება გურამ დოჩანაშვილის რომანთან „სამოსელი პირველი“. მთავარი პროტაგონისტი დომენიკო საყვედურით მიმართავს თავის მხსნელ მიჩინოს: „აქ დომენიკომ ვეღარ მოითმინა, განზე მი-აბრუნა თავი, და მხარუკუდმა დაულრილა:

– ადამიანის სიკვდილს რაღად მაყურებინეთ!

მაშინვე მშვიდად უპასუხეს:

– ადამიანი რომ გყვარებოდა“ (დოჩანაშვილი 2011: 626).

ჩვენც მთელი თხრობის მანძილზე თვალს ვადევნებთ ადამიანთა ტანჯვასა და გარდაუვალ სიკვდილს. ყოველივე დაგვაფიქრებს ცხოვრების საზრისზე, რადგან როდესაც გვახსოვს სიკვდილის არსებობა, ვესწრაფვით ჩაწვდეთ ჩვენს დანიშნულებას ამ სამყაროში.

შავი ჭირის მთავარი პროტაგონისტი, ამბის მთხრობელი ბერნარ რიე ისე დაიღალა სიკვდილთან ბრძოლით, რომ დასასრულს

აღარაფერი აკვირვებს და არაფერი აღელვებს. იგი საკუთარი მე-
ულლის სიკვდილსაც კი გულგრილად ხდება. აქ თავს იჩენს პოს-
ტეპიდემიური ფსიქოლოგიური პრობლემები, ემოციური გამო-
ფიტვა და გულგრილობა. კამიუ მთელი თხრობის მანძილზე
ინარჩუნებს აბსურდულ მსოფლგანცდას. იგი ელოდება რომ ეს
ყოველივე კვლავ შეიძლება განმეორდეს. რა ცვლილებაა მოსა-
ლოდნელი? ავტორისთვის ხალხი მაინც უცვლელი რჩება და ამ
ყოველივეს აღწერას ის აზრი აქვს, რომ არ დაგვავიწყდეს მოსა-
ლოდნელი განსაცდელი. რომანის დასასრულს როდესაც შავი
ჭირი უკან იხევს, ქალაქის მოსახლეობა ზეიმობს გამარჯვებას და
იზოლაციის მოხსნას, ავტორი გვეუბნება შემდეგ რამეს პერსონა-
ჟების ენით: „–ო, არა, გინდათ ზემოდან გადახედოთ, ნება თქვენია,
მაგრამ ხალხი მუდამ ერთნაირია“ (კამიუ 1988: 259). იცვლებიან
მხოლოდ ერთეულები, მაგრამ ეს ცვლილება არის რადიკალური,
როგორც ბერნარ რიეს შემთხვევაში მოხდა. მისთვის სამყაროზე
და ცხოვრებაზე წარმოდგენა ისეთი ველარასდროს იქნება, როგო-
რიც ეპიდემიამდე იყო.

თხრობის დასასრულს მჟღავნდება თავად წიგნის დაწერის
მიზანი: „ყურებში სიხარულის ყიჟინა ჩაესმოდა, მაგრამ რიეს
ახსოვდა რომ ამ სიხარულს საფრთხე ელოდა, იცოდა, რომ შავი
ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება და
შეიძლება დადგეს ერთი დღეც, როცა ადამიანთა საუბედუროდ
თუ მათ ჭკუის სასწავლებლად შავი ჭირი კვლავ გამოადგიმებს
ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოგზავნის ბედნიერ ქალაქში“
(კამიუ 1988: 260).

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, შავი ჭირის ეპიდემია
მართლაც იყო გავრცელებული აღნიშნულ ქალაქში, მხოლოდ
ბევრად ადრე, ვიდრე კამიუ დაწერდა ამის შესახებ. გავრცელებუ-
ლი მოსაზრების თანახმად რომანი სიმბოლურ ალეგორიულია
და მასში გადატანითი მნიშვნელობით ფაშიზმის გავრცელება და
ბატონობა იგულისხმება. ჩვენი აზრით, მისი გააზრების არეალი
უფრო ფართოა ვიდრე მხოლოდ ერთი რომელიმე იდეოლოგიის
გავცრელებისა და გაბატონების გამოხატვაა. ის არ გამორიცხავს
არც ფაშიზმის სიმბოლიზებას და არც კიდევ მრავალი სხვა მავნე
სენისა თუ იდეოლოგიისას. თუ გადავხედავთ თავად ავტორის

დამოკიდებულებას სიმბოლური ნაწარმოებების გააზრების შესახებ, უფრო ნათელი გახდება რა ფართო და მრავლის მომცველი შეიძლება იყოს მისი ინტერპრეტაცია.

„სიმბოლო ყოველთვის აღმატება იმას, ვინც მას იყენებს და ავტორს იმაზე მეტს ათქმევინებს, ვიდრე ამის სურვილი ქონდა. ამიტომაც სიმბოლოს ჩაწვდომის უტყუარი საშუალება სხვა სიმბოლოს გამოყენებაზე უარის თქმაა. საჭიროა ნაწარმოებს წინასწარ მოფიქრებული სქემების გარეშე მიუდგე და არ ეძებო მისი დაფარული დინებები“ (კამიუ 2017: 155). სიმბოლოს გასააზრებლად კი ასეთ ხერხს გვთავაზობს. თუ სიმბოლო გულისხმობს ორ პლანს, იდეებისა და შეგრძნებების ორ სამყაროს, მაშინ გვჭირდება ლექსიკონი, რომელიც მათ შორის ხიდს გადებდა. ამიტომ მხოლოდ ერთი კონკრეტული ნიშნით განხილვა აკნინებს რომანის ღირსებას.

ხოლო რაც შეეხება გაბრიელ გარსია მარკესის რომანს „სიყვარული ჟამიანობის დროს“ ან „სიყვარული ქოლერას დროს“ არის სასიყვარულო სამკუთხედზე აგებული ნაწარმოები. მასში აღწერილი ქალაქი ძალიან გავს კამიუსთან აღწერილს. მაგრამ აქ კიდევ უფრო გამძაფრებულია მოვლენები. ჰაერი მოწამლულია და დაბერებული ქალაქი სულს დაფავს. დაჭაობებული სივრცე და ადამიანთა უმოქმედობა გვხვდება აგრეთვე ჩვენ მიერ შესაძარებლად შერჩეულ ჯაბა ზარქუს რომანშიც. სამოქმედო სივრცის ამგვარი წარმოსახვა კი გვიქმნის განწყობას, რომ ეს სტაგნაცია უნდა შეიცვალოს. მარკესის ამ რომანში ნაკლებად შევხვდებით მაგიური რეალიზმისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. იგი გამოგვეცემს რეალურ ამბებს თავისი ტრაგედიითა და სიხარულით. ქოლერის ეპიდემიას ტექსტში ორი ძირითადი დანიშნულება აქვს. მთავარი პროტაგონისტი ფლორენტინო არის ისე დაავადდება სიყვარულით, რომ მომავლდავ სენს ემსგავსება ამ ავადობის შედეგად გამოვლენილი სიმპტომები. ამის გამო სწორედ დედამისი ერთ ხანს კიდევაც იფიქრებს ქოლერით არის ავადო. ფლორენტინო არის სიცოცხლის ბოლომდე რჩება ამ სიყვარულით შეპყრობილი. გაბრიელ გარსია მარკესმა სიყვარული ქოლერის სენთან გააიგივა და ამით შექმნა სიყვარულის თავისებური კონცეფცია. ფლორენტინო არისას ტრფობის ობიექტი ფერმინა დასა თავდაპირველად თუ

უპასუხებს იგივე გრძნობით, გარკვეული დროის შემდეგ უარყოფს და სხვას გაიხდის თავისი ცხოვრების მეგზურად. უნდა ითქვას ისიც, რომ ქოლერის დაავადებასთან არის დაკავშირებული ფერმინა დასასთვის ახალ თავყვანისმცემელთან და მომავალ მეუღლესთან ექიმ ხუვენალ ურბინოსთან შეხვედრა. გადის გარკვეული პერიოდი, ფერმინა დასა ხვდება რომ შეცდომა დაუშვა და საკუთარ თავს წაართვა ნამდვილი სიყვარულის მიერ მოგვრილი ბედნიერება. ფლორენტინო არისა ფერმინა დასას დაბრუნებას ელოდა ორმოცდათერთმეტი წელი ცხრა თვე და ოთხი დღე. ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ კი ეს დროც დადგა. დაქვრივებული ფერმინა დასა და ფლორენტინო არისა ერთად ბედნიერები მიდიან მოგზაურობაში გემით და აქ არის ძლიან საინტერესო მომენტი. მათი ცხოვრება გარიყულია. ისინი თუ მანამდე აქტიური მოქალაქეები იყვნენ, ბოლოს თითქოსდა მათთვის დრო მოწყდა რეალურ დინებას და სხვა განზომილებაში გადაიყვანა თავისი უცნაური მგზავრები.

მეორე შემთხვევაში კი ქალაქში მართლაც გავრცელებულია ქოლერის ეპიდემია. მიუხედავად იმისა, რომ რომანში აღწერილი მოქმედების დრო თითქმის სამოც სამოცდაათ წელს მოიცავს, ქოლერა არ მთავრდება, ის შეიძლება ნებისმიერ დროს გავრცელდეს და გვამებით გაავსოს ქალაქი. გვამები მთელი თხრობის მანძილზე შეიძლება გაჩნდნენ სხვადასხვა მიზეზით. ჰაერი გაჟღენთილია მყრალი სუნით და სახლის სახურავები სავსეა სვავებით. სიკვდილით დაავადებულ და სიმყრალით გაჟღენთილ ჰაერს გაბრიელ გარსია მარკესის სხვა რომანებშიც ვხვდებით. მაგრამ ასეთი სიხშირით და სიმძაფრით არა, როგორც ამ ტექსტში. ყოველივე ეს კი მიმანიშნებელია იმის, რომ სიკვდილი და ეპიდემიით გამოწვეული ტრაგედიები ავტორისთვის მსოფლგანცდის ნაწილს წარმოადგენს. მისთვის სიკვდილია ყველგან სადაც ადამიანის შინაგანი სამყარო ცარიელდება და ხრწნას იწყებს.

„იქიდან მომავალი ზეთისა და შუადღის დასიცხული სახლის ოხშივარი ერთმანეთს ერწყმოდა და სიმყრალეში დაბმული ანგელოზის სუნი დგემოდა“ (მარკესი 2010: 9).

„სეირნობის დაწყებისთანავე ფერმინა დასამ სახეზე თავსაბურავი ჩამოიფარა. იმის კი არ ეშინოდა ვინმეს არ ეცნო, უბრალოდ

არ სურდა სადგურიდან სასაფლაომდე ყოველ ნაბიჯზე დაყრილი მზეში გაბერილი გვამების ცქერა. სოფლის თავებმა აუხსნეს ქოლერააო. თეთრი დუჭი ადგათ პირზე და იმასაც ხედავდა, რომ არცერთ მკვდარს კეფაში ჩაჭედული ტყვია არ უჩანდა, როგორც საჰაერო ბურთიდან ექიმმა ურბინომ შენიშნა.

– ასეა – თქვა ოფიცერმა – ღმერთიც აუმჯობესებს მეთოდებს“ (მარკესი 2010: 221).

მის მიერ დაწერილ „პატრიარქის შემოდგომაშიც“ კვითხულობით: „ჩვენამდე მოაღწია დამძლარი სვავეების მძიმე ქმენამ, ჩვენც მათივე ფრთების ფართქუნით მოდენილი სიმყრალის სუნს მივყევით და მივადექით სააუდენციო დარბაზს“ (მარკესი 2006: 5).

მიუხედავად იმისა, რომ მთელი თხრობის მანძილზე რომანს ლაიტ მოტივად გასდევს ქოლერა და სიკვდილი, ავტორი დიდ დროს არ უთმობს მისით ავადობისა და მის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების აღწერას. სამაგიეროდ დაწვრილებით არის აღწერილი ფლორენტინა არისას სიყვარულით დასწეულებისა და ავადობის წლები. ჩვენი აზრით, ავტორმა სიყვარულისა და ქოლერის სენის გვერდიგვერდ წარმოჩენით ხაზი გაუსვა ადამიანის არსებობის ორ უმთავრესს საზრისს, რომელიც რადიკალურად ცვლის ცხოვრებას. დასაწყისშივე ერთ-ერთი პერსონაჟი ექიმი ხუვენალ ურბინო ასე ფიქრობს სიკვდილის შესახებ: „სიკვდილთან ამდენი ხნის ბრძოლისა და ბოლოს მასთან შეგუების შემდეგ, ახლა თვითონ პირველად ჩახედა მას თვალებში და მოეჩვენა, რომ ისიც უყურებდა. ეს სიკვდილის შიში არ იყო, არა, ეს შიში უკვე რამდენი წელია იჯდა მასში, მასთან ერთად ცხოვრობდა და მისი ჩრდილის ჩრდილად ქცეულიყო იმ ღამიდან ცუდი სიზმრებით შემოფოთებულს რომ გაეღვიძა და მიხვდა: სიკვდილი პერმანენტული ალბათობა კი არ ყოფილა, როგორც ყოველთვის ეგონა, არამედ წამიერი რეალობა“ (მარკესი 2010: 29). მარკესმა მოგვცა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვის სიკვდილისა და სიყვარულის თავისებური დეფინიცია.

ჯაბა ზარქუას რომანი „ვაჟა-ფშაველას I ჩიხი“ დაიწერა ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს, ვიდრე კოვიდის ეპიდემია შემოიჭრებოდა საქართველოშიც და მნიშვნელოვან დირექტივებს შეიტანდა ცხოვრების წესში. მასში აღწერილია ვაჟა-

ფშაველას პირველ ჩიხში მდებარე ხრუმოვკა, რომელიც სრულიად შემთხვევით ექცევა იზოლაციაში იმ მიზეზით, რომ იქ ცხოვრობს სავარაუდო კოვიდ ინფიცირებული. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორი ცდილობს წინ გაუსწროს მოვლენებს და დააკვირდეს რა გავლენას ახდენს ადამიანებზე იზოლაციაში ყოფნა. მაგრამ მისი პერსონაჟები იზოლაციაში მოხვედრამდეც გამოირჩეოდნენ ფსიქო-ემოციური აშლილობით და მხოლოდ ამ ფაქტს ვერ დაუვკავშირებთ მათში მიმდინარე ცვლილებებს. თუმცა შემთხვევითი იზოლაცია და მისი გვერდითი მოვლენები გახდა რომანის მთავარი ხაზი, ამავდროულად აქ ვხვდებით ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს, ურომლისოდაც თანამედროვე ადამიანის ხედვა და ეგზისტენციალური კრიზისის გააზრება გაჭირდებოდა. ავტორმა ამ კორპუსში თავი მოუყარა თანამედროვე ადამიანის სხვადასხვა ტიპებს თავისი პრობლემებითა და ტრაგედიებით. აქ შეხვდებით პირველობის მოყვარულ მამაკაცს, რომელსაც ერთი სული აქვს ვინმე თავისზე სუსტი ნახოს და მოახდინოს ძალების დემონსტრირება. ნარკოდამოკიდებულ და მოღალატე ცოლს. შვილმკვდარ დედას, რომელიც შიზოფრენიამდე მიუყვანია თავის ტრაგედიას. ასევე თვალსაჩინოა როგორი გავლენა აქვს სახელმწიფოს ადამიანთა ბედზე. სიმბოლური დატვირთვა აქვს იმ გარემოებასაც, რომ მთავარ პერსონაჟებს ამ კორპუსში დღიურად ქონდათ ნაქირავები ბინა პაემნისთვის. თითქოს საბოლოოდ აქვე გამოცლილი საყრდენი და დაკარგული სიმყუდროვე. მათი სიყვარული დასასრულის პირას არის მისული და ცდილობენ ხელჩასაჭირი იპოვონ, რათა საბოლოოდ არ გაწყდეს ურთიერთობა. მარიამი მარტოხელა დედაა და ნაადრევად დაობლებულს ოჯახზე ზრუნვა დააწვა კისერზე. არადა თავად ყველაზე მეტად ესაჭიროება საყრდენი და სიმშვიდე, რომელსაც რეალობაში ვერ პოულობს. ამიტომ ნარკოდამოკიდებული ხდება და დროებით სხვა სამყაროში ინაცვლებს. ნარკოტიკებს მოიხმარს ასევე გაბრიელიც. „მეოთხე სართულის ოროთახიანიდან რანაირი ხმა არ გამოსულა, რანაირი უცხო ფრაზა არ მოუსმენიათ მეზობლებს... მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო. ბიჭი ყვიროდა, გოგო ჩუმად პასუხობდა. მეზობლები ამ დროს ყველაზე მთავარს ვერ ხედავდნენ – მათ სახეებს. გოგონას სახეზე იკითხებოდა სარკაზმი და სიცარიელე, ბიჭი-

საზე – ტკივილი და პანიკა. გოგოს მარიამი ერქვა, ბიჭს – გაბრიელი“ (ზარქუა 2020: 6).

მარიამი ნარკოტიკის დიდი დოზის მიღების შემდეგ წარმოიდგენს, რომ გამოკეტილია გამჭვირვალე კოლბაში, სრულიად შიშველი. თითქოს დედის საშოში ყოფილიყოს. მას არ სურს ვინმემ დაურღვიოს სიმყუდროვე. არის ერთი ფრაზა, რომლითაც იწყება რომანი და საკმაოდ ბევრჯერაც მეორდება. „this game has no name and the end will never be the same“. მათ ჰგონიათ, რომ ჩართულები არიან თამაშში და დასასრულის მოულოდნელობისკენ არის მიმართული თხრობაცა და მათი საქციელიც. ხშირად უწევთ სახელების შეცვლა და ახალ სახელებს ისე ადვილად ეგუება გაბრიელი, არანაირი დისკომფორტს არ განიცდის. ამ სახეში სიმბოლოზებულა იდენტობის კრიზისი და რეალობის მიუღებლობა. როდესაც არაფერი ღირებული და მყარი აღარ არსებობს არც საკუთარი სახელი და გვარი ადარდებას. საყურადღებოა აგრეთვე თხრობითი სტრატეგიების შეჯახება ტექსტში. აქ ავტორი, პერსონაჟები და მთხრობელი მკვეთრად გამიჯნულები არ არიან. დანაწევრებული ცნობიერება ქმნის მხატვრული ტექსტის ისეთ ნამსხვრევებს, რომელთა აწყობა და მთლიანობის დანახვა თითქმის შეუძლებელია.

ჩვენ ვნახეთ ეპიდემიის მხატვრული ასახვის სამი განსხვავებული ვარიანტი. ალბერ კამისტვის ეპიდემიასა და სიკვდილს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ დაგვაფიქროს სიცოცხლის საზრისზე და მეორე მხრივ უფრო მეტად შეგვაყვაროს სიცოცხლე და ადამიანები. მხატვრული დრო და სივრცე კი იცვლება იმდენად, რამდენადაც ამას იზოლაცია მოითხოვს. პერსონაჟები თავისებურ რეაქციას გახატავენ მიმდინარე მოვლენებზე, ხალხი ყველაფერს მალე ივიწყებს და უცვლელი რჩება, მეტამორფოზას განიცდის მხოლოდ ბერნარ რიე.

გაბრიელ გარსია მარკეზისთვის სივრცე დაჭაობებულია და ჰაერი მკვდარი. როგორც სათაურიდანაც ვიგებთ „სიყვარული ქოლერას დროს“, სიყვარული არის ერთადერთი რამ, რომელმაც შეიძლება დაამარცხოს დრო და ნათელი წერტილი გახდეს უფრო სამყაროში. ხოლო ჯაბა ზარქუასთვის იზოლაცია გახდა

შესაძლებლობა ერთ სივრცეში მოეყარა თავი სხვადასხვა ინდივიდებისთვის და თვალსაჩინო გაეხადა თანამედროვე ადამიანის კრიზისი. ამგავარად განსხვავებული პერსპექტივები კაცობრიობის ერთ დიდ განსაცდელს, ეპიდემიის გავრცელებას, სხვადასხვა დატვირთვას ძენენ.

დამოწმებანი:

დოჩანაშვილი 2013: დოჩანაშვილი გ. *სამოსელი პირველი*. თბილის: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.

ზარქუა 2020: ზარქუა ჯ. *ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020

კამიუ 1988: კამიუ ა. *შავი ჭირი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988

კამიუ 2017: კამიუ ა. *სიზიფის მითი*. თბილისი: გამომცემლობა „აგორა“, 2017.

მარკესი 2006: მარკესი გ. *პატრიარქის შემოდგომა*. თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“, 2006.

მარკესი 2010: მარკესი გ. *სიყვარული ჟამიანობის დროს*. თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“, 2010.

Rūta Brūzgienė

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

Lithuanian Baroque: The Existential Concept of Being in the Hymnals of Protestants and Catholics

Summary

Baroque epoch (late 16th - 18th centuries) brought proliferation of sciences and arts to Lithuania, construction of numerous Baroque etc. Yet, the 17th century is called the Century of Disasters due to numerous wars, the occupation of Lithuania (1654–1661), massive deaths, famine and plague epidemics. This period saw an unprecedented number of religious hymns published as well. The best-known hymn writers are Catholic S. M. Slavočinskis (1646), Pr. Šrubauskis (1679); Protestants: Evangelical Reformed (Calvinist) St. Jaugel-Telega (1653); Evangelical Lutheran M. Švoba (Schwabe), (1666, 1685). The aim of this article is to discuss some motives of the existential concept

of being and the features of its development in the above-mentioned hymns. The article uses a comparative approach and will refer to the works of Lithuanian scholars A. Jovaišas, D. Kuolys, Br. Maskuliūnas, Dž. Maskuliūnienė, D. Pociūtė-Abukevičienė, E. Ulčinaitė, and M. Vaicekauskas.

Key words: Lithuanian baroque, religious hymn, existential worldview, motives of death, poetics.

Introduction. Lithuanian Baroque, which began to form at the end of the 16th century, flourished until the end of 18th century. The deaths and sufferings caused by wars and plague epidemics that constantly devastated Lithuania became the most dominant signs of the Lithuanian reality of that period. From 1654 till 1661, Lithuania lost almost half of its population to the war, subsequent massacres, deportations, famine and plague. At the beginning of the 18th century, Swedish and Russian armies marched through the country again and again in the course of the Northern War. The plague of 1708–1711 killed a third of the Lithuanian population, and almost half of the people died in the Lithuanian lands of the Duchy that year. Therefore, in the religious hymns of the Baroque era (Pr. Šrubauskis, S. M. Slavočinskis, St. Jaugelis-Telega, etc.), the existential worldview was significantly strengthened where the philosophical motifs of the fragility of life, the search for God, the realistic images of death intertwined. This article aims to discuss the features of the expression of some these motives in these hymns. The writing will be based on the works of Albinas Jovaišas, Darius Kuolys, Bronius Maskuliūnas, Džiuljeta Maskuliūnienė, Dainora Pociūtė-Abukevičienė, Eugenija Ulčinaitė, Mikas Vaicekauskas, comparative methodology will be used.

Historical background. In Lithuania, Baroque began to form at the end of the 16th century and lasted until the end of the 18th century. However, the 17th century was called “the century of the Republic of the Two Nations disasters”. After the victories won by the famous military leader, the Great Hetman of Lithuania Jonas Karolis Chodkevičius, near Salaspils (Kircholm, 1605), where 2 thousand troops of the Lithuanian army beat

off Swedish army of 14,000 soldiers, and near Khotyn in 1621, where 70,000 Lithuanian and Polish soldiers successfully repelled the offensive of 220 thousand men strong Turkish army, a period of failures began from the middle of 17th century. Although there have been many wars, famine and plague epidemics in the history of Lithuania, Lithuania has never experienced such situation that happened in 1654–1655 when the entire country was occupied by the Russian and Swedish armies (the Russo–Republic of the Two Nations War dragged on from 1654 to 1667 and the First Northern War with Sweden lasted from 1655 till 1660). Vilnius was occupied for the first time. During the six years of occupation that lasted until 1660 the country was so devastated that, emphasizing the scale of the tragedy, this period is called the Deluge. Lithuania lost almost half of its population to the massacres and deportations, famine and plague that accompanied this war. After the recovery from the Deluge, Lithuania showed its power again in the battles with the Turks (battle near Khotyn in 1673, at the Battle of Vienna, near Kahlenberg in 1686); both battles were led by the Great Hetman Jonas Sobieski. The Turks were finally defeated and never returned to the region. Afterwards, neither the state system nor the economy or the culture changed significantly, so the middle of the 17th century is often considered to be the turning point in the history of Lithuania, from which the decline of the Polish and Lithuanian states began.

Features of Baroque literature in Lithuania. Baroque literature was created in Latin, Lithuanian, Polish and Ruthenian languages in Lithuania. The social, cultural and academic practices of the Jesuits had the greatest impact on the development of literature genres and styles of this epoch at the end of the 16th century and in the 17th century. The use of Latin spread through Vilnius University, ancient literature was replicated, relations with Western Europe were maintained, fiction, religious and scientific works were written. The works of university lecturers and students accounted for most of the publications in 16th and 17th centuries. A Jesuit school theatre was also performing in Vilnius, and in 1636 an opera house opened its doors in the Lower Palace of King Sigismund Augustus II in Vilnius.

The most prominent works of that period are: Boierus Laurentius poem “Carolomachia” (1606), Gregorius Cnapius’ drama “The Philopatris” (1596), Petrus Scarga’s polemic and religious works, speeches, and sermons, Albertas Kojelavičius-Vijūkas’ “Historiae Lituanae” [The History of Lithuania], Part 2 (1650–69), sermons by Konstantinas Sirvydas in “Punktai sakymų” [A List of God’s Words] (1629, 1644), hymnal “Giesmės, tikėjimui katolickam priderančios” [Hymns Appropriate for Catholic Faith] (1646) by Saliamonas Mozerka Slavočinskis, hymnal “Balsas širdies” [The Voice of the Heart], (about 1679) by Pranciškus Šrubauskis, publication of sermons, hymns and prayers of Reformed Evangelical books – “Knyga nobažnytės krikščioniškos” [The Book of Christian Piety] by Steponas Jaugelis-Telega and others (1653), religious hymnals in Prussian Lithuania (Martynas Mažvydas (Martinus Mosuidius, Mosuid), Baltramiejus Vilentas, Merkelis Švoba (Melchior Schwabe), etc., and other religious, literary and scientific books. At that time the most famous in Europe artists and scientists, being educated and working in Lithuania, were: poet Motiejus Kazimieras Sarbievijus (M. C. Sarbievius), author of textbooks for the rhetoric Žygmintas Liauksminas (S. Lauxmin), military engineer Kazimieras Semenavičius, historian Albertas Kojelavičius-Vijūkas, philosopher and poet Samuelis Pšipkovskis (Samuel Pszypkowski) and others who became widely famous and influenced European creative thought.

Worldly Baroque literature (poetry, diaries, memoirs) was written not only in Jesuit schools, in University, but also in the noblemen palaces. Most of it has never been published, only hand written scripts survived. The poetry of prominent Lithuanian poets Danielius Naborovskis (Daniel Naborowski), Zbignevas Morštinas (Zbigniew Morsztyn), Samuelis Pšipkovskis, Stanislovas Samuelis Šemeta (Stanislaus Samuel Szemeta) stays in the form of manuscripts. The works of the manor house poets are characterized by a variety of genres, themes and styles, meditation, and personal experiences. More universal topics like self-irony and the environmental satire, enjoyment of everyday life, open expression of feelings of love were also sought (Ulčinaite 2003). According to Darius Kuolys “the controversial personality of that era emerges in the works of Lithuanian authors of that period – pious, humble, full of greatness and a sense of

self-worth. During the religious holidays, the Lithuanian noblemen on their knees washed the legs of beggars but also argued with the lord in the palace. The baroque period human lamented about the fragility of one`s earthly existence and at the same time tried to experience life as a unique adventure. In the face of death, he cherished and exalted the friendship and love between the people, and tried to stay faithful to oneself” (Kuolys 2015).

In general, the Baroque worldview, dominated by devotion, godliness, and the aesthetics of contrasts, had a great impact not only on literature, but also on Lithuanian culture as a whole. Many churches, Baroque art masterpieces equal to European samples, were erected. Chapels with wooden sculptures of God and saints were especially abundant near homesteads, sidewalks, in the wilderness, and appeared in the manors. This Lithuanian sacral wooden sculpture has become a special contribution to the treasure trove of European Baroque art. Baroque aesthetics influenced the poetics of Lithuanian folk songs as well (Kuolys 2015).

Religious hymnals in Lithuanian language. The history of Lithuanian poetry began with church hymns, which were almost the only representatives of the poetry throughout the 16th – 18th centuries. The role of this poetry was inseparable from prayer, the worship of God, its glorification and cognition. Lithuanian hymns are divided into three groups according to the ecclesiastical dependence, which was determined both by the circumstances of the performance of the hymnals and the genre and poetic features of the hymns. These are: 1) Evangelical Lutherans, 2) Calvinists, otherwise known as Evangelical Reformed, and 3) Catholic hymns. The largest part of the 16th–18th-centuries hymns consisted of Lutheran chants, a slightly smaller section was Catholic and the smallest one was the Calvinist hymns (Pociūtė 1995). Catholic and Calvinist psalms were composed in the Grand Duchy of Lithuania, and Lutheran hymns — in Prussian Lithuania.

The first Lithuanian hymns were created in evangelical Lutheran environment in the 16th century. The “Catechismusa prasty szadei” [The Simple Words of Catechism] of Martynas Mažvydas (circa 1510–1563), who worked in Königsberg area, in Prussian Lithuania, was published in 1547 and had a section of 11 hymns with musical notes. Later, Mažvydas com-

piled the first separate Lithuanian hymnal “The Christian Songs”, printed after his death by his cousin Baltramiejus Vilentas (Part 1 was published in 1566, Part 2 in 1570). In these hymnals, the traditional old Catholic hymnody (even the parts of Gregorian chant) was combined with the new Protestant hymnody. Mažvydas’ hymnals also contained the first, original, not translated Lithuanian hymns. Some of them, were probably created during the Reformation, others may have reached the time of Mažvydas from an older oral or manuscript tradition because Mažvydas himself indicated the age of some hymns (Pociūtė-Abukevičienė, Vaicekauskas 1998).

16th century hymns reflect tendencies in the development of poetics, the poetic language, which transferred from the Middle Ages to modern poetry. In Lutheran hymns in the 16th century, poetic images of the sun, chastity, glitter, were taken over from the early Christian poetry of the Reformed poets (Pociūtė-Abukevičienė, Vaicekauskas 1998) For example, one translated hymn of Mažvydas which is from the 9th century sequence reworked from Martin Luther’s:

Amžins šviesumas ateina	Eternal brightness is coming
Duot mums naują skaistumą	Give us new chastity
Ir žiba vidury tamsios nakties	And it glows in the middle of a dark night
Daro mus vaikus šviesybės.	Makes us children of the light
Kyrie eleison.	Kyrie eleison.

Such poetic means testified to the hope of salvation, eternal life, deliverance from sin, and at the same time their ideological connection with true and fair early Christianity. 16th century Protestant hymns are characterized by a desire to express the truth, to profess the faith, which is concerned with caring for the sacred vocabulary, because it was sought to find “true names” (ibid.) for religious feelings and dogmas.

17th century throughout Europe is considered the age of church hymns. It is estimated that two-thirds of all existing hymns were created during that period. There were also written a lot of Lithuanian original church hymns, included into both Protestant and Catholic prayer books, which in the 17th century grew in demand. Catholic in the 17th – 18th centuries hymns are characterized by allegorization, manifestations of naturalism.

They were meant to teach, to set example, to stun and to cause feelings of admiration, fear, or disgust. The depiction of suffering, the drawing of hell, the suffering of God, the torture of the saints, the sacrifice of God, and the pain of Mary were very helpful in this matter.

In 17th century the foundations of the Lithuanian Catholic hymnody were laid. In the Grand Duchy of Lithuania, the priest Saliamonas Mozerka Slavočinskis prepared and published the first Catholic hymnal in Lithuanian language “Giesmės, tikėjimui katolickam priderančios” [Hymns Appropriate for Catholic Faith] in 1646. It was based on translations of S. S. Jagodinskis’ hymns and J. Kochanowski’s psalms from the Polish language, as well as original Lithuanian hymns. This hymnal was characterized by its expressiveness and substantiated the Catholic Baroque poetics that prevailed in Lithuanian ecclesiastical poetry until the middle of the 19th century. The publication consolidated syllabic versification, formed the main thematic groups of Catholic chants, the biggest part of which was dedicated to Virgin Mary and the worship of saints. Catholic hymns are generally characterized by the worship of the Virgin Mary. In almost every publication with hymns, hymns dedicated to Mary were included, and in the 18th century even a separate prayer book was issued. Various names and epithets are used to describe her in the hymns: the heavenly lily, the blooming flower, the star of the lagoon, the queen of heaven. The worship of Mary as the mother of God is close to the pagan Baltic spirit, whose early pro-European culture, matriarchy, is particularly characterized by the worship of the mother goddess. The worship of the mother has survived in folklore to this day: many diminutive forms are given to her name, a silver bed is laid for her mother, and so on. There are many songs dedicated to Mary in the Slavočinskis hymnal. The hymnal published in Virgin Mary’s rosary with 11 songs about Virgin Mary and 13 hymns (Vaičekauskas 2005, 64). A striking example of an adoration Baroque hymn is the hymn “Ave Maris stella”:

Sveika žvaigžde marių
 Viešpats Dangaus karių
 Visad Pana esi
 Anga dangaus šviesi.
 SVEIKA nuog Aniuola
 Įemei Gabriola
 Laisvę mums nešdama
 Ievą teisindama. Trink mūsų kaltybes
 Akliems duok šviesybę
 Piktą atrėmusi
 Gerą pridavusi. Motina, mums šitokias
 Nešk maldas visokias žmonių Sūnui
 tavo
 Kurs mus atvadavo. Pana švenčiausioji,
 Motin Mielausioji,
 Trink mūsų kaltybę
 Duok širdies šventybę. Idant
 gyventumėm Tiesiai: ir eitumėm
 Prie Jėzaus linksmauti
 Duok meilę jog gauti. Palaima būk
 Tėvui
 Sūnui tikram Dievui
 Ir Dvasiai švenčiausiai
 Trejybei garbingiausiai

Hail you star of the lagoon
 Heavenly Lord`s warriors`
 Holy Virgin you remain forever
 The bright opening in the sky.
 HAIL from Angel
 You took in Gabriel
 You carry freedom to us
 You give justice to Eve. Erase our
 guilt
 Give light to the blind
 Resisting the evil
 Extending the good. Mother to us
 Bring all sorts of things to the Son
 of Man
 Who rescued us. The Holiest of
 Virgins,
 Mother kind-hearted,
 Erase our guilt
 Give holiness to the heart. To live
 straight: and let`s go
 To rejoice with Jesus
 Let us his love receive. Be a joy to
 the Father
 To the Son, the true God
 And the Holy Spirit
 To the trinity the most reverent
 (Slavočinskis 1646, 1958: 89-90.)

Virgin Mary is called here the “star of the lagoon” (one of her traditional literary and religious images – Stella Maris), “the bright opening of the sky”, called “The Holiest of Virgins, Mother kind-hearted”. The archetypal situation of supplication is very important in the hymn: the singer addresses the Blessed Virgin Mary with great requests. This form of supplication was very common in Baroque hymns, it well reflects the state of a pious, humbled, kneeling individual at the cross, one`s deep religious feeling (Maskuliūnas, Maskuliūnienė 2015: 180).

Slavočinskis hymnal also addresses other saints: Ann, John Evangelist, Kazimir, Barbora, Martin, Stanislowus, Vaitiekus, Elizabeth, Magdalene, Bernardine. They are mentioned in hymns as authorities and examples of the Christian life or as mediators in praying for something (ibid.: 184). There are various forms of the word “holy” in his hymnal, even the forms of a particular superior meaning, the word is mentioned 40 times. The superior form of the word “holy” is used the most. It is mentioned 22 times with “Virgin” (31 times in total), once with Mary (3 times in total), 12 times (34 times in total) with “spirit”, and only once with Jesus. Such distribution also shows the hierarchy of worship in the Lithuanian worldview.

Slavočinskis liked to use diminutives, endearings common to Lithuanian folk poetry, in his songs, they give the text softness: “Kodėl taip guli, ar neturi priegalvėlių, / Kodėlei neapvilka baltų marškinėlių” [Why do you lie like that, or do you have no softer pillows, / Why did you put on no white shirt] (from a mother’s lament – quoted from Jovaišas 2003: 366). A lot of words and phraseologisms are taken from the actual speech: “ragus aplaužysiu; taureles pilnas aukštyn keldami” [I will break horns; full cups are lifting up] (ibid.). He attempted to enrich linguistic expression, sought Lithuanian equivalents for translations, relied on the attitude of M. Daukša and K. Sirvydas towards the linguistic expression, sought its purity, certainty.

Another priest Pranciškus Šrubauskis is also highly merited for the creation of Catholic hymns. Using Slavočinskis’ publication among other publications, he compiled the hymnal “Balsas širdies” [The Voice of the Heart], before 1680. Psalms and 74 hymns were taken from Slavočinskis’ book, and more than 40 new hymns were added. The hymnal also contains two historical non-ecclesiastical hymns about war with Russia in the middle of the 17th century. Publication is characterized by a bright Baroque worldview with many artistic features of Baroque literature. Until the middle of the 19th century, P. Šrubauskis’ book was published 22 times; it became the foundation of other popular hymnals in Lithuania like “Giesmės šventos” [The Holy Hymns] and “Kantičkos žemaitiškos” [Samogitian Hymnal Chants].

Šrubauskis' hymnal is dominated by the principle of contrasts characteristic of the Baroque, the theme of the sinful human and the gracious God is developed, and the tradition of medieval literature – allegorization, naturalism – is preserved. Some of the songs in “Balsas širdies” [The Voice of the Heart] reflect historical events, the 17th century wars of the Republic with Russia and Sweden when almost the entire territory of Lithuania came under Russian and Swedish rule, when Vilnius burned in fires, and the Republic of the Two Nations itself broke down politically. These are the hymns “Čėsu nepakajų” [In Turbulent Times], “Čėsu praėjusių vainų Lietuvoj” [In Times of Past Wars in Lithuania]. Both hymns pray to protect the state, to save people from calamities. In the second hymn, there are many naturalistic baroque intimidations of crimes committed by the enemy army:

Vargino žmones iš skūros lupdami,	Caused suffering to people
Nė jokio daikto namie nelikdami.	by skinning them,
Ir krūtis pjaustė, vaikus išvirdami,	Not a thing was left at home.
Vertė motinas ęsti priversdami.	And the breasts were slashed,
Kokį motinos sopolį turėjo,	children boiled;
Gyvus kad verdant vaikelius regėjo.	Mothers were forced to eat.
	What kind of soreness mothers felt
	While watched their children boil
	alive.

(Quoted from: „Giesmės Danguaus...“
1998: 361)

For Šrubauskis, as for other songwriters of that time, what mattered was not the dogmatic truths but the “voice of the heart” — personal faith, trust in God, salvation. For this purpose, he, like many hymn writers, sought authentic linguistic expression, relying on the folk lexicon.

The most important work of the Evangelical Reformed (Calvinists) in the 17th century was prepared by Steponas Jaugelis-Telega and in 1653 published in Kėdainiai “Knyga nobažnystės krikščioniškos” [The Book of Christian Piety]. It is compiled of sermons, hymns, and prayers. He also composed some of the impressive Baroque hymns in this book. Accord-

ing to Albinas Jovaišas, a researcher of ancient literature, three songs in S. Jaugelis' hymn are really original. These are: a song of plague, "O Dieve Dieve Dieve, didžiai galįs" [Oh Lord, Lord, Lord, You Are Almighty], songs of sorrow "Susimilk jau ant manęs" [Take Pity of Me Now] and "Tave aš, amžinas Dieve, visada garbinsiu" [I will Always Worship You, Eternal Lord] (Jovaišas 2003: 370). The hymn "Oh Lord, Lord, Lord, You are Almighty" can be considered a Baroque death with a scythe symbol, a verbal drawing. It has the title "Giesmė apie pavietrį gailingą" as we would speak now "Gailinga giesmė apie marą" [The Sorrowful Song of the Plague]. It vividly depicts the disasters of the plague epidemic, its severe consequences in villages and towns, reflects the atmosphere of natural disasters, the moral decline of the people. The imagery is typical of Lithuanian Baroque:

<p>Suspaudė badas – nemaža prapuolė, Eidamas keliu, ne vienas parpuolė: Lavonai visur, kūnai išdrabstyti, Apraužtos galvos, kaulai išbarstyti. <....> Tėvas su vaiku vienoj vietoj guli, Sumesti pūva ir be grabo tūli. Ne viens dejuoja, ne viens didžiai rauda, Kaip ne raudot, nesang širdį skauda.</p>	<p>The famine hit – many disappeared, Along the way, many fell: Corpses everywhere, bodies spread around, Heads bitten, bones scattered. <....> The father lies with the child in one place, Thrown away to rot and no coffin to cover. Not one mourns, not one laments sorrowfully, No keeping from crying, because the heart hurts.</p>
--	---

From a rhetorical point of view, the hymn is ornate, with many repetitions, periods, insertions of direct speech, but, according to Jovaišas it "still remains authentic to its land the folk image of dawn and the chirping of birds subtly conveys the end of a terrible disaster, relieving people's painful experiences": "Džiaugias ir giesti kaip lauko paukšteliai. / Išvydę aušrą,

seni ir vaikeliai” [Cheerful and singing like wild birds. / When they saw the dawn, the old folks and the babes] (ibid.).

The most talented in the 17th century was considered a creator of Lutheran hymns Merkelis Švoba (c. 1624–1663). According to scholars, his work “best represents the original Lithuanian Protestant hymn, whose baroque poetics is characterized by folklore, hyperbolisation and sentimentality” (Pociūtė-Abukevičienė, Vaicekauskas 1998): “Ak, jeigu man / Galva visada vandens apsčiai turėtų” [Oh, if my / Head would always have plenty of water], and in Lutheran manner there is a tendency towards poetic naturalism, a rough but expressive lexicon of “low style”: “Tas yra Velykų avinas: / Dievo ėsti lieptas: / Kurs yra prie kryžiaus primuštas: / Meilės karščiu iškeptas” [It is the ram of Easter: / commanded to be eaten by God: / Who is beaten by the cross: / roasted by the heat of love]). This is a passage from Luther’s Easter song translated by Jurgis Zablockis (c. 1510–1563).

The tendencies of Lutheran and Calvinist poetic expression were different from the very first appearance of hymns in the 16th century. Lutheran hymns start impressively with depiction of the suffering of Christ, the scenes of his death, which are already alien and uncharacteristic to Protestant literature. Only by painfully identifying with Christ in the so-called century of calamity is a human able to experience suffering, therefore, the inner experience of Christ’s suffering, identification with the people of that time, becomes necessary and comforting. In Calvinist hymns, meanwhile, there is a tendency towards restrained and moderate poetics, focused not on lexical impression but on the rational validity of truths. Piety is perceived in them not as an expressive experience and emotion, but, on the contrary, as a suppression of feelings. Christ is perceived here not as the embodiment of dramatic suffering, but as the “cooler” of hearts: “Eikit pas mane visi apsunkinti / nes būsite manimi ataušinti / nes aš esu lėtas / manyje nieks neras nei jokios puikybės” [Come unto me, / all ye that are burdened, / for I will chill you; / for I am slow / and no one ever finds any pride in me] (ibid.).

As can be seen, the theme of death in Baroque hymns, both Catholic and Protestant, is particularly significant. It is related not only to theological interpretations (as we know, Protestants do not recognize the purga-

tory, do not have the cult of Mary), but also to the real circumstances of wars, plague, famine. Many of these images are included in hymns, the purpose of which is to encourage the search for support in God, to feel a deeper connection with God, to endure suffering to purify the soul, to humble oneself, to renounce pride, to take care of the posthumous salvation of the soul.

Generalization

In Lithuania, Baroque began in the 16th century and lasted until the end of the 18th century. During this period, various sciences and arts flourished in Lithuania. Published works of science and art, famous throughout Europe, influenced the entire European culture for more than a century. On the other hand, the 17th – 18th centuries were marked by widespread wars, famine and plague epidemics, during which more than half of the population had died. Therefore, the worldview of that time was characterised by high contrasts, a sense of the fragility and transience of life, and particularly strong religiosity.

The struggles of the Reformation and the Counter-Reformation led to the publication of religious books: catechisms, prayers, sermon collections, hymnals. In the Grand Duchy of Lithuania and Prussian Lithuania in the 16th – 17th centuries, the following directions of Christianity have formed: Catholics (Evangelical Reformed – Calvinists) in Lithuania and Evangelical Lutherans in East Prussia. Each of these directions published religious books and hymnals instrumental for their own needs. And in Lithuania, the 17th century, similar to the whole of Europe, was characterised by a large number of created and translated songs and their publications.

The hymnals of Catholics by S. M. Slavočinskis, P. Šrubauskis, Lutheran Protestants by M. Mažvydas, M. Švoba, and Calvinists by S. Jaugelis-Telega and others varied in different aspects of understanding of the concept of Christianity, likewise in themes, stylistics, and features of linguistic expression. In S. Slavočinskis' hymnal, a lot of hymns are dedicated to Mary, and other saints, the dimension of holiness is especially emphasised; ornate epithets are used together with folk diminutives. Reviewing the word “holy” in the “hierarchy” of saints, the usage of Holy Mary

თავის მომძინარება პერსონაჟის მიერ და სიმართლის ასე გაგება (ზოგჯერ თავის გადარჩენის, ორთაბრძოლაში მოგებისა თუ სხვა მიზნით) ბევრ ხალხურ ზღაპარში და მხატვრულ თხზულებაშია აღბეჭდილი. აკაკი წერეთლის თიმსალ-მაკოც „ბაში-აჩუკიდან“, ეს სულგაყიდული და კუდიანს მეტად მიმსგავსებული ქალიც ამ ხერხით იგებს ბაში-აჩუკის საიდუმლოს.

ორბელიანის ზღაპარშიც თავს მოიმძინარებს მთავარი პერსონაჟი, ალაღმართალი დავითა, მერე კი მიბაძავს ნათლიდედას საქციელს და შემთხვევით აღმოჩნდება კუდიანთა სერობაზე. „ქართულ და საერთოდ სხვა ხალხთა ჯადოსნურ ზღაპრებშიც ქალი საკმაოდ ძლიერი ფიგურაა. განურჩევლად იმისა, მთავარი გმირია ის თუ არა და მას ვაჟზე მეტი მაგიური ძალა მიეწერება“, – წერს რუსუდან ჩოლოყაშვილი (ჩოლოყაშვილი 2004: 26).

ხალხურ (და მისი გავლენით ლიტერატურულ) ზღაპრებში კუდიანობა და მისით ჯადოქრობის უნარი, უმთავრესად, ქალების

უპირატესობაა. ალექსანდრე ორბელიანის ზღაპარიც ერთგვარად ფანტასტიკურია. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, კუდიანი, ქალია – დავითას ნათლიდედა.

ცნობილია, მამაკაცის გადაგვარება იმდენს ვერას ვნებს ქვეყანას, ეროვნულ სულს, რამდენსაც ქალის გადაგვარება. ქალის გადაჯიშება სპობს შვილებს და მამასადამე – მომავალს. ამიტომაც აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას ქალის ზნეობრიობას მე-19 საუკუნეში მცხოვრები ჩვენი კლასიკოსები – ნიკოლოზ ბართაშვილიც, აკაკიც, ილიაც, ვაჟა-ფშაველაც, ყაზბეგიც... მათ შორისაა ალექსანდრე ორბელიანიც.

არაკს დავუბრუნდეთ.

დავითა, როგორც ჩანს, თვითონ მწერალია. ტექსტის მიხედვით, მთელი მოთხრობა სხვისი, ვიღაც მოხუცი კაცის ნაამბობია, მაგრამ ეს ცნობა ლიტერატურულ მისტიფიკაციად უნდა მივიჩნიოთ. იქ დავითას გაოგნება კუდიანებში ბევრი ნაცნობის დანახვისას თვითონ ბავშვივით წრფელი და მიმნდობი ალექსანდრე ორბელიანის გაოგნებაა ადამიანთა ნამდვილი სახის შეცნობისას. 1859 წელს მიაშვესო,წერს. ამ დროს თვითონ 57 წლისა იყო და უფრო ახალგაზრდა, ალბათ, ვერც ირწმუნებდა ადამიანთა ორსახოვნებას. თუმც ხედავდა და ესმოდა, მაგრამ ვერ იჯერებდა, რომ ასე ოსტატურად შეეძლო ხალხს ნიღბის ტარება – ყოველთვის ყველას გამართლებას ცდილობდა, სხვების სიკეთის დანახვას. ორმოც წლამდე ჩვენს ცხოვრებას ტექსტს ადარებდა და შემდეგ ხანას ცხოვრებაზე დართულ კომენტარებს არტურ შოპენჰაუერი („ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“). ადამიანთა ცხოვრების კომენტარების წაკითხვა, ეტყობა, 50 წელს გადაცილებულს მოუხერხდა ალექსანდრე ორბელიანს.

სერობაზე შეკრებილნი სხვადასხვა ცხოველზე სხედან, ზოგი უსულო საგანზე შემომჯდარა. გასაოცრად ჰგავდნენ ამ ცხოველებს მათზე შემომსხდარნიო, – წერს მწერალი... ხალხურ ზღაპრებშიც, გადმოცემებშიც ეშმაკები, კუდიანები... უმეტესად ცხოველებზე სხედან. ადამიანთა საზოგადოებაში გამეფებული ცხოველური ინსტინქტებისა თუ თვისებების ჩვენების ერთ-ერთი გზა ესეცაა რომანტიკოსი მწერლისთვის. მოვუსმინოთ: „...რომელთაცა უფროსები, ერთი მელაზე იჯდა, მეორე ტურაზე, მესამე მგელზე,

მეოთხე დათვზე, მეხუთე გარეულ თხაზე და მეექვსე აფთარზე. ვინც შემჩნევა იცოდა და სახის მეტყველობას გაუჩხრეკდა, ამ უფროსებს, სახე, როგორღაც თავის ნადირებს უგვანდათ და ხასიათიც ეგრეთვე“ (ორბელიანი 1860).

ვხედავთ აბსოლუტურად აღრეულ, თავდაყირა დაყენებულ ზნეობრივ ღირებულებებს და იქვე, მათ საპირისპიროდ მკითხველისთვის საცნაური ხდება, რა არის ნამდვილი და წარუვალი... ღვთის გამოჩენა კუდიანთა შეკრებაზე მარტო დავითასთვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ, ცხადია, მკითხველისთვის, უწინარეს, მწერლის თანამედროვეთათვის. ბრუტსაზბძელზე შემთხვევით მოხვედრილ დავითას ღვთის გამოცხადება იხსნის და გადაარჩენს განსაცდელისგან. იესო ქრისტე დაანახებს, რომ ეშმაკეულთა ბრწყინვალეობა, მათი ოქრო-ვერცხლი მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა და სინამდვილეში – მტვერი და ნაცარი. ცხადად იგრძნობა ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი: ამქვეყნიური დიდება და სიმდიდრე წარმავალია და სულის წარმწყმენდელი, მარადიული მხოლოდ სულიერი სისუფთავა და ნამდვილი განძიც ზნეობრივ-მორალური სისპეტაკეა და არა მატერიალური კეთილდღეობა. ამ თვალსაზრისით არაკი ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს გვაგონებს და ეს მწერლისგან გასაკვირი სულაც არ არის. მსგავსი ტენდენცია სხვა თხზულებებშიც შეიმჩნევა.

ზღაპარში აღწერილი ამბავი, ვთქვით, კონკრეტული პიროვნებებით, კონკრეტული ვითარებით უნდა იყოს შთაგონებული, მაგრამ მოქმედების დრო და ადგილი განზოგადებულიცაა და ამდენად, მხოლოდ განსაზღვრულ დრო-სივრცეს არ გულისხმობს. ცეცხლის მათრახიანი ყმაწვილი კაცი (იესო ქრისტე) ეუბნება პიესაში დავითას: „ღმერთს მოუცია თქვენთვის გონება, ვინც გონიერად მოიქცევა, იმას ეშმაკები ვერ მიუდგება და ვინც უგუნურად, იმას კი შეიპყრობს. ასეა ნათქვამი: პირველი არის გონიერებაო, მეორე სვინდისიო და მესამე ჭეშმარიტებაო“ (ორბელიანი 1860)

ეშმაკიც (სატანა) და ღმერთიც მარადიულია და მათი დაპირისპირებაც. ადამიანსა აქვს თავისუფლება მინიჭებული, ვის აირჩევს წინამძღოლად, ვის ნათქვამს გაიგონებს, ვის მიჰყვება. ოღონდ ამ ზოგადი მსჯელობის გარდა, ზღაპარი კონკრეტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვენებასაც ისახავს მიზ-

ნად – იმ დროისა, როცა დამპყრობელი დაპყრობილი ხალხის ზნეობრივ გადაგვარებას ცდილობს, რათა წელში ვერასოდეს გამართონ და ქვეყანა სამუდამოდ დაემხოს და გავერანდეს.

დავითას ნათლიდედა კატით მიფრინავს ბრუტსაბძელზე, დავითა – ცოცხით. კატა მისტიციზმით გამორჩეული ცხოველია. ის მრავალი მითისა თუ ზღაპრის პერსონაჟია და თავი ამოყო აგრეთვე ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ პერსონაჟ ვოლანდს (სატანას) თან ახლავს მოლაპარაკე კატაც. საბჭოური რეჟიმის ადეპტები პირდაპირ, შეუნიღბავად ეშმაკის სახით ჰყავს გამოყვანილი ლადო კოტეტიშვილს მოთხრობაში „ეშმაკი გალიფეში“. რუსული ძალმომრეობის კვალს ხედავს ალექსანდრე ორბელიანი საქართველოს ზნეობრივ წახედენაში და უშუალოდ რუს ხელისუფალთ თუ მათ სამსახურში ჩამდგარ ქართველებს გვიხატავს ეშმაკების, ტარტაროზების, კუდიანების... მხატვრული სახეებით .

მწერლის ფიზიკური თვალი ჭკრეტს სავალალო რეალობას და პერსონაჟის პირით გოდებს: „ივერიაში ტრიალებს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, თავის საშინელის შტოებითა. გააქვსთ და გამოაქვსთ ერთმანეთი გარყვნილებას და ქვეყანა ვეღარ იტევს იმათ დაუნდობლობას. აი ეს გახლავთ ეს ანზავი ივერისა“... ქრისტიანული სწავლების მიხედვით, შვიდი მომაკვდინებელი ცოდვაა: მრისხანება, ანგარება, უქნარობა, ამპარტავნობა, სიძვა, ნაყროვანება და შური.

ისეა მომრავლებული ქვეყანაზე მანკიერება, რომ უფალსაც არაფერი უშლის ხელს, პირისაგან მიწისა აღზოცოს მთელი საქართველო და თუ მაინც თავს იკავებს, იმიტომ, დავითასნაირი კაცებიც რომ გადარჩენილან აქა-იქ .

პიესის მიხედვით, არიან ჩვენში მოქადაგენი, რომლებიც ხალხს ჭეშმარიტებას ასწავლიან, მაგრამ სასაცილოდ ჰყავთ ადებულნი ისინი. ემახიან გიჟებს, სულელებს, თავხედებს. სავარაუდოდ, საკუთარი ბიოგრაფიული მომენტი აქვს მხატვრულად გარდასახულ-ტრანსფორმირებული (რეფლექსირებული). ცნობილია, თვითონ ალექსანდრე ორბელიანს ემახდნენ შეშლილს. ცდილობდნენ, სახელი გაეტეხათ მისთვის სიგიჟის, შეურაცხადობის, ასოციალურობის დაბრალებით, რათა არავის ჰგონებოდა ჭეშმარიტება

მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს მოლანდებით ატაცებული კაცის შეგონება-ქადაგებანი.

ზღაპრის წესის მიხედვით, არაკი ისე სრულდება, რომ „ჭირი იმ ეშმაკების ჯურღმულში ჩავარდეს და ლხინი აქ მოვიდეს“. ასეთი ოპტიმისტური ფინალი არ არის გამოწვეული ოდენ ჟანრის კანონების ლოგიკით. ეს ალექსანდრე ორბელიანის რწმენაა. თუმცა რომანტიკული განწყობილება ამ ზღაპარშიცა და საერთოდ, მთელ შემოქმედებაშიც აშკარად შეიმჩნევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რეალისტური ტენდენციებიც მძლავრია მის ნაწერებში. ასე რომ თამამად შეიძლება რომანტიკოსი მწერალი ქართული ლიტერატურული ზღაპრის სათავეებთან ვიგულისხმოთ (სულხან-საბა ორბელიანის მერე ახალ დროში სწორედ იგია პირველად ამ ჟანრის შემომტანი ჩვენში) და რიგ შემთხვევებში ქართველ რეალისტთა წინამორბედად, ბიძგის მიმცემად და მასწავლებლად მივიჩნიოთ.

დამოწმებანი:

თავბერიძე 2020: თავბერიძე, ე. *ექვის პერანგი*. ქუთაისი: 2020.

კეცხოველი 1967: კეცხოველი, ნ. *თოვლიან მთებში*. თბილისი: 1967.

კოროვინი 2019: კოროვინი, ა. „ლიტერატურული ჯადოსნური ზღაპარი“ და ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრები“. *სჯანი*, 20/II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2019.

ორბელიანი 1860: ორბელიანი, ალ. *არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე*. ჟურნ. ცისკარი“, №12. 1860.

ქავთარაძე 2018: ქავთარაძე, ნ. „მიშელ ტურნიეს ფილოსოფიური ზღაპრები“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXXIX. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018.

ჩოლოყაშვილი 2004: ჩოლოყაშვილი, რ. *უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ზღაპრულ ეპოსში*. თბილისი: 2004.

ჩხეიძე 1996: ჩხეიძე, რ. *ალექსანდრე ორბელიანი*. თბილისი: 1996.

ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე, ი. „მგზავრის წერილები“. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. ტ. II. თბილისი: 1988.

კლასიკური „პანდემიური“ ტექსტების რეფლექსირება
თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში
**Reflection of Classic „Pandemic“ Texts on Contemporary
Literary Process**

Zaza Abzianidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Death as a Subject for Reflection

Summary

Reflections of a human being, facing inevitable death, has become central to literary focus only by the end of the XIXth century – in Leo Tolstoy’s late masterpiece, *The Death of Ivan Ilych* (1886). This work has found response in Vazha-Pshavela’s story, dated 1889, “The Death of Bagrat Zakharich.” Vazha gave the answers to the eternal dilemma of human life to the characters of his great poems, while Bagrat Zakharich, unlike Ivan Ilych, he did not spare, for in this character he depicted the dreary cold-heartedness of a Russified Georgian statesman, a phenomenon that he himself had often witnessed.

Key words: Reflection. Leo Tolstoy. Vazha-Pshavela.

ზაზა აბზიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიკვდილი, როგორც რეფლექსიის საგანი

პანდემიით გამოწვეულმა ესქატოლოგიურმა განწყობილებებმა სრულიად ბუნებრივად გააღვივა ინტრესი ტანატოლოგიური თემატიკისადმი. კოლექტიურ ცნობიერებაში ეს ინტერესი ზერელება

და, ძირითადად, სიკვდილიანობის სტატისტიკაზეა ფოკუსირებული. ინდივიდის ცნობიერებიდან კი ფიქრი სიკვდილის არსზე და რაობაზე, ეთიკურ და ესთეტიკურ ასპექტებზე, როგორც წესი, სიკვდილის შიშით განიდევნება. ამიტომაც, ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ინტერესით უყურებს ტელევიზიით ტირაჟირებულ ტრაგიკულ სცენებს, პანიკურად გაურბის საკუთარ აღსასრულზე ფიქრს.

თუ დაკრძალვის ცერემონიალი და სიკვდილსშემდგომი ცხოვრებისათვის აუცილებელი ატრიბუტები საკაცობრიო კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფენომენი გახლდათ, ტანატოლოგიური რეფლექსიები, როგორც წესი, ჩაწნული იყო ფილოსოფიურ ან ლიტერატურულ დისკურსში და XIX საუკუნემდე სასიკვდილოდ განწირული ადამიანის ფიქრების მთელი დიაპაზონის წარმოსახვა, პრაქტიკულად არ გვხვდება, როგორც დამოუკიდებელი, უმნიშვნელოვანესი თემა.

„სიკვდილის შიშის“ ფენომენი ექსპრესიით აღწერა ნიკოლზ ბერდიაევი: „სიცოცხლის ძირითადი ტრაგიზმი – სიკვდილის ტრაგიზმია. სიკვდილი ემპირიულად გარდაუვალია და ეს უსაშველობა უპირისპირდება ადამიანის სულში დამკვიდრებულ სიცოცხლის წყურვილს, უკვდავების წყურვილს, წყურვილს უსასრულო სრულყოფისა და უსასრულო ძლევამოსილებისა“ („ტრაგედიის ფილოსოფიისათვის. მორის მეტერლინკი“).

ამ თემის მისადგომებთან კულტურულ მეხსიერებაში სამუდამოდ შთანერგილ სახელებს იხილავთ: პლატონს და სოკრატეს; სოფოკლეს, რომელმაც პირველმა დაუკავშირა ტანატოლოგიური მოტივები ბედისწერისა და გარდაუვალი სასჯელის ცნებებს; ჰორაციუსს შემოქმედებითი უკვდავების მოტივი შემოაქვს; რაინდულ რომანს – „კეთილშობილი“ და „სამარცხვინო“ სიკვდილის დაპირისპირება; კლასიციზმს – მეფისა და სამეფოსათვის თავგანწირვის დევიზი (თუნდაც, ეს სამეფო შენი სამშობლო არ იყოს!).

XVIII საუკუნის დასასრულს, გოეთეს „ვერტერის“ პუბლიკაციას მთელს ევროპში თვითმკვლელობათა ტალღა მოჰყვა. ეს ფენომენი სპეციალურად შეისწავლა ამერიკელმა სოციოფსიქოლოგმა დევიდ ფილიპსმა და „ვერტერის სინდრომით“ მონათლა. გერმანულ რომანტიზმში ტანატოლოგიური ფილოსოფია საფუძვლად

დაედო ნოვალისის „ღამის ჰიმნებს“, ხოლო ცალკეული კონცეპტები (ან უშუალოდ ნოვალისის გავლენით, ან სრულიად სტიქიურად) ხელს უწყობდა სიკვდილის რომანტიზირებული მითის ხანგრძლივ არსებობას.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ საფრანგეთში, მერე კი და-ნარჩენ ევროპაში დიდი გამოძახილი ჰპოვა ვიქტორ ჰიუგოს 1829 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა – „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე“. აქ დეტალურადაა აღწერილი სიკვდილმისჯილის (სავარაუდოდ, მკვლელობისათვის) სულიერი მდგომარეობა – მისი ფიქრები თავისი წარსულისა და „შემთხვევითობათა“ იმ წყების გარშემო, რომელმაც გილიოტინამდე მიიყვანა. უნდა ითქვას, რომ თუმცა, სიუჟეტურად ეს რეფლექსიები „სიკვდილმისჯილის...“ დომინანტური თემაა, კონცეპტუალურად, ჰიუგოს პათოსი სხვა პრობლენაზე გადააქვს. კერძოდ, ჰიუგოს აბსოლუტურად მიუღებლად მიაჩნდა, რომ ცივილიზებული საზოგადოება ეგუებოდა სიკვდილით დასჯის დაკანონებას და გილიოტინას – ანტიჰუმანიზმის სიმბოლოდ სახავდა. ეს ხაზგასმული იყო წიგნის წინათქმამიც, სადაც ჰიუგო აცხადებდა, რომ იგი – „ყველა სიკვდილმისჯილის ადვოკატი!“ (Sic: საინტერესოა, რომ უკანასკნელად, გილიოტინაზე სასიკვდილო განაჩენი საფრანგეთში, მარსელში 1977 წლის 10 სექტემბერს აღსრულდა!).

ჰიუგოს რომანმა დიდი გავლენა მოახდინა ფიოდორ დოსტოევსკიზე, რომელსაც სწორედ ეს წიგნი გაახსენდა, როდესაც „პეტრაშეველების შეთქმულებაში“ მონაწილეობისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადეს (რომანები „იდიოტი“ და „ემშაკნი“).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გარდა დოსტოევსკისა, ეს თემა წარმოჩნდება ლევ ტოლსტოის პროზაშიც, მაგრამ ახლა უკვე როგორც დომინანტური და ისეთი ფსიქოლოგიური და მხატვრული სრულყოფით, რომ მისი გვიანდელი შედეგრი – „ივან ილიჩის სიკვდილი“ (1886 წ.) მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევა.

სიკვდილის თემასთან დაკავშირებული გრძნობებისა და შერბენების, ემპათიებისა და ანტიპათიების პოლიფონია XX საუკუნის მხატვრულ პროზაში საგანგებო კვლევის ობიექტი ხდება, მაგრამ ჩვენ სწორედ „ივან ილიჩის სიკვდილზე“ გვინდა შევჩერდეთ,

რადგან ვფიქრობთ, რომ ამ გენიალურმა ნაწარმოებმა გამოძახილი ჰპოვა ქართულ პროზაში.

ვგულისხმობთ 1889 წლით დათარიღებულ ვაჟა-ფშაველას მოთხრობას – „ბაგრატ ზახარიძის სიკვდილი“. ჩვენთვის ამოუხსნელი მიზეზებით, ასეთ რაკურსში ვაჟას მოთხრობა არავის განუხილავს. არადა, ტოლსტოის გავლენა იმდენად მკაფიოა, ისეა ზედაპირზე გამოტანილი, რომ თვითონ ჰკარნახობს მკვლევარს ეს ორი ტექსტი გვერდიგვერდ დადოს და ყურადღებით ჩაიკითხოს.

ლევ ტოლსტოის მიზანი იყო აესახა ორი ფსიქოლოგიური ფენომენი: პირველი – როდესაც ოჯახში სიყვარული უფრო ადრე კვდება, ვიდრე ადამიანი; და მეორე – გარდაუვალი სიკვდილი, როგორც კათარზისის წინაპირობა.

შეგახსენებთ ტოლსტოის მოთხრობის ერთ პასაჟს: „ავადმყოფის ფიზიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეაო, – ამბობდა ექიმი და ეს მართლაც ასე იყო, თუმცა ივან ილიჩისთვის ფიზიკურ ტკივილზე უფრო მძიმე ზნეობრივი ტანჯვა იყო.

მისი ზნეობრივი ტანჯვის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ იმ ღამეს, როცა ის გერასიმის კეთილ, ნამძინარევე, ღაწვმაღალ სახეს უყურებდა – იქნებ მთელი ჩემი გაცნობიერებული ცხოვრება ისეთი მართლაც არ იყოო, – გაუელვა უცებ გონებაში.

თავში ახლა ის აზრი მოუვიდა, იქნებ მართალი ის იყო, რაც ადრე სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდა, ანუ ის, რომ ცხოვრება ისე არ განვლო, როგორც საჭირო იყო, როგორც უნდა ეცხოვრა... ახლა იმაზე ფიქრობდა, იქნებ მართალი იმის წინააღმდეგ მისი ის გაუბედავი მცდელობაა, რასაც უმადლეს დონეზე მყოფი ადამიანები საუკეთესოდ მიიჩნევენ, ის ბუნდოვანი განზრახვა, რასაც მაშინვე უგულვებელყოფდა, თავიდან იშორებდა, იქნებ სწორედ ის იყო ნამდვილი, ხოლო სხვა ყველაფერი – მისი სამსახურიც, მისი ცხოვრების წესიც, მისი ოჯახიც, საზოგადოების და სამსახურის ინტერესებიც სულაც არ იყო ნამდვილი...

ივან ილიჩი შეეცადა დაეცვა, გაემართლებინა საკუთარი თავის წინაშე ეს ყველაფერი, მაგრამ, უცებ იგრძნო, რომ იმის დაცვა, რის დაცვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობდა, არც ისე ადვილი იყო... მოკლედ, დასაცავიც აღარაფერი იყო...

„მაგრამ თუ ასეა, – უთხრა თავის თავს, – თუ მე ცხოვრებიდან იმ შეგნებით მივდივარ, რომ დავლუპე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მე მოცემული მქონდა, ხოლო ამის გამოსწორება შეუძლებელია, მაშინ რა უნდა ვქნა, რა გაეწყობა?“

მერე ისევ პირადმა დაწვა და მთელი თავისი ცხოვრება ახლებურად გადასინჯა. დილით ლაქია რომ შემოვიდა, ჯერ მას შეხედა, მერე ცოლს, მერე ქალიშვილს, მერე ექიმს, თითოეული მათი მოძრაობა, მათ მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვა იმ სულისშემძვრელ სიმართლეს უდასტურებდა, რომელიც მისთვის ამ დამით გახდა ნათელი.

მათში ის საკუთარ თავს ხედავდა, ხედავდა ყველაფერ იმას, რითაც იცხოვრა, ხედავდა, რომ ეს ყველაფერი არ იყო ის, არამედ იყო დიდი, საზარელი სიცრუე, რომელიც სიცოცხლესაც მოიცავდა და სიკვდილსაც. ამის გაცნობიერება აათმაგებდა მის ფიზიკურ ტანჯვას, შფოთავდა, კვნესოდა, ტანსაცმელს იგლეჯდა, ეჩვენებოდა, რომ აღრჩობდა, სულს უხუთავდა ეს ტანსაცმელი და ვერ იტანდა მათ“ („უკვდავი მოთხრობები“ 2013: 77-78).

ვაჟასთან, ისევე, როგორც ტოლსტოისთან, მისი პერონაჟის სიკვდილს ცოლ-ქმარს შორის სიყვარულის მინავლებამ დაასწრო (რასაც მკაფიოდ დავინახავთ მოთხრობის ფინალში), მაგრამ ბაგრატ ზახარიძმა, თავისი „რუსი კოლეგისაგან“ განსხვავებით, ისე დახუჭა სამუდამოდ თვალები, რომ უკანასკნელ წამსაც კი ვერ დაინახა, ვერ გააცნობიერა, ვინ იყო სინამდვილეში, რა ასაზრდოებდა და რა უაზროდ გახარჯა ეს ერთხელ ბომბებული ცხოვრება?!

ვაჟას მოვუსმინოთ: „...მოკვდა, გამოესალმა ამ უპირო სოფელს ცხოვრებული ბაგრატ ზახარიძი. ეკ, მადლობა შენთვის, უფალო! გააჩენ, შე დალოცვილო, კაცსა, გააბედნიერებ და, ბოლოს, ისევე ამოაშხამებ. რას მოიფიქრებდა, ან კი სად ეცალა ეფიქრა საწყალს დამსახურებულს მოხელეს ბაგრატ ზახარიძს, რომ, ერთხელაც იქნებოდა, უნდა მომკვდარიყო. ბაგრატ ზახარიძი, მართალია, მკვდარია, მაგრამ იმის პირისახეს რიხი და ეშხი მაინც არ დაუკარგია. მისი დიდრონი, დაწითლებული თვალები საუკუნოდ დაიფარნენ დაჭმუჭნულ, სქელ ქუთუთოებით. დიდრონი, გაჭალარავებული, სწორედ სტატსკი სოვეტნიკის შესაფერი ბაკენბარდები გულზედ აწყვია ორთითივით გადაჯვარედინებულის ხელებს

ზევით. გაფარჩხულს, სქელს ულვაშებს დაუფარია სიამაყისა და სიდარბაისლის გამომხატველი ტუჩები. ბაგრატ ზახარიჩი კუბოთი შუა ზალაში ასვენია, თავით და ფეხთით სანთლები უნთია, სანთლები, რომელთაც არც გლოვა იცინა და არც ტირილი. იმათი მადლი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალს და მკვდარს ერთნაირად უნათებენ. ბაგრატ ზახარიჩს ხელებსა და ბაკენბარდებს შუა ორი ვარდი უწყვია. ეს ვარდები მამის მოწყალებას მოკლებულმა ქალიშვილმა ნატაშამ უძღვნა საუკუნოდ გამოსაღმებულს მშობელს, შიშით და კრძალვით დააწყო. მეუღლე მიცვალებულისა და მისი შვილები ფრიადა სწუხდენ თავის ბატონპატრონის დაკარგვას, მაგრამ ხმით ტირილს კი ვერავინ ჰბედავდა; იცოდნენ, რომ ხმამაღლობა ძლიერ ეჯავრებოდა ბაგრატ ზახარიჩს. ხმამაღლა ლაპარაკი და სიარული უწამლავდა გულ-გონებას, დაავადებდა, გულს გადმოუტრიალებდა, ტანში გააჟრჟოლებდა, თითქოს, ეს-ეს არის, ეხლავე სული უნდა ამოჰხდესო. მუდამ ჩურჩულით საუბარს დაჩვეული ვეღარ ახერხებდა ხმამაღლა ლაპარაკს. ერთი თამამად შინ დაახველებდა, ისიც როგორღაც წამოცდენით, იმიტომ უცებ ისევ შედგებოდა, მიიხედ-მოიხედავდა, კანცელარიაში ხომ არა ვარო. ბაგრატ ზახარიჩის ცოლი, ელენე, შვიდის თითის წვერებზე ოთახში, სადაც ესვენა მისი მეუღლე, დააცქერდის, ამოიოხრის და უკანვე გამობრუნდის. გულსაკლავად განსვენებულის თავით დაეწყით მისი ორდენები, კედელზე ეკიდა შპაგა და მუნდირი, იქვე ეკიდა ბაგრატ ზახარიჩის ვარსკვლავიანი ქუდი, რომელნიც თითქოს დასცინიან თავის პატრონსაო, ისე გადმოიციქრებოდენ. დიაღ, აქ ესენი იცინოდენ და კანცელარიაში – მწვანე სტოლი, რომელსაც ამოუჯდებოდა ხოლმე გვერდით ბაგრატ ზახარიჩი დიდრონის სათვალეებით, ინდოურივით გაბღვერილი“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 77).

„ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“ ვაჟას პროზაულ შედევერებს ნამდვილად არ განეკუთვნება, მაგრამ, ძალიან საინტერესოა თავისი თემატური და სტილისტური „დისტანცირებით“ მთელი დანარჩენი მისი პროზიდან. ჩემთვის ეს უცნაური „დესანტი“ კავკასიონის კალთებიდან – „ჩინოვნიკის სტოლთან“ ამოუხსნელი იქნებოდა, თუ არ ვიგულისხმებდი ვაჟას აღტაცებას ტოლსტოის შედევერით და ამ შთაბეჭდილებით აღძრულ სურვილს გადარუ-

სებული ქართველი ჩინოვნიკის გროტესკული პორტრეტის შექმნისა; თან ისე, რომ ჩაკვირვებულმა თვალმა ვაჟას „კონსპექტში“ ამოიცნოს პირველწყაროს სათაურიცა და ავტორიც!

ეს გროტესკი ონომასტიკით იწყება: დიახ, სწორედაც რომ „ბაგრატ ზახარიჩი“ და არა, ვთქვათ „ჩინოვნიკი ილურიძე“; შემდგომ, გრძელდება სახასიათო ეპიზოდებით კოლეგებისა თუ ოჯახის გარემოცვაში. თემატიკა იგივეა, რაც ტოლსტოისთან, მაგრამ თხრობა მაქსიმალურად ლაკონურია, ლამის კონსპექტური...

„ივან ილიჩის სიკვდილში“ არის მიზანსცენები, სადაც სიტუაციური ტრაგიზმი პიკს უახლოვდება - ეს, როდესაც ტოლსტოი დაუნდობელი სიზუსტით აღწერს თვალით უხილავ ეგზისტენციალურ გაუცხოვებას, რომელსაც სიკვდილის ლანდი ოჯახის წევრებს შორის აჩენს.

გავიხსენოთ ცოლ-შვილისა და სასიძოს ვიზიტი ავადმყოფთან თეატრში წასვლის წინ, როდესაც ფერუმატილწასმული მეუღლე ავადმყოფთან გამოცხადდება: „...პრასკოვია ფიოდოროვნა შემოვიდა. გრძნობდა, რომ კარგად გამოიყურებოდა. ამიტომ ფრიად კმაყოფილი ჩანდა. მაგრამ ამავე დროს თითქოს დამნაშავედც გრძნობდა თავს. ჩამოჯდა, გამოკითხა ჯანმრთელობა. ქმარს მოეჩვენა: მეკითხებაო იმისთვის რომ მკითხოს; არა იმისთვის, რომ გაიგოს. აკი არც არაფერი იყო გასაგები.

ამიტომ მალევე გადავიდა იმაზე, რაც თვითონ სჭირდებოდა: რომ ის არაფრით არ წავიდოდა, მაგრამ რა ჰქნას, ლოყა ადებული; მიდიან ელენი, მათი ქალიშვილი და პეტრიშჩევი (სასმართლოს გამომძიებელი, მათი ქალიშვილის საქმრო); რომ არ შეიძლება მათი მართოდ გაშვება; და რომ თვით მას ურჩევნია აქ დაჯდეს ქმართან. ახლა კი სთხოვს, რომ მისი არყოფნის დროს ყველაფერი ექიმის დანიშნულებისამებრ ჰქნას.

– ფიოდორ პეტროვიჩსაც უნდა შემოსვლა, შეიძლება? ლიზასაც...

– კი, ბატონო, შემოვიდნენ.

შემოვიდა ქალიშვილი, გამოპრანჭული, მოშიშვლებული ახალგაზრდა ტანით, რომელიც ასე ტანჯავდა ივან ილიჩს. ლიზა კი ტკბებოდა თავის სხეულით. შემოვიდა იგი ძლიერი, ჯანმრთელი, ამკარად შეყვარებული. ასთებს ეზიზღებათ ავადმყოფობა, ტანჯვა და სიკვდილი; ყველაფერი, რაც მათ ბედნიერებას ელობება წინ.

ფიოდორ პეტროვიჩიც შემოვიდა. ფრაკი ეცვა, თმდახვეული a la Capoul, მაღალი დაძარღვული კისერი უჩანდა; ყელზე მჭიდროდ ჰქონდა მომჯდარი თეთრი საყელო; განიერი მხარ-ბეჭი უხდებოდა; ვიწრო შავი შარვლიდან იკვეთებოდა ძლიერი ბარძაყები. ცალ ხელზე ხელთათმანი წამოეცვა, ვიწრო და თეთრი.

მას შეუმჩნევლად შემოყვა გიმნაზისტი ახალ მუნდირში. საცოდავს სამინლად ჩალურჯებოდა უპეები, რისი მიზეზიც კარგად ესმოდა ივან ილიჩს. ვაჟი ყოველთვის ებრალებოდა. გულში მოხვდა, მისი შეშინებული და თანამგრძნობელი გამოხედვა. ივან ილიჩს ეჩვენებოდა, რომ გერასიმის გარდა, კიდევ ვასია იყო, ვისაც ესმოდა მისი და ეცოდებოდა“ („უკვდავი მოთხრობები“ 2013: 107-108).

ძალიან საინტერესოა, რომ მსგავს მიზანსცენას ვაჟს მოთხრობაშიც აღმოაჩენთ: ბაგრატ ქავთარაშვილი დაიბარებს თავის მეუღლეს, ელენეს და უანდერძებს: „-მე, ეგ არის, გეთხოვებით, მივდივარ ამ სოფლიდამ. ჩემზე დიდი კაცი ბევრი მომკვდარა და, მაღლობა ღმერთს, მეცა ვკვდები, ჩემზედაც სრულდება ნება უფლისა. ნუ დამივიწყებ, გენაცვალე, მომიგონე ხოლმე და აასრულე ეს ანდერძი. თუ ამას აასრულებ, მე მკვდარი არ ვიქნები, არამედ ცოცხალი. ხომ იცი, ჩემო ელენე, სამსახურიდამ რამდენ საათზედაც ვბრუნდებოდი. ჩემს საკუთარ სავარძელზე არავინ დაჯდეს, ნაშუადღევს სამ საათზე გამოიტანეთ ხოლმე ჩემი პორტრეტი და დაასვენეთ სავარძელზე, - წინ ქაღალდები დაუწყეთ და თითონაც ისე მოაწყეთ პორტრეტი, რომ ქაღალდებში ჩაიცქირებოდეს. ფრთხილად, ფრთხილად ადექით და თითის წვერებზე გაიარგამოიარეთ, გეშინოდესთ, ხათრი გქონდესთ ჩემის პორტრეტისა, როგორც ჩემი ხათრი გქონდათ. ისე იფიქრეთ, ვითომ ცოცხალი ვარ.

ბაგრატ ზახარიჩის სიცოცხლის დროსვე უნდოდა ამ პოზით გადაღებულიყო, მაგრამ საცოდავი ვეღარ მოესწრო, არ იცოდა თუ ზურგ უკან ბრჭყალებგამოილილი სკვდილი ედგა ამოტუზული ბაგრატ ზახარიჩის გასატაცებლად. იმისმა ცოლმა და ქალიშვილმა მხოლოდ ორ კვირას ასრულეს ეს ანდერძი, მერე კი დაანებეს თავი, იფიქრეს: სისულელეს ჩავდივართო. ნატაშა ორის თვის შემდეგ ერთს დრაგუნს გადაჰყვა და ელენემ კი ფერუმარილის სმას მოუმატა პირისახეზე“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 80).

ლევ ტოლსტოის გმირს რელური პროტოტიპი ჰყავდა – დიდი რუსი ფიზიოლოგის, ლევ მეჩნიკოვის ძმა – ივან ილიჩი, ტამბოვის გუბერნიის პროკურორი. ამ ივან ილიჩს მწერალი პირადად იცნობდა და ძალიან თბილად იხსენებდა. ძნელია თქმა, ჰყავდა თუ არა ვაჟას „ბაგრატ ზახარის“ რეალური პროტოტიპი. მაგრამ ტოლსტოისაგან განსხვავებით, რომლის გმირის ტრაგიკული, სიკვდილისწინა თვალთახელა ადამინის ცხოვრების საზრისის მარადიულ დილემას პასუხობს, ეს პასუხი ვაჟამ თვისი გენიალური პოემების გმირებს გადაულოცა, ბაგრატ ზახარიჩი კი ბოლომდე გაიმეტა და სინანულის გარეშე გაისტუმრა მიწისქვეშეთში... ეგებ იმიტომაც, რომ ამ ოდიოზურმა პერსონაჟმა მისთვის განასახიერა გადარუსებული ქართველი ჩინოვნიკობის ამაზრზენი გულცივობა, რომელიც თვითონაც არაერთხელ ეწვნია, ისევე, როგორც მისათასობით თვისტომს და მთელი ეს დაგროვილი ანტიპათია თავის დაუნდობელ მონაყოლს ჩაატანა.

დამოწმებანი:

ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ. III. თბილისი: 1961.

„უკვდავი მოთხრობები“ 2013: „უკვდავი მოთხრობები“ (მთარგმნელი ზურაბ ხასაია). თბილისი: 2013.

Ana Dolodze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

“The earth has grown old and is killing its own children” (Mythical Psychology of the Pandemic)

Summary

The subject of our discussion is Demna Shengelaia’s modernist novel “Sanavardo”, all the characters of which are suffering from different diseases. The main character of the work, Bondo, connects his ancestors to the

shores of the Tigris, where, according to myth, Ishtar remained, doomed to suffering, And the novel Sanavardo is connected with the coast of Capadocia, where diseases also arose and then spread. The writer weaves myth, history and novel story together and thus creates an unusual artistic space; One of the unifying elements of the multi-layered structure of the work is the tale of the dodo frog, which with its structure stands very close to the myth that does not end well.

Key words: Pandemic, Myth, Psychology

ანა დოლიძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„დედამიწა დაბერწდა და თავის შვილებს თვითონვე კლავს“ (პანდემიის მითოსური ფსიქოლოგია)

ჩვენი განხილვის საგანია დემნა შენგელაიას მოდერნისტული რომანი „სანავარდო“, რომლის ყველა პერსონაჟი დაავადებულია სხვადასხვა სენით. ნაწარმოების მთავარი გმირი ბონდო თავის წინაპრებს ტიგროსის ნაპირებს უკავშირებს, სადაც მითის მიხედვით, დარჩა იშთარი, ტანჯვისთვის განწირული, ხოლო სანავარდო ნაწარმოებში უკავშირდება კაბადოკიის ნაპირს, სადაც ასევე გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა დაავადებები. მწერალი მითს, ისტორიასა და რომანის სიუჟეტს ერთმანეთში აქსოვს და ამით არაჩვეულებრივ მხატვრულ სივრცეს ქმნის; ნაწარმოების მრავალმრიანი სტრუქტურის ერთ-ერთი გამაერთიანებელი რგოლია დოდო ბაყაყის ზღაპარი. ამ კონკრეტული ზღაპრის ტექსტი თავისი სრტუქტურით ძალიან ახლოს დგას მითთან, რომელიც კეთილად არ სრულდება; ყველა პერსონაჟი სამუდამო ტანჯვისთვისაა განწირული. დოდო ბაყაყი დასტირის თავის სატრფოს მწვანე ცრემლებით, რითაც მუდმივად შხამავს არემარეს. მწვანე ფერი მუდმივ განახლებაზე, ხოლო ცრემლი მუდმივ დარდზე

უნდა მიგვანიშნებდეს. აქედან გამომდინარე, სანავარდოს მცხოვრებლებსაც აღარ შერჩენიათ კარგი თვისებები, ყველა გაბოროტებულია და არემარეს შხამავს. ამ მხარეს არც დოდო ბაყაყის მოსპობა გამოსაწორებს, რადგან მის საქმეს შხამიანი კოლოები გააგრძელებენ. მწერალი იმდენად საშინელ ყოფას ასახავს, რომ მკითხველს არ წარმოუდგენია, მსგავსი რამ თუ შეიძლება დედამიწაზე მოხდეს. იქმნება მითი ადგილზე, ბოროტების სადგურზე, სადაც არ არსებობს იმედი, არავინ არის ბედნიერების ღირსი, სადაც ყველა ავადმყოფობს: ზოგს ციებ-ცხელება აქვს, ზოგს ჭლექი და ზოგსაც – ბატონები; ხოლო ის, ვინც ფიზიკურად ჯანმრთელია, სადარდელითაა შეპყრობილი. ამ სივრცეში ყველა სასიკვდილოდაა განწირული.

ნაწარმოების ბოლოს მწერლის მიერ შექმნილი მითიც სრულდება. სანავარდო საცხოვრებლად უვარგისი ადგილი ხდება. ხალხი, რომელიც უბედურებას გადაურჩა, ბოლო დღესასწაულს აღნიშნავს ეკლესიასთან. ქადაგი აცხადებს, რომ დედამიწა დაბერწდა და თავის შვილებს თვითონვე კლავს. ყველა უნდა წავიდეს ამ ადგილიდან. ამკარაა, რომ ძველი სამყარო დასაღუპავადაა განწირული, ის უნდა განიწმინდოს დიდი მსხვერპლის ფასად.

მიუხედავად რომანში წარმოჩენილი მისტიკური, ძველ და ახალ მითზე დაყრდნობილი, ფანტასმაგორიული სამყაროსი, სახეზეა რეალური პლანიც, ქართული სივრცისა და დროის მნიშვნელოვანი ლოკალითა და მისი განზოგადებით. ბონდოს ოჯახი, მისი წინაპრები და თვით სანავარდოც, მისი სამშობლო, ქართული სინამდვილის ნაწილია. ამავე სივრცეს მიეკუთვნება ნაწარმოებში გადაშლილი ირეალური სამყაროც, მითის, ზღაპრის და სიზმრის სახით წარმოჩენილი.

ნაწარმოების რთული სტრუქტურა მწერლის განსაკუთრებულ ოსტატობასა და ერთგვარ მხატვრულ ინტუიციას მოითხოვდა, რომ ასეთი მრავალშრიანი მხატვრული სამყარო ერთიან, მწყობრ, შინაგანი ლოგიკითა და ემოციური ძაფებით დაკავშირებულ, მონოლითურ ტექსტად ქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში მწერლის მიერ რომანში შემოტანილი სხვადასხვა პლანი და შრე, რომლებიც მუდმივად მონაცვლეობენ და დროდადრო ერთმანეთს განმსჭვალავენ, შეიძლებოდა ეკლექტური გამოსულიყო.

ჩვენ დავინახეთ, რომ რეალური პლანი, სიბრტყე, შეესებულა რეალური სახეებითა და პრობლემატიკით, ქართული სივრცისა და დროის მნიშვნელოვანი ლოკალით, ამავე დროს არის მისტიკური, ძველ და ახალ მითზე დაყრდნობილი, ფანტასმაგორიულიც და სრულიად გასაგებ ობიექტურ სოციალურ საყრდენებზე დაფუძნებულიც. ეს შრეები, პლანები, სახეები, გადასვლები ეფემერულისა და ილუზორულის, მონაცვლეობა მატერიალურისა და წარმოსახვითის, მითის ორშრიანი წარმოდგენა ტექსტში დამთავრებულ და სრულ სურათს ქმნის შემაკავშირებელი ტექსტის მეშვეობით. ეს სიზმარ-ზმანების ტექსტია, რომელშიც ასევე ფიგურირებს სხვადასხვა სენი.

მოდერნისტულ რომანებში უმეტესად მაინც შეიმჩნევა ეკლექტიკურობა, „სანავარდოში“ კი, ამდენი განშტოებისა და შენაკადის მიუხედავად, მთლიანი სათქმელი და დაურღვეველი შიდა სამყარო წარმოდგება. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ამ მრავალშრიანი ტექსტური სუბსტანციის მონოლითურობა სწორედ სიზმარმა განაპირობა. სიზმარი სენთა სიუხვით სხვადასხვა თვისობრიობისა და თვისების მქონე შრეებს შორის ლაგდება ფენებად, ერთგვარ შემაერთებელ ქსოვილად, დულაბად და სწორედ მისი მეშვეობით სრულიად არსებითად და ბუნებრივად ხდება მოქმედებისა და ემოციური ნაკადის გადადინება ერთი რეალობიდან მეორეში, პირველისაგან სრულიად განსხვავებულში. სიზმარი თითქოს ერთმანეთთან აწებებს, ათანხმებს და შიდა ძაფებით აკავშირებს ერთი შეხედვით შეუთავსებელსა და დაუკავშირებელს; განმარტავს მოვლენის მიღმა დაფარულ სათქმელს. ამიტომ ეს რეალურ-მითიურ-ემოციურ-პრობლემატურ მრავალსახეობრივი მხატვრული სამყარო ერთ მთლიან, სენით მოცულ ცოცხალ ორგანიზმად წარმოდგება სწორედ სიზმრის მეშვეობით. სიზმრის ეს ფუნქცია მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც ჩანს, მაგრამ „სანავარდოში“ მან განვითარების განსაკუთრებულ დონესა და მნიშვნელობას მიაღწია. რომანის თემატიკა რეალური და ირეალური სამყაროს, ცნობიერი და არაცნობიერი აზროვნების ერთობას ეფუძნება, ხოლო სტრუქტურა ზღაპრის, მითისა და სიზმრის ერთობლივ ქმნალობას. მიუხედავად ამ ორ სამყაროს შორის არ-

სობრივი განსხვავებისა, მათში საერთო არის სენი, რომელიც მასიურად ღუპავს ყველას, მთელ საზოგადოებას.

რომანში წარმოდგენილია დიდი საგვარეულოს ისტორია, რომელიც შეიძლება ბონდოთი დამთავრდეს ისევე, როგორც მთელი სოფლისა, სადაც ყველგან ციებ-ცხელება და ჭლექია მოდებული. ციცინოსაც, ბონდოს დედას, ჭლექი სჭირს, მისი გადარჩენის იმედი აღარაა, მხოლოდ გაზაფხულამდე თუ მიაღწევს.

დ. შენგელაია აღწერს სოფლის უბედურებას, გვალვას, ბაყაყთა სიმრავლეს, სასაფლაოს ახალ-ახალი კუბოებით ავსებას და კუბოებისა – წყლით; სანავარდოს დაპყრობას ორპირიდან გამოსული სკაპეცების მიერ. ყარამანი, ბონდოს მამა, თავისი თვალთ ხედავს, თუ როგორ მიაქვს წყალს სასაფლაო იქ დამარხულ წინაპართა ძვლებით. მდინარის წყალი „დაღრჭენილი თავებითაა“ სავსე. მწერალი იმდენად საშინელ ყოფას ასახავს, რომ მკითხველს არ წარმოუდგენია, მსგავსი რამ თუ შეიძლება დედამიწაზე მოხდეს. ეს უფრო დოღო ბაყაყის სამყოფელს ჰგავს, სადაც ყველაფერი მოშხამულია. სანავარდოში ყველა ავადმყოფობს. ყარამანიც ამ დღეშია. მისი ერთადერთი იმედი ავადმყოფი ცოლია და არა შვილი. მას ესმის, რომ ვიღაცა ციცინოს ემახის. ეს თვითონაა, ოღოდ ახალგაზრდა. ამ ხმასა და მოლანდებას წინ უსწრებს გვალვით გამოწვეული წუხილი, ყარამანს თითქოს სიცხე აქვს, ყურები უწივის და ყველაფერი ტრიალებს მის გარშემო. პერსონაჟის მდგომარეობა გამოწვეულია რეალობასთან შეუუკუბლობით. ყარამანი გაორებულია და მამის წიაღიდან მოწყვეტილი, თუმცა მკვდარი მშობლის ზეგავლენა ჯერ კიდევ დიდია შვილზე. ეს ნათლად წარმოჩნდება, როცა ყარამანი მამის სურათს უყურებს და დარდობს, არ უნდა, ბონდო მას დაემსგავსოს. მამის მხერას ვერ უძლებს ყარამანი. მამის ხმის გაგონება ბურანიდან არკვევს მას. პერსონაჟი თავს იმით იმშვიდებს, რომ გვალვაა ზმანების მიზეზი, თუმცა მას რეალურად აკანკალებს, აძაგძაგებს და შიში იპყრობს. ყარამანი ბუნებით მშვიდი ადამიანია. ყოველთვის ის ამშვიდებს მეუღლეს და თავადვე უკვირს, როგორი გაწონასწორებულია. ყარამანის მოლანდება კი სულ სხვაზე მეტყველებს. მისი სიმშვიდე მოჩვენებითია. პერსონაჟი შემფოთებუ-

ლი და შეძრწუნებულია. თავისი დარდით სხვებს არ აწუხებს, სამაგიეროდ საკუთარ თავს აგდებს მძიმე მდგომარეობაში. დაგუბებული ტკივილი ანგრევს პერსონაჟს, რაც მისი ფსიქიკის შერყევით დასტურდება.

ყარამანს, ისევე როგორც სხვებს, ეშინია რკინიგზის გაყვანის, რადგან ის ძველ ადათებზე გაზრდილი კაცია, რკინიგზა კი სიახლის მომტანია. უკვე ფოთიდან ჭალადიდან დაიგო გზა, ეხლა კი ჭალადიდის ჭაობს ებრძვიან. რა არ ჩაყარეს მასში: ხრეში, დაწნული ჩელტები, მაგრამ ჭაობი უძირო იყო, იკარგებოდა შიგ ყველაფერი. უზარმაზრი ჭაობი თავისი ბაყაყებითა და კოლოებით, ჭაობი, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, რეალური გამოხატულებაა დოდო ბაყაყის ზღაპარისა, რომელსაც მითის ფუნქცია აქვს და მუდმივობის აღქმა შემოაქვს ნაწარმოებში.

მწერალი მითს, ისტორიასა და რომანის სიუჟეტს ისე უთავსებს ერთმანეთს, რომ ერთიან მხატვრულ სივრცეს ქმნის, რომლის მთავარი თემა პანდემიური სიტუაციაა. მკითხველს მოსწონს ეს ტრაგიზმით აღსავსე რომანი. დ. შენგელაიას მხატვრულ ქსოვილში ბონდოს მხატვრული სახე, რომანში განვითარებული მოვლენები, გმირთა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა ერწყმის მითს და ასე იქმნება ერთი, მაგრამ მრავალშრიანი მხატვრული სამყარო.

ნაწარმოების ბოლოს მწერლის მიერ შექმნილი ახალი მითიც სრულდება. სანავარდო საცხოვრებლად უვარგისი ადგილი ხდება. ხალხი, რომელიც უბედურებას გადაურჩა, ბოლო დღესასწაულს აღნიშნავს ეკლესიასთან. ქადაგი აცხადებს, რომ დედამიწა დაბერწდა და თავის შვილებს თვითონვე კლავს. ყველა უნდა წავიდეს ამ ადგილიდან. ბონდო მიწაზე ეცემა, იკლაკნება და ქაფი მოსდის პირიდან. ვარდება ელვა, თოფიც, ვიღაცა ხანჯალს ამოიღებს და ისმის არნახული წივილი მატარებლისა. ხალხი ახალი ცხოვრების გზას ადგება სატურიისკენ. ბონდოს მამისადმი მიმართვა ამ სიტყვებით სრულდება: „ჩვენ უნდა წავიდეო, მამაჩემო!.. ავიკრათ გულა-ნაბადი და გავუდგეთ!.. ახლა ახალი ხალხი მოდის!..“ (შენგელაია 1983: 107).

ამკარაა, რომ რომანის რეალური პლანი, სიბრტყე, შევსებული

რეალური სახეებითა და პრობლემატიკით, ქართული სივრცისა და დროის მნიშვნელოვანი ლოკალით, ამავე დროს არის მისტიკური, ძველ და ახალ მითზე დაყრდნობილი, ფანტასმაგორულიც და სრულიად გასაგებ ობიექტურ სოციალურ საყრდენებზე დაფუძნებულიც, რომელთა შორის ფიგურირებს პანდემიის თემაც, ქართული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი, ხოლო პანდემიის მითოსური ფსოქოლოგია გამოხატულია სიტყვებში – „დედამიწა დაბერწდა და თავის შვილებს თვითონვე კლავს“. ზემოთთქმული მიუთითებს პანდემიის, რომლის მიზანი სამყაროს – კონკრეტული სივრცის, სანავარდოს – განწმენდაა, მუდმივად განმეორების საშიშროებაზე.

დამოწმებანი:

შენგელაია 1983: შენგელაია დ. *რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

Nino Gogiasvili

Georgia, Telavi

Iakob Gogebashvili Telavi State University

Pandemic Reflected in Literature, as the Litmus and Remedy for the Humankind

Summary

Pandemic reflected in literature, as the litmus and remedy for the humankind

In the presented report I would like to discuss Vazha Pshavela's literary prism, in view of pandemic: one of such is the fiction work – Cholera has helped me (Story by Berua), and the other is the publicist letter – Thoughts (Caused by Cholera).

As the method of research of aforementioned literary texts, I have chosen hermeneutics (as the means for understanding and interpreting the text), analysis (which covers analysis of problems raised in the texts) and

comparative method (with the aim of comparison with the author's other texts and world literary classics).

The main ideological axis of the report is the phrase from Vazha Pshavela's publicist letter: "Maybe we can get rid of this also. Then we will see how the word cholera, as its representative, will be erased, eliminated from the earth".

Vazha-Pshavela's literary fiction Cholera has helped me, is a fun, entertaining, humorous story about the cholera pandemic, but having a very deep meaning.

Key words: Pandemic, Cholera, Vazha-Pshavela.

ნინო გოგიაშვილი

საქართველო, თელავი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურაში ასახული პანდემია, როგორც კაცობრიობის ლაკმუსი და წამალი

მსოფლიო ბევრჯერ შეაშფოთა და დააზარალა სხვადასხვა წარმოშობის პანდემიამ. მოგეხსენებათ, დღესაც ანალოგიური სიტუაციაა და მის შესახებ წარმოებული ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა დროების რელევანტურია. საუკუნის წინ, საქართველოში მძვინვარე ქოლერამ კლასიკოსთა შემოქმედებასაც დაატყო კვალი. მოცემულ მოხსენებაში მსურს ვისაუბრო ვაჟა ფშაველას ლიტერატურულ პრიზმაზე, პანდემიის კუთხით: ერთი მათგანია მხატვრული ნაწარმოები „ხოლერამ მიშველა (ბერუას ნაამბობი)“, ხოლო მეორე – პუბლიცისტური წერილი „ფიქრები (ხოლერის გამო)“.

ხსენებული ლიტერატურული ტექსტების საკვლევ მეთოდად შევარჩიე ჰერმენევტიკა, (როგორც ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის საშუალება), ანალიზი (რომელიც მოიცავს ტექსტებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზს) და შედარებითი მეთოდი (ავტორისავე ტექსტებთან და მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკასთან შედარების მიზნით).

მოხსენების მთავარი იდეოლოგიური ღერძი ვაჟა ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან ამონარიდი ფრაზაა: „ეგები ესეც მოვიშორეთ თავიდან. მაშინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედამიწის ზურგიდან“ (ფშაველა 2011). სიტყვაში „ესეც“, რომელსაც ვაჟა ფშაველა „მეორე ჯურის ხოლერადაც“ მოიხსენიებს, უსამართლობას, „აჯამობას“, უაზრობასა და „უგრძნობელობას“ უწოდებს, როდესაც ადამიანები „სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ რომ ათენ-ალამონ“. პოეტის მთელი შემოქმედება ამ პრობლემისა და ტკივილის დასტურია, რომლის შესახებაც ვისაუბრებთ მოხსენებაში.

პირველ რიგში, მახსენდება ვაჟას ლექსი „კაი ყმა (ხევსურულ ჰანგზე)“, რომელიც „მეორე ჯურის ხოლერის“ პოეტური მხილებაა:

„არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძლებითა:
ღამე მამღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა...
უქმად ჩამაჰლევეთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავეში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასწნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა“!
(ვაჟა-ფშაველა)

ლექსში „ვინ არის კაცი“? ირონიითა და სარკაზმითაა ასახული უმაქნისი, მუქთახორა ადამიანის, ერთდროულად ღიმილისა და ტკივილის მომგვრელი ფსიქოლოგიური ტიპი:

„კაცი ის არის, ცხოვრება
ვინც გაატარა ჭამაში
და კაცის დანიშნულება
მხოლოდღა ჰპოვა ამაში“.
(ვაჟა-ფშაველა)

ფინალში კი, პოეტი „დიდყურთანის შვილად“ მოიხსენიებს ასეთ კაცს და ამით საბოლოო დევალაცციას ახდენს მისი ფუჭი ადამიანური არსებობისა. „აი, რას ეფუძნება არისტოტელეს ზემოთ მოტანილი თეზისი, რომელიც გვირჩევს, განცხრომასა და ამქვეყნიური სიამით ტკობას კი არ მოველტვოდეთ, არამედ ვცდილობდეთ თავიდან ავიცილოთ ურიცხვი ცხოვრებისეული უბედურება“ (შოპენჰაუერი 2009: 294), – წერს ართურ შოპენჰაუერი, ტექსტში „ცხოვრებისეული ფასეულობების შესახებ“. სწორედ ამგვარია ვაჟა ფშაველას მსოფლმხედველობა – კაცის, ადამიანის რაობის და შესაბამისი ღირებულებების შესახებ. ცხადია, მახსენდება ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“?! სადაც სწორედ სიზარმაცისა და განცხრომის ჭაობში ჩადირულ, ადამიანის მსგავს არსებაზეა საუბარი. პუბლიცისტურ წერილში „ფიქრები“, ვაჟა საუბრობს ხოლერაზე, როგორც წამხდარი ადამიანის სამყაროსეულ მეტაფორასა და უკუკავშირზე. „ეს ისეთი ხოლერაა, რომ განაორი ათთასი ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს“ (ვაჟა-ფშაველა 2011) და დაამატებს, რომ თუ ამ „მეორე ჯურის ხოლერასაც“ მოვიშორებთ, „მამინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედამიწის ზურგიდამ“ (ვაჟა-ფშაველა 2011). ვაჟა ფშაველას წერილში მარტივად ამოსაკითხავია, რომ ის, ქოლერას, როგორც მომაკვდინებელ ფიზიკურ სნეულებას, საზოგადოებაში უკვე არსებული მომაკვდინებელი სულიერი სნეულების განსხეულებად მიიჩნევს; ის ლაკმუსის ქალაღდის ფუნქციას ასრულებს – უხილავი, მხოლოდ გონიერ თვალთათვის დასანახავი მანკიერება ხილული ხდება.

მისსავე მცირე ტანის მხატვრულ ნაწარმოებში – „ხოლერამ მიშველა“, საუბარია ამ დაავადების, როგორც მწარე წამლის ფუნქციაზე. ხსენებული ლიტერატურული ფიქცია გავრცელებული ეპიდემიის – ქოლერას შესახებ სახალისო, შესაქვევ, იუმორით სავსე, მაგრამ ღრმა აზრით გაჯერებულ ამბავს მოიცავს. მოთხრობის მთავარი გმირის –ბერუა ტყიკაციშვილისთვის საყოველთაო უბედურება ბედნიერებად იქცა და საყვარელ ქალთან ოჯახის შექმნის სიხარულად დაგვირგვინდა. ტექსტში აღწერილია შიმისგან გონებაწართმეული ადამიანების ყოფა, როდესაც ისინი გარბი-

ან მშობლიური სოფლიდან. სოფელს, საიდანაც სასოწარკვეთილი ადამიანები გარბიან, საბრალო ჰქვია. სოფელი (წუთისოფელი) საბრალო ხდება, სადაც შემფოთებული ადამიანები ცხოვრობენ; ვაჟასეული ლიტერატურული ტოპონიმიური მეტაფორა ზუსტია და მრავლისმთქმელი. ბერუას დამგზავრებული მედუქნე გასპარა შიშს გაუკეთილშობილება და უსაზღაუროდ ეპატიჟება ღვინო-ზე; მისი ლოგიკა ამგვარია: „მოგება საიქიოს ეშმაკების უსტაბაშს გავუყო“?! (ვაჟა-ფშაველა 2012). ბერუას უკვირდა მედუქნის „გაპურადება“: „წინათაც ეს ბერუა ვიყავი, რომ გასპარას ნახევარ შაურიანი არაყი არ დაუღვევიანებია ჩემთვის და მიკვირდა, დღეს რა მოეღანდა ამ დამწვარ კაცსა-მეთქი. სწორედ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ დაგვამეგობრა“ (ვაჟა-ფშაველა 2012). ბუნებრივია, მახსენდება მსოფლიო ბიბლიოთეკის საგანძური, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“: „თუ ჩვეულებრივს გარემოებაში ბრძნებს არ შეუძლიათ მოთმინებით გაუძლონ მცირე და იშვიათ გაჭირვებას, სამაგიეროდ დიდი და საერთო უბედურებანი თვით უბირსაც კეთილგონიერ და უდარდელ ადამიანად გადააქცევენ ხოლმე“ (ბოკაჩო 1970: 36). მასობრივი უბედურება და შიში, ერთი მხრივ, ხელჩაქნეულობასა და თავაშვებულობას განაპირობებს, მეორე მხრივ, კი სულიერი კათარზისისა და მეტამორფოზის საწინდარია. სწორედ შავი ჭირის გავრცელების ფონზეა აგებული „დეკამერონის“ ძირითადი სიუჟეტი, სადაც მთავარი მოქმედი გმირები განერიდებიან ქალაქს, რათა მხიარულებასა და სიამტკბილობაში იცხოვრონ, – აღმოფხვრან ნეგატივი თავიანთი ყოფიდან.

ზოგადად, ეპიდემია საინტერესო თემა და გარკვეული ლიტერატურული გამოწვევაცაა მწერლებისთვის; ეს არის ერთგვარი მაღალი სიხშირის კონდიცია, სადაც სულ სხვაგვარად ლაგდება მოვლენები; ადამიანები კარგავენ ჩვეული ცხოვრების რიტმს და რადიკალურად განსხვავებულ რეალობაში იწყებენ არსებობას; მთლიანად იცვლება მათი ფსიქიკა, მსოფლმხედველობა და ჩვეული სოციალური სტანდარტები. პანდემია ერთგვარი ფორს-მაჟორია, რომელიც მართავს ადამიანებს. მიმდინარე კოვიდპანდემიისასაც, ადამიანები ბევრს საუბრობენ ახალ მსოფლიო წესრიგსა და წყობაზე, რასაც, ხშირად, გარკვეულ სოციალურ „სპეცოპერაციად“ მიიჩნევენ. ფაქტი თვალსაჩინოა, რომ ადამიანი, მთელი

თავისი ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური კონტექსტებით, ცვლილებას განიცდის; სწორედ ამიტომ, ნიშანდობლივია, სწორად „გამოვიყენოთ“ არსებული მძიმე ვითარება და ჩვენეული სარგებელი ვნახოთ, ამ შემთხვევით ურიცხვ დანაკარგთან ერთად. ეს მისია მეცნიერებებს აკისრია, და არა მხოლოდ ზუსტ, არამედ – ჰუმანიტარულსაც; რადგან, როგორც ვაჟა ფშაველა ამბობს, „მეორე ჯურის ხოლერა“ ადამიანის სულიერი და მენტალური სენია.

პანდემია ხალხში პანიკას იწვევს და, უმეტეს შემთხვევაში, – გაქცევის მძაფრ სურვილს. დანიელ დეფოს პერსონაჟი, „შავი ჭირის დღიურებში“, საყოველთაო ლხინს მართავს. დაუპატიჟებელი უცხო სტუმარი თავად სიკვდილი აღმოჩნდება, რომელიც მასპინძელს საიქიოს გაისტუმრებს. ჰომეროსის „ილიადასა“ და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეშიც“ შავი ჭირის თემა მუსირებს. მსგავსი ტექსტების ჩამოთვლა და განხილვა შორს წაგვიყვანს; თუმცა, უპრიანია, ვისაუბროთ თომას მანის შედეგზე „სიკვდილი ვენეციაში“, სადაც, თავის თავში სრულიად უცხო შეგრძნებისა და მისწრაფების აღმოჩენისას, მთავარი გმირი – აშენბახი გავრცელებული სნეულებით კვდება. სულიერი კატაკლიზმა, რომლის პასუხიც არ აქვს აშენბახს, ფიზიკური არყოფნით მთავრდება; ამას შავი ჭირი „უზრუნველყოფს“.

ლუკრეციუსმა, თავის ტექსტში – „საგანთა ბუნებისათვის“ შთამბეჭდავად აღწერა შავი ჭირი და მისი სიმპტომები. შავი ჭირის პანდემიის თემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ანტიკურ ლიტერატურაში და, ამასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ თუკიდიდეს, ვერგილიუსის და ოვიდიუსის სახელები. სწორედ ამ დროიდან, ხსენებული ავტორების ტექსტებში, ის არ იყო მხოლოდ ფიზიკური სენი, არამედ, მას უკვე ჰქონდა გარკვეული მეტაფორული დატვირთვა. სული და სხეული ღვთის ქმნილებაში – ადამიანში სიმბიოზური თანაცხოვრებით არსებობენ და არასოდეს განიხილებიან ცალ-ცალკე კონტექსტში. სხეულის ავადობა სულიერი მდგომარეობის თავისებური სარკე და მეტაფორაა. შესაძლებელია ითქვას, რომ მასობრივი ეპიდემიები და პანდემიები ეგზისტენციალურ დაფიქრებასაც იწვევს და ეპისტემოლოგიურ დაეჭვებასაც, რადგან ავადობა განურჩევლად ყველას მუსრავს; თითქოს, ყველა დამნაშავეა და არც არავინაა დამნაშავე.

ალბერ კამიუს „შავ ჭირში“ პანდემია ალეგორიაცაა და მეტაფორაც; კონკრეტულად, ფაშიზმის ალეგორია და სულიერი დეგრადაციის მეტაფორა. შესაძლებელია, ვაჟა ფშაველას პუბლიცისტურ წერილში – „ვიქრები“ – „მეორე ჯურის ხოლერა“ რუსულ ტოტალიტარიზმსაც დაუვკავშიროთ და მის ალეგორიაცად მოვიაზროთ; თუმცა, ტექსტის კვლევისას, პირველი მოსაზრება ვლინდება. „იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვენებოდეს მარტო? არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, ამ „ბაცილების“ დედას, და იმდენი ხმაურობა, ჟრიამული იმიტომ არ ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზე... მოვიგონოთ ასი-ათასობით უმეცარნი, უსწავლელნი, უბირნი, ცხოვრებას რომ ეთრევენებიან, სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ათენ-ალამონ, იგივე ხოლერისაგან მოკლულნი არ არიან“?! (ვაჟა-ფშაველა 2011).

მარგარეტ იურსენარის „მოგვი მკურნალი“ და გაბრიელ გარსია მარკესის „სიყვარული ჟამიანობის დროს“ ის ტექსტებია, რომლებსაც გვერდს ვერავინ აუვლის, როდესაც პანდემიის თემას ანალიზებს ლიტერატურაში. ამ რომანების სიუჟეტები ქოლერას ეპიდემიის ფონზე ვითარდება და, შესაბამისად, განსაზღვრავს მთელ ნარატიულ დინამიკას. მერი შელის აპოკალიპსური რომანი „უკანასკნელი ადამიანი“ და ჟოზე სარამაგუს მისტიკური რომანი „სიბრმავეც“ ეპიდემიურ ვითარებაზე მოგვითხრობს; ორივე ტექსტში ეპიდემია მეტაფორაა. „მგონი, კი არ დავბრმავდით, არამედ ბრმები ვიყავით და ახლაც ბრმები ვართ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ“ (სარამაგუ 2008: 334). ფრაზაში, მეტი ეფექტისთვის, რამდენჯერმე მეორდება სიტყვა – სიბრმავე, რაც ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ავტორი ჰყვება სულიერ სიცარიელესა და სიბრმავეზე, რომელიც განსხეულდება პანდემიური სიბრმავის სახით. პანდემიის მიზეზი აქაც მიზეზ-შედეგობრივია, მისი ფუნქცია კი ლაკამუსის ქალადის – გამხელის, გამჟღავნების, ხილულად წარმოდგენის კატეგორიაში მოიაზრება. ეს არის ნიშანი სამყაროსგან, რათა, რადგან ბრმები ვართ გაუცნობიერებლად, დავინახოთ და შევნიშნოთ ჩვენი სიბრმავე.

საგულისხმოა პანდემიით ნაკარნახევი დისტანციის რეგულაცია და მისი მხატვრული რეფლექსია. ადამიანები დისტანცირდე-

ბიან ერთმანეთისგან, დაავადებული ადამიანებისგან, საკუთარი ქალაქებისგან და სოფლებისგან. ადამიანები გაურბიან ერთმანეთს და პანდემიის ერთ-ერთი მთავარი სემიოტიკური ნიშანიც სწორედ ეს არის – გაუცხოება, თუნდაც, ხიდჩატეხილობაც. „ეგ არის, ხოლერა მოსულაო, გაისმა ხმა და დაიწყო ხალხმა ტყეში გახიზვნა. დიდი და პატარა თავგადაგლეჯილები გარბოდენ“ (ვაჟა-ფშაველა 2012); – წერს ვაჟა ფშაველა მოთხრობაში „ხოლერამ მიშველა“. მოთხრობელი მთავარი პერსონაჟი – ბერუაა, რომელიც მშვიდად უყურებს მიმდინარე მოვლენებს და, უბრალოდ, თანასოფლელებს მიჰყვება ისიც: „რაც ქვეყნის ნახირს, ის ბებრის ხბოსაო“. მთაში გახიზნულიც თავისი სოფოს გამო სწუხს და ცრემლსა ღვრის: „ხოლერა მოდიოდა და ღმერთს იმას ვეხვეწებოდი – მე მომკალი, სოფო კი გადაარჩინე, მაგის სიკვდილს ნუ გამაგონებ, ნუ მაჩვენებ-მეთქი. ოჰ, ღმერთს გეფიცებით, კაცებო, სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არ გაუჩენია“ (ვაჟა-ფშაველა 2012). მოცემულ მომენტშიც, სიყვარულის პრიორიტეტი იცავს ბერუას, იფიქროს და იდარდოს არა თავის თავზე, არამედ – თავის გულისსწორზე. შორიდან დანახული საკუთარი ქოხიც უფრო მოეწონა ბერუას – კაცის ბუნებაა, სადაც არის, იქაურობას ჯეროვნად ვერ აფასებს. დისტანცია, ხშირად, ყველაფერს ავლენს, ნათელს ხდის და არეგულირებს. „სხვისი თვალით დანახული“ მეტად ობიექტურია. ეპიდემიამ შორიდან დაანახვა ადამიანებს საკუთარი თავი; გარდაუვალი სიკვდილის წინაშე მდგომთ, მატერიალურ ფასეულობებზე განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მოუხსნა; ამაოების რაკურსიდან ყველა საგანმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიბრუნა; ფასეულობათა იერარქიაც დალაგდა და სიყვარულმა პირველი ადგილი დაიკავა: ღრმა ძილში წასულ ბერუას, სოფო წამოადგა თავზე და სიყვარულში გამოუტყდა; ჯვარი დავიწეროთ და სოფელში გავიპაროთო. ჩვეულებრივ ვითარებაში სოფო ვერ იქნებოდა ასეთი გამბედავი, თუმცა, პანდემიური ფორს-მაჟორი და სიკვდილის შიში, ბიძგს აძლევს, დატკბეს საყვარელ ადამიანთან ერთობით. „უმნოდ, ბერუავ, არც საიქიოს მიმიღებენ და სააქაოც დაკარგული მექნება: ისე როგორ უნდა დავიხოცნეთ, რომ შენ ჩემი არ გერქვას და მე – შენი“ (ვაჟა-ფშაველა 2012). მღვდელმა და დიაკვანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი უთხრეს ჯვრისწერაზე, მაგ-

რამ სიყვარულით ფრთაშესხმული წყვილისათვის ესეც არ იქცა დაბრკოლებად, და სასწრაფოდ სოფელს მიაშურეს.

სამკვიდრებელს ბერუა უბრუნდება, ახლადშერთული მეუღლით, და ეს ფაქტი ხდება პრეცედენტი შიშის გაქარწყლების, ადამიანებში დაბრუნებული სიმშვიდის; სიყვარულისა და სურვილის წინაშე სიკვდილის შიში დევაღვირებული და დამლეულია. „მე და სოფო დავსხდებით კერის პირას გვერდის-გვერდ და ვიცინით, როდესაც ჩვენს ოინს მოვიგონებთ, – ხოლერა რომ არ მოსულიყო, ხომ ჩვენ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გავბედავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ კი გაგვაბედინა. სოფლებების საარაკო სალაპარაკო დღეს მე და სოფო ვართ; დაავიწყდათ ხოლერა, დღეს ჩვენა ვართ ხოლერა“ (ფშაველა 2012). მსუბუქი იუმორითა და ხალისიანი თხრობით ვაჟა ფშაველა ფანტავს შიშსა და ძრწოლას პანდემიის წინაშე და შეგვახსენებს სახარებისეულ ჭეშმარიტებას, რამაც უნდა იხსნას კაცობრიობა: სიყვარულის წინაშე უძღურია ყველა ამქვეყნიური ბოროტება, მათ შორის – პანდემია. „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“ – ვკითხულობ ვაჟას მოთხრობაში – „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“, და ანალოგიური შეტყობინების მატარებელია „ხოლერამ გვიშველა“. ის სრულდება თემას, იდეასა და ტექსტთან სრულიად მისადაგებული ხალხური გამონათქვამით – „ზოგი ჭირი მარგებელიაო!“ და, მართლაც, ყველა ჭირში, პანდემიასა და უსაშველობაში შესაძლებელია რაღაც ჩვენთვის გამოსადეგი მოვიძიოთ. სამყარო ხომ მუდმივად ნიშნებით გვესაუბრება, რომელთა შემჩნევა და აღმოჩენაც ჩვენი პროგნოზიკაა. კოვიდპანდემიური საფრთხე და გამოწვევაც სიყვარულისა და განათლების ბერკეტებით უნდა გადავლახოთ. ტექსტით დადასტურებულია ადამიანების მთავარი საფრთხე – სიცოცხლეშივე სიკვდილი, რომელსაც პანდემიის, როგორც მწარე წამლის არსებობა არეგულირებს.

ლიტერატურაში ასახული პანდემია კაცობრიობის სულში ჩაბუდებული სნეულების ტექსტობრივი დეკლარირებაა.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

დამოწმებანი:

ბოკაჩო 1970: ბოკაჩო, ჯ. დეკამერონი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

ვაჟა-ფშაველა 2011: ვაჟა-ფშაველა. „ფიქრები (ხოლერის გამო)“. *ქართული მწერლობა – ლიბერალურ ფასეულობათა საგანძური*. Liberalis [ონ-ლაინ გვერდი] (განთავსებულია 12 აპრილიდან, 2011); მის: http://geo-demokratia.blogspot.com/2011/04/blog-post_12.html

ვაჟა-ფშაველა 2012: ვაჟა-ფშაველა. „ხოლერამ მიშველა (ბერუას ნაამბობი)“. *თხზულებათა სრული კრებული*. tagiweb [ონ-ლაინ გვერდი] (განთავსებულია 28 მარტიდან, 2012); მის: <https://tagiweb.wordpress.com/2012/03/28/kholeram-mishvela/>

ვაჟა-ფშაველა: ვაჟა-ფშაველა. *ლექსები, პოემები*. Poetry [ონ-ლაინ გვერდი] მის: <https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems>

სარამაგუ 2008: სარამაგუ ქ. *სიბრმავე*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2008.

შოპენჰაუერი 2009: შოპენჰაუერი ა. „ცხოვრებისეული ფასეულობების შესახებ“. *ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია I*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

Maia Jaliashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Malaria as an Existential Crisis

Summary

Demna Shengelaia's novel „Sanavardo“ presents malaria as the sick soul of the human being, the existential crisis. The metaphysical was gradually increasingly expelled from the ontological space of human existence. The novel shows doubts about the sacred, which leads to the doubling of a person, alienation, disbelief, fear of the future. The passages performed with the original technique of narration, poetic prose, modernist aesthe-

tics deeply depict the shattering of human illusions. The novel depicts how malaria spreads to the spiritual-material environment. Here are landscapes in „reverse“, that mirror the human spiritual world. The characters seek refuge from malaria in imagined dimension.

Key words: Demna Shengelaia, Modernism, Existential, Crisis.

მაია ჯალაიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მალარია, როგორც ეგზისტენციალური კრიზისი

მსოფლიოსა თუ ქართულ ლიტერატურაში არაერთი ნაწარმოებია, რომლებშიც პანდემია თუ სხვადასხვა დაავადება სიმბოლური მნიშვნელობებით წარმოჩნდება (მაგალითად, ალბერ კამიუს „შავი ჭირი“, ჟოზე სარამაგოს „სიბრმავე“ და სხვ.). ამგვარი რომანია დემნა შენგელაიას „სანავარდო“, რომელშიც ერთ ძლიერ ნაკადად შემოიჭრა მალარიის თემა, რომელმაც ადამიანის დასწეულეზული სული, ეგზისტენციალური კრიზისი წარმოაჩინა. სამყაროს ხრწნას, დაშლასა და დანგრევას განაპირობებდა მსოფლიოში ახალი ათეისტური იდეოლოგიების მომძლავრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ადამიანური ყოფის ონტოლოგიური სივრციდან თანდათან უფრო განიდევნებოდა მეტაფიზიკური. მალარიამ, საზოგადოდ, ჭაობის ავადმყოფობამ, ხატოვნად გამოხატა, როგორი ტრაგიკული იყო ყოფიერებიდან ირაციონალურის, მისტიკურის განდევნა. საინტერესოა მალარიის მხატვრულ-ესთეტიკური ტრანსფორმაციები ქართველ სიმბოლისტებთან, განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტიციან ტაბიძის ლექსები, რომლებშიც პოეტმა ამ სენს კონცეპტუალური მნიშვნელობა მიანიჭა: „ღვდელი და მალარია“, „ღვდელი და მალარია კუბოში“, „სატურნი და მალარია“ და სხვ. დემნა შენგელაიას რომანშიც მალარიასთან დაკავშირებული საინტერპრეტაციო სივრცე მრავალფეროვანია. რომანში ჩანს ეჭვი საკრალურის მიმართ, რაც იწვევს ადამიანის გაორებას, გაუცხო-

ებას, ურწმუნობას, სპლინს, მომავლის შიშს. რომან „სანავარდოში“ პერსონაჟები მალარიისგან თავდასახსნელად მიმართავენ ზღაპრის, ლეგენდის, მითის თავშესაფარს, ამგვარად, წარმოსახულ განზომილებაში ცდილობენ ცხოვრებას, რაც კრახით სრულდება. მწერალი ხატავს ცხოვრებას, როგორც „კოსმიურ წუმპეს“, რომელიც ამრავლებს ცოცხალი ორგანიზმის დამშლელ ბაცილებს, მალარიას. ამიტომაც რომანში წარმოჩნდება აპოკალიფსის წინათგრძნობა. ბონდო ჭილაძის ოჯახის გადაშენების სიმბოლური სურათით მწერალი გამოხატავს საქართველოს ტრაგედიას, თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაკარგვას. თხრობის ორიგინალური ტექნიკით, პოეტური პროზით, მოდერნისტული ესთეტიკით შესრულებული პასაჟები სიღრმისეულად წარმოაჩენენ ადამიანური ილუზიების მსხვერვეს. რომანში დახატულია მალარიით დასნეულებული სულიერ-მატერიალური გარემო. აქ არის „პეიზაჟები უკულმა“, რომლებიც ადამიანის სულიერი სამყაროს სარკისებური ანარეკლით წარმოაჩენს. ნიცშეანური წინათგრძნობა კატასტროფისა ავლენს მწერლის პესიმიზმს. მთავარი გმირისთვის აღარც წიგნები წარმოადგენს სიცოცხლის საიდუმლოს გასაღებს, რაც იწვევს იდენტობის საყრდენის გამოცლას. რომანში მწერალი ზმანებების, ჰალუცინაციების სახით ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურ ჭრილებში ხატავს კონკრეტული ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტებსაც.

ტიციან ტაბიძე ასე აფასებს მალარიას, რომელმაც მის ლექსებშიც შთამბეჭდავ მეტაფორულ ხატებად გაიელვა: „ახალი გაგება სამყაროსი. უკანასკნელი დაფარულია ბოროტ ყვავილებით. მეტაფიზიკური ტალახი. მიწა – გაჟღენთილი ჭაობის სუნით, სასაცილო ფიგურები, ქონდრისკაცები დადიან მასზე ჩვრებში გამოხვეულნი, ორბიტი მისი შემოვლებულია ლირწით და მიზანი რადიუსებად არის დაბნეული. ნივთი გახრწნილია. ხორცი მისი ლეშად დავარდნილი და სუნი შხამიან ყვავილებთან შეუღლებული. ცაზე მწვანე ვარსკვლავების ადგილზე ბაყაყებია წამომჯდარი, თაღი ობობას ქსელით დაფენილი. არის ერთი კოსმიური წუმპე, რომელიც ამრავლებს ორგანიზმის დამშლელ ბაცილებს – მალარიას. ეს არის შედეგი სამყაროსთან დადებითი ცოდნით მისვლისა“ (აფხაიძე 1986: 445).

„სანავარდოში“ წარმოჩენილია ჭილაძეთა მოდგმის გადაგვარება, სიმბოლურად, კაცობრიობის სულიერი კრიზისი. ოდესღაც მდიდარი და უდარდელი ყარამან ჭილაძის მემკვიდრენი: განათლებული, მაგრამ სულიერად დაუძლურებული ბონდო და გუჯუ ლაბახუა, ვნებააწყვეტილი გონებანაკლული, უკანონო შვილი – ვერ გააგრძელებენ ყარამანის სასიცოცხლო გზას. ქვეყანასა თუ, ზოგადად, სამყაროში მომხდარი ცვლილებები განაპირობებენ ამ ადამიანთა უპერსპექტივობას. რომანის გასააზრებლად მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნის პირველ ოცეულში მომხდარი პოლიტიკურ-კულტურული კატაკლიზმების გათვალისწინება, უპირველესად, რევოლუციური ქარიშხლისა, რომელმაც ნანგრევებში ძველი სამყაროს ღირებულებათა მთელი სისტემა მოიყოლა. სანავარდო მიკრომოდელია საქართველოსიც და კაცობრიობისაც. ის სოფელია, რომელიც წუთისოფლის მარადიულ კანონზომიერებებსა თუ მიმდინარე მოვლენებს შთამბეჭდავად ირეკლავს. მწერალმა სანავარდოში გაჩენილი მაღარიით, სიმბოლურად, ადამიანის დასწრეული სული წარმოაჩინა. ყოველივე განიცდიდა ხრწნას, იშლებოდა და ინგრეოდა.

თხრობაში მითოსური ნაკადების, ზღაპრების, ლეგენდების შემოტანით მწერალმა სათქმელი უფრო გააღრმავა და პრობლემათა მეტაფიზიკური არსი წარმოაჩინა. დემნა შენგელაიას რომანში ხდება, ერთი მხრივ, ჩაღრმავება „მსოფლიო სულისკენ“, მნემოსინისკენ (გოეთეს „თაურფენომენების“ ძიება). „ჭეშმარიტად მომგონებელია ნამდვილი ხელოვანი, – წერს გრიგოლ რობაქიძე, – რამდენად ძლიერია მისი ნიჭი მქნელობისა, იმდენად ფართო და ღრმაა მისი ხსოვნა, მისი მნემოსინა. ხელოვანი სცილდება შემოქმედების ჟამს ემპირიულ-პიროვნულ საზღვრებს და ფანტაზიის გაშლით ერთვის ნარნარ მათ მსოფლიო ქსოვილისას. იგი იხსენებს „წარსულს“ მთელი მისი განცდით იდუმალ ყოფისა, იგი იგონებს მის ცდას ამ განცდილის ყოფად-ქცევისა, და ახლა თვითონ ასხამს იმა ყოფილს ხელოვნურ სახეებად“. მეორე მხრივ, მწერალი „მიემართება“ ერის სულისაკენ (კარდუსთან ზიარება). „შემოქმედებით აქტში ხელოვანი სცილდება ემპირიულ საზღვრებს და შთაგონებით ფრთაასხმული თავს გადადის ყოფითს ავსილს ჭურჭელს ინდივიდუალობისას... მაგრამ ვიკითხოთ,

სად გადადის იგი ამ ჟამს? პასუხი ერთია: ერის სულში. ყოველი ხელოვანი ორგანიული ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი ინდივიდუალი სახეა ერის სულისა... თვითონ ერის სული კი ცოცხალია, მთლიანი არსია, რომელიც მთლიან სიცოცხლედ ფეთქავს ბუნების შეუცნობელ კუთხეში“ (რობაქიძე 1984: 313).

რომანში დახატულია მალარიით დასნეულებული სანახები. მწერალი, უპირველესად, სნეული ბონდო ჭილაძის დარღვეულ არსებას წარმოადგენს დალორწილ პეიზაჟებად. ამაოდ კითხულობს ბონდო ჭილაძე კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“. რაციონალური შემეცნება მისთვის აღარ არის ხსნის გზა, იგი დაბნეულია და კრიზისიდან გამოსავალს ვერ ხედავს. იგი ზმანებებში, ხილვებსა თუ ჰალუცინაციებში ინტუიციურად იგზნებს სინამდვილეს და მიხვდება ავადმყოფობის მიზეზს: „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით! ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიდენია! რისთვის უნდა ვზღო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც ოდესღაც ჩემს მამა-პაპას ჩაუდენია! მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გამაღლებულია! მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს“ (შენგელაია 1983: 98). ცოდვებით დამძიმებული სული კი ისევე ყარს, როგორც სახარებისეული განგოზილი საფლავები. ბონდო საკუთარ არსებაში თვითჩადრმავეების გზით წარმოაჩენს ადამიანის „ბნელ უფსკრულებს“. უჟმურით დალორწილი ბონდოს სისხლი თითქოს მთელ სანავარდოს „გადაესხმება“ და კერძო კაცი, სოფელი, ერთ განუყოფელ მთლიანობაში იხატება. ნიცშეს ზარატუსტრამ ზუსტად შეაფასა ადამიანის ამგვარი მდგომარეობა: „მიწას, – სთქვა მან, – გარსი აქვს და ამ გარსს სნეულებანი. ერთ ამ სნეულებათაგანს, მაგალითად, „ადამიანი“ ეწოდება“ (ნიცშე 1993: 90).

ბონდო გრძნობს ახალი ეპოქის, ახალი ჭინკების სასტიკ ძალას, რომელიც ასამარებს ძველ ყოფას: „ჩვენ უნდა წავიდეთ, მამაჩემო, ავიკრათ გუდა-ნაზადი და გავუდგეთ! ახლა ახალი ხალხი მოდის!“; “მოდის რკინის ქაჯი, მოდის და მოახრჭიალებს ფოლადს. ახალს სიმბოლურად რკინიგზა გამოხატავს რომანში: „ვერაფერი შეაჩერებს. ვერაფერი შეაკავებს.

დასწეწს ყველაფერს, გაანადგურებს“ (შენგელაია 1983: 107). ამიტომაც დამფრთხალი ყარამანი, როგორც სიმბოლო ძველისა.

იგი თავისი თვალთ უყურებს თავისსავე თავის დალუპვას. ნგრევა საოცარი სიმძაფრითაა დახატული. ლპობა შეჰპარვია არა მარტო სანავარდოს, არამედ თითქოს მთელ კოსმოსს: „შაბიამნისფერ ცაზე უზარმაზარი, მწიფე მუწუკივით გამოჩნდებოდა მთვარე, სხივებს ყვითელი ბალღამივით დაღვრიდა სანავარდოს მიდამოებში და კოდოების ზუზუნი წაიღებდა ყურთასმენას“, „გარეთ დახავსებული ღამე დამპალიყო და მთვარე კეთროვანის გაციებულ მუცელივით მოჩანდა ცაში“ (შენგელაია 1983: 113). უბედურებამ თვალეებში ჩახედა ყარამანს. ციებ-ცხელება ყვითელი ლორწოსავით იღვრება მიწაზე: „ნარიონალში, ჩაწოლილი ჭაობის ლორწით დახავსებული უჟმურთ-უჟმური მღვრიე თვალეების კუსვით აფრთხობს დალანდულ ღამეს“ (შენგელაია 1983: 89).

ფანტასმაგორიული სტილისტიკით არის დახატული აპოკალიფსური ხილვები „სანავარდოში“. სამყაროს დასასრულის წინასწარმეტყველება მუდამ ალაგზნებს ადამიანთა წარმოსახვას. კუნძულ პატმოსზე იოანე მახარებლის ნათელხილვით შექმნილი „გამოცხადება“ იდუმალი შიშით ადავსებს ქრისტიანულ სამყაროს. ოდითგანვე იქცა იგი წყაროდ შთაგონებისა. მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამის კომმარული ხილვები მარადის აწვალებს ადამიანთა გონებას. ამაოებაზე დაფიქრებული კაცის მზერა უნებურად სწვდება და ინთქმება სამყაროს დასასრულის ცეცხლითა და ნგრევით გაჯერებულ სურათებში. დემნა შენგელაიას „სანავარდოც“ (შეიძლება იგი კოსმოსში მობორილ პლანეტის – დედამიწის – სიმბოლოდაც წარმოვიდგინოთ) ძრწის მის წინაშე, რადგან ცოდვებით დამძიმებული სხეული წინასწარ გრძნობს საშინელი სამსჯავროს მკაცრ გარდაუვალობას.

ხაშმი და გვალვა, ბალღამი და ლორწო ხატოვნად ბონდო ჭილაძის არსებაში ფესვგადგმულ გადაგვარებისა და გადაშენების სენს წარმოაჩენენ. ბონდოს, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის ენერგია დაემრიტა. მითოლოგიურ-ზღაპრული პერსონაჟები, რომლებიც მას ცხადსა თუ სიზმარში ევლინებიან – ხათუნა, დოდო ბაყაყი, იშთარი, მზეთუნახავი – მისი სნეული გონების ჰალუცინაციებია, რომლებიც მას, კერძო კაცს, მითისა და ზღაპრის უჟამობაში გადაასახლებენ და სიცოცხლის პირველსაწყისებს მიაახლებენ, სამყაროს მარადიულ, უცვალეებელ კანონებს აზიარებენ, რომელ-

თავან ერთ-ერთი უპირველესია ნება სიცოცხლისა, სიყვარულზე დაფუძნებული.

გაუგუნურებული ადამიანი ზეცას სიყვარულით კი არა, რკინის ხელებით წაეპოტინა, თაღები აანგრია საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით და როცა ეგონა, რომ ახლოს იყო საიდუმლოსთან, ისევ სიცარიელეს შეეჯახა. მიხვდა გარჯის უნაყოფობას და „ჩამოვარდნის“ ელდამ და ტკივილმა „დაასახიჩრა“. ღმერთის სიკვდილის გამოცხადებით ნიცშემ დასავლური კულტურის კრიზისის სიღრმე წარმოაჩინა. სამყარომ თითქოს საყრდენი დაკარგა. ადამიანმა პირი იბრუნა ღვთიურისა და ზეგრძნობადისაგან. ღვთის კვალი გაქრა საგნებიდან. ადამიანი დაკნინდა და დაბეჩავდა, მალარიამეყრილივით აცახცახდა და ამაგმაგდა.

დოდო ბაყაყი უხსნის ბონდოს დაცემის „დიდ კანონს“: „რამდენი მაღლა ახტები, იმდენი უფრო მაგრად დაეცემი“. ნიცშე წერდა: „არა მწვერვალი, ფერდობია საშინელი! ფერდობი, სად თვალი ძირს დაექანება და ხელი მაღლით მწვერვალს ეჭიდება. მაშინ ბრუის გული თავისი მარჩბივი ნებითა. ჰე, მეგობრებო, ამოიცანით ჩემს გულშიც ნება მარჩბივი? ესე, ესეა ფერდობი ჩემი და ხიფათი ჩემი, რომ თვალი მაღლით ისწრაფვის და ჩემს ხელს ჰსურს მოეკიდოს და დაეყრდნოს სიღრმეს“ (ნიცშე 1993: 81). მალარიის გამოვლინებად შეიძლება გავიაზროთ ნიცშეს მიერ სენად სახელდებული „ცეცხლის ძალი“, რომელიც სიმბოლოა სოციალური გადატრიალებებისა, ნგრევისა. რევოლუცია, „ცეცხლის ძალი“ მხოლოდ ყვირის თავისუფლებაზე, მაგრამ სინამდვილეში მას აუქმებს. ის გაჰყვირის, ანგრევს და ამით სურს „დიდი მოვლენად“ მოგვაჩვენოს თავი. მარჩბივი ფიქრი თუ გული ყველაზე დიდი საცდურია ადამიანისათვის. სატანასა და ანგელოზს შორის ჭიდილში იბადება ჭეშმარიტი ადამიანობა. ბონდომ „შემოღუშვა“ მალარია თავის არსებაში ქვეცნობიერი ნებით. ეს ნება კი განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მისი, არამედ წინაპარი თაობებით.

რომანში სანავარდო იხატება, როგორც დიდი „ფერდობი“ საქართველოსი. შორს არიან თამარი და რუსთაველი. ძლივსდა ბჟუტავს იმედი: „არ გადავშენდებით“. ახლოა ყოვლის მპყრობელი უჩა-ლართამი, დიდი გველი, „მაგნე სულების მარულაა გაჭენებული“ (შენგელაია 1983: 78). ფოლკლორული არქექტიპების მოხმო-

ბით მწერალი ერთსა და იმავე მოვლენის სხვადასხვა სიბრტყეს წარმოაჩენს, განვენილს როგორც ხილულ, ასევე უხილავ სივრცეში, ადამიანის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ განზომილებაში.

მალარიამ ბონდოს არსებაში გამოავლინა XX საუკუნის კრიზისული ადამიანის ბუნება. ეს არის, უპირველესად, საკუთარ თავთან გაუცხოება, სულიერი და ფიზიკური იმპოტენცია, დაღლილობა, წინააღმდეგობის გადალახვის უუნარობა. პოლ ვალერი ესეში „სულის კრიზისი“ შენიშნავდა იმ უჩვეულო „ჟრუანტელის“ მოგვრის შესახებ, რომელმაც დაუარა „ევროპის ტვინს“, რომ თანამედროვე ჰამლეტი, წინაპრისაგან განსხვავებით, იყო ინტელექტუალი და კაცთა ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე კი არა, ჭეშმარიტებათა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე ფიქრობდა: „მალე ბურუსი გაიფანტება და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვიხილავთ გაცხადებულ სასწაულს, ცხოველურ საზოგადოებას, სრულყოფილსა და თავის თავში დასრულებულ ჭიანჭველეთს“ (ვალერი 1983: 35). სწორედ ამგვარი „ჭიანჭველეთი“ წარმოგვიდგება „სანავარდოში“. გაბერწებულ სოფელში მხოლოდ სიკვდილი და შიში იბადება: „ციებით დაღორწილი, სტალაგმიტებივით ამართული ბნელი კიპარისები და ქოქოსები ირწევიან ტყირპიან ღამეში. ლელიანში ბუნაგად მიგდებულ ბეჭემოთს დაესია კოლოები, შხამავენ და ბღავის გამწარებული. ყვითელი სატურნი არწყევს სამსალას და ღპება ყველაფერი. კირჩხიბი დაესო ღამეს, ლომქრავს მას და სისხლით სივდება“ (შენგელაია 1983: 155).

ჩნდება შორეული ასოციაცია თომას სტერნზ ელიოტის „უნაყოფო მიწისა“ (1922 წ.), რომელშიც მწერალმა თანადროული ევროპის დაცემის კალიდოსკოპური სურათები დახატა. პოემაში წარმოჩენილია გადახრუკული და უნაყოფო მიწა, რომელსაც ნაყოფიერების საწინდარი, სულიერი საწყისი, დაუკარგავს. მწერლის აზრით კი, სულიერ უდაბნოში ფიზიკური არსებობა გაჭიანურებულ კვდომას ემსგავსება. „სანავარდოში“ დახატული გვალვის სიმბოლური სურათები გრიგოლ რომაქიძის „ლონდასაც“ წამოატივტივებს. გვალვით გახელებული ხალხის განცდები მისტიკური ელფერი-თაა შემოსილი. მკითხველს ატყვევებს მზით „გახელებული სიტყვების“ გამომსახველობა. „სანავარდოშიც“ არაჩვეულებრივი ძალით იმსჭვალებიან სიტყვები, თითქოს მათი საშუალებით წარ-

მოსახულ სახეებს კი არა, თვითონ ამ სიტყვებს ასდით შმორისა და სიდამპლის სუნი, ნესტი მოჟონავს სტრიქონებიდან, ყვითელი ბალდამი სტრიქონთა შორის ჩრდილებივითაა ჩაწოლილი.

დემნა შენგელაია გრძნობს, რომ კაცობრიობამ დაკარგა სიყვარული (სანავარდო უნაყოფო გახდა). სიყვარულს გამოხატავს იმთარის მითოსური სახე, რომლის ერთ-ერთი სახესხვაობაც არის ხათუნა. მწერალი თხრობაში ჩართავს იმთარისა და თამუზის სიყვარულის ამბავს. მავნეებისაგან შეჭირვებული, სილამაზისა და სამკაულებისაგან განძარცული, დაავადებული იმთარი მაინც დაეძებს თამუზს და როცა მავნენი მოსთხოვენ სიყვარულის უარყოფას, უარს ეტყვის. თამუზი სიბრძნის ღმერთმა ეამ გადაკარგა მდინარე ხუბურს მიღმა უფსკრულში. სიმბოლოურად ეს ნიშნავს სამყაროდან გონების მიერ გრძნობის, ვნების განდევნას. მატერიალურ-ტექნიკურმა მიღწევებმა, ცივილიზაციის პროგრესმა გააღარიბა ადამიანის სულიერება. ცხოვრებიდან გაქრა ვნება, ამიტომაც გონიერი, განათლებული ბონდო ჭილაძე უნაყოფოა, უვნებო. მისი ნახევარძმა, თითქმის ველური, განუვითარებელი გუჯუ ლაბახუა კი ვნებით სავსეა. აკაკი ბაქრაძემ გუჯუ ლაბახუას სახე ფალოსის კულტს დაუკავშირა (ბაქრაძე 2000: 146).

მწერალი რომანში ბონდო ჭილაძისა და სანავარდოს უნაყოფობას ერთმანეთთან აკავშირებს. სანავარდო ცივილიზებული კაცობრიობის სიმბოლოდაც გაიხზრება. სიყვარულს დევნის „მანქანის“ ხანა, „მატარებელი“ კლავს ვნებას. „სანავარდოში“ იხატება მომავალი რევოლუცია, რომელიც მოდის, როგორც „მუცელგახეთქილი უჟმურთა უჟმური“ და ყველაფერს შხამითა და საწამლავით ავსებს. „დედაკაცები წივიან, იფოფრებიან, დარბიან თავგზააბნეულნი, ჭიშკარში ვერ ეტევიან და არის ჟრიამული, წყევლა-კრულვა, მოთქმა და ვიში. ღობე ილეწება. სადღაც თოფი გავარდა. იელვა ხანჯალმა. დამფრთხალი ცხენები ახვიხვინდნენ. მოღრუბლული ცა გასკდა უზარმაზარი ხარის ფაშვივით და დაუშვა კოკისპირული. წამოვიდა თქეში და ნიაღვარი“ (შენგელაია 1983: 134). ბონდოს თანაბრად ტანჯავს და აწვალებს ეპილეფსია და სიმარტოვე. თაობათა ჯაჭვში სწორედ იგი გამოირჩა, ვისაც ცოდვები უნდა მოჰკითხებოდა. წინაპრის ლანდი მას ბედისწერის შავ ჩრდილად ეფინება გზაზე, სულ ერთია, სად იქნება, გაყინული პეტერბურგის

სარკვეებიან დარბაზში, მადამ ტრუბანოვას მკლავებში, სკაპცების „კვარცხლობეზე“ თუ „ვნებაყეფილი“ გუჯუ ლაბახუას გვერდით.

ბონდოს სული, რომელსაც ახსოვს საუკუნეთა სიღრმეებში ჩამარხული ბნელი ამბები, დალატი, სიძულვილი, მრუმობა და სხვა უზნეობანი, მწარე და ტკივილიანი თავგამეტებით ცდილობს ზედაპირზე ამოსვლას, გამოვლენას. ქვეცნობიერში ჩამარხული თაობების ნაღვაწით მოქსოვილი საიდუმლო შხამიანი ობობას ქსელში ხლართავს ბონდოს არსებას. გაწვალებული ბონდოს მხერაში ირეკლება მისი უილაჯო გენი, როგორც დამახინჯებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. მადლისაგან დაცლილ გარემოში მხოლოდ სიავე და ბოროტება ისხამს ნაყოფს. „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მისნის მოთქმა ისევ ჩაგვესმება: „მოსავალი მოვიმკეთ: ხოლო რად დალპა და ჩაშავდა ყოველი ნაყოფი? რა ჩამოვარდა ბოროტი მთვარიდან უკანასკნელ ღამეს? ამო იყო ყოველი ღვაწლი. ჩვენი ღვინო შხამად იქმნა, ცუდმა თვალმა ყვითლად გაახმო ჩვენი მინდვრები და გულნი. დავშრით ყველა, და თუ ცეცხლი დაგვეცა, განვიბნევით, ვით ნაცარი, ჩვენ თვით ცეცხლიც დავდალეთ. ყველა წყარო დაშრა ჩვენთვის, ზღვამაც უკან დაიხია. ნიადაგი მზად არის რღვევად, ხოლო წიაღს არა ჰსურს ჩაგველაპოს!“ (ნიცშე 1993: 65). უცნაური ცეცხლით აგზნებული თვალეებით შემზარავად მოთქვამს ფეფელო ქადაგი „სანავარდოში“: „ხალხნო! რა გეშველებათ, თქვე უბედურისშვილებო, რა გეშველებათ! წუხელ ღვთისმშობელი გამომეცხადა და მამხილა, რომ დედამიწა მაკეა უჟმურთა უჟმურით! დედამიწა დედა კი არ არის ჩვენი, ცოფიანი დედალი მგელია, თავისივე ლეკვებს თვითონვე რომ ჭამს!... ვაი, თქვენ, ხალხნო!.. სანავარდო დაბერწდა“ (შენგელაია 1983: 123). ამ სტრიქონებში გაცხადებულია შიში დედამიწის გაქრობის, სიცოცხლის გადაგვარებისა, რაც ცალკეულ ადამიანთა თუ, საზოგადოდ, ერის დასწეულებითაა განპირობებული. ჯოისმაც ასეთი თამამი სისასტიკითა და გულგრილობით წარმოათქმევინა თავის გმირს: „მერედა, იცი, რა არის ეგ შენი ირლანდია? ირლანდიაა ბებერი დედალორი, თავისსავე გოჭებს რომ თქვლევს“. ჯოისის ირლანდია, სანავარდო თუ დედამიწა ერთი და იმავე სიმბოლოს ვარიაციებია. გადაგვარებული ზნეობა ადამიანს თვითონვე აკვლევინებს თავის მომავალს. დემნა შენგელაიას „მის-

ნური მზერა“ გრძნობდა და ხედავდა მოახლოებული სისხლიანი დღეების სურათებს. „სანავარდოში“ დახატული აპოკალიფსური სურათები წინათგრძნობაა „ცეცხლიანი ძაღლისა“ – ნგრევისა და უბედურებისა, წითელი ხელისუფლებისა, „მუნიანი ჭინკების“ ამალით რომ შემოესია საქართველოს და „ამირანი შებორკა“. მალარიის სენი თავისუფლების წყურვილის ამომირკვასაც გულსხმობს ადამიანის სულიდან. ამიტომაცაა, რომ გახრწნის პროცესი ასეთი სიმძაფრითაა წარმოჩენილი „სანავარდოში“. მალარია რომანში ფანტასმაგორიულ სურათებად გადაიშალა. ტიციან ტაბიძე წერდა: „ბოდლერმა პირველმა დახრწნა სამყარო... პირველად პოეზიას ბოდლერიდან აუვიდა გახრწნის სუნი, ამის შემდეგ დაშლა არ შეჩერებულა“ (ტაბიძე 1986: 186).

„სანავარდო“ მკითხველში იწვევს კომმარულ ხილვებს და სულს შემზარავი მომავლის შიშით აცახცახებს. ეს ყოველივე კი ესთეტიკისა და ხელოვანის კალმითაა შესრულებული. ბოდლერი წერდა: „ხელოვნებას აქვს არაჩვეულებრივი პრივილეგია, რისი წყალობითაც, საშინელი – ხელოვნების დონეზე გამოხატული, სილამაზედ იქცევა, ხოლო ტკივილი, რიტმითა და კადენციით გამოხატული, სულს მშვიდი სიხარულით ავსებს“ (ბოდლერი 1996: 45). ასე შემოიჭრება მკითხველის წარმოსახვაში „მწიფე ბროწეულივით გადაფატრული მზე“ და მის მიერ დაფრქვეულ სისხლისფერ ლალებში გადაიისფერდება სამყარო: „უეცრად მოსკდება ღვარი იისფერი გველებისა. ივსება ყველაფერი. ოქროს ქედები ვერ უძლებენ მათ სიმძიმეს და იხნიქებიან შტოებით. იისფერ გველთა მტევნებით დაიყუნწება ჭიმჭიმელი და ამართული იისფერი კაბით შემოსილი უნასი მობრძანდება დინჯი რონინით“ (შენგელაია 1983: 87).

დემნა შენგელაია განიცდიდა „ბნედიანივით დაკრუნჩხული“ დედამიწის ტკივილებს და მხატვრულ სახეებში გარდასახავდა თავის განცდებს. მალარია კი „სანავარდოში“ წარმოჩნდა, როგორც სენი, რომელიც სიყვარულსა და რწმენას უნდა დაეძლია. რომანში კომმარული სურათები ფერწერულ-მუსიკალურია. შენგელაიამ შეძლო მალარიის ესთეტიზება, რადგან სჯეროდა, რომ ხელოვნებას უნდა გაეკეთილშობილებინა ყოველგვარი სიმახინჯე. როგორც ელიოტმა „უნაყოფო მიწაში“, მწერალმა „სანავარდოში“

წარმოაჩინა ბერწი მიწა, რომელსაც ნაყოფიერების საწინდარი, ღვთაებრივი საწყისი, დაუკარგავს. ამგვარად, სიმბოლურად, თანადროული ევროპის სულიერი კრიზისის სურათიც დახატა.

დამოწმებანი

აფხაიძე 1986: აფხაიძე შ. „დიალოგი“. ტიციან ტაბიძე. *ქართული ლიტერატურული ესე*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ბაქრაძე 2000: ბაქრაძე ა. *მითოლოგიური ენგადი*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2000.

ბოდღერი 1996: ბოდღერი შ. *რომანტიკული ხელოვნება*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.

ვალერი 1983: ვალერი პ. *რჩეული პროზა*. თბილისი“ გამომცემლობა „ნაკადული“, 1983.

ნიცშე 1993: ნიცშე ფრ. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი: ფილოსოფიური ბიბლიოთეკა. 1993.

რობაქიძე 1984: რობაქიძე გრ. „ერის სული და შემოქმედება“. *შერისხულნი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „გეა“, 1984.

შენგელაია 1983: შენგელაია დ. „სანავარდო“, „ბათა ქექია“. *რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

Nona Kupreishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Jose Saramago's „Blindness“ as a Prediction of Future

Summary

Jose Saramago's “Blindness” as a prediction of future

1. Jose Saramago is the first Portuguese Nobel prize winner. Literary criticism widely commented to above mentioned fact under that the writer was also mentioned as a great sailor Magellan, who was named as “Magellan of world literature”. Novel “Blindness” was published in 1995 .

2. This blindness being not only physical but spiritual one, enables writer to unequivocally generalize that “world is full of alive blind people”. We read one important message: “let’s us not to be alike people with a good eyesight, who do not see anything!”.

Key words: commented, spiritual, message.

ნონა კუბრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟოზე სარამაგუს „სიბრმავე“, როგორც მომავლის წინასწარმეტყველება

ჟოზე სარამაგუ პირველი პორტუგალიელი ნობელიანტი მწერალია (ეს ჯილდო მან 1998 წელს რომან „იესოს სახარებისთვის“ მიიღო). აღნიშნულ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა ლიტერატურული კრიტიკა, რომელმაც სარამაგუ დიდი მეზღვაურების გვერდით დააყენა და მას „მსოფლიო ლიტერატურის მაგელანი“ უწოდა. რომანი „სიბრმავე“ 1995 წელს გამოქვეყნდა და არც ისე ახალგაზრდა ავტორს, რომელმაც რეზონანსულად წერა მხოლოდ 58 წლის ასაკში დაიწყო, ასევე სერიოზული წარმატება მოუტანა. (მოგვიანებით, 2004 წელს, დაიწერა რომანი „თვალის ახელა“, რომელიც „სიბრმავის“ ერთგვარი გაგრძელებაა და სამყაროს მოდელს განსხვავებული ექსტრემალური სიტუაციის ჭრილში წარმოგვიდგენს).

„სიბრმავის“ შინაარსი, მართლაც, ფსიქოლოგიური ტრავმის ზღვარზეა. ესაა შოკისმომგვრელი ისტორია მოულოდნელად და სრულიად უმიზეზოდ დაბრმავებული უცნობი ქალაქის მოსახლეობის შესახებ, რომელიც მათი ადამიანობის სერიოზულ გამოცდად იქცევა. „ეს არ იყო არც აგნოზია, არც ამავროზი, რადგან პაციენტი ხედავდა არა უკუნ სიბნელეს, არამედ ერთფეროვან სქელ თეთრ მასას, თითქოს რძის ზღვაში თვალგახელილმა ჩაყვინთა“ – ასე აღწერს სარამაგუ „თეთრ ეპიდემიად“ წოდებულ სენს,

რომლის ხანმოკლე ბატონობაში ზებუნებრივი ძალის ირონია იგრძნობა.

გასათვალისწინებელია სარამაგუს შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომ იგი თავის რომანებში თამაშობს სამყაროს შექმნას თუ გარდაქმნას. მართლაც, რეალობა მისთვის ის კონსტრუქციაა, საიდანაც იგი იღებს, უფრო „გამოადრობს“ რომელიმე მნიშვნელოვან დეტალს (მაგ. მხედველობას, სიკვდილს) ან ამსხვრევს მის რომელიმე მუხლს (მაგ. როგორც ეს ხდება „ქვის ტივში“) ან სულაც ხელახლა იწყებს სახარების გადაწერას („იესოს სახარება“). რომანში „სიბრმავე“ სწორედ ამგვარ ქმედებასთან გვაქვს საქმე. რეალობიდან ამოღებულია მხედველობა. „ეპიდემია წააგავს ცისკენ ატყორცნილ ისარს, რომელიც უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, ზენიტში დაეკიდება და დაბლა დაეშვება“ – ვკითხულობთ ტექსტში. მართლაც, გარემო მოიცვა ეპიდემიამ, ადამიანები ყოველგვარი მიზეზის გარეშე ბრმავდებიან. შეშინებული ხელისუფლება კი ცდილობს გამოკეტოს ისინი ე.წ. „საკვარანტინო ზონებში“. ერთი შეხედვით, ჩვენ წინაშე თითქოს მორიგი ფანტასტიკური სიუჟეტია, თუმცა სარამაგუ მას მრავალშრიან უმნიშვნელოვანეს იგავად აქცევს. სრულ იზოლაციაში მოქცეული ბრმები საზოგადოების განვითარების მთელ გზას გადიან. მწერალი, ფაქტობრივად აუქმებს ყველა სოციალურ ინსტიტუტს, აქტორები იხსნიან ნიღბებს (საზოგადოებაში, სადაც სახეს ვერ ხედავ, ფარისევლობა ისედაც აზრს კარგავს) და ადვილად უბრუნდებიან პირველყოფილებას, ველურობას. „პირველყოფილთა ურდოდ ვიქეცით, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ველური ბუნების უკიდურესად ველურზე მოთარეშე ათობით ათასი ქალი და მამაკაცი კი არა, მილიარდები ვართ ამ გამოფიტულ და გავერანებულ სამყაროში“. აქ არაფერია საკუთარი თავის შებრალებისა და სხვებისადმი ზიზღის გარდა. თუმცა საბოლოოდ, გადასარჩენად ბრმები მაინც იძულებულნი არიან თავიანთი პრინციპების რეფორმულირებით, აზრს მოკლებული მთავარი სიტყვების ხელახლა გააზრებით დაიბრუნონ თავისუფლება.

შეიძლება ითქვას, რომ „სიბრმავის“ ავტორი ქმნის პოსტაპოკალიფსურ ტექსტს. ამკარაა, იგი თანამედროვე საზოგადოების შესახებ მაღალი აზრის არ არის. ამიტომაც „სიბრმავის“ სახით,

წარმოდგენილია სოციალური ანტიუტოპიური რომანიც, რომელშიც არაერთ სხვა მნიშვნელოვან პრობლემასთან ერთად მომხმარებლური საზოგადოების სიმყიფე და ეფემერულობა ჩანს. შემზარავი, თითქმის ნატურალისტური დეტალიზაციის კვალდაკვალ, რომელიც მოვლენათა ერთგვარ ქრონოლოგიურ რიგს მიჰყვება, „სიბრმავეში“ მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება და ჩვენ წინაშე ფილოსოფიური რომანის, რომან-იგავის სილუეტები იკვეთება. იესოს სიტყვები: „ბრმები ხართ და ბრმათა წინამძღოლნი,... უყურებენ, მაგრამ ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ იგებენ“... – მწერლის მხატვრული ამოცანის გასაღებია. ესაა სწორედ ადამიანური ცხოვრების მუდმივი მოუწყობლობის, სამყაროს ერთ წრეზე ტრიალის, მთავარისა და მეორეხარისხოვანის მუდმივი აღრევის მიზეზი. სიბრმავეს პარაბოლა, რომელიც რომანში თანდათან სულ უფრო ღრმა აზრს იძენს, იმთავითვეა გახსნილი და ბრმების შესახებ ბიბლიურ იგავთან ერთად პიტერ ბრეიგელი – უფროსის ცნობილ ტილოს „ბრმებსაც“ (1568 წ.) უკავშირდება: „უსინათლოთა ოჯახები გახდებიან იმ ცნობილი სურათის ცოცხალი რეპროდუქცია, რომლებზეც ბრმები ერთად მიდიან, ერთად იჩეხებიან და ერთად იხოცებიან“ – მიგვანიშნებს ავტორი.

ეს სიბნელე, რომელიც არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერიცაა, ცხადია, არაორაზროვანი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა – „სამყარო სავსეა ცოცხალი უსინათლოებით“ – და ესაა ჩვენი უმთავრესი ნაკლოვანების აღიარება. ბრმებიც იმიტომ ვართ, რომ მკვდრები ვართ ან ... მკვდრები იმიტომ ვართ, რომ ბრმები ვართ“ – აცხადებს შავსათვლიანი ქალიშვილი საავადმყოფოში კარანტინის დროს მიღებული სასტიკი გამოცდილების შემდეგ. მას სიბრმავემ ერთობ პიკანტურ პოზაში მოუსწრო, სასტუმროში მორიგ კლიენტთან ყოფნის დროს. გამოდის, რომ მართებულია დასკვნა, რომელსაც კიდევ ერთი პერსონაჟი გვთავაზობს: „უცილებელია დაბრმავდე, რათა შეძლო საგნებისა და მოვლენების არსში ჩახედვა“,... „მხოლოდ უსინათლოთა სამყაროშია შესაძლებელი ყველაფერი ისე წარმოჩინდეს, როგორც ეს სინამდვილეშია“.

რომანის მთავარი მეტაფორა, ცხადია, სიბრმავეა. იმის კვალდაკვალ, თუ როგორ მქდავანდება ავტორის მსოფლალქმა და ცხოვრების ფილოსოფია, სიბრმავეც განზოგადდება და ალევორიულ

ხასიათს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური ხაზი ადამიანად დარჩენისა და პიროვნული „გაარარავების“ მიჯნაზე გადის, სარამაგუ ახერხებს მკითხველის ინტერესის ბალანსირებას და გარკვეული კონდიციამდე მისი მიყვანის შემდეგ მოულოდნელი ფინალის შეთავაზებას.

გავიხსენოთ, სამყაროს მიმართ რომანში არაერთხელ გამოყენებული ისეთი ეპითეტები, როგორიცაა „გამოფიტული“, „გავერანებული“, „ბრმა“. და მაინც, ავტორის ნებით, გვირავის ბოლოს სინათლის სხივი ჩნდება. ესაა რომანის პირველი სტრიქონებიდან მკითხველის თვალთახედვის არეში მოხვედრილი პერსონაჟი, თვალის ექიმის ცოლი, რომლის სახით თავდაპირველად სუსტი, შემდეგ კი ექსტრემალურ სიტუაციასთან გამკლავების სურვილით სულ უფრო მოტივირებული პიროვნება იჭრება. ეს იმედის სიმბოლურ-ალეგორიული სახეა, რომელიც რომანის მკითხველისთვის თითქმის ერთადერთ ზნეობრივ საყრდენად და მეტ-ნაკლებად ბედნიერი ფინალის წინაპირობად იქცევა. ბრმებს შორის შეხიზნულმა თვალებილულმა ახალგაზრდა ქალმა, თვალის ექიმის ცოლმა, რომელმაც სიბრმავე დაიბრალა, რათა ქმარი განსაცდელში არ მიეტოვებინა და ამასობაში გარშემოცოფთა დეგრადაციის, დაცემის სულის შემძვრელი სურათი იხილა, მაინც შეძლო ადამიანური სახის შენარჩუნება (დამოკიდებულება ქმართან, ელამ ბიჭუნასთან, მერყევი მორალის მქონე შავსათვალთან ქალიშვილთან, მოძალადეებთან, რომელთაგან ერთ-ერთს იგი სათანადოდ უმკლავდება, ბრმების გადარჩენილი ჯგუფის საკუთარ ბინაში შეხიზუნა, ამავე ჯგუფის სამ წევრთან, მისი თანატოლ ქალებთან აივანზე ბანაობის ეპიზოდში სიცოცხლის სიხარულის სრულად გაზიარება და სხვ.). ცხადია, ის არა წმინდანი, არამედ ერთგვარი „super ego“-ა, ანუ ის, ვისაც შეუძლია ნებაყოფლობით შესწიროს თავისი პიროვნული ინტერესები სხვის გადარჩენას. ბუნებრივია, ამიტომაც მწერლისთვის გამორჩეულ პერსონაჟად იქცევა, რაც მასთან დაკავშირებულ ერთ ასოციაციურად წარმოქმნილ სახე-სიმბოლოშიც იგრძნობა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ადამიანს ცეცხლმოკიდებული საავადმყოფოსა და იქ შექმნილი ქაოსიდან გამოიყვანს, მშვიდობიანად გამოატარებს დემორალიზებული და ჯოჯოხეთად ქცეული ქალაქის ქუჩებში

და საკუთარ სახლში დააბინავენ, ექიმის ცოლი ნამდვილი პრო-
ვაიდერივით დიდი საფრთხეების გადალახვის შემდეგ სურსა-
თით დატვირთული ბრუნდება. მას ტანსაცმელი შემოხვეია და
ცალი მკერდი მოშიშვლებული აქვს. სწორედ აქ ჩნდება ერთგვარი
ალუზია თავისუფლების სიმბოლოდ ქვეული ქალის სახესთან
დელაკრუას ცნობილი ტილოდან „თავისუფლება ბარიკადებზე“.
თუმცა რომანში აღწერილი სიტუაცია თავისი სიმძიმით, მწერლის
აზრით, დელაკრუას მხატვრულ ჩანაფიქრთან სრულ იდენტო-
ბამდე, ცხადია, ვერ აღის, არამედ შესაძლოა მისი ირონიული
გააზრებაც კი იყოს: „ქუჩაში რომ გააღწია, კოკისპირულად წვიმ-
და... ძლივს სუნთქავდა, მუხლები ეკვებოდა. სანამ სუპერმარ-
კეტი გამოიარა, ტანსაცმლის ნარჩენებიც შემოემარცვა, ძლივს რომ
უფარავდა სხეულს წელს ზემოთ, და ახლა მკერდმოშიშვლებუ-
ლი მოდიოდა, მკერდი ციური ნამივით უბრწყინავდა. ჰო, ჰო,
ეს სიტყვა აქ სწორედაც რომ მართებულია, თუმცა ბარიკადებზე
აღმართულ ფიგურასთან ანალოგია მთლად ზუსტი არ იქნება,
რადგან მძიმე, საჭმლით სავსე პარკები, მადლობა ღმერთს, არ
ამღევდა საშუალებას ხელები ზევით აღმართა, თითქოს დრო-
შა უჭირავსო... გამაბრუებელ სურნელს ძაღლებიც გრძნობდნენ...
ასე რომ, ექიმის ცოლს უკვე უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების
მთელი ხროვა მისდევდა...“. ეს უკვე სხვა განზომილებაა, სხვა დრო
და ხედვაა, სადაც თავისუფლებისთვის ბრძოლის პათოსმა დიდი
სახეცვლილება განიცადა. ამიტომაც ათქმევინებს ექიმის ცოლს
მწერალი: „დედოფალი კი არ ვარ, მხოლოდ ის ვარ, ვინც იმისთვის
გაჩნდა, რომ ენახა ყოფიერების მთელი საშინელება“. საგულის-
ხმოა ისიც, რომ ესოდენ სერიოზული მხატვრული ამოცანისა და
რომანში დასმული საყოველთაო პრობლემის გადასაწყვეტად მწე-
რალი გზადაგზა რამდენიმე პერსონაჟს გამოკვეთს, თუმცა ყვე-
ლა მათგანი ნომინალურობის ფარგლებში რჩება, რადგან არც ერთ
სახელიც კი არა აქვს.

სავსებით ლოგიკურია, რომ სწორედ ექიმის ცოლს დაეკისრა
მკითხველისთვის ორი მნიშვნელოვანი გზავნილის გახმოვანება:
„არ დაუშვათ, რომ საკუთარი თავი დაკარგოთ!“ და „ნუ ვიქნებით
თვალხილულები, რომლებიც ვერაფერს ხედავენ!“, რაც რომანის
მთავარი სათქმელიცაა. თუმცა სარამაგუ იმედიანობას საფუძველს

იქვე აცლის და ამას კვლავ ექიმის ცოლის საშუალებით აკეთებს: „ვისაც ჯერ კიდევ სული უდგას, უნდა გაცოცხლდეს საკუთარ თავში, თუმცა ამას არავინ აკეთებს“. ასეთ ვითარებაში რას უნდა მოეჭიდოს ხელოვანი, რით უნდა ამოავსოს სულიერი სიცარიელე, რით უნდა ებრძოდეს საკუთარ სიზანტესა და ზერელობას. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ პათოსს ანელებს კიდევ ერთი დაბრმავებული პერსონაჟის, სხვის ბინაში შეჭრილი, პროფესიით მწერლის სახე, რომელიც შესაძლოა თავად სარამაგუს „ალტერ ეგოდაც“ კი მივიჩნიოთ: „გრძნობები გვაქვს იმაზე ნაკლები, ვიდრე საჭიროა. და რაც გვაქვს, იმის გამოძხატველ სიტყვებსაც ვერ ვპოულობთ. ამიტომაც ვკარგავთ მათ“.

და სად არის ამ დროს ღმერთი? ნუთუ იგი ვერ ხედავს ამ ამოყირავებულ რეალობას, ცხოვრების შემზარავ ტრაგიზმს, უკიდურესობათა ბოროტ ზეიმს, როგორც ასეთ დროს იტყვიან, „ბოლო ჟამის მოახლოებას“? სარამაგუ პასუხს ამ კითხვაზეც იძლევა, მხოლოდ არა პირდაპირ, არამედ მინიშნებით. გავიხსენოთ ეკლესიის ეპიზოდი, რომელშიც მკითხველის ყურადღებას წმინდანთა თვალახვეული ხატები იპყრობენ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის გულგრილობის ილუსტრაცია. მწერალს არა აქვს ცალსახა პასუხები, რადგან ღმერთისადმი მინდობლობაც და უღმერთობაც ჩვენ თვალწინ, ახლა და აქ, დიდ გამოცდას გადის. და საერთოდ, რწმენისა და მინდობის საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს: „როგორც მოგეხსენებათ, ყველა ბერი როდია, ვისაც ანაფორა აცვია“. სარამაგუს მკითხველები ხშირად მიუთითებენ მწერლის სტილის სირთულეზე. მათი აზრით, ვრცელი წინადადებები, რომლებშიც გაერთიანებულია თხრობა და დიალოგები, სასვენი ნიშნების უქონლობა ქმნის გარკვეულ ბარიერს, რომლის გადალახვა ყველას როდი შეუძლია. მართლაც, სარამაგუს ტექსტები ადვილად დასაძლევია არ არის, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი მკითხველს კი არ ართობს, არამედ იხმობს თანამოაზრეობისა და თანაშემოქმედებისკენ. მისი თხრობის დინამიკაში კი ისე იძირები, რომ სტილური თავისებურებანი გზადაგზა შეუმჩნეველი ხდება. კითხვისას ერთგვარი მსგავსება ჩნდება ფოლკნერის წერის მანერასა და ინტონაციასთან, თემატურად კი – ალბერ კამიუს „შავ ჭირსა“ და ჯონ უინდემის „ტრიფიდე-

ბის დღესთან“ ან თუნდაც ჰოლდინგის „ბუზების მბრძანებელ-თან“, თუმცა ეს მსგავსებები სიღრმისეული ხასიათის არ არის და ალუზიების დონეზე რჩება. ეჭვს გარეშეა, რომ სარამაგუ ახერხებს შექმნას საკუთარი ყველასგან გამორჩეული მხატვრული სამყარო, რომელიც ყურადღებას იპყრობს არა რთული სიუჟეტებით ან გმირთა არაჩვეულებრივი თავგადასავლებით, არამედ გლობალური პრობლემების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვით. ამ ხედვას კი ბევრი რამ აკავშირებს ლიტერატურის ისტორიაში ე.წ. „განგაშის რომანების“ სახელით ცნობილ ტექსტებთან, რომელთა უპირველესი მიზანი კაცობრიობისთვის სინათლით სავსე პერსპექტივის გაჩენაა და არა მისი სიბნელეში გადაჩეხვა.

Kakhaber Loria

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Rezo Cheishvili's „A Tailed Star (Political Decameron)“:
Genre, Ideological-thematic and Artistic Aspects**

Summary

„A Tailed star (Political Decameron)“ is a novel by the outstanding master of modern Georgian prose Rezo Cheishvili, written in 1991-1999. This remarkable book by clearly echoes the classic „Decameron“ both compositionally and semantically: On the one hand, it is undoubtedly a novel, which has a unifying compositional framework, and on the other hand, it is also a collection of highly diverse and more or less independent stories, novellas or narratives. Special mention should be made of the emphasized scabrous character of the many such autonomous fragments included in the work, as well as of the whole novel in general. At the same time, as it can be seen from the novel's subheading, the political determinant plays a distinctly important role in the work.

Key words: Soviet regime; Decameron; Modern Georgian literature.

კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“: ჟანრული, იდეურ-თემატური და მხატვრული ასპექტები

თანამედროვე ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის, რეზო ჭეიშვილის რომანი „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“ 1991-1999 წლებში იწერებოდა და გასული საუკუნის მიწურულს დაიბეჭდა წიგნში, რომელშიც ავტორის ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც შევიდა. თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ 1992 წლის ბოლოს, ჟურნალ „ცისკარში“, ყოველგვარი ქვესათაურისა თუ ჟანრული მინიშნების გარეშე, გამოქვეყნდა ამ ნაწარმოების თავდაპირველი, გაცილებით მოკლე ვარიანტი. როგორც 1992 წლის, ისე 1999 წლის ვერსიებში ავტორი თავადვე სიტყვასიტყვით აცხადებს, რომ სურდა დაეწერა „პოლიტიკური დეკამერონი“, მაგრამ, იმავდროულად, თურმე იმასაც ფიქრობდა, „პოლიტიკური პორნოგრაფიის“ (როგორც „ცისკარისეულ“ ვარიანტში უწოდებს) დრო იქნებ ჯერ არ დამდგარო (ჭეიშვილი 1992: 29). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეს შესანიშნავი ნაწარმოები მაინც დაიწერა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ გამორჩეულ შენაძენად იქცა.

სიტყვათშეხამება „პოლიტიკური დეკამერონის“ გამოყენება 1999 წელს დაბეჭდილი რომანის ქვესათაურადაც, თავის მხრივ, სულაც არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არც შემთხვევითი. რეზო ჭეიშვილის ეს დიდებული წიგნი, კომპოზიციურად და აზრობრივადაც, აშკარად ეხმიანება კლასიკურ „დეკამერონს“: ერთის მხრივ, უდავოდ, რომანია, რომელსაც გამაერთიანებელი კომპოზიციური ჩარჩო გააჩნია, მეორეს მხრივ კი უაღრესად მრავალფეროვან და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ისტორიათა, ნოველათა თუ გადმოცემათა ერთგვარ კრებულსაც წარმოადგენს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს როგორც თხზულებაში შესული

არაერთი ასეთი ავტონომიური ფრაგმენტის, ისე, საზოგადოდ, მთელი ამ რომანის ხაზგასმულად სკაბრეზული ხასიათიც.

იმავედროულად, როგორც რომანის ქვესათაურიდანაც ჩანს, პოლიტიკური მდგენელი თხზულებაში გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ნაწარმოებში მოქმედება წარმოიჩინდება და ვითარდება ახალი დროის „მსოფლიო ჭირის“ ფონზე, რომელსაც (არც მთლად) ირიბად საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი განასახიერებს. ხსენებულისდა მიუხედავად, ეს არაა მხოლოდ და მხოლოდ პუბლიცისტური ჟღერადობის წიგნი. პირიქით, ამ ესთეტიკურად უაღრესად დახვეწილ, ემოციურად საოცრად დამუხტულ ნაწარმოებს მკვეთრად გამოხატული ზედროული და ზოგადადამიანური განზომილებები გააჩნია. რ. ჭეიშვილის რომანი, როგორც ეს ჭეშმარიტ ლიტერატურას ახასიათებს, ყოველგვარი ზედმეტი მაღალფარდოვანების გარეშე ეხმიანება და უშუალოდ თავადაც წარმატებით ამკვიდრებს უნივერსალური მნიშვნელობის ჰუმანისტურ იდეალებს.

რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავის“ გამოჩენას ლიტერატურულ კაბადონზე, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სწრაფად მოჰყვა შესაბამისი გამომხატურება. ჯერ კიდევ 1995 წელს დაწერილ საინტერესო სტატიაში „სიზმარივით ახლობელი და მიუწვდომელი“ ივანე ამირხანაშვილი განიხილავს რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ თხზულებას, უფრო ზუსტად კი, ბუნებრივია, მის ჯერ კიდევ შედარებით მოკლე, „ცისკრისეულ“ ვარიანტს (სხვათაშორის, ეს თავდაპირველი ვარიანტი სულაც არ იძლეოდა რაიმე ნიშანს იმისას, რომ მწერალი მას თხზულების საბოლოო ვერსიად არ განიხილავდა). მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ავტორმა „კუდიანი ვარსკვლავი“ არა მარტო განავრცო, არამედ, მრავალი სხვა თვალსაზრისითაც, კიდევ უფრო დახვეწა, ივ. ამირხანაშვილის მოსაზრებების განზოგადება თხზულების 1999 წლის ვერსიაზეც სრულფასოვნად და უპრობლემოდ ხერხდება.

„რეზო ჭეიშვილის მწერლური ბუნების, მისი პროზის სტილისა და წერის მანერის, მისი თვითმყოფადი და აშკარად ორიგინალური შემოქმედების ხასიათის ერთი სიტყვით გამოხატვა რომ მოიწადინოს რომელიმე ახირებულმა კრიტიკოსმა, ის ალბათ დიდხანს არ დაფიქრდება და იტყვის: „გაქცევა“, ან: „თავის დაღ-

წევა“, ან: „თავისნებობა“. მართლაც, რეზო ჭეიშვილის მწერლური ბუნების სპეციფიკური ნიშანია ლიტერატურული კლიშეებისა და განმეორებებისაგან თავის დაღწევისა და ნაწარმოების წინასწარი რეცეპტების გარეშე, „თავის ნებაზე“ აგების დაუოკებელი სურვილი, რომელიც მუდამ თან ახლდა მას, – შემოქმედების განვლილ ეტაპზედაც და ახლაც, როცა ჟამთა ვითარებამ და წლების გამოცდილებამ აიძულა თუ უკარნახა, რომ ხელი მოეკიდა ახალ-ახალი თემებისა და მოტივების, როგორც იტყვიან დამუშავებისათვის. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში მან არაერთი საინტერესო და, რაღაც გაგებით, უცნაური ნაწარმოები გამოქვეყნა, რითაც კიდევ ერთხელ ამცნო მკითხველებსა და კრიტიკოსებს, რომ მას ჯერ არ სტოვებს სურვილი „გაქცევის“, „თავის დაღწევისა“ და „თავისნებობისა“. ყველაზე უცნაური კი მაინც „კუდიანი ვარსკვლავია“, რომელიც 1992 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნდა“ (ამირხანაშვილი 2003: 91), – წერს ივანე ამირხანაშვილი და განაგრძობს: „კუდიანი ვარსკვლავი“ ფილოსოფიური ნაწარმოებია სურათებად, გენებავთ, ამბებად, ნოველებად, მინიატურებად, ოღონდ ერთზე უთუოდ უნდა შევთანხმდეთ – მწერლის შემოქმედებაში ეს არის ახალი რაკურსის გახსნა, სამყაროს კონცენტრირებული ჭკრეტა დროითი სამზერიდან, ამქვეყნად თავისი წილი ადგილის გააზრების ცდა“ (ამირხანაშვილი 2003: 92).

საგულისხმოდ მეჩვენება ლიტერატორის შემდგომი მსჯელობაც რეზო ჭეიშვილის ზემოაღნიშნული ნაწარმოების შესახებ: „რატომღაც მგონია, რომ რეზო ჭეიშვილმა „კუდიანი ვარსკვლავის“ წერას წარმავლობისა და ამოების უმწვერვალესი განცდის ჟამს მოჰკიდა ხელი და ეს ნაბიჯი სრულიად ბუნებრივ გადაწყვეტილებად უნდა ჩავუთვალოთ მწერალს, რომელსაც საკმაო ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება დაუფროვებია. ექვს ათეულ წელს მიღწეულ ოსტატს არ უნდა გასჭირვებოდა ამ, მართალია, რთული, მაგრამ უდავოდ საინტერესო თემის მხატვრული რეალიზაცია, ოღონდაც მთავარი იყო ფორმა, როგორ ფორმას აირჩევდა თხრობისათვის. ტრადიციული, ერთხმინი თხრობის ფორმა უთუოდ წამგებიანი იქნებოდა მისთვის, მითუმეტეს, ხშირად შეგნებულად გაურბოდა ამ სტილს. მწერალმა

თხრობა სურათებად, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ ამბებად ააგო, რაც მეტად სარისკო საქმე იყო, ვინაიდან პროზის ვერცერთი ჟანრი ეკლექტიზმს, ელემენტთა გათიშულობას ვერ იტანს. მაგრამ, გასაოცარია, ნაწარმოების ღირსებაც ის გახლავთ, რომ ცალკეულ ერთეულებს ბოლოს მაინც აერთიანებს რაღაც – ეს არის ავტორი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ავტორის ფიქრი, რომელიც თავიდან ბოლომდე ისე გასდევს სურათების წყებას, როგორც ძაფი კრიალოსანის თვლებს. ამიტომაც თხრობა საინტერესოა, მოუწყინარი, ამბავი ამბავს ენაცვლება, დრო – დროს, განწყობილება – განწყობილებას, არსად ავტორის რემარკა ან შენიშვნა, არამედ – აზრის დაზუსტება ან პუბლიცისტური ჰუქუმათი, ყველაფერს მოძრაობაში, მონაცვლეობაში ვკითხულობთ“ (ამირხანაშვილი 2003: 92-93). წარმოდგენილი მსჯელობის შემდეგ ივ. ამირხანაშვილს მოაქვს ცალკეული პასაჟები რეზო ჭეიშვილის თხზულებიდან და შენიშნავს, რომ მკითხველი, რომელსაც ჯერ „არ გაუაზრებია მწერლის სტილის ცნობილი თავისებურება“ ამ ნაწარმოებში რომ გამორჩეული სიცხადით გამოვლინდა, შეიძლება დაიბნეს და გაუჩნდეს სურვილი ხსენებული პასაჟების დაკავშირებისა. „მაგრამ საქმეც ისაა, რომ დასაკავშირებელი და გასარკვევი არაფერია. იმაზე მეტი კავშირი რაღა უნდა იყოს, რაც აქ მუსიკა ისმის სევდიან ლაიტმოტივად“ (ამირხანაშვილი 2003: 93-94), – აცხადებს სტატიის ავტორი.

როგორც აღვნიშნე, „კუდიანი ვარსკვლავის“ თავდაპირველი ვერსია რეზო ჭეიშვილმა ყოველგვარი ქვესათაურისა თუ ჟანრული მინიშნების გარეშე გამოაქვეყნა. შესაძლოა, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ თავის მხრივ ივანე ამირხანაშვილიც ერიდება „კუდიანი ვარსკვლავის“ ამ შედარებით მცირე, „ცისკრისეული“ ვარიანტის ჟანრის განსაზღვრას. თუმცა, ვფიქრობ, უდაოდ საყურადღებოა, რომ, იმავდროულად, კრიტიკოსი თხზულების ავტორს მკაცრ და გულწრფელ რეალისტად აღიქვამს: „[...] – მწერალი ახერხებს თავი წარმოიდგინოს სამყაროს მარადიული და უსასრულო მოძრაობის მონაწილედ. ახერხებს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზებას ამ უცნაურ თხზულებაში, რომელსაც პროზის ვერცერთ ჟანრს ვერ მიაკუთვნებ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ათეულობით

მოთხრობისა და რამდენიმე რომანის მასალაა გაზნეული. ჟანრის სახეობის განსაზღვრა სრულიად მეორეხარისხოვან საკითხად მოჩანს, როცა მწერალს გარკვეული აქვს სათქმელი და გამოხატვის ფორმა. ამბავი – აი, რეზო ჭეიშვილის პრინციპი. მთავარია იყოს ამბავი. მერე გამოჩნდება მწერლის კონცეფციაც, იდეაც, ჩანაფიქრიც, სტილიც და კიდევ რაც გნებავთ. პროზა, უპირველეს ყოვლისა, ამბავია, მოქმედებაა და შემდგომ ყველაფერი სხვა. „კუდიანი ვარსკვლავის“ ათასგვარი ამბების წყებაში ერთი მთავარი ამბავია – დროისა და სულიერი განცდების ძნელ გზებზე მოგზაურობა, ანუ „უკუსვლით წინ სიარული“ პერსონაჟისა, რომელშიც ავტორი თავის თავს ხედავს. იგრძნობა ამ ხედვაში მკაცრი, მაგრამ გულწრფელი რეალისტის თვალი და ამიტომაც გჯერა მისი, მისი სიტყვების“ (ამირხანაშვილი 2003: 94).

მას შემდეგ, რაც 1999 წელს „კუდიანი ვარსკვლავის“ ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა, თხზულების მიმართ ინტერესმა ისევ იჩინა თავი. გამოხმაურებებში ყურადღება კვლავ სამართლიანად მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული თხზულება თვისობრივ სიახლეს წარმოადგენს რეზო ჭეიშვილის ამ დროისათვის უკვე ისედაც მრავალფეროვან და უაღრესად ღირებულ მხატვრულ შემოქმედებაში. ასე, მაგალითად, ვილენ მარდალეიშვილი 2000 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში – „მეგობრების ნაჩუქარი წიგნები“ შენიშნავს: „თუ თავის ადრინდელ ნაწარმოებებში რეზო ჭეიშვილი, ძირითადად, თვალწინ „მოტრიალე“ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას ასახავდა, განუმეორებელი იუმორის, ირონიისა და სარკაზმის ნაზავით იმ ყოფის აბსურდულობას და იმპერიის დღედღეზე ნგრევას წინასწარმეტყველებდა („ცისფერი მთები“), ახალ რომანებსა და მოთხრობებში იგი უფრო „მორს წასულა“ და საბჭოთა სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს, ძალმომრეობასა და რეპრესიებს, სულიერად და ფიზიკურად განადგურებული ადამიანების ისტორიებს ხატავს. ეს თემა არახალია, მაგრამ რეზო ჭეიშვილს იგი მაინც თავისებურად დაუმუშავებია, რაც ზედმიწევნით იგრძნობა რომანში „კუდიანი ვარსკვლავი“ (მარდალეიშვილი 2000: 12).

ვილენ მარდალეიშვილი მართლაც რომ გულწრფელადაა აღტაცებული მწერლის გამორჩეული ოსტატობით, რეზო ჭეიშვი-

ლის მონათხრობის მხატვრული დამაჯერებლობით, ნაწარმოების ტექსტში ტრაგიკული და კომიკური ასპექტების თანაარსებობით. აკი წერს კიდევ ემოციის დაუფარავად: „ჰოდა, აცოცხლებს და მერე როგორ! მწერალი ხატავს იმპერიის მესაჭეებს, დიდ თუ პატარა ბელადებს. ოი, რა ირონიაა, რა სარკაზმი... ხატავს უბრალო გაუბედურებული ადამიანების ცხოვრებას. სული ყელში გებჯინება, ცრემლნარევი ღიმილი გადაგკრავს შიგადაშიგ სახეზე ამ მართლაც საანეკდოტო სიტუაციების, მართლაც დაუჯერებელი ამბების წამკითხველს – ეს ხომ ჩვენი მამა-პაპის ისტორიაა, ეს ხომ აგერ იყო – გუშინ, გუშინწინ...“ (მარდალეიშვილი 2000: 12).

რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ ნაწარმოებს, ისევე როგორც 1999 წელს მასთან ერთად იმავე წიგნში დაბეჭდილ რამდენიმე ნოველასა და მეორე რომანს („ყაჩაღები“), ეხმიანება ლიტერატორი ალექსანდრე გვახარია წერილში – „რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნი“. 2000 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ამ პუბლიკაციაში ალ. გვახარია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას სათაურის (უფრო ზუსტად: ქვესათაურის) საკითხზე და მასთან დაკავშირებულ ჟანრულ მიმართებაზე ბოკაჩოს საყოველთაოდ აღიარებულ ტექსტთან, რასაც, ბუნებრივია, ჩემის მხრივ, სავსებით ვეთანხმები. ზედმიწევნით ზუსტია წერილის ავტორის შეფასება მაშინაც, როდესაც, ვილენ მარდალეიშვილის მსგავსად, ისიც დაუჯერებელ ამბებსა და ცრემლნარევი იუმორზე ამახვილებს ყურადღებას: „პირველ რომანს „კუდიანი ვარსკვლავი“ ეწოდება. სარჩევში, მხოლოდ სარჩევში, ისიც ფრჩხილებში, მეორე სათაური თუ ქვესათაური იკითხება: „პოლიტიკური დეკამერონი“. ვერ გაძლო „ცისფერი მთების“ ავტორმა მეორე სათაურის გარეშე! მეორე სათაური უფრო ზუსტია და მიზანმიმართული. ეს მართლაც „დეკამერონია“, სისხლიანი „დეკამერონი“, ბოლშევიზმის ისტორიის დაუჯერებელ, მაგრამ მაინც ნამდვილ არაკთა, ამბავთა, ანეკდოტთა შემზარავი კრებული. თხრობაა უბრალო, მარტივი, შიგადაშიგ ცრემლნარევი იუმორით განათებული, თორემ შეიძლება ჭკუიდან გადაცდეს კაცი“ (გვახარია 2000: 7).

რეზო ჭეიშვილის მიერ „კუდიან ვარსკვლავში“ მონათხრობ ამ მოკისმომგვრელად „დაუჯერებელ, მაგრამ მაინც ნამდვილ [...]

ამბავთა“ შორისაც კი გამოირჩევა თხუთმეტი წლის ბიჭის ტრაგიკული ისტორია. რომელზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ალექსანდრე გვახარიაც. „თბილისის ერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ აწარმოა კედლიდან ჩამოხია ეჟოვის პორტრეტი; პროტესტი გამოხატა მამის დაპატიმრების (დახვრეტა არ იცოდა) გამო. დაასმინა მასწავლებელმა [...]. ბავშვმა პორტრეტი ჩამოხია მრავალთა თვალწინ და კლასის დამრიგებელმა დაასწრო სხვებს, რათა მომხდარი ფაქტის დამალვა ან დამნაშავეზე ხელის დაფარება არ დაბრალდებოდა [...]. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ თხუთმეტი წლის მოსწავლე აწარმოა „შეუფარდეს“ სასჯელის უმაღლესი ზომა, სულითა და სხეულით მახინჯი ეჟოვის სტამბურად ნაბეჭდი, მასობრივი ტირაჟით გავრცელებული პორტრეტის ხელყოფის გამო“ (ჭეიშვილი 1999: 22). აწარმოა თექვსმეტი წლის არ იყო და ვერ დახვრიტეს, როგორც რეზო ჭეიშვილი წერს, 1935 წლის 7 აპრილის დადგენილების გამო. მაგრამ საბოლოოდ ამანაც ვერ უშველა: აცადეს თექვსმეტის შესრულება „და დღენათელში თექვსმეტი წლისას, დაბადების დღეს ჩააყოფინეს ვარცლში თავი. ერთმა ხელი დაუკავა, მეორემ – მეორე, მესამემ ქოჩორზე დააჭირა ბლივი, თმა ატკინა და კაცი, რომელსაც ახალი გატკიცინებული „გიმნასტიორკა“ ეცვა, და ეტყობა, უკან იდგა, გვერდზე გახტა, დედაც ვატირეო, თქვა, ალისფერი სისხლის წინწკლები დააჩნდა მაინც სახელოზე“ (ჭეიშვილი 1999: 22). ამ თავზარდამცემი ისტორიის წამკითხველი, მართლაც რომ „შეიძლება ჰკუდიან გადაცდეს კაცი“. ალექსანდრე გვახარიას კი თითქოს ეშინია, რომ მონათხრობ საშინელებას ნორმალური ფსიქიკის მკითხველი, უბრალოდ, ვერ დაიჯერებს. ამიტომაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, პირდაპირ მოგვახლის იმას, რაც ალბათ მწერალმაც კარგად იცოდა, მაგრამ რისი გამხელისგანაც რატომღაც მაინც თავი შეიკავა: „ეს აწარმოა ბუაჩიძე იყო, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის უფროსი ძმა (მცირეწლოვანი თაზო გადარჩა, ნათესავეებმა გაზარდეს). ახლაც არ გჯერა, მკითხველო? ჯერ სადა ხარ!“ (გვახარია 2000: 7) – ემოციურად მიმართავს მკითხველს სტატიის ავტორი.

რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ თხზულებაში, საზოგადოდ, უაღრესად საინტერესო მიმართებაა დამყარებული, ერთის მხრივ,

ისტორიულ-დოკუმენტურად დადასტურებულ, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებსა და, მეორეს მხრივ, როგორც რ. ჭეიშვილი უწოდებს, „თვალთმხილველთა, დაობლებულთა, უსამართლობის წნეხში მოყოლილთა მონათხრობებს“ (ჭეიშვილი 1999: 13) შორის. ამ გადმოცემებს ის ანეკდოტებად, ანუ როგორც თავად განმარტავს სიტყვა ანეკდოტის მნიშვნელობას, არაკებად და ამბებად მოიხსენიებს („ბევრი [...] ანეკდოტი (არაკი, ამბავი) მოვიპოვე; ვისმინე, ვიმახსოვრე“ (ჭეიშვილი 1999: 13), – გაგვანდობს მწერალი). მთლიანობაში კი ვიღებთ იუველირის სიზუსტით შესრულებულ მხატვრულ კომბინაციას, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ მომხიბვლელ ვარიაციულობას უნდა გულისხმობდეს ალ. გვახარიაც, როდესაც წერს: „[...] ანეკდოტური და ნამდვილი, ნამდვილი და ანეკდოტური ენაცვლება ერთმანეთს. [...] რომელი ერთი ჩამოვთვალო, თავად უნდა წაიკითხოთ ეს ქართული „არქიპელაგი გულაგი“, არაფრით რომ არ ჩამოუვარდება ალექსანდრე სოლჟენიცინის საუკუნის წიგნს“ (გვახარია 2000: 7). ვფიქრობ, მართლაც ძნელია, არ დაეთანხმო ლიტერატორის ამ გულწრფელ მოწოდებასა და უაღრესად ზუსტად მიგნებულ შეფასებას.

„კუდიანი ვარსკვლავის“ მიმართ ხსენებულ დამოკიდებულებასთან საკმაოდ ახლოა ისიც, რასაც რეზო კვესელავა აცხადებს 2001 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ საინტერესო სტატიასში – „მწერალი ბევრია, მხატვარი ცოტა“: „რეზო ჭეიშვილი მხატვარია. რომანით „კუდიანი ვარსკვლავი“ მან აჩვენა (უკვე სხვა ასპექტში) ქართული სიტყვის გამომსახველობითი ძალა. ორჯერ წავიკითხე რომანი, ალაგ-ალაგ – რამდენიმეჯერ. ყველას ვურჩევდი, წაეკითხა... ნაწარმოების შინაარსობრივ-სტილისტურ თავისებურებად შეიძლება, ინტელექტუალიზმი დავასახელოთ. მწერალი ფიქრობს ცხოვრების აზრზე, ადამიანის დანიშნულებაზე; ფიქრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც კაცობრიობას რელიგიური ცნობიერებიდან მოწყვეტამ შეუქმნა. „ტრიალებდა გაპირუტყვეებისა და სიძულვილის კარგად დაზეთილი ბორბალი“ – შეგვახსენებს იგი. ძნელია ამ თემაზე წერა. ალ. სოლჟენიცინისა და ნადეჟდა მანდელშტამის შემდეგ, ვინც განიცადა დევნა, გადასახლება, სიკვდილი და ვისაც, იმის გამოსახატავად,

რაც განიცადა, ნიჭიც ჰყოფნიდა და გამბედაობაც. მაგრამ როცა „კუდიან ვარსკვლავს“ კითხულობ, ყველაფერი, რაც სხვებთან დაგამახსოვრდა, უკანა პლანზე გადადის და ჩვენს ცნობიერებას იპყრობს ახალი მხატვრული რეალობა, საგნები – ახალი რაკურსით“ (კვესელავა 2001: 6). ჩემის მხრივ, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ეს „ახალ მხატვრულ რეალობასთან“ ზიარების შეგრძნებაა, რეზო ჭეიშვილის ამ დიდებულ ნაწარმოებს ასე მიმზიდველ საკითხავ ტექსტად რომ ხდის, მიუხედავად მისი სხვადასხვა ტრაგიკული განზომილებისა.

რეზო კვესელავა, ჩემი აზრით, ძალიან მართებულად აღიქვამს „კუდიან ვარსკვლავში“ ისტორიულ მასალასთან დამოკიდებულების საკითხსაც, ისევე, როგორც ქრონოტოპის განუწყვეტელი მონაცვლეობის მნიშვნელობას ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის ფორმირებაში: „ისტორიული მასალაც, რომელიც დაწვრილებით არის სპეციალურ ლიტერატურაში განხილული, ჭეიშვილთან სულ სხვა, მოულოდნელი ასპექტით წარმოგვიდგება. ველი დანაღმულია. არ იცი, სად რას წააწყდები. ელოდები ერთს, იმკვიმეორეს. რომანის დრო და სივრცეც მუდმივ ცვალებადობაშია: დრო დროში, სივრცე სივრცეში ისე იჭრება, როგორც ეს ფიქრში ხდება ხოლმე: [...] ერთ წინადადებაში შეიცვალა დრო და სივრცე. ეს ასოციაციური თხრობაა. რომანის სტრუქტურა ასეა აგებული“ (კვესელავა 2001: 6). კარგ დაკვირვებად მიმაჩნია და, შესაბამისად, უნდა ასევე სავსებით დავეთანხმო რეზო კვესელავას, როდესაც ის „ჭეიშვილის სტილის ორაზროვნებაზე“ საუბრობს: „სიმსუბუქე მოჩვენებითია. თუ ტექსტს ჩაულრმავდებით, უამრავ ნიუანსს აღმოვაჩენთ, აპრიორული წარმოდგენები წარამარა იმსხვრევა. ზოგჯერ ბოლო სიტყვა მთელ წინადადებას ცვლის [...]“ (კვესელავა 2001: 6) – მართებულად შენიშნავს კრიტიკოსი.

რეზო ჭეიშვილის „პოლიტიკურ დეკამერონში“ პერსონაჟთა უაღრესად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გალერეაა წარმოდგენილი. ეს პერსონაჟები, უმეტესწილად, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ავტორი ჩვენს თვალწინ მათ სხვადასახვა ოსტატური მხატვრული ხერხის გამოყენებით აცოცხლებს და ხშირად, უბრალოდ, დაუვიწყარ სახეებს ქმნის. არცთუ იშვიათად მწერალი გამორჩეულად დახვეწილი ხელწერის პორ-

ტრეტისტად გვევლინება, თუმცა ეს პორტრეტები არ არის მხოლოდ გარეგნული, არამედ მათ სიღრმისეული შრეები და განზომილებებიც გააჩნიათ. ამ თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, რეზო კვესელავას ზემოხსენებულ წერილში საინტერესო დაკვირვებასთან გვაქვს საქმე: „შესანიშნავი პორტრეტებია: ლაკონიური და დინამიური. ზოგჯერ ეფექტი ერთი სიტყვით არის მიღწეული. მაგ. სახემეკუმშული რუსი კაცი – საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ლონდონში. მის გარეგნობაზე მხოლოდ ის ვიცით, რომ სახემეკუმშულია, მაგრამ ამ ერთი სიტყვით მის ბიოგრაფიასაც ვეცნობით. ჭეიშვილთან ვერ აღმოაჩენ ისეთ პერსონაჟს, საგანს თუ მოვლენას, რომლის პლასტიკურ სახესთან ერთად სულიც არ დაინახო. ერთი შტრიხით არის დახატული მოლოტოვი: „თავჩაქუჩა თევზების რომელიღაც ქვესახეობის წარმომადგენელი“ და ჩვენს წინაშეა ცივისსხლიანი ფანატიკოსი!..“ (კვესელავა 2001: 6).

ლი. ამის შემდეგ შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა თბილისში, გორში, თელავში, ანანურში. ის გასცდა აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებს და შეაღწია დასავლეთ საქართველოში. ასევე გავრცელდა სამხრეთ საქართველოშიც, სადაც მსხვერპლთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა .

გახშირებული ეპიდემიების (შავი ჭირის 1803-1807 წწ, 1811-1812 წწ, 1838-1843 წწ; ხორველას 1830; 1847; 1865 წწ) საფრთხის წინაშე მდგარი და სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანების მდგომარეობა იწვევდა ცნობიერების ცვლილებას, ჩვეული გარემოს მიმართ გაუცხოებას და ფსიქიკურ რყევებს.

როდესაც პანდემიის ლიტერატურაში ასახვაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ თემატურ ცვლილებას, არამედ იმ ფსიქოლოგიურ ფონის გავლენას, რომელსაც საზოგადოება განიცდის და სხვადასხვა სახით ის ლიტერატურაზეც ვრცელდება.

თუმცა ამის დასაბუთება გაგვიჭირდება თუ ლიტერატურული პროცესების მთავარ პრინციპზე (რაც რეალობის მხატვრულ ტექსტში გადასვლას ახასიათებს) და უშუალოდ რომანტიზმის ჟანრის თავისებურებებზე არ ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

ლიტერატურულ წრეებში თანხმდებიან, რომ მსოფლიო მასშტაბის ლიტერატურულ მიმდინარეობას – რომანტიზმს (მის თეორიულ საფუძვლებს) კონკრეტული ლიტერატურული ცენტრები განსაზღვრავს. სწორედ ამ გადასახედიდან ჩანს, რომ რომანტიზმი არა როგორც მხოლოდ ფილოსოფიური-იდეოლოგიური მოძღვრება ან ლიტერატურული მიმდინარეობა, არამედ როგორც კაცობრიობის „მწიფობის“ ასაკით გამოწვეული მძაფრი შეგრძნებების სინდრომი „დაუპატიჟებლად“ სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყანას, კონტინენტს. მას ვერ აკავებდა ვერც სახმელეთო საზღვრები და ვერ ოკეანური სივრცე, თუმცა ვერც საფრანგეთის რევოლუცია, ვერც ლიტერატურული მიმდინარეობა „ქარიშხალი და შეტევა“ და ვერც ნაპოლეონის ლაშქარი ვერ შეძლებდა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში რომანტიზმის გავრცელებას, იქ რომ ამის შესაბამისი პირობა და განწყობა არ ყოფილიყო, ამიტომ, როცა რომანტიზმის წარმოშობაზე და მის გავრცელებაზე ვმსჯელობთ, უმჯობესია, უპირველესად, იმ საერთო სოციო-პოლიტიკურ ვითარებას დავუკვირდეთ, რომელმაც რომანტიკული მზაობა და

მისი გავრცელების ბუნებრივი პირობები შექმნა. ამგვარმა კვლევადიებამ კი შესაძლოა უფრო გლობალური და დროში განვრცობილი მიზეზის აღიარებამდე მიგვიყვანოს.

ჩვენი ზოგადი შეხედულება ამ საკითხზე ასეთია: უიმედობის მიზეზი (რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებაში შეიმჩნევა) ეპოქის სოციო-პოლიტიკურ გარემოში და შემოქმედთა პირად ცხოვრებაშია საძებნი. თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს პანდემიის – შავი ჭირის და ხორველას შემოტევა და ამ საშიშროებით გამოწვეული ეგზისტენციალური შიში, რომელსაც ერთგვარ თერაპიად ევლინება ლიტერატურა და ამ შემთხვევაში მის სასარგებლოდ გვინდა ვთქვათ, რომ არცერთ ქართველ რომანტიკოსს ხსნა სიკვდილში არ დაუნახავს, რითაც ისინი საბოლოოდ გაემიჯნენ პესიმისტ-რომანტიკოსთა მიმდინარეობას.

მართალია, ჩვენს ცნობილ რომანტიკოსებს არაფერი დაუწერიათ უშუალოდ ეპიდემიების შესახებ (ვგულისხმობთ მხატვრულ ტექსტებს). მათში ამ ტკივილის ერთგვარი სუბლიმაცია მოხდა, თუმცა მათ თავიანთ მოგონებებში ცოცხლად აღწერეს პანდემი-ეპიდემიების გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებული არანაკლებ დრამატული და ცოცხალი ისტორიები.

1838 წელს, როდესაც ახალციხეში შავი ჭირი გაჩნდა და პანდემიის საშიშროება შეიქმნა. გენერალმა გოლოვინმა საკარანტინო ზონების უფროსობა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს (ცნობილ პოეტს) მიანდო. მას კი დიდი შრომა დასჭირდა, რათა გადამდები სენის გავრცელებისგან მთელი ამიერკავკასია ეხსნა. იმდროინდელი ისტორიული და ლიტერატურული წყაროები გვიდასტურებენ, რომ რომანტიკოს პოეტს კეთილსინდისიერად და წარმატებით შეუსრულებია თავისი მოვალეობა:

„იგი თვითონ ათვალთქვებდა ყველა საკარანტინო ზონას არტანუჯიდან შავი ზღვის ნაპირებამდე და მართლაც ყველგან, თვით გოლოვინის ცნობით, ალ. ჭავჭავაძე ისე თადარიგინად იქცეოდა, რომ მიუხედავად ამ ჭირიანობის ხანგრძლივობისა, სხვა ახლომახლო სოფელ-ქალაქებს არ მოსდებია ეს მძვინვარე ავადმყოფობა“ (გრიშაშვილი 1952: 62)

როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდი ნდობა მოუპოვებია ზემდგომთა წინაშე, რადგან 1841 წელს

ერევნის მაზრაში გაჩენილი შავი ჭირის შემწყვეტი კომისიის უფროსადაც ის დაინიშნა (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ხოლერას ეპიდემიამ იმსხვერპლა ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე (1842 წ.) და მისი შვილი, გრიბოდოვის მეუღლე ნინო ჭავჭავაძე (1857 წ.). (გრიშაშვილი 1952: 67).

ისტორია ცოცხლად ინახავს კიდევ ერთი ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ორბელიანის სიმამაცეს, რაც უკურნებელი სნეულებით დაავადებულთა გვერდით ყოფნასა და სისტემატურ დახმარებაში გამოიხატებოდა:

„ალექსანდრე ორბელიანი არ მოერიდებოდა ხოლერას და ქუჩა-ქუჩა რომ ივლიდა, რათა მიშველებოდა, ვისაც შემწეობა ესაჭიროებოდა, ერთხელაც თმაგაწეწილსა და გულსაკლავად აკვნესებულ დედაკაცს შეეჩეხებოდა: ქმარი და ერთი შვილი გუმინ დაემარხე და ახლა მეორეც წამექცაო.

ალექსანდრეს გული არ გაუძლებდა და შინ შეჰყვებოდა, გონდაკარგული ყმაწვილს ჯერ ცივი წყლით მოაბრუნებდა და მერე დედაკაცს წითელ ღვინოს მოატანინებდა.

ერთი ჭიქის დაღევა ყმაწვილს აშკარად, რომ არგებდა, ალექსანდრე დაარიგებდა:

– ეს ღვინო ცოტ-ცოტა სვი და ხვალ სრულიად კარგად იქნები. და სასიკვდილოდ გადადებული ყმაწვილი... მართლაც მალე გამოჯანმრთელდებოდა (ჩხეიძე 2020: 61)

როგორც ვნახეთ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანაში გაჩენილი სხვადასხვა ეპიდემიების შესახებ მოგონებებში ქართული ელიტარულ მწერლობა უფრო პუბლიცისტურ ნიჭს ამჟღავნებს (ყამიანობის შემთხვევები ხომ ძირითადად მოგონებებშია აღწერილი), მხატვრულ სახეებში გარინდებულ ტკივილს კი ძირითადად ეპისტოლარული ლირიკის მრავალრიცხოვან (ასზე მეტი ავტორი) წარმომადგენელთა შემოქმედებაში და აშუღურ პოეზიაში ვხვდებით:

კრებულში, ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825) (შემდგენელი ირაკლი კენჭოშვილი) წარმოდგენილი პოეტური ნიმუშები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ დღეს სრულიად დავიწყებულ ე.წ. „საშუალო ფენის“ პოეტთა ხშირად ნედლ ფრაზაში, დაუხვეწავ მხატვრულ სახეებსა და ლექსის პუბლიცისტურ ნა-

კადმი უკეთ იგრძნობა იმდროინდელი რეალური სურათი და შეულამაზებელი გარემო. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკურ თუ კულტურულ პარადიგმას სწორედ კოლექტიური ცნობიერება ქმნის. მკითხველისგან „დაწუნებული“ (ზაქარია ჭიჭინაძე) ცნობილი სახალხო მთქმელები „ბუდად ოღლი, სკანდარნოვი, ხარაზი პავლე, მეჩუსტე ნიკოლა, მირზაანა მადათოვიც, ოჰანეზაც, ამიროვი, გივიშვილი, ჰაზირა“ და მათთან ერთად ეპისტოლარალური ლირიკის წარმომადგენლები ხორგიამვილი, ქობულაშვილი, ლარაძე, ვახვახიშვილი, ყანჩაშილი და მათთან ერთად ასზე მეტი ანონიმი ავტორი ეპოქის ყველაზე სანდო მატრიანეს ქმნიან:

„ჰაი, მოვსთქვამ საყვარელსა, ჰაი, სრულად ია-ვარდი,
ჰაი, სენი უკურნები, ჰაი, მთხრებელსა ია, ვარდი,
ჰაი, პირველ ბაგე ვარდი, ჰაი, ან მთად ია-ვარდი,
ჰაი, მზემან უკუმრიდა, ჰაი, დავკარგე ია-ვარდი
ჟამს იე წლისასა“.

პეტრე ლარაძე (ანთოლოგია 2014: 290)

ან თუნდაც ეს:

რეული

„ისარი პირბასრეული აქეს სვესა ჩემზედ სრეული,
მიკვირს, რასთვის მბრძავს წყეული, რა მაქვსყე მე მისეული,
ვარ ტკივილთაგან ძლეული, მრავლით ჟამთაგან სნეული,
ჯალათნი მისგან სეული მეზრძვიან მრავლასეული“.

პეტრე ლარაძე (ანთოლოგია 2014: 291)

აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I -ის (თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი) გარემოცვაში მოღვაწე პოეტი როსტომ ყაითამაზშვილი კი დეტალურად აღწერს განუკურნელი სნეულების სიმპტომებს და ამით ერთგვარ „მხატვრულ“ სამედიცინო ისტორიას გვიქმნის:

„მმანო, კარგად მოიხსენეთ, ამ ცრუ სოფლის საქმე ნახეთ,
მოიწია რისხვა მღვთისა, ჟამი გაჩნდა თქვენცა ნახეთ,

კაცს გულს ცეცხლი ედებოდა: დედაჩემი მომინახეთ!
შვილი დედას წყალსა სთხოვდა, არ აძლევდა თვალით ვნახეთ“.
(ანთოლოგია 2014: 47)

ეს მოგონებები, ჩანაწერები, ლირიკული ტექსტები დაახლოებით წარმოდგენას გვიქმნიან იმ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე, რომელიც ორი საუკუნის წინ არსებობდა საქართველოს დედაქალაქში და მთლიანად ქვეყანაში (მსხვერპლთა რაოდენობა და სხვადასხვა სტატისტიკა მხოლოდ დაამძიმებდა საერთო სურათს), მათზე დაყრდნობით მკითხველს ისედაც შეუძლია ყველაზე ტრაგიკული მდგომარეობის წარმოდგენა. თუმცა ჩვენთვის, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია პოსტ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი და ჩვენი დღევანდელი გამოცდილების გათვალისწინებით საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა.

ამ მხრივ ეპოქათა საერთო სიტუაციის შედარებითი ანალიზი სრულიად გამართლებულია, რადგან ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ ავადმყოფობის ფიზიკური გამოვლინებები (თავისი უმძიმესი შედეგებით), არამედ პანდემიის შემდგომი ფსიქო-ემოციური სიმპტომები: მარტოობისა და გარიყულობის განცდა, ნეგატიური აზრები, დეპრესიული განწყობილება, შინაგანი ფორიაქი, შფოთვა, მეხსიერების სირთულეები და ა.შ. (ინფორმაციას ამის შესახებ ორგანიზაცია – ამერიკის მენტალური ჯანმრთელობა {MHA} აქვეყნებს, რითაც დღეს პანდემია ემუქრება საზოგადოების უფრო ვრცელ სპექტრს.

ამის გათვალისწინებით ნაადრევი გვეჩვენება ჩვენში კორონავირუსის თემაზე შექმნილი არაერთი მხატვრული ტექსტის აქ წარმოდგენა და გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან სიმპტომები, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ (მარტოობისა და გარიყულობის განცდა, ნეგატიური აზრები, დეპრესიული განწყობილება, შინაგანი ფორიაქი, შფოთვა, მეხსიერების სირთულეები) სინამდვილეში პანდემიასთან დაკავშირებული ლიტერატურის მომავალი სამუშაო თემებია, სადაც მან თავისი თერაპიული როლი უნდა შეასრულოს.

ასეთი ვრცელი სურათის წარმოდგენა ჩვენ მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის ხვალინდელი დღის კონტურები დაგვეჩვენებინა. სპეციალისტები პირველივე დღიდან გვაფრთხილებდნენ, რომ მომავალი ვეღარ იქნებოდა ისეთი, როგორც იყო წარსული. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პანდემია აუცილებლად დამარცხდება, მაგრამ შეიცვლება ჩვენი გარემო და შევიცვლებით ჩვენც (ან უკვე შევიცვალეთ) და ამგვარ რეალობაშიც ლიტერატურამ კვლავაც თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს. ის უნდა ექცეს მომავალს მანუგებულად, ამ საქმეში მას პრესა, ტელევიზია, სოციალური ქსელებიც ეხმარებიან. ისინი დღესაც გარკვეული წინამავლის როლს ასრულებენ, რადგან პანდემიის პირველადი განცდა სწორედ მათში ტყდება და ირეკლება: ემოციურად, უფრო ხშირად კი ტრაგიკულადაც, თუმცა სწორედ მათი ძალისხმევით ფსიქოლოგიური ფონი შედარებით მსუბუქდება, ხოლო ლიტერატურა ემზადება ზოგადი პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, რომელიც მომავალ თაობას ცხოვრების რაციონალური ხედვას და შესაბამის იმედიან განწყობას შესთავაზებს.

დამოწმებანი:

ანთოლოგია 2014: ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825). თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014.

გრიშაშვილი 1952: გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1952.

ორბელიანი 2014: ორბელიანი პ. ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825). თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014.

ჩხეიძე 2020: ჩხეიძე რ. ალექსანდრე ორბელიანი – „150 ამბავი“. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2020.

ჭავჭავაძე 1992: ჭავჭავაძე ალ. ქართული მწერლობა. ტ. 9. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1992.

Nino Balanchivadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Plague Epidemic and Human Moral Consciousness

Summary

“I think the invasion of Shah-Abaz did not shake Georgia as much as the emergence of cholera,” Vazha-Pshavela wrote in his letter “Thoughts (because of cholera)” and wondered why “the cholera that makes a man dead” does not say or feel anything. The living living? - Vajra’s thoughts are still relevant today, they are still relevant today. There is still an epidemic today. Human attitudes are, at first glance, the same; Thought is the same - survival or death, support or doom and indifference. Endurance or weakness, fear or courage. All these emotions are manifested in the free, conscious action of man. Consequently, his character or consciousness changes, and along with material provision, the satisfaction of his spiritual world also becomes important.

Key words: Epidemic, legend, Vazha-Pshavela.

ნინო ბალანჩივაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟამიანობა და ადამიანის ზნეობრივი შეგნება

ადამიანი, ერთი მხრივ, მორალური არსებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი, უპირველესად, იმ უზენაეს ზნეობრივ წეს-ჩვეულებებს ემორჩილება, რომლებსაც მას უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა ავალდებულებს (სინდისი კარნახობს), მეორე მხრივ, კი ის ყოველ თავის ქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობს და ოთხჯეხა არსებას, ცხოველს, პირუტყვს ემსგავსება

თავისი საქციელით, რომელიც არსებულ სიტუაციაში მომენტების მოთხოვნილებებს ვერ სცილდება...

თითოეული ჩვენგანი ზნეობრივ პიროვნებასა და ზნეობრივ იდეალს ეძიებს მუდამ ადამიანში; მიზანთა წინ დაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევა. „ვგონებ შაჰ-აბაზის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გაჩენამ“, – წერდა ვაჟა-ფშაველა თავის წერილში „ფიქრები (ხოლერის გამო)“ და წუხდა, თუ რატომ „ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალს მკვდრად აჰხდის“, არაფერს ათქმევინებს და არც აგრძნობინებს მკვდრადმყოფ ცოცხალს? – ვაჟას ეს ფიქრები დღესაც აქტუალურია. დღესაც ჟამიანობაა. ადამიანთა დამოკიდებულებაც, ერთი შეხედვით, იგივეა; საფიქრალიც ერთია – გადარჩენა თუ დაღუპვა, თანადგომა თუ გაწირვა და გულგრილობა. გამძლეობა თუ უძლეობა, შიში თუ გამბედაობა. ყველა ეს ემოცია ვლინდება ადამიანის თავისუფალ, შეგნებულ ქმედებაში. შესაბამისად, მისი ხასიათი თუ ცნობიერება იცვლება და მატერიალურ უზრუნველყოფასთან ერთად მისი სულიერი სამყაროს დაკმაყოფილებაც მნიშვნელოვანი ხდება: „ხოლერამ იქნება მეც მიმსხვერპლოს და ეს ჩემი წერილი უკანასკნელი-და იყოსო. სიკვდილი სიკვდილიაო, მაგრამ რად უნდა მოვკვდე ისე, რომ ჯერ არაფერი გამიკეთებია, ჩემის ქვეყნისათვის არაფერი მირგიაო“, – წერდა სიკვდილის მოლოდინით შემინებული ვაჟა-ფშაველას მისი ერთ-ერთი თანამედროვე (ვაჟა-ფშაველა 1892). წუთისოფლისათვის მოპარული, დაუმსახურებელი, არამი სახელის მოპოვების მცდელობად შეფასდა მგოსნის მიერ სიკვდილის მოლოდინით შეწუხებული ახალგაზრდის ეს ე.წ. „საქვეყნო სურვილი“.

ვაჟა შეწუხებული იყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობით. ამიტომ აღშფოთებული წერდა: „საცა უსამართლობა მძვინვარებს, საცა აჯამობა დაყიალობს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა, ნამდვილი ხოლერაც იქ ბუდობს. მიკვირს და ვფიქრობ: თუ ეს სიცოცხლის მომსპობი ხოლერა გვაყაყანებს-მეთქი, ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალს მკვდრად აჰხდის, რატომ არაფერს გვათქმევინებს, ხმას არ ამოგვადებინებს ისეთის ჭიქა-ქუხილით, როგორც პირველი ჯურის ხოლერა?! რად მინდა ისეთი სიცოცხლე,

რომ ვგრძნობდე თავის სიკვდილს, მკვდარი ვარო, ვამბობდე? აქ არის ხოლერა, აქა!

ხოლერა ჭირია სხეულისა, სიცოცხლის მტერი და, რა თქმა უნდა, ცოცხალს თვალებს გაახილებინებს, აალაპარაკებს. ეს საკვირველიც არ არის. ამიტომ ცოცხალნი ღონისძიებას ეძებენ, როგორმე თავიდან აიცილინონ, წამალი მოუძებნენ; ვისაც წამლის იმედი არა აქვს და არც ის უწყის, რომ თავი და თავი წამალი ხოლერისა სისუფთავეა და ზომიერება ყველაფერში, სხვა ღონე არ დარჩენია, უნდა გაიქცეს და ტურასავით ტყეში დაიმალოს, თავის ქოხ-მახს, თავის სარჩო-საბადებელს სტოვებს ღვთის ანაბრობაზე და გარბის; იმას-კი აღარა ფიქრობს, რომ ერთი და იგივეა, მგელი შესჭამს, თუ მგლის ნაშიერი. ვაჟა ნატრობდა, ერთ დღეს მაინც იქნებ ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა-ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას (ვაჟა-შაველა 1892).

შავი ჭირი იქნება ეს, ქოლერა თუ პანდემია, ძალიან კარგად ასახავს საზოგადოებაში არსებულ ადამიანთა ზნეობრივ სახეს; თუ რაოდენ ძლიერი ან სუსტი ბუნების შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ძალიან მოკლე ხანში უდიდესი აღფრთოვანებიდან და აღტაცებიდან უკიდურეს გულგრილობამდეც კი შეიძლება დაემშვას, დაკარგოს ადამიანური სახე და ღირსებები. ან პირიქით, უფრო კეთილშობილი გახდეს, თვით მედუქნესათვისაც კი, რომლის ცხოვრებაც მხოლოდ ყიდვა-გაყიდვაა, ასეთ დროს მიუღებელია მოგებაზე ფიქრი: „-ვა, გიჟი ხომ არა ხარ?.. ეგ რაებს ამბობ? პირი დაუღია აგერ და საცაა ჩაგვყლაპავს ის ვირისთავი ხორველა. მოგება საიქიოს ეშმაკების უსტაბაშს გაუყო?! ვაჰმე, ვაჰმე!.. ეჰ, ღმერთო, სუფ-სარქისის მადლო, შენ უშველე ჰალალ კაცს! (ვაჟა-შაველა 1892).

სიკვდილის წინაშე მყოფი შიშს დამონებული ადამიანებისაგან განსხვავებით, არაერთი შემთხვევაა, როცა კი არ ეშინია და გაურბის ან ემალება ადამიანი სიკვდილს, არამედ უშიშრობისა და ზნეობის ნათელ მაგალითს იძლევა. ამბობენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს, დაავადების თავიდან აცილების მიზნით, მორჩილებმა მთიდან ჩამოუტანეს წყაროს წყალიო. მაგრამ არ დაუღევეა ერის სულიერ მამას იგი – მეც ის წყალი უნდა ვსვა, რასაც ჩემი მრევლი სვამსო (1921 წლის 11 ივნისს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ქოლერის დიაგნოზით გარდაიცვალა...).

ჟამიანობა, ჟამი, ერთი მხივ, თუ დროს ნიშნავს (მწუხრის ჟამი, ჟამი დამდგარა სისხლის აღების, ლოცვის ჟამი და ა.შ.), მეორე ხრივ, – უჟმურს, დაავადებას, დაავადების გამომწვევე ავსულს. ჟამი, როგორც დაავადება, „ბავშვის ჭირვეულობას, უგუნებობასა და, ზოგ შემთხვევაში, საყმაწვილო სენსაც გულისხმობდა. მთიელთა განმარტებით, უჟმური ავსული იყო. იგი ნესტიან ადგილებში ბინადრობდა და, თუ იქ სალამოთი ბავშვი გაივლიდა, აუცილებლად აჰყვებოდა“ უჟმური (მინდაძე 1981: 76). უჟმურის შესახებ თ. სახოკია წერდა: მეგრელთა წარმოდგენით, „დედამიწაში არსებობს სიკვდილის შვილთათვის უხილავი სული გაცივებისა. გაცივების სულები უფრო ნოტიო ადგილას ბუდობენ, ჭინჭრობებში, ღელეების ნაპირებზე. თუ ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, გუბეში ჩავარდებოდა და სველ ან ნესტიან მიწაზე დაჯდებოდა, ადგომისას თან აჰყვებოდა სინესტე, რომელიც ეკუთვნოდა ჟამს და რომელიც ადამიანს სჯიდა გაცივებით, უმეტეს შემთხვევაში ციების ხასიათით (სახოკია 1956: 14-15).

აფხაზების გადმოცემით პერსონიფიცირებული სული, რომელსაც უჟმურით (მონადებით, აყოლილით) დაავადება მიეწერება, მხოლოდ მისივე გულმოწყალებით არის შესაძლებელი „მიწით დაჭერილის“, ანუ ავადმყოფის „გათავისუფლება-განკურნება“. აფხაზის რწმენით, აღნიშნული დაავადება ადამიანს აჰყვება იმ ადგილიდან, სადაც შემთხვევით დაეცემა (ჩამოვარდება) ან იჯდება. ამიტომ წამოდგომის დროს, იმის შიშით, რომ რაიმე არ აჰყვეს, იგი მიწაზე აუცილებლად სამჯერ დააფურთხებს და ამბობს: „აქ იყო ბაბუაჩემის სახლ-კარი“. დაავადების შემთხვევაში ლოცულობენ მიწის დედისა (ბავშვის დაცემისას, აიღებდნენ ერთ მუჭა მიწას, რომელსაც დაცემულს სამჯერ შემოავლებდნენ თავზე და იტყოდნენ: „დე, ამ ადგილის დედოფალმა შენს ჯანმრთელობას ნუ მიყენოს ზიანი. ბავშვის დაცემის შემთხვევაში გურიაში დამოწმებული ლოცვა: „ფერო, მოდი ფერთან, გულო, მოდი გულთან...“) და ადაბნას (იგივე უჟმურის) სახელზე. საამისოდ შელოცვის დროს „სუფთა“ ქალი ხელში იღებს შვიდ კაკალს და ფეტვის მარცვლებს, მიჰყავს ავადმყოფი თხემლის ხესთან, რომელსაც ადგი-

ლის დედის სახელზე სამ ცალ კაკალსა და რამდენიმე მარცვალს შემოატარებს; ასევე იქცევა კაკლის ხესთან და ადაბნას ავადმყოფის შეწყალებას შესთხოვს, შემდეგ თოჯინას მიწაში მარხავს და ამბობს: „ავადმყოფის ნაცვლად ეთამაშე და თავი ამით შეიქციე“.

მოგვიანებით აცხობენ ფეტვის პურს – „დედამიწის პურს“, ორ გრძელ „ადაბნას პურს“. იგივე ქალი იღებს პირველი პურის ოთხივე კუთხის მონატებს, ადაბნას პურებს, სანთელ-საკმეველს და ავადმყოფთან ერთად მიდის სამი გზის გასაყარზე. აქ მლოცველი ერთ გზაზე დებს „მიწის პურის“ ნატეხებს, მეორეზე – ადაბნას პურებს, მესამეზე – ანთებს სანთლებს და იქვე ათავსებს ფეხსაცმელს, თან ამბობს: „ქალბატონო მიწავ, ეს შენი ფეხსაცმელია!“ შემდეგ მუხლებზე აჩოქებს თავშალშემოხვეულ ავადმყოფს და „ადგილ-დედოუფალსა“ და ადაბნას ცალ-ცალკე მიმართავს: „ნუ მოაკლებ მას შენს წყალობას, მიეცი თავის, გულის, სხეულის სიმტკიცე! მიეცი მას ფერი, ტყავი და ძვალი! დაუბრუნე ლაპარაკისა და შრომის სურვილი, დაიცავი ეშმაკეულისაგან!“ შემდეგ ავადმყოფს თხილის წკნელით თავშალს მოხდის, ზურგზე წვეპლას ურტყამს და ამბობს: „წადი, დღეიდან განთავისუფლებ!“ სახლში მისულები შუაზე გასტეხენ ფეტვის პურს, რომლის ნახევრებს ხელში იჭერს ორი ქალი და კერასთან ერთმანეთის მოპირდაპირედ დგებიან. ავადმყოფი მათ შორის პურს ქვემოთ ორჯერ გაივლის; ამასთან ერთი ქალი ამბობს: მომეცი მე, რომელმაც ებრაელთა რწმენა მივიღე“, მეორე პასუხობს: „მომეცი მე, რომელიც ქრისტიანად მოვიწინათლე!“ უჟმურით დაავადებულთა სამკურნალოდ იდენტური მაგიური საშუალებები გამოყენებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, სვანეთსა და სამეგრელოში საამისოდ თიხისაგან კეთდებოდა კაცის გამოსახულება. იმერეთში ხორბლის ცომისგან აცხობდნენ ადამიანის მსგავს ნამცხვარს, ე.წ. „ზერანს“, რომელსაც ზოგჯერ მიწაში ფლავდნენ, რათა, აფხაზური თოჯინის მსგავსად, თან წაელო ავადმყოფობა (გიორგიძე 1888).

უნდა აღინიშნოს, რომ უჟმურს შელოცვითაც მკურნალობდნენ:

1. „სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდთა,/ლოცვა უჟმურისა, თავლუჩინარისა,/უჟმურო გამოდი, გამოემურე, შორსა წადი,/სადაც არ იყურებოდეს ძაღლის ყევა, კაცისა უჭუი (კიჟინა), მამლისა ყივილი,/იქ გასუმენ, იქ გაჭუმენ, იქ გაპატიებენ,/გამოდი

უქმურო, გამოეშურე,/თუ არა, აგჭრი, დაგჭრი, ანითა, მანითა, შავტარიანი დანითა, გრძელტარიანი წალდითა,/გაგიტან ცხრა მთას იქით, ჩაგყრი რვალისა (ბრინჯაოსა) ქლთანში,/გადუღებ და გაფოფინებ, გაგადნობ წყალსაებ, გაგაქრობ ქარსაებ”;

2. „ეგერ მუა შავი კაცი, მისი ჯარითა, მისი შავი ურმითა, მისი შავი კბილებითა,/აქ ისმის თეთრი მამლის ყვილი,/იქ წევდეს უქმური, სადაც არ ისმის თეთრი მამლის ყვილი, იქ იყოს მისი ადგილი”;

3. „ეს ალაგი ფასაცია,/ფასაცს გვარი შვენერგია,/მიან, ჯაჭვი, გარეთ ხმალი, ეშმაკისა მათრახია”. შებერვით სამჯერ შეულოცადნენ (უქმური (ავი სული) [http:// www.nplg. gov.ge/wikidict/index.php/](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/)

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ჟამიანობის შესახებ არაერთი ამბავი შემონახული, როცა შიშს დამონებული ადამიანებისაგან განსხვავებით სწული კი არ გაურბის ან ემალება სიკვდილს, არამედ საკუთარი ნებით სახლში ან აკლდამაში იკეტება, ზოგჯერ სიმღერით, ზოგჯერ მღუმარებით - სხვა რომ არ დაავადებულიყო;

ერთ-ერთი ანდრეზი ანატორელთა ტრაგედიის მიზეზად ხატის დაჭედვის მცდელობას თვლის: ანატორი ჟამმა გაწყვიტა, რის ნივთიერ დასტურად ანატორის აკლდამებს უჩვენებენ დღესაც (კიკნაძე 1996: 44).

ანატორს გაღმა იყო ერთი სოფელი, რომელსაც ახლა ძველ ნასოფლარს უწოდებენ. დღეს სახლების ნანგრევებიდაა შემორჩენილი. ამ სოფელში ცხოვრობდა ოქრომჭედელი. მკადრემ გამოაჭედინა ოქროს ლურსმანი და დააღირა ხატს დასაკრავად. ხატს დაეტყო ნალურსმნალი და ძალიან გაუწყრა მკადრეს, მთელს მის გვარსა და მჭედელს. გააჩინა ჟამი და სულ გასწყვიტა ხალხი. ანატორში დღესაც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და მახვეწარი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვს.

„სოფელ ანატორის მაცხოვრებლებმა თავიანთი ქმედებით საქართველო შავი ჭირის ეპიდემიისაგან გადაარჩინეს. როდესაც მთელი სოფელი დაავადდა, სოფლიდან გასვლა თავადვე აკრძალეს, სხვაგან რომ არ გავრცელებულიყო ეპიდემია. სოფლის კომპლექსი ორი თოფიანი კაცი დააყენეს – თუ ვინმე გაპარვას დააპირებდა, მაშინვე ესროლათ. სოფლიდან მოშორებით აკლდამე-

ბი ააგეს და ვინც დაავადებას იგრძნობდა, თავისი ფეხით მიდიოდა, წვებოდა აკლდამაში და სიკვდილს ელოდებოდა. ხევსურებს თოფის სროლის შიში არ ჰქონდათ, მით უმეტეს დაავადებისაგან მომაკვდავებს. ხევსურებმა თვითონ მოიფიქრეს თვითიზოლაციით ქვეყნის გადარჩენა. კომპიდან ერთი თოფიც არ გავარდნილა. ერთსაც არ უცდია გაპარვა. ორი ათასზე მეტი ადამიანიდან სულ 7 გადარჩენილა ცოცხალი.

ანატორის აკლდამებში, აკლდამების შიგნით, კლდეების გასწვრივ მიცვალებულთა დასასვენებლად ორ ან სამ იარუსად ფიქლის თაროებია მოწყობილი. აკლდამის ისრული ფორმის კამარა იატაკის სადგომის ძირს, ჰორიზონტალურ სიბრტყის დონიდან იწყება და წვერწაკვეთილია. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ფიქალით. აკლდამებში დაკრძალული იყო რამდენიმე ათეული ადამიანი. ადრე დაკრძალულთა ძვლები იატაკზე და ქვედა იარუსის თაროების ქვეშ იყო დაგროვილი. აღმოჩნდა ხის ჭურჭელი, სამკაულები, ისრისპირები, მონეტები და სხვა. ერთ დღეს მარტო სამოცი ხმლიანი შესულა, რადგან ჟამისგან მოკლულს არავინ ეკარებოდა დასამარხავად, ეს იქნებოდა დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი, თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ დაღევდა სულს (კიკნაძე 2009: 103-104). როდესაც აკლდამა ავადმყოფებით გაივსებოდა, კარს შიგნიდან ამოლესავდნენ. ეს იყო შთამომავლობის გადარჩენის ინსტიქტი, ზრუნვა იმისათვის რომ ქვეყანა არ ამოწყვეტილიყო.

ეს აკლდამური დაკრძალვის წესი შატილში გვიანობამდე (XX ს-მდე) შემორჩა. ანტორის ჯვარი – შატილის თემის საერთო სალოცავი იყო, რომელიც თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ანტორის ჯვრის შესახებ შემორჩენილია ლეგენდა: ერთ კაცს ჯვრისთვის ისარი უსვრია, ჯვარს თემი დაუსჯია და 60 მამაკაცი ავადმყოფობით მოუკლავს.

ძნელია, იცოდეთ, რომ განწირული ხარ და, ამასთანავე, ზრუნავდე სხვების გადასარჩენად, მიხვიდე საკუთარი ფეხით აკლდამაში, დაწვე და დაელოდო სიკვდილს, მხოლოდ იმისათვის, რომ არ გაავრცელო ჭირი და დაიცვა არა მხოლოდ საკუთარი რჯულის ხალხი, არამედ მთლიანად ხევსურეთი განადგურებისაგან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამიანობისას დაავადების გავრცელების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით მეზობლად მცხოვრებთაც აფრთხილებდნენ, რომ, სანამ ეს სახადი არ გაივლიდა, თავი შეეკავებინათ და შატილს არ გაჰკარებოდნენ, თუ არა ესროდნენ.

მდინარის გაღმა ერთ გუროელ ბიჭს თავისი დასნებოვნებული ძმადნაფიცის სიმღერა ესმის და არ იჯერებს... ველარ ითმენს და ეძახის: ბიჭო, შენა ხარო? - მე ვარო.

- აკი შატილი თითქმის ამოწყდა და თქვენ რა გამღერებთო?

- „სიკვდილს ვაშინებთო“!

გუროელი აღვარებულ ხევში ისე შევარდება და გადავა მეორე მხარეს სიხარულისგან, არც დაფიქრდება.

- არ მომეკაროო! - ყვირის მთელს ხეულზე გამოფენილი გამონაყართ სნებოვანი შატილიონი ახალგაზრდა, - მე ავად ვარო!

- ძმაო, ცოცხალს გხედავ და შენი სენი მე ვერ მომერევაო და გადაუღელავს პერანგს და სათითაოდ დაუკოცნის „აყვავებულ გულ-მკერდს“... ორივე ძალიან დიდხანს იცოცხლებს.

ზღაპარს, კეთილად დამთავრებულ ზღაპარს ჰგავს ამ ძმადნაფიცების ამბავი... ნეტა ყველა შემთხვევა ასე კეთილად დამთავრებულიყო, მაგრამ...(თათარაიძე 2020)

ის, რაც ადამიანში ადამიანურია, არის მორალი, სინდისი, შინაგანი რაღაც გონიერი ხმა, რომელიც აწესრიგებს ადამიანს, მის გარშემო სოციუმსა და სამყაროს: „გადაირჩინე საკუთარი თავი და შენ გარშემო გადარჩებიან მრავალნი“. ადამიანის ყოველ ქმედებას საფუძვლად უდევს მორალი და განსაზღვრავს მის ხასიათს საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებთან მიმართებაში.

დამოწმებანი:

გიორგიძე 1981: გიორგიძე პ. *ავხაზეთი და ავხაზნი*. ივერია, 1888. N183.

ვაჟა-შაველა 1892: ვაჟა-ფშაველა. *ფიქრები ხოლერის გამო*. 1892. <https://tagiweb.wordpress.com/2012/05/26/fiqrebi-1892/>;

თათარაიძე 2020: თათარაიძე ე. „სიკვდილ-დამცინავი“ *საქართველო*. https://mtisambebi.ge/wandering/read/item/1179-%E2%80%99Esikvdildamzinavi%E2%80%99Csqaqartvelo?fb_comment_id=3242273279172807_4208508692549256

კიკნაძე 1996: კიკნაძე ზ. *ქართული მითოლოგია*, I. ქუთაისი: „ჯვარი და საყმო“, 1996.

კიკნაძე 2009: კიკნაძე ზ. *ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. N103. ანატორის საყმო გვ. 103-104.

მარუშკო 1894: Марушко М. „Из области народной фантазии и быта“. *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. XVIII, Тф.: 1894.

მინდაძე 1981: მინდაძე ნ. *ქართული ხალხური მედიცინა*. თბილისი: 1981.

სახოკია 1956: სახოკია თ. *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი: 1956.

უქმური (ავი სული): უქმური (ავი სული). [http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A3%E1%83%9F%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_\(%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98\)](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A3%E1%83%9F%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_(%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98))

ფიფია 1988: ფიფია ლ. „მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან („ნაჟამა“)“. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*. III. თბილისი: 1988.

ჯანაშვილი 1894: Джанашвили М. „Абхазия и абхазцы (этнографический очерк)“. *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества*, т. XVI. Тф., 1894.

Ketevan Elashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The idea of the Black Death in the Fiction

Summary

Georgian literature has one unusual feature – it reserves the right of artistic silence in relation to the fatal disease.

Edgar Allan Poe’s “Red Mask of Death” is just such a fierce pandemic illustration, but with a very mystical character.

It evokes a shocking feeling of excruciating emotion – the “red death march to the country”, from which any attempt to divert itself is in vain.

The “horror chain” is created with a virtual gradation of colors, where the symbolic collision of different, irrelevant tones in the “pandemic labyrinth” will lock the reader and find him in the face of the “red death”.

Key words: Pandemic, Edgar Allan Poe, Red death, Colors.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქამიანობის მხატვრული საზრისი

„ჩემი ცხოვრება ახირებაა, ვნებაა,
წყურვილია მარტოსულობის –
სიძულვილი, მიუღებლობა აწმყოსი
და მხოლოდ მგზნებარე მოლოდინია მომავლის...“
ედგარ პო

ქართულ მწერლობას ერთი უჩვეულობა ახასიათებს „ფატალური სენის“ მიმართ (იგულისხმება პანდემია)* – მხატვრული დუმილის უფლებას იტოვებს. ამას თავისი საინტერესო ახსნა ეძებნება; სავარაუდოდ, ადამის მოდემის ეს „ბედისმდევარი“ არხსენების მიღმა უნდა დარჩენილიყო, რადგან ჩვენსავით მცირე ერს შიშისა თუ სასოწარკვეთის უფლება არ ჰქონდა. ეს ტენდენცია აისახა კიდევ მხატვრულ აზროვნებაში. ამიტომაცაა გაკვრით ნახსენები ქოლერის ეპიდემია XIX საუკუნეში. გამონაკლისია, მხოლოდ ვაჟა-ფშაველა, რომელიც 1892 წელს დაწერილ მოთხრობაში – „ხოლერამ მიშველა“ (ბერუას ნაამბობი) ბუნების უმთავრეს კანონზომიერებას გვახსენებს – აპოკალიფსური ცნობიერების ქამს, ცხოვრება შეიძლება სრულიად ახალი ფურცლებიდან დაიწყოს.

ამ თემატიკით, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, საკმაოდ მრავლისმთქმელია ცხოვრების თვითდინებაზე

* მათალია, „პანდემია“ XX საუკუნის სახელდებაა, მაგრამ თავისი არსით ისეთივე უძველესია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია (ქ.ე.).

აღმოცენებული ქართული ფოლკლორი. ასევე მრავალ კითხვას ბადებს პანდემიის ქართული შესატყვისი – ჟამიანობა, რომელიც თავისი არსით მრავალშრიანია; ის ერთგვარად უკურნებელ სენტა ტაბუირებული განზოგადებაა, ადამიანთა ნებისაგან ასხლეტილი დროა, დამზაფრავი რეალობაა ერთ ჟამად „შეკრული“, რომელიც ბედისწერისეული შეუცნობლობით გვატყდება თავს.

ჩვენს ეთნოცნობიერებას სრულიად ემიჯნება პანდემიის აღქმა მსოფლიო მწერლობაში. ამიტომაა, რომ არაერთი ლიტერატურული შედეგრი შეიქმნა ამ ეპოქალური განსაცდელისაგან თავის დასაღწევად თუ სულის მოსათქმელად. ედგარ პოს „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ სწორედ ამგვარი მძაფრი პანდემიური ილუსტრაციაა,^{*} – ოღონდ, ფრიად მისტიკური სახისმეტყველებით. აქ დამზაფრავი ემოციის შემადრწუნებელ განცდას ბადებს – „ქვეყნად წითელი სიკვდილის შემმუსრავი ბოგინი“... (პო 1982: 95), რომლისგანაც თავის განრიდების ყოველგვარი მცდელობა ამაოა. „თავზარდაცემი ჩიხი“ ფერთა ვირტუალური გრადაციით იქმნება, სადაც განსხვავებულ, შეუსაბამო ტონალობათა შეჯახება „პანდემიურ ლაბირინთში“^{**} აღმოაჩენს მკითხველს... სამწუხაროდ, ედგარ პოსათვისაც ცხოვრება მეტნაკლებად ამგვარი ლაბირინთი იყო. რადგან ეს სამყარო მისთვის ადრეული ბავშვობიდან იქცა პირქუშად მდუმარე. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მან შეგრძნებათა თუ ასოციაციათა დონეზე, უბადლო მისტიკური ინტუიციით, ცხოვრების „ეზოთერიკული ბილიკი“ თავად შეიგნო და მხოლოდ ამ გზით იწყო სვლა. „სინამდვილეში ედგარ პო ხშირად იყო ირეალურის იმ ზღვარზე, საიდანაც შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითი ხედვით დაფიქსირდეს ყოველდღიურ სიმშვიდეში დაგმანული დრამები და გაუსაძლისი – შენიღბული ტანჯვა“ (ზვერევი 1983: 26).

ამგვარივე ტენდენციებით „კითხულობდა“ ის საკუთარ ცხოვრებასაც და „ასე შეიძლება ითქვას: პო სიცოცხლეს შემოქმედე-

* 1882 წელს ბალტიმორში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა, რაც აისახა კიდევ მის მოთხრობებში: „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ და „მეფე ჟამი“, რომელთაც აერთიანებს ჟამიანობის მისტიკური განსახოვნება.

** „მსოფლიომ ჟამიანობის იმდენი შემთხვევა იცის, რამდენი ომიც გადახდენია. მაგრამ შავი ჭირიცა და ომებიც მოულოდნელად აცხრება თავს ადამიანებს“ (კამიუ 1988: 34).

ბას სწირავდა მსხვერპლად. მან მოკვდავის ხვედრი სიკვდილს-შემდგომ მომავალს ანაცვალა... მან სიკვდილისა და შეშლილო-ბების სიმბოლოებით ისარგებლა, რათა სიცოხლისადმი თავისი შიში გადმოეცა; იგი აუცილებლად მიიჩნევდა, წიგნებში სიცოცხლის მშვენიერება დაეხატა, რათა კიდევ უფრო გაესვა ხაზი იმ საშინელებისათვის (სიკვდილისა და შიშისთვის), რომელიც ანგრევდა ამ სიცოცხლეს. სიმბოლოები ამსუბუქებდნენ მის გრძნობას; საბრალო პოსთვის თავად არსებობის ფაქტი იყო საშინელება“ (ბორხესი 2001: 29). ბორხესისეული „საშინელებათა ჯაჭვი“ კიდევ უფრო გამძაფრდება თუ ამ აზრთა დინებას სიღრმისეულად მივყვებით, რადგან „წითელი სიკვდილის ნიღაბში“ „მხატვრული სპირიტუალის“ ნიშნებიც გამოიკვეთება. აქ, ჩვენდა უნებურად დამზაფრავ რეალობაში აღმოვჩნდებით, რომლისგანაც თავის დასაღწევად არ კმარა მარტოოდენ „შეუვალ მონასტერში გამოკეტვა...“ (პო 1982: 95), არამედ დაუვიწყარი მასკარადის მოწყობაცაა საჭირო. არადა, ამ ხელოვნურმა სპექტაკლმა არათუ ვერ ჩააცხრო სიკვდილის ავისმომასწავებელი შიში, პირიქით, მთელი ძალით გაამძაფრა და ერთგვარ სამიზნედ აქცია ნიღბებს“ მიღმა მიმალული ადამიანები. ამ შემთხვევაში ქრესტომათიული ნიღაბი აფართოებს თავის მხატვრულ დიაპაზონს და გვევლინება, როგორც ილუზორული უხედველობის ამბივალენტური სიმბოლო. მაგრამ მისტიკური პულსაციისთვის ეს არ კმარა და ამიტომაც „შავი ხის საათი“^{***} იწყებს თავზარდამცემ ბგერათა გამოცე-

* ედგარ პოსთან სიკვდილის ყოვლისმომცველი დიაპაზონია – „მიხედნენ, წითელი სიკვდილი ყოფილიყო თურმე. ბნელი ღამის ქურდივით შემოპარული აქ. ერთიმორეს მიყოლებით ეცემოდნენ მოსიერენი, სისხლის ღვარი დადგა სამხიარულო პალატებში. და ყოველს იქ დაელია სული, სადაც დაცემულიყო. უკანასკნელ მოქვიფესთან ერთად შავი ხის საათიც გაეყარა სიცოცხლეს. დაიშრიტა სინათლე. ყველგან გამეფდა სიბნელე, ხრწნილება და წითელი სიკვდილი“ (პო 1982: 100).

** ნიღბის სახისმეტყველება თავისი არსით მისტიკურია; „ნიღაბს ფანტასტიკური და ჯადოსნური შესაძლებლობა აქვს – ნიღაბამოფარებული ადამიანი სხვა პერსონაჟად გარდაისახება და თავს უფლებას ამღვეს მოიქცეს ისე, როგორც არასდროს არ მოიქცეოდა უნიღბოდ“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 8).

*** საათი თავისი სიმბოლური ბიოგრაფიით სიკვდილის „ზნეს“ ერთგვარად ითავისებს... (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 23-24).

მას, რომელიც უხედველ შავ დარბაზში ერთგვარ ჟამისწერად გარდაისახება. კედლის საათის ისართმეტყველების საბედისწერო ექომ ედგან პო სიკვდილის უძველეს განსხეულებასთან – სისხლისფერთან დააბრუნა, რადგამ ამ ტონალობაში გაცილებით უკეთ იკვეთება სიცოცხლის ჩახშობის დინამიკა. თუმცა წითელი ფერის სიმბოლურ ბიოგრაფიაში (რადა თქმა უნდა – შესატყვისი ტონალობის გათვალისწინებით...) ცხოველმყოფელობის ჯანსაღი ამოფრქვევაც ხდება. საერთოდ, ფერდაფერ^{*} გაცილებით მძაფრად აღიქმება მთელი სამყარო, მით უფრო თუ მათ იდუმალებით მივანიჭებთ სიღრმეს, როგორც ამას ჩადის ედგარ პო. მაშინ ფერი, როგორც კალაპოტში მოქცეული წყლის ნაკადი, სრულიად განსხვავებულ იმპულსს იძენს. სიტყვად ქცეული მთლიანად იპყრობს მხატვრულ დიაპაზონს და მას გაცილებით სახიერს ხდის. ამგვარ „ფერს“ აქვს თავისი „ხმა“, „მიმართულება“, „სურნელი“ და თქვენ წარმოიდგინეთ – „სუნთქვაც“ კი. ასეთ კვალს ტოვებს სწორედ „წითელი სიკვდილი“, რომლის ილუზორული ნიღაბიც ვერ აფერმკრთალებს „სიკვდილის შემზარავ ზნეს“,^{**} რაც მარადიულ თანმდევად ექცა ედგარ პოს. ის ჯერ კიდევ უხსოვარ ბავშვობაში შეიჭრა მის ცხოვრებაში – „გააქრო“ დედა და „წაშალა“ მესხიერებიდან. წითელი ფერის მისაკუთრებაში სიკვდილი ამბივალენტურია; ქრესტომათიული წითელი ფერი სისხლისფერში განშტოვდება – ესაა ახლადამომსკდარი, ნედლი სისხლის ფერი თუ მძიმე, ბლანტი, შედედებული. ისინი არა მარტო ფერთან გრადაციით არ შეესიტყვებიან ერთმანეთს, არამედ სიკვდილის კლასიფიკაციითაც. მაგრამ „წითელმა სიკვდილმა“ თავისი განაჩენი სისრულეში რომ მოიყვანოს, საჭიროა ფერდაფერ შეივსოს და ისე გადაადგილდეს შვიდივე პალატაში – დარბაზში. ფაქტობრივად, ეს სიმბოლური

* ფერთამეტყველების გარეშე ჩვენს სამყარო სრულიად პირქუში იქნებოდა. ფერთა სიმბოლიკა – (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 77-88).

** თუმცადა არსებობს პრეისტორიული შრეც: სიკვდილის მისტიკური შიში აქ იმდენად თავზარდამცემია, რომ მიცვალებულს, რომელიც ყოველგვარი სიმბოლოების გარეშე თავად განასახიერებს ამ სიკვდილს, ყოველი შემთხვევისათვის, მკერდს შუბით უპობენ, თავის ქალაში ლურსმნებს არჭობენ. ცხედარს საგულდაგულოდ კოჭავენ, ხოლო საფლავს ან ქვებით ავსებენ, ან უზარმაზარი ლოდებით გმანავენ... (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 55).

საფეხურებია, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავად ფერთა რიგითობა და მათი არსობრივი შეჯერება ერთმანეთთან.

პირველი დარბაზი ქართულ თარგმანში ცისფერია, არადა ორიგინალში კლასიკური ლურჯია. სახისმეტყველებითი აღქმით, – სწორედ ლურჯი ფერიდან, „მომხიბლავი არაარსიდან“ უნდა დაიწყოს „წითელმა სიკვდილმა“ ფეხდაფეხ თუ ფერდაფერ სვლა და საბოლოოდ, შავ ფერში უნდა შთაინთქას – „აბსოლუტურ არაარსში“ გაუჩინარდეს... იქამდე კი – ჯერ „მეწამულია“, სადაც იმპულსსა თუ გზნებას იძენს. მაგრამ სიკვდილს უფრო მეტი თავდაჯერებულობა, სიმშვიდე თუ ტრადიციული მიწიერება ესაჭიროება, რაც მხოლოდ „ბალახისფერიდან“ მოედინება. თუმცა, ესეც არ კმარა – სიკვდილი კიდევ უფრო მეტი გამომსახველობით უნდა შეივსოს, რომ წარუშლელი ეფექტი მოახდინოს. ამიტომაც ეწაფება ის „ნარინჯისფერის“ ცეცხლოვან აალებას, თუმცა ამასთანავე – შიშის, შეუცნობლობის სიცარიელის „კვალაც“ უნდა რომ დატოვოს. ეს კი მხოლოდ თეთრი ფერის უსიცოცხლობაშია დაგმანული. მაგრამ სიკვდილის ყველაზე დიდი გამოცანა მაინც მის იდუმალებაშია ჩაძირული, რომელიც „ისფერის“ მისტიკურ ელფერშია საძიებელი. დაბოლოს – სავსებით ლოგიკურად, „შავი ფერის“ შემოსვლა „პანდემიურ ავანსცენაზე“. ის ხომ სრულიად უხვედველია და საზარი, როგორც თავად სიკვდილი.

ფერთა უჩეულო იმპულსსა თუ ვნებათაღელვას ჩაჭიდებული ედგარ პო სიკვდილს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა, რადგან ფერი ავტორისათვის ის „ემოციური აკორდი“ იყო, რომლის აღებითაც ქტონური სამყაროს ავისმომასწავებელ „სუნთქვასაც“ კი შეიგრძნობდა. ოღონდ, ამ „მხატვრული ეზოთერიზმის“ შესაცნობად „სიმბოლოთა ენის“ ვირტუოზული ცოდნა იყო საჭირო.

სწორედ ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა ლამის მთელი XX საუკუნე, რადგან მარტოოდენ რომანტიკულმა სულისკვეთებამ სრულყოფილად მაინც ვერ ჩამოაყალიბა სახისმეტყველებითი ცნობიერება. ამიტომაც იყო, რომ ედგარ პო თავისი ეპოქის მსოფლხედვას ვერ ესადაგებოდა. თუმცა აქვე ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ – ედგარ პოს შემოქმედებითი გზნება სცილდება არა მარტო რომანტიზმის, არამედ ნებისმიერი ლიტერატურული მიმდინარეობის თვალსაწიერს და სრულიად

დამოუკიდებელ მისტიკურ ბმულს ქმნის, უჩვეულობის „ზედა ნიშნულით“.

ეს ტენდენციები მთელი თავისი სიცხადით თავს იყრის სწორედ „წითელი სიკვდილის ნილაბში“, რომელსაც დღეს „პანდემიურ ლაბირინთში“ აღმოჩენილი მსოფლიო საზოგადოება, როგორც თანამედროვე განსაცდელის მეტყველ ნარატივს ისე კითხულობს. რადგან, თავის დროზე, – ედგარ პომ მარტოოდენ ფერთა გამით როდი გახადა „ჟამიანობის სიკვდილი“ სახიერი, არამედ უფრო მეტი გამომსახველობისთვის მას „ნილაბიც“ კი მოარგო.

თუმცაღა, დღევანდელმა რელობამ „როლები“ ერთგვარად შეცვალა და პოსეული „პანდემიური დრამაც“ გადასხვაფერდა; დღეს როგორც „სიკვდილი“, ასევე თავად „პანდემიაც“ კი „უფერო“, „უსუნო“ და „უნილბოა“. სამაგიეროდ, თავად ადამიანებმა „დაკარგეს სახე“ და უკვე მთელი მსოფლიო შეეზარდა „ნილბებს“.

აღბათ, ამგვარი ზეცნობიერებისა თუ ზეხედვის გამო იყო ედგარ პო საკუთარი ეპოქიდან გამევეებული, რადგან მარტოოდენ თავისუფლების ბოხოქარ სტიქიას ემორჩილებიდა.

დამოწმებანი:

აზზიანიძე, ელაშვილი 2012: აზზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2012.

ბოდლერი 1910: Бодлер Ш. Эдгар По. *Жизнь и творчество*. Одесса: 1910.

ბორხესი 2001: ბორხესი ხ. ლ. *ედგარ ალან პო*. ჟურნ. არილი, №4. 2001.

ზვერევი 1983: Зверев А. *Предисловие – Вдохновенная математика Эдгара По*. Сборник. На англ. яз. Сост. Е. К. Нестерова. Москва: издательство „Радуга“, 1983.

კამიუ 1983: კამიუ ა. *შავი ჭირი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.

პო 1982: პო ე. *17 მოთხრობა*. ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილამემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

* თუმცა იმავე XIX საუკუნეშიც არსებობდნენ „რჩეული ავტორები“, რომელთაც ედგარ პოს უჩვეულობაში მისი სიდიადე შეიცნეს. ერთ-ერთი ამგვარი ავტორი იყო სწორედ შარლ ბოდლერი. ბოდლერმა ვირტუოზულად თარგმნა რა ედგარ პოს ნაწარმოებები, ამასთანავე შექმნა „მელანქოლიით დაღდასმული“ მისი ლიტერატურული ბიოგრაფია. Ш. Бодлер. Эдгар По. Жизнь и творчество. Одесса. 1910.

Dodo Chumburidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Institute of History and Ethnology

Social and Political Aspects of Epidemics and Pandemics in the Context of Russian Imperial Policy

Summary

For centuries, Georgia, due to its location of a *geopolitical importance*, used to be devastated not only by armed invaders but also by severe epidemics.

Cholera, smallpox, tuberculosis and other contagious diseases did not spare any class of the population, causing great damage to the development of Georgian literature and culture. Many famous and promising people were killed by these terrible diseases, especially Georgian students who went to study at Russian universities and who would contract tuberculosis and die. During the epidemics, many prominent public figures participating in the national liberation struggles were infected while imprisoned and died in prison.

Key words: S. Dodashvili; M. Kheltuplishvili; Tuberculosis; Russian Empire; Colonial Policy.

დოდო ჭუმბურიძე

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ეპიდემიებისა და პანდემიების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები რუსეთის იმპერიული პოლიტიკის კონტექსტში

მე-19 საუკუნეში, რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში, ეპიდემიებისა და პანდემიების სოციალური და პოლიტიკური ასპექტები იმპერიული პოლიტიკის კონტექსტში გაიაზრებოდა. თუ

მანამდეც, უმძიმესი ეპიდემიებისა და პანდემიების სიტუაციის მართვა უძნელესი იყო და უდიდესი ზიანი მოჰქონდა ქვეყნისთვის, ანტირუსული აჯანყებებისა და რუსეთთან ნამდვილი ომის ვითარებაში ეს კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა და ხშირად არა მარტო ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებას აფერხებდა, არამედ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასაც უქმნიდა საფრთხეს.

საარქივო ცნობების მიხედვით, ეპიდემიები განსაკუთრებით დიდი აჯანყებებისა და აღმოსავლური ომების დროს ვრცელდებოდა. ამ მოვლენამ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ხოლო იმერეთის სამეფოში მცხოვრებთა თითქმის ნახევარი შეიწირა. ამას ყვავილიც დაერთო. მე-19 საუკუნის დასაწყისში (1811 წლის გაზაფხულზე) აღმოსავლეთ საქართველოში „შავი ჭირის“ ეპიდემიის გავრცელებას აღწერს ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებებში (XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები 2009: 39).

სწორედ ამ დროს, სპარსეთთან და ოსმალეთთან ერთდროულად მიმდინარე ომებისა და, ასევე, უკიდურესად დამძიმებული სოციალური ვითარების ფონზე მწიფდებოდა დიდი აჯანყება რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ კახეთში. კახეთის აჯანყების პერიოდში (1812-1813) რუსული ხელისუფლების მხრიდან აჯანყებულთა უმკაცრეს სადამსჯელო ოპერაციებს მწვავე ეპიდემიოლოგიური ვითარებაც დაემატა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ვაქცინაცია მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო (პირველად, 1772 წელს პირადად ერეკლე მეფემ გასცა აცრის ბრძანება და იულონ ბატონიშვილი აცრა, რათა მოსახლეობას ერწმუნა, რომ ეს პროცესი საშიში არ იყო), ვაქცინაციის ფართოდ გავრცელებას საუკუნე დასჭირდა და მე-19 საუკუნის ბოლომდე აქტიური პროცესი არ ყოფილა, რაც ეპიდემიების მსხვერპლს ზრდიდა.

ქოლერა, ყვავილი, ჭლექი და სხვა გადამდები სენი არა მარტო მოსახლეობის დაბალ ფენებს, არამედ საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილსაც არ ინდობდა, დიდ ზიანს აყენებდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებას.

ბევრი ცნობილი და პერსპექტიული ადამიანი შეეწირა ამ საშინელ დაავადებებს. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთის უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ჭლექით, ან სხვა სენით ავადდებოდნენ და ლეტალურად ამთავრებდნენ სიცოცხლეს.

ცარიზმი პანდემია-ეპიდემიებს იყენებდა იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერები იყვნენ და საქართველოში რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარების ხელისშემშლელ საფრთხეს წარმოადგენდნენ. ამის დასადასტურებლად ბევრი მაგალითია საქართველოს ახალ ისტორიაში. ჩვენ მე-19 საუკუნის ორ თვალსაჩინო მაგალითს მოვიტანთ, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ გამოიყენა ჭლექის სასიკვდილო დაავადება იმპერიულმა რეჟიმმა, რათა დაესაჯა ორი ყველაზე პერსპექტიული ნიჭისა და შესაძლებლობის ახალგაზრდა ქართველი მოღვაწე და მათ მიმართ სასიკვდილო განაჩენი ისე გამოეტანა, ყველაფერი ტუბერკულოზს დაბრალებოდა და არა სახელმწიფო პოლიტიკას. ეს ადამიანები არიან საუკუნის დასაწყისში მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და საუკუნის ბოლოს სამოღვაწეო ასპარეზზე ახლად გამოსული, უნიჭიერესი ქართველი სწავლული – მიხეილ ხელთუფლიშვილი. პირველი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, მეორე 26-ის, ორივე ჭლექით, სინამდვილეში კი, იმპერიული სადამსჯელო იარაღით, რომელსაც ხელისუფლება ჭლექით ნიღბავდა. ორივე მოღვაწეს დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე, ერთს, სოლომონ დოდაშვილს, 60-იანელთა წინამორბედად და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამწყებად თვლიდა, მეორეს კი, მიშა ხელთუფლიშვილს, მის თანამედროვეს, გამორჩეულად ნიჭიერ ადამიანს უწოდებდა და პერსპექტივაში მის მომავალ მოღვაწეობას ბევრ დიდ სამამულო საქმეს უკავშირებდა.

სოლომონ დოდაშვილი, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1820-იან წლებში, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ რამდენიმე უშედეგო გაბრძოლების შემდეგ, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აშკარად გამოიკვეთა რუსიფიკაციასთან თანდათანობით შერიგების უაღრესად საშიში, – არსებითად საქართველოსა და ქართველების დამღუპველი, – სიმპტომები. ამასთანავე, საქარ-

თველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ირან-ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები, რაც, თავის მხრივ, უმძიმეს პირობებს უქმნიდა ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას და ისტორიული მიწა-წყლის შენარჩუნების საქმეს.

ამ მძიმე ისტორიული რეალობის ფონზე მკაფიოდ და რელიეფურად ჩანს სოლომონ დოდაშვილის, – ჭეშმარიტად დიდი ეროვნული მოღვაწის, – წარუვალი მნიშვნელობის წვლილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

სოლომონ დოდაშვილის ღვაწლი მრავალმხრივობით ილიასეულ მოდელს ჰგავს: იყო პედაგოგი, ჟურნალისტი, რედაქტორობდა „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართულ ლიტერატურულ დამატებას, რომელიც პირდაპირ პოლიტიკურ იარაღად აქცია, იყო სამეცნიერო, ლიტერატურული და ისტორიული შრომების ავტორი, სიძველეთა შემკრები, ქართული ფილოსოფიური სკოლის ამალორმინებელი (შალვა ნუცუბიძემ მას მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში საპატიო ადგილი მიუჩინა), თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწედაც კი იმუშავა, ფიქრობდა დუქნებისა და სავაჭროების გახსნაზეც, საიდანაც მიღებულ სარგებელს მოახმარდა ლიტერატურული წრეებისა და საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებას, ეხმარებოდა ქართულ თეატრალურ ჯგუფს და ა. შ.

სოლომონ დოდაშვილის პირველი და მის სიცოცხლეში ერთადერთი გამოქვეყნებული ფილოსოფიური ნაშრომია „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“. იგი გამოიცა პეტერბურგში, 1827 წელს, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. გამოქვეყნდა რეცენზიები, „მოსკოვსკი ტელეგრაფში“, „მოსკოვსკი ვესტნიკში“, „სევერნაია პჩელაში“. რეცენზიები ერთხმად უწოდებდნენ წიგნს „შესანიშნავ თხზულებას“, „უდიდეს სიახლეს“, „ახალ მოვლენას რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში“, ხოლო აღფრთოვანებული იოანე ხელაშვილი ამაყად აცხადებდა: „უწყოდეს ევროპამ, რომ ძველისძველი ნათესავი ჩვენში ჰვხიზლობს და გაჰყურებს წინ!“

შეთავაზების მიუხედავად, დოდაშვილმა უარი თქვა რუსეთის უნივერსიტეტებში მუშაობაზე, 1827 წლის ივლისში, ევროპულად

განსწავლული და რუსეთის სამეცნიერო და პედაგოგიურ წრე-
ებში ცნობილი, 22 წლის მოღვაწე სამშობლოში დაბრუნდა...

და რა ხდება ამ დროის საქართველოში? მიმდინარეობს ქვეყ-
ნის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების რუსიფიკაცია.
ანტირუსული აჯანყებების შედეგები გამაჩანაგებელია: აჯანყე-
ბის ლიდერებს კლავენ ან სამუდამოდ დევნიან სამშობლოდან,
მცირე ურჩობაზე ადამიანებს ციმბირში ასახლებენ. კულტურუ-
ლი ელიტა რუსეთშია გადასახლებული და მათი სიტყვა სამშობ-
ლომდე ვეღარ აღწევს, ქართული კულტურა ნადგურდება, საქარ-
თველოს ეკონომიკა იმპერიულ -კოლონიური ძარცვის საგანია,
მმართველობის სისტემა მთლიანად რუსეთის ხელშია, მიმდინა-
რეობს ერის ასიმილაცია და დემოგრაფიული ექსპანსია.

გარდა იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა დოდაშვილი იმპე-
რიის მასშტაბით ცნობილი სწავლულია, სამშობლოში სახელგან-
თქმული პედაგოგია და ეროვნულ სულისკვეთებას უნერგავს
პირველი ქართული გიმნაზიის მოწაფეებს, რომელთა შორის
ნიკოლოზ ბარათაშვილიცაა, სხვა უამრავი მიმართულებითაც მუ-
შაობს, რათა დაეხმაროს მშობლიურ კულტურას, ხალხს. დოდაშ-
ვილმა პირველმა წამოაყენა შემდგომში ილიასეული „საერთო
ნიადაგის“ თეორია. სოლომონ დოდაშვილისთვის ეროვნული,
სოციალური და ზოგადადამიანური თავისუფლების იდეების
პრაქტიკული ხორცმესხმის უმთავრესი საშუალება განათლება
და მეცნიერებაა. აქაც იგი „თერგდალეულთა“ საგანმანათლებლო
პროგრამის წინამორბედად გვევლინება.

გვიანი შუასაუკუნეების წყვდიადის შემდეგ, სოლომონ დო-
დაშვილი იყო საქართველოში ევროპეიზმის ყველაზე მხურვალე
პროპაგანდისტი და დამამკვიდრებელი. რუსეთის მონარქიამ,
საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შე-
მოტანილი კულტურა გადააქცია, რაც მას, თავის მხრივ, ხელ-
საყრელ ვითარებას შეუქმნი და ჩვენში ასიმილატორული პოლი-
ტიკის განხორციელებისათვის. ამდენად, საქართველოს სწრაფ-
ვა ევროპისაკენ, პეტერბურგსა და მოსკოვს არ გასცილებია. ასეთ
პირობებში სოლომონ დოდაშვილის მცდელობა, ეზიარებინა
ქართველობა უშუალოდ ევროპულ აზროვნებას და ცივილიზა-
ციას, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა მას ხელი, ყველგან საბოლოო მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის დაკავშირებას ევროპულ აზროვნებასა და ცივილიზაციასთან – ქადაგებდა ქართული ენის განვითარების აუცილებლობაზე და ხალხში განათლების გავრცელებას „მოახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“. ხაზს უსვამდა ძველი ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების შესწავლის აუცილებლობას, „რომელიცა აქამომდე წყვედიდასა შინა სიბნელისასა დაფარული იყო მხედველობათა განათლებულის ევროპისათა“, ხარკოვის უნივერსიტეტის მზრუნველს შემწეობას სთხოვდა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის წინ წაწევაში და ა.შ. (დოდაშვილი 1965: 264).

1830 წელს სილომონ დოდაშვილი წერს სახელმძღვანელოს გიმნაზიელთათვის. რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილებიდან მიღებული ეროვნული ბრძოლის მუხტი და საქართველოში შექმნილი ვითარება დიდი ნიჭისა და ენერჯის მქონე ჭაბუკს არ ასვენებდა. გულმოკლული წერდა თავის მოძღვარს, იონა ხელაშვილს: „ვერცა ერთსა ვიხილავ თანამემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას ცდილობენ დღიურად... არ არის მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება... არ არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტერობა... არა მოყვარენი არიან შრომის, უკანონოდა და უწესოდ და ფრიად შერყვნილად მდგომარეობენ... რაი ვყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია არა რაი ღონე და საშუალება“. ხოლო სხვა წერილში იმავე, იოანე ხელაშვილს წერს: გუშინ „ჟამსა განთიადისასა“ თბილისში მიწა ისე ძლიერ იძრა, რომ ყველა გააღვიძა და ლოგინიდან წამოყარა, მაგრამ „გაღვიძება ესე“ მხოლოდ ფიზიკური იყო. სულიერად ქართველებს ისე ღრმად სძინავთ, რომ ვშიშობ, მათ ვერანაირი მიწისძვრა ვერ გამოაღვიძებსო. მაგრამ, საბედნიეროდ, სოლომონ დოდაშვილმა მოძებნა „ღონე და საშუალება გაღვიძებისთვის ქართველთა“ (გოზალიშვილი 1935: 96).

დოდაშვილი ხვდებოდა, რომ საქირო იყო თავგანწირული შრომა და ბრძოლა, ბრძოლა ქართველთა გამოფხიზლებისათვის. ამ დღიდან დაპატიმრებამდე, – ციხეებამდე და გადასახლებამდე, – მან შეუძლებელი შეძლო – მოახერხა ჯერ კიდევ შემორჩენილი, მაგრამ გაბნეული ინტელექტუალური ძალების შემოკრება, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამით ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვივება და ამოძრავება. ეს ყოველივე საუკეთესოდ უწყოდა თბილისში 1831 წელს დაარსებულმა იმპერიულმა სადაზვერვო ორგანიზაციამ. საქმე ის არის, რომ 1831 წლის 23 მაისს გენერალმა ივანე პასკევიჩმა მიმართა გენერალ-ადიუტანტ ბენკენდორფს, კავკასიაში, მის ცენტრში – თბილისში, საიდუმლო პოლიციის შექმნის პროექტით, რომელიც იმპერატორმა მოიწონა და დაამტკიცა ამავე წლის 7 ივლისს. 29 პარაგრაფისაგან შემდგარი დოკუმენტის პირველივე თავში ეწერა, რომ „საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობაში, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში რუსული იარაღის ძალით იქნენ დამორჩილებულნი, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არასწორი აზროვნების შედეგად, რუსებს ისე კი არ იყურებენ, როგორც მფარველებს, არამედ როგორც დამპყრობლებს და ამიტომ რუსული მთავრობის მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან“. ასეთი ვითარების გამო პროექტის ავტორი იმპერატორს სთავაზობდა მრავალ სადაზვერვო საიდუმლო ღონისძიებას, რომლებიც ხელისუფლებას თავიდან ააცილებდა შეთქმულებებს და შფოთს (აქტები VII (ბ), 1878: 343-345).

ყველაფერ ამის გამო, სოლომონ დოდაშვილს მისი მომდევნო თაობის ქართველი მოღვაწენი 60-იანელთა წინამორბედს (სინ 1973: 939), ან „ილიამდელ ილიას უწოდებდნენ“ (ჩხეიძე, 2016,6). ის ისევე გამორჩეულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ილია ჭავჭავაძე ამ საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომ იყო, რომ იმპერიულმა ხელისუფლებამ ისინი არ დაინდო: ილია მიგზავნილი მკვლელის ხელით მოიშორა (მანამდე იგივე ბედი დიმიტრი ყიფიანს ეწია), დოდაშვილი კი რუსეთის სასტიკ ჩრდილოეთში გადასახლებული ჭლექს მოაკვლევინა.

ვიატკაში გადასახლებულმა დოდაშვილმა, რომელსაც ეს სენი კიდევ უფრო გაუმძაფრდა და სასიკვდილოდ შეუტია, ორჯერ თხოვა იმპერატორს სამხრეთის რომელიმე გუბერნიაში გადაყვანა, ამაში მას რუსი მოხელეებიც კი დაეხმარენ, დაინახეს რა მისი განსწავლულობა და კეთილშობილება (ვიატკის გუბერნატორი კირილ ტიუფიაევი და სხვ.), მაგრამ უარი მიიღო, რადგან სამშობლოში მისი ცოცხლად დაბრუნება არ შედიოდა იმპერიული ხელისუფლების ინტერესში (ჭუმბურიძე 2017: 475). პეტერბურგში შეძრწუნებული და მუხლებზე დაცემული იონა ხელაშვილი მის გამო მოსთქვდა და ჰგოდებდა: „ვჰსტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს... ვჰსტირ და ვგლოვობ დღეთა და ღამეთა შინა... განვილიენით, განვილიენით.“

ასეთი ადამიანების მოშორებით დამპყრობელი სწორედ ქართველი ერის „განღვევას“ ცდილობდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა ლიდერი – მიხეილ ხელთუფლიშვილი, რეჟიმის მსახურებმა ასევე სასტიკად მოკლეს, ჭლეკით მიძიმედ დაავადებული ჩასვეს ციხეში, დარწმუნებულბემა, რომ ის მალევე დაიღუპებოდა.

მიხეილ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი, 1869 წელს დაიბადა, ქუთაისში, გამოჩენილ ოჯახში, იყო იმ დროის ორი დიდი მოღვაწის – ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ზდანოვიჩის დეიდაშვილი, მისი დები ევროპაში სწავლამიღებული პირველი ფემინისტი ქალები იყვნენ, ერთი მძა დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე იყო, მეორე – იმ დროისთვის ცნობილი ინჟინერი. ხელთუფლიშვილმა წარჩინებით დაამთავრა კლასიკური გიმნაზია და სახელმწიფო სტიპენდიით მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 21 წლის ასაკში, სადიპლომო ნაშრომად დაწერილმა მისმა გამოკვლევამ – „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“, იმთავითვე მიიქცია ცნობილი იურისტი პედაგოგების ყურადღება და მათი რეკომენდაციით ის მოსკოვის იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნდა (იურიდიული ბიულეტენი 1891: 7-8). ამ ნაშრომს პირველი დიდი შეფასება ივანე ჯავახიშვილმა მისცა

1919 წელს გამოცემულ წიგნში – „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ (ჯავახიშვილი 1919: 6).

მოსკოვში სწავლისას ხელთუფლიშვილი მონაწილეობდა სტუდენტური ორგანიზაციის – „თავისუფლების ლიგის“ ჩამოყალიბებაში. ლიგაში მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა იყო ჩართული, ორგანიზაციის პროგრამით კი, რომლის დაწერაშიც ის მონაწილეობდა, „თავისუფლების ლიგას“ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის განთავისუფლების მიზანი ჰქონდა. ჭლეტით დაავადებული მიხეილი ქუთაისში დროებით დაბრუნდა, უხელმძღვანელა ქუთაისსა და თბილისში გამართულ სტუდენტური ლიგის ყრილობებს, რომლის თავმჯდომარედაც ის პირველივე ყრილობაზე აირჩიეს. არჩეული იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატადაც. თანამშრომლობდა „ივერიაში“, დაწერა კრიტიკული სტატია „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ, რამაც ილიას მოწონება დაიმსახურა. ილიას იმდენად ჰკვიანურად მოსჩვენებია ახალგაზრდა სტუდენტის შენიშვნები, რომ ხელი შეუშლია „ივერიის“ თანამშრომლების – გიორგი ლასხიშვილისა და რედაქციის გამგის – დავით ერისთავის გადაწყვეტილებისათვის – სტატიიდან კრიტიკული ნაწილის ამოღებაზე.

1894 წლის 27 ენკენისთვის (სექტემბერი) სასამართლოს დადგენილებით, ხელთუფლიშვილიც, სხვა „ლიგელებთან“ ერთად გაასამართლეს, იანვარში კი დააპატიმრეს. მძიმე ავადმყოფმა, ცივ იატაკსა და ციხის პირობებს სამ თვესაც ვერ გაუძლო. გარდაიცვალა საპატიმროში, 1895 წლის 23 აპრილს. დაკრძალეს 27 აპრილს, ქუთაისში. მის დაკრძალვას უამრავი ადამიანი დასწრებია და მრავალი წარწერიანი გვირგვინი მიუტანიათ, სადაც ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი კაცის დაღუპვის, სამშობლოს სამსახურში მისი გეგმების განუხორციელებლობის გამო, ამდროინდელი პრესის მიხედვით, დიდი სინანული ყოფილა გამოთქმული.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, რომელიც „ლალის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა და რომელიც ცნობილ მოღვაწეს გიორგი ლასხიშვილს ეკუთვნოდა, ეწერა: „ხვალ დაჰკრძალავენ ქუთაისში ახლად გარდაცვალებულს ახალგაზრდა ქართველს მიხეილ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილს. დასავლეთ საქართველოში

ძნელად მოიძებნება შეგნებული ქართველი, რომელმაც არ იცოდეს, ან რომელსაც არ გაეგონოს – ვინ არის განსვენებული მიხეილი. განათლებული ქართველი ახლგაზრდობა ხომ კარგად იცნობდა თავის ძვირფასს მეგობარს და ძმას მიხეილს. ამ ახალგაზრდობამ იცოდა, თუ რა დიდი ნიჭის პატრონი იყო მიხეილი. ჯერ გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში განსვენებულის ნიჭი აკვირვებდა როგორც მის ამხანაგ-მეგობრებს, ისე მასწავლებელთა და ყველა გარეშეს, რომელთაც შემთხვევა მისცემდა მის გაცნობას. საუცხოო ნიჭით და ამასთანავე შრომისმოყვარეობით განსვენებულმა განსხვავებული ყურადღება დაიმსახურა. ამ თვისებათა შემწეობით მან შეიძინა საფუძვლიანი განათლება. ეს ყოველივე იმედს აძლევდა ყველას, რომ განსვენებული დიდ სამსახურს გაუწყვედა თავის საყვარელ სამშობლოს. ეს სამშობლო უყვარდა მას მხურვალედ და ჰსურდა მისი კეთილდღეობისათვის თავგანწირულად ემსახურნა, მაგრამ ბედმა არ დააცალა თავისი განზრახვა და წადილი განეხორციელებინა. ახალგაზრდა მიხეილი შეიქნა მსხვერპლი ჩრდილოეთის მკაცრი ჰავისა. მოსკოვში ის გახდა ავად იმ საშინელი სენით, რომელსაც არაერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე მოსწავლე განუშორებია წუთისოფელს, სამშობლოსათვის სამსახურს, რაც ასე ფრიად სწადადა განსვენებულს“ („ივერია“ 1895: 86).

ხელთუფლიშვილის სიკვდილის მთავარ მიზეზს არც „კვალში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის ავტორი, ამ გამოცემის რედაქტორი გიორგი წერეთელი ამხელდა და ისიც ამ ტრაგედიას ჭლებს აბრალებდა. გარდა საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისა, გარდაცვლილი მისთვის სხვა მხრივაც იქნებოდა ნაცნობი, ის ხომ მისი პირველი მეუღლის – ოლიმპიადის ნიკოლაძის მკვიდრი დეიდაშვილი იყო (რომელთან ერთადაც სწავლობდნენ შვეიცარიაში ხელთუფლიშვილის დები). ნეკროლოგში წერეთელი მიხეილ ხელთუფლიშვილის სიკვდილს მთლიანად რუსეთის ჰავის სიმკაცრეს აბრალებს და აკრიტიკებს საიმპერიო ხელისუფლებას, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის ერთი უნივერსიტეტიც რომ ვერ გამოიმეტა. მისი აზრით, ამის გამო უამრავი ქართველი ახალგაზრდა მკაცრი რუსული კლიმატით ავადდებოდა და სამშობლოში განსწავლული პიროვნებებად კი არა, ცოცხლებიც

ველარ ბრუნდებოდნენ. ციხეში ყოფნა და მკაცრი პირობები არცერთ ნეკროლოგში ნახსენები არ ყოფილა („კვალი“ 1895: 20, 2-3).

გრიგოლ გიორგაძის წიგნში – „თვითმპყრობელობა და რევოლუცია“, რომელშიც შესულია 1870-1902 წლებში საქართველოში რვოლუციური მოძრაობის ამასახველი დოკუმენტები, დაბეჭდილია მიხეილ ხელთუფლიშვილის ფოტო, წარწერით: მიხეილ ხელთუფლიშვილი, „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ თავმჯდომარე. რაც შეეხება მონაცემებს მიხეილ ხელთუფლიშვილის პიროვნებაზე, თუ ამგვარი რამ სხვა პირთა შესახებ გიორგაძის გამოცემაში საკმაოდ ტევადი ინფორმაციების შემცველია, ხელთუფლიშვილზე მხოლოდ ამგვარი მწირი ცნობაა, ისიც ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ჩატანილი: „ქუთათური. ავტორი გამოკვლევისა რუსულ ენაზე: „საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთება“. გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა“ (გიორგაძე 1929: 27).

გიორგაძის მიერ მოტანილ დოკუმენტში, – „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში შენახულ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ ეს დადგენილება შედგენილია 1894 წლის 17 სექტემბრის თარიღით ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დეზილის მიერ ლიგაზე ჩატარებული მიხეილ ხელთუფლიშვილის მიერ დადგენილა, რომ 1891 წელს შექმნილ სტუდენტურ ორგანიზაციას სათავეში მიხეილ ხელთუფლიშვილი ჩადგომია და როდესაც ეს საქმე გამჟღავნდა, სამმებრო საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის ხელისუფლებას ვარშავიდან გადმოუყვანია პოლკოვნიკი დეზილი და ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსად დაუნიშნავთ.

მაშინ, როდესაც მოძრაობის ნაკლებ მნიშვნელოვანი მონაწილენი თავიდანვე აიყვანეს, ხელთუფლიშვილი ჟანდარმერიამ ყველაზე გვიან, მკაცრი ზამთრის დადგომისას დააპატიმრა. რომ არა ავადმყოფობა და ციხის უმკაცრესი პირობები, ისიც შესაძლოა გადარჩენოდა ამ სენს და ბევრი რამ გაეკეთებინა თავისი საყვარელი ქვეყნისთვის.

ამ წლის ბოლოსვე მსჯავრდებული „ლიგელები“ ვითომ ჰუმანურმა იმპერიულმა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა, „თავისუფლების ლიგის“ თავმჯდომარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოდრაობის მთავარი ლიდერი და პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდა – მიხეილ ხელთუფლიშვილი კი ამ ამბავს შეეწირა. იმპერიული ხელისუფლებისგან გამოტანილი მისი სასიკვდილო განაჩენი ჭლეტის სახელით განხორციელდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები 2009: საოჯახო ბიბლიოთეკა, ბიოგრაფიული პროზა. პროგრამის ხელმძღვანელი და 25-ტომეულის მთავარი რედაქტორი ზაზა აბზიანიძე, საგამომცემლო პროგრამა „თვალსაწიერი“. თბილისი: 2009.

აქტები VII (ბ), 1878: *Акты Собранные Кавказской Археографической Комиссией*, т. VII(б), под редакцией А. Берже, Тифлис: 1878.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი, გ. 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1. თბილისი: 1935.

გიორგაძე 1929: გიორგაძე, გრ. „თვითმპყრობელობა და რევოლუცია“. საბუთები რევოლუციონური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902, წიგნი I. ტფილისი: სახელგამი, 1929.

დოდაშვილი 1965: დოდაშვილი, ს. *თხზულებანი*. თბილისი: 1965.

იურიდიული ბიულეტენი 1891: ჟურნ. „Юридический Вестник“. მოსკოვი: 1891, №7-8.

„ივერია“ 1895: გაზეთი „ივერია, 1895 წელი, №86.

„კვალი“ 1895: გაზეთი „კვალი“, №20, 1895.

სინ 1973: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* (რედაქტორი მამია დუმბაძე). ტ. IV. თბილისი: 1973.

ჩხეიძე 2016: ჩხეიძე, რ. *მისიონერი*. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2016.

ჭუმბურიძე 2017: ჭუმბურიძე, დ. „სოლომონ დოდაშვილის სულიერი პორტრეტისათვის“. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. ბათუმი, 15-16 ივნისი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

ჯავახიშვილი 1919: ჯავახიშვილი, ი. *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში*. თბილისი: ქართული კლუბის გამოცემა, 1919.

Lia Karichashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Alien, merciless diseases“

Summary

It is critically important for David Guramishvili to tell the truth. Clearly, this is not a poetic invention either, that before the war the country was hit by natural disasters, This was followed by the outbreak of a strange, brutal disease that killed both humans and livestock. Most likely, it was the Black Death epidemic. As is seen from the Bible, the plague was viewed an expression of God’s wrath. The outbreak of an “alien, merciless disease” in Georgia was regarded by David Guramishvili in the same context. In the words of the poet: “David’s statement was completely fulfilled” that is a reference to the verses in the Psalm that emphasize God’s punishment as a consequence for people’s disobedience, unbelief.

Key words: David Guramishvili, diseases, context.

ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი,

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„უცხო, უწყალო სენები“

იმგვარი პროვიდენციალური ხედვის შემოქმედისთვის, როგორც დავით გურამიშვილია, XVII საუკუნის საქართველოში განვითარებული მძიმე ისტორიული მოვლენები იყო არა შემთხვევითობათა ჯაჭვი, არამედ საღვთო განგებით დაშვებული განსაცდელი, რომელთა მიზეზი, დავითის ღრმა რწმენით, იყო ქართველთა გაორგულება უფლის მიმართ, მათი ზნეობრივი დაცემა, ხოლო მიზანი – სულიერი გამოფხიზლება. უფლის მსჯავრი,

თხრობის დიალექტიკის მიხედვით, მით უფრო მძიმდება, რაც უფრო იგვიანებს სინანული.

პოეტისთვის პრინციპულია სიმართლის თქმა, სინამდვილის მიუკერძოებლად გადმოცემა. ცხადია, არც ისაა პოეტური გამო-ნაგონი, რომ ომებამდე ქვეყანას თავს დაატყდა სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, სეტყვა, მეხთატება ამას მოჰყვა უცნაური, მძიმე სენის გაჩენა, რომელიც ერთიანად სრავდა ადამიანსაც და პირუტყვსაც:

არც მით მოიქცნენ! შეჰყარა უცხო, უწყალო სენები;
ხოცა კაცნი და პირუტყვნი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები,
კვლავ შეაყენა მახვილთა, სისხლით აღივსო ხევნები,
სრულად აღსრულდა მათზეთა დავითის მონახსენები. (161)

ამ სენს დავით გურამიშვილი სახელს არ არქმევს, ახასიათებს მას, როგორც „უცხოს“ და „უწყალოს“. ეს ვერ იქნებოდა ქოლერა, რომელიც მხოლოდ ადამიანზე ვრცელდება და არ გადადის ცხოველზე, სავარაუდოდ, არც ყვავილი, რადგანაც მას სხვა სიმპტომებთან ერთად ახასიათებს ჭრილობები კანზე და ადვილი საცნობი იქნებოდა. დიდი ალბათობით, ეს უნდა ყოფილიყო შავი ჭირი, იგივე ჟამი, მისი ახალი ტალღის ის ეტაპი, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, კონკრეტულად რასთან ჰქონდათ საქმე. სხვა შემთხვევაში დავითი აუცილებლად აღნიშნავდა, რომ ქართველებს შავი ჭირი მოუვლინა ღმერთმა სასჯელად (თუმცა დაავადება კაცობრიობისთვის უკვე კარგად იყო ცნობილი. მან XIV საუკუნიდან იჩინა თავი და შემდეგი ოთხი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ეპიდემია ყოველი ათ ან ოც წელიწადში ბრუნდებოდა). ჟამი XVII საუკუნის 60-იან წლებში ევროპაში მძვინვარებდა, საქართველოში კი ეპიდემიის სახე მიიღო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე მეფის დროს. სწორედ ამ მიზეზით გართულდა მეფის დაკრძალვა. პლატონ იოსელიანი წერს: „ოდეს მეფე ირაკლი მწუხარე გარდაიცვალა თელავსა, ჭირი ესე იყო მიზეზი, რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გარდაიტანეს გვამი მეფისა მცხეთასა დასასაფლავებლად“ (იოსელიანი

1895: 151). მეფე მეორმოცე დღეს გადმოსვენეს მცხეთაში, თელავიდან წამოსულ ჭირისუფალთაგან ცხედარს სვეტიცხოველში შეჰყვა მხოლოდ სამეფო კარის მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე-კეყერაშვილი (ტაძარიც და ეზოც საესე იყო შავი ჭირით დაავადებულებით). ეს იყო 1798 წელს. ჟამიანობის დამადასტურებელია აგრეთვე შატილში ანატორის აკლდამები და XVIII საუკუნის ბოლოსთვის გაუკაცრიელებული პანკისის ხეობა, სადაც მრავლად აღმოჩნდა ჟამიანობისთვის დამახასიათებელი საფლავები და აკლდამები: „XIX საუკუნის დამდეგს ხეობა მთლიანად იყო მოსახლეობისგან დაცარიელებული და გაუკაცრიელებული. პანკისის ხეობის ისტორიის გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდი ბურუსითაა მოცული, რასაც ქართველი ისტორიკოსები ლეკიანობით ხსნიან. ამას დაემატა ჟამიანობა, რის არსებობასაც ადასტურებს ხეობაში სწორედ ასეთი პირობებისთვის დამახასიათებელი საფლავებისა და აკლდამების სიმრავლე. ასეა თუ ისე, XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე პანკისის ხეობა უკაცრიელია და ხეობის მიწის ფონდი, იოანე ბაგრატიონის „ქართლისა და კახეთის აღწერის“ მიხედვით, ეკუთვნის მეფეს, თავადებს, აზნაურებსა და ეკლესიას“ („ეთნოსები საქართველოში“ 2008: 161-162).

„დავითიანის“ მიხედვით, უცხო სენის გაჩენა წინ უსწრებს ოსმალთა მიერ თბილისის აღებას, რასაც ადგილი ჰქონდა 1723 წელს (ტექსტის მიხედვით კი „ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდაერთსა“). ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტად იცავს პოეტი მოვლენათა რეალურ ქრონოლოგიას, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში შავი ჭირი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში უკვე ჩანს. ამის დასტურია ისტორიული ფაქტი: 1726 წელს რუსეთის უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილებით ირანის შაჰთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა ვახტანგ VI. 1727 წლის მაისში იგი უკან გაიწვიეს, მაგრამ მეფემ ერთი წლის შემდეგ ძლივს ჩააღწია მოსკოვში. დაბრკოლებათა შორის მემკვიდრე ასახელებს ჟამიანობას. ამ პერიოდის ქართლში შექმნილ მძიმე მდგომარეობას აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ გაძლიერდა „ტყვის სყიდვა“, შური და სხვა ბოროტებანი. დაცარიელებულ ქვეყანაში მომრავლდა გარეული ნადირი: „მხეცნიცა

მიუტევდნენ და სჭამდნენ ურიდად მრავალთა“. ყოველივე ამას დაერთო სასტიკი ეპიდემიები: „კვალად იყო სრვაცა, მომსრველი ჟამითა ძლიერი“ (ნარკვევები 1973: 320).

კაცობრიობის ისტორიაში ეპიდემიების, პანდემიების თუ სხვა მასშტაბური კატასტროფების გააზრება ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად ტრადიციულია ანტიკური ხანიდან მოყოლებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. ანტიკურ ხანაში კონკრეტულ ღვთაებებს მიეწერებოდა შავი ჭირის გაჩენა. ამის დასტურია ჰომეროსის „ილიადასა“ და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ შესაბამისი ეპიზოდები. პირველში ზევსის ძე აპოლონი სენით სჯის აქაველებს აგამემნონის მიერ ქურუმის ქალიშვილის გატაცების გამო:

ვინ ღმერთმა აღძრა შული მათდა შესარკინებლად?
– ლეტოს და ზევსის ძემ, მეფეზე განრისხებულმა,
სასტიკი ჭირი ჯარს შეჰყარა, მუსრი გაავლო,
რად მოეპყრაო უპატიოდ ატრიდი ქრისეს! (გვ. 7)

ხოლო „ოიდიპოს მეფეში“ ქალაქს შავი ჭირი მოევლინა, რადგან ლაიოს მეფის მკვლელობამ განარისხა ღმერთი არესი:

ღმერთო, დიდია ეს განსაცდელი,
სენი მზარავი უწყალოდ გვცეცლავს,
ხოლო გონება დაჩლუნგებული,
განმკურნელ წამალს ვერღა პოულობს...
დაუტირალნი, დაუმარხავნი,
მიწაზე ჰყრიან საბრალო მკვდარნი ... (გვ.21)

და მძვინვარებს ღმერთი არესი,
რომელსაც ჩვენზე ნაცვლად მახვილის
ღღეს მოუმართავს ჭირი მმუსვრელი. (გვ.22)

ბიბლიის მეორე მეფეთა წიგნი, იგივე „სამუელის მეფეთა წიგნი“ (24. 1-25) მოგვითხრობს, რომ დავით მეფემ ღვთის სასჯელი მოიწია, როდესაც მოიწადინა ისრაელებისა და იუდასტომელების აღრიცხვა (ისრაელში 800 000 მეომარი აღრიცხა, იუდაში

კი – 500 000). ხალხის აღრიცხვის შემდეგ იგი სინდისმა შეაწუხა და ღმერთს პატიება სთხოვა. მეორე დილით დავითს წინასწარმხილველის პირით ღმერთისგან ეუწყა, რომ უნდა აერჩია სამი სასჯელიდან ერთი: შვიდწლიანი შიმშილობა ქვეყანაში, სამი თვე მტრისგან დევნა ან სამდღიანი ჭირი. დავითმა მტრის ხელში ჩავარდნას, ისევ ღვთის მოწყალების იმედად არჩია შავი ჭირის სამი დღე, რამაც 70 000 კაცის სიცოცხლე შეიწირა დანიდან ბეერშებამდე. ბიბლიური თხრობით, როცა ანგელოზმა იერუსალიმისკენ გაიწოდა ხელი მის შესამუსრად, უფალმა აღარ გაიმეტა ხალხი ამ უბედურებისთვის და უთხრა ანგელოზს: „კმარა! დაუშვი ხელი!“

ამავე კონტექსტში განიხილავს დავით გურამიშვილი „უცხო, უწყალო სენის“ გაჩენას საქართველოში. სტიქიური უბედურებები, მოუსავლიანობა, შიმშილი, უცნაური ნადირი, „უწყალო“ სენი და ბოლოს დაუძღურებული ქვეყნის დაპყრობა ოსმალთაგან, გურამიშვილისთვის არის უფლის მიერ „პასუხი ცოდვისა“:

მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სცნა, ბრძანა აღება ხელისა,
რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახდა საფარველისა.
მიუგო: რჯულთა გამრყენელნო ახალისა და ძველისა!
თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა! (155)

ქვეყნის თავს დატრიალებული ამბები, პოეტისთვის დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა თვალსაჩინო გაცხადება იყო. ის, რაც პოეტის ღრმა გულისტკივილის გამოძახებულ ჰიპერბოლად მიგვაჩნია, როცა ქართველთა უსუსურ შებრძოლებას გვიხატავს მტერთან: „ერთმან მტერმან ათს მათსა სცის,/ ორმან წარიქცივის ბევრი“, რეალურად ბიბლიური რემინისცენციაა და კვლავ იმას ადასტურებს, რომ უფლის მადლი და მფარველობა განეშორა ქართველ ერს: „ვითარ-მე იოტოს ერთმან ათასები და ორმან წარიქციოს ბევრები, არათუმცა ღმერთმან განნიჰნა იგინი და უფალმანცა მისცნა იგინი? გ. 30“ (გალობად მოსესი, „მეორისა შჯულისაგან“, 2).

თუ დავით მეფეს სამიდან ერთი სასჯელი ევლინება, ქართველებმა სამივე მოიწიეს: მოუსავლიანობა და შიმშილი, შავი ჭირი და მტერთაგან ძლევა. ეს უკანასკნელი – სამკვიდროს და-

კარგვა – ყველაზე მძიმე მსჯავრია. ეს არის კულმინაცია, როცა „ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა“. დავითის სიტყვები – „სრულად აღსრულდა მათზეთა დავითის მონახსენები“ – მინიშნებაა ფსალმუნთა იმ მუხლებზე (კერძოდ, 45, 72, 77, 104 და სხვა), რომლებშიც საუბარია ღვთის სასჯელებზე – ადამიანთა/ერთა ურჯულოების შედეგებზე: „46. და მისცა გესლსა ნაყოფი მათი და ნაშრომი მათი მკალსა“ (შდრ. „დავითიანი“: „მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა!“); 47. „მოსრა სეტყვთა ვენაჴები მათი და ლელუსულელნი მათნი თრთვლითა („დავითიანი“: „ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა“); „გ. 24. განკვდენ იგინი სიყმილითა და ჴამითა მფრინველთადათა და განმამრუდებელითა მათ უკურნებელითა; კბილნი მჴეცთანი მივავლინე მათ ზედა, რომელნი გულისწყრომით ითრეოდენ ქუეყანასა ზედა“ („დავითიანი“: „მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი პურისა,/ ... გამოუვლინის ნადირნი, მჴამელნი კაცთა ხორცისა,/ მოთხარის მკვდარნი საფლავით, ცოცხალიც ბევრი ხოცისა“); 50. „არა ჰრიდა სიკუდილისაგან სულთა მათთადასა და საცხოვარი მათი სიკუდილსა შეაყენა“ („დავითიანი“: „ხოცა კაცნი და პირუტყვნი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები“).

პოეტისთვის მტკივნეულია იყო ის, რომ ადამიანები ვერ აცნობიერებდნენ ამ განსაცდელთა ნამდვილ მიზეზს, დაბინდული სულიერი თვალი ზეციური ნიშნების ხედვისა და გააზრების საშუალებას არ აძლევდათ:

ჴმუნვიდენ, არად შესწევდათ ცოდვის უნაწლად წუხილი,
ასე ჴხედვედენ ნიშებსა, ვით ნათელს თვალ-დაწუხვილი (158).

ზემოჩამოთვლილი მოვლენები არის „ნიშები“, კოდირებული ყოფაში, როგორც ერთგვარ ტექსტში, რომლის „წაკითხვაც“ პოეტს შეუძლია. ის არა მარტო აღწერს, არამედ განმარტავს ამ ტექსტს, როგორც ეგზეგეტი. რევაზ კიკნაძე წერს: „დავითიანში“ არის ორი პლანი: ერთი – განსაცდელის ყოფითი აღწერა დაწყებული ლამისყანის წყაროდან ვახტანგ მეფის კარამდე მოსკოვს, ... და მეორე – ფიზიკური თავგადასავლის თანმხლები ეგზეგეტიკა“ (კიკნაძე 2015: 96). ამდენად, თუ სხვა შემთხვევაში პოეტი საღვთის-

მეტყველო იგავით გვესაუბრება და მის ალეგორიზმს განმარტავს, ამჯერად პირიქით ხდება: ყოფიერება „ითარგმნება“ საღვთო წერილის ენაზე. პოეტის ცნობიერებაში ყოფითი საგნები და მოვლენები სიმბოლოზდება და იტვირთება საღვთისმეტყველო შინაარსით, რაც აძლევს მას მიზეზშედეგობრივი კავშირის დანახვის საშუალებას და გამოსავლის გზაც იკვეთება. ეს არის, პირველყოვლისა, ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა მძიმე რეალობაზე, რადგან ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ამ ყოფის „შემოქმედია“. „ცოდვის უნაწლად“ კი განწყობენდა არ დაიწყება, გამოცდილება ცოდნად ვერ იქცევა. „სასჯელი, ღმერთის მიერ მოვლენილი ტანჯვა „დავითიანში“ კაცობრიობის, ერის და ადამიანის აღზრდის მკაცრი, მაგრამ კეთილმყოფელი საშუალებაა. ბავშვის აღზრდა, „სწავლა მოსწავლეთა“, რომელიც გურამიშვილს დასჯის, ტკივილების გარეშე არ წარმოუდგენია, კაცობრიობის და ადამიანის აღზრდის პარადიგმა, ნიმუშია“ (ვასაძე 2010: 16).

„უწყალო სენები“ და მთელი „ქართლის ჭირი“ გურამიშვილის დიდაქტიკური ნარატივის უმნიშვნელოვანესი, ეროვნული ნაწილია, რომელშიც ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენები ბიბლიური ინტერპრეტაციითაა მოწოდებული. „სამაგალითოდ, საგაკვეთილოდ კიდევ ერთხელ ხდება საერთოადამიანური და საერთოქართული შეცოდებების გახსენება, ბიბლიური ნაკადი აქ ისტორიულ ნაკადს უერთდება, სამყაროს გაკვეთილები ბიბლიის გაკვეთილების თანაფარდი ხდება“ (ღაღანიძე 2002: 162).

რელიგიურ დისკურსს პანდემია/ეპიდემიის ფენომენზე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ანაცვლებს მეცნიერული კონცეფცია, რომლის მიხედვით, ის აღიქმება მსოფლიო წესრიგის დარღვევის ნიშნად და გაფრთხილებად ბუნებისაგან ადამიანთა მიერ ბუნებრივ კანონზომიერებათა უგულებელყოფის გამო. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის პოპულარულია სწორედ პანდემიათა სამეცნიერო ახსნა, არც რელიგიური ასპექტი გამქრალა საზოგადოების ცნობიერებიდან. იქნებ ეს ორი პოზიცია არც არის სინამდვილეში წინააღმდეგობრივი. მით უფრო, რომ ფაქტი ერთია, ორივე შემთხვევაში ადამიანია მსხვერპლიც და პასუხისმგებელიც, სწორედ ამის გაცნობიერებისკენ მოუწოდებს დავით გურამიშვილი მკითხველს.

დამოწმებანი:

გურამიშვილი 1955: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

ეთნოსები საქართველოში 2008: ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. 2008. http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi

ვასაძე 2010: ვასაძე თ. ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

იოსელიანი 1895: იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ. მეორედ გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. თფილისი: 1895.

კიკნაძე 2015: კიკნაძე ზ. „გურამიშვილის იგავი“. წიგნში: ცეცხლი და ბურუსი, „ვეფხისტყაოსნიდან“ „ვეფხვი და მოყმემდე“. თბილისი: გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, 2015, გვ77-97.

მცხეთური ხელნაწერი 1982: მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნემტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები). გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

ნარკვევები 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4, ნაწ. 1. თბილისი: 1973.

სოფოკლე 1958: სოფოკლე. ოიდიპოს მეფე. მთარგმნელი დავით გაჩეჩილაძე, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958.

ფსალმუნნი 2008: ფსალმუნნი. თარგმნილი წმიდისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელის მიერ, თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008.

ღაღანიძე 2002: ღაღანიძე მ. სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის მხიარულ ზაფხულში. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 2002.

ჰომეროსი 2015: ჰომეროსი. ილიადა. ქება პირველი, ჟამიანობა, რისხვა. წიგნი პირველი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015.

მსოფლიო მწერლობა და ხელოვნება პანდემიის
პირობებში

World Literature and Art in a Pandemic

Tamta Ghonghadze

Georgia, Tbilisi

TSU, PhD Student

Vazha-Pshavela in Cinema – „Some Plagues are Beneficial“

Summary

In 1984, Pavle Charkviani made a film – „Some Plague are Beneficial“, based on the stories of Vazha-Pshavela. A comparative analysis of the film and Vazha-Pshavela's short stories shows that the main guiding line of the script is the storyline – „Cholera Helped Me“. This short story reflects people's universal fear of death. The writer uses the impending epidemic as a means of creating a radically different condition. In this way the writer transforms human life into another reality and shows its nature in new conditions. The director with various short episodes and characters in the film portrayed one of the most important parts of Vazha-Pshavela's prose – the socio-moral problems of country life.

Key words: Vazha-Pshavela's shorts stories; Pavle Charkviani; Literature in Cinema; Pandemic in literature and cinema.

თამთა ღონღაძე

საქართველო, თბილისი

თსუ, დოქტორანტი

ვაჟა-ფშაველა კინოში – „ზოგი ჭირი მარგებელია“

აკაკი ბაქრაძემ 1966 წელს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა სტატია – „ვაჟა-ფშაველა კინოში“, რომელშიც კრიტიკოსმა განიხილა მწერლის შემოქმედებაზე იმ დროისათვის

გადაღებული სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „ხმელი წიფელი“, „ჩხიკვთა ქორწილი“ და „ნახევარ-წიწილა“. მან აღნიშნა, რომ კინემატოგრაფთა დიდი ინტერესის მიუხედავად, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, ამ თვალსაზრისით, ხელუხლებელი ყამირი იყო (ბაქრაძე 1966). შემდგომ არაერთი მხატვრული ფილმი გადაიღეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით.

1967 წელს ვაჟას შემოქმედების მოტივებზე კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო თენგიზ აბულაძის „ვედრება“; სცენარისტები – ანზორ სალუქვაძე, რეზო კვესელავა, თენგიზ აბულაძე. 1974 წელს ნოდარ მანაგაძემ გადაიღო „ივანე კოტორაშვილის ამბავი“; სცენარის ავტორები – ერლომ ახვლედიანი და დავით ჯავახიშვილი. „თუ ადრე „ხმელ წიფელსა“ და ნახატ ფილმებში ჩვენ კინოილუსტრაციასთან გვექონდა საქმე, ხოლო „ვედრებაში“ ვაჟას შემოქმედების უმთავრეს მოტივთა კინო ენაზე წაკითხვის ძალზე ძნელი ამოცანა იქნა განხორციელებული, „ივანე კოტორაშვილის“ „ამბის“ ავტორებმა ვაჟას ერთი ნაწარმოების მოტივთა თავისებური და საინტერესო კინოინტერპრეტაცია მოგვანდგინეს. ფილმის სცენარი აღარ მიჰყვება პოემის ტექსტს, ეს არის უშუალოდ პოემიდან გასვლა ისე, რომ ვაჟას პოემის და, საერთოდ, მისი შემოქმედების სული იქნეს შენარჩუნებული“ (მინაშვილი 1991: 344).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით შექმნილი კინოფილმებიდან დღევანდელი დროის აქტუალურ საკითხს ეხება 1984 წელს გადაღებული პავლე ჩარკვიანის ფილმი – „ზოგი ჭირი მარგებელია“, რომლის სცენარიც რეჟისორს ეკუთვნის.

აკაკი ბაქრაძემ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით კინოს გადაღების ერთ-ერთ სირთულედ მის ტექსტებში რეალისტურისა და ფანტასტიკურის კინემატოგრაფიულად გადაუწყვეტელობის საკითხი მიიჩნია. პავლე ჩარკვიანის მხატვრულ ფილმში ეს პრობლემა მოხსნილია, მან მწერლის რეალისტური მოთხრობები გაასცენარა. სიუჟეტში გაერთიანებულია თხზულებები: „სურათი ფშაველის ცხოვრებიდან“, „ხოლერამ მიშველა“, „დარეჯანი“, „შთაბეჭდილებანი“, „სოფლის სურათები“, „შთაბეჭდილებანი სოფლის ცხოვრებიდან“. ამ ეკრანიზაციის ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ სცენარში ასახულია მწერლის მოთხრობების ის ნაწილი,

რომელიც არათუ არაპოპულარულია, არამედ – ყველაზე ნაკლებად არის ცნობილი და ნაკვლევი.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ქართველი კინემატოგრაფისტების, რომლებმაც ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია სცადეს, ერთგვარ ტრადიციადაც კი ჩამოყალიბდა. მკვლევარი ლადო მინაშვილი შენიშნავს, რომ „თავის დროზე „ვედრებამ“ ვაჟას თაყვანისმცემელთა და ლიტერატურის სპეციალისტთა ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ მან საერთო ინტერესის საგნად აქცია, მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა ვაჟას შემოქმედების ისეთ მხარეებსაც კი, ვაჟას ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც აქამდე არა თუ ვაჟას მკითხველი, არამედ ვაჟას მკვლევრებიც კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. კინოფილმმა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ არა მარტო აქამდე ფართო მკითხველისათვის უცნობი ვაჟას ერთი პოემა შემოიტანა ცნობიერების არეში, არამედ, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ, საერთოდ, გააღრმავა სურვილი მისი შემოქმედების კიდევ უფრო სრულად გაცნობისა“ (მინაშვილი 1991: 344). პავლე ჩარკვიანმაც მაყურებელს მწერლის შემოქმედების ნაკლებად პოპულარული მხარე გააცნო.

ვაჟა-ფშაველამ 1892 წელს გამოაქვეყნა ყველასთვის კარგად ცნობილი წერილი „ფიქრები (ხოლერის გამო)“, რომელშიც მწერალი მისთვის ჩვეული შორსმჭვრეტელობით, საგანთა და მოვლენათა ისტორიულ პერსპექტივაში აღქმით აანალიზებს ქოლერის გავლენას იმდროინდელ საზოგადოებაზე. წერილში გამოსჭვივის მწერლის სურვილი, რომ ამ განსაცდელმა საზოგადოებას ახლებურად შეაგრძნობინოს სიცოცხლის არსი, დაანახოს თითოეულ ადამიანს თავისი ცხოვრების განუმეორებელი მნიშვნელობა და ახალი ენერგიით ჩააბას საკეთილდღეო საქმეში: „დიაღ, ბატონებო, ასე გახლავსთ; საცა უსამართლობა მძვინვარებს, საცა აჯამობა დაყიალობს, საცა უაზრობა და უგრძობელობაა, ნამდვილი ხოლერაც იქა ბუდობს. მიკვირს და ვფიქრობ: თუ ეს სიცოცხლის მომსპობი გვაყაყანებს მეთქი, ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალ-მკვდრად აჰხდის, რატომ არაფერს გვათქმევინებს, ხმას არ ამოგვადებინებს ასეთის ჭექა-ქუხილით, როგორც პირველი ჯურის ხოლერა?! ... დღეს ერთი ხოლერა მიიპარება, თითქმის გაიპარა

კიდევ, გვრჩება მხოლოდ მეორე ჯურის ხოლერა და ეხლა იმას ვებრძოლოთ, იმის წამალიც მოვსძებნოთ, იმაზედაც ვიფიქროთ“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 146,147). ვაჟას მიერ პანდემიის ასეთი ჯანსაღი ოპტიმიზმით აღქმა, მისი შემოქმედების მკითხველს, რა თქმა უნდა, არ გაუკვირდება, რადგან ყოფითი სირთულეები მწერლისთვის, მისი პროზისა და პოეზიის ლირიკული გმირისთვის არასდროსაა სულიერ განსაცდელში ჩავარდნის მიზეზი.

გარდა წერილისა, ვაჟა-ფშაველამ ამავე წელს გამოაქვეყნა მოთხრობა – „ხოლერამ მიშველა“, რომელშიც ასევე ჯანსაღი ოპტიმიზმით არის დანახული ეპიდემიური მდგომარეობა. ეს მოთხრობა განსაკუთრებულია იმიტაც, რომ მასში ვლინდება კომიზმის გამოწვევის ვაჟასეული მხატვრული ოსტატობა. იუზა ევგენიძეც თავის წერილში „შთაგონების წყარო“, სწორედ ვაჟას იუმორს აქცევს ყურადღებას: „პლატონის დროიდან ცნობილია, რომ დიდი ტრაგიკოსი დიდი კომიკოსიც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი სრულიად არ ვლინდება, პოტენციურად მაინც უნდა იგრძნობოდეს. ამის საუკეთესო მაგალითია შექსპირის შემოქმედება. და ვფიქრობთ, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილ დიდ მხატვრულ სამყაროში არის ადგილები, სადაც ასეთი სახასიათო, გამართობელი, კომიკური მომენტები და სიტუაციები ვლინდება“... (ევგენიძე 1986: 82), აღნიშნავს მკვლევარი.

„ხოლერა მოდისო, ხმა ისმოდა. ... ჩვენი სოფლელებიც შათოთქორდნენ; ძილი აღარავისა ჰქონდა მოსვენებული და სმა-ჭამა. წინადლითვე საფლავებს ითხრიდენ, ცოლი ქმარს შესტიროდა სიკვდილის მოახლოვებას და ქმარი – ცოლს. ნინიკას წვეთი დასცემოდა და სოფლის განაპირად, ღობის გვერდზედ ეგდო გულადმა“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 204). როგორც დავინახეთ, ამ ეპიზოდშიც მწერალი იუმორით წარმოაჩენს მოახლოებული სტიქიისადმი ადამიანის პანიკურ შიშს. პავლე ჩარკვიანმა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების იუმორისტული ეპიზოდები აქცია კინო კადრებად, რაც ფილმის ღირებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

„სოფლის სურათების“ გმირი – თავადი ფშატამე, და მის ირგვლივ დატრიალებული კომიკური სცენები აისახა ფილმში: „თუკი ფშატამეს სახარჯო შემოეღია და აღარა აქვს, მაშ რა ჰქნას, თუ ან

ერთს არ წაართვა, ან მეორეს; ... როცა გაიღვიძებს, ხელახლა ან გზის შესაკვრელად გაიქცევა, ან დუქანში მიირბენს:

– აბა, სერგო, ნახევარ თუნგი ღვინო, თავის „ზაკუსკით“, – ეუბნება დახლიდარს თვალდაწითლებული და უღვაშებგაწყვილი ფშატაძე.

– ფულები, კნიაზო? – უპასუხებს დახლიდარი.

– რის ფულები? მოიტა ჩქარა, თორემ ფულებს მე მოგცემ თავში...

ეს საუბარი მუშტაობით გათავდება. ფშატაძე ლანძღვით, ისეთის ლანძღვით, რომ მთელს სოფელს ესმის, გასწევს შინათკენ, რათა ისევ მისცეს თავი განსვენებას...

– ეეე, რა ბლომდა ჰყვანან მაგ ჩვენს კნიაზსა და! რა უნდა აჭამოს, რითი უნდა გამოჰკვებოს, რო კაცმა სთქვას?! – ამბობს ამ დროს სოფელი“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 260).

მოთხრობების კომიკური ეპიზოდებით არის შთაგონებული ქალების მიერ მექალთანე ვაჭრის ჭინჭრით დასუსხვა („ფშაველი და მისი წუთისოფელი“), დათვად მოჩვენებული ტურით დამფრთხალი სოფელი („ხოლერამ მიშველა“) და სხვ.

ფილმის სცენარის მთავარი ნაწილი აგებულია მოთხრობის – „ხოლერამ მიშველა“, სიუჟეტზე. ვაჟა-ფშაველას ეს თხზულება ასახავს სიკვდილისადმი ადამიანთა საყოველთაო შიშს, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ გმირებს რეალობის აღქმის უნარს ართმევს; ზოგ პერსონაჟში კი მოახლოებული აღსასრული რიგ ცვლილებებს იწვევს: ვაჭარს მატერიალური ქონების ამაოება ცხადად უდგება თვალწინ, ივიწყებს ხელმომჭირნეობას და გულუხვობით აკვირვებს მოთხრობელს; შეყვარებულები ერთად ყოფნისთვის უფრო გამბედავები ხდებიან და სხვ. მწერალი მოახლოებულ ეპიდემიას იყენებს ყოფის რადიკალურად განსხვავებული პირობითობის შექმნის საშუალებად, რათა სოფლის ცხოვრება სხვა სიბრტყეზე გადაიტანოს და ახალ რეალობაში გვიჩვენოს ადამიანის ბუნება. პავლე ჩარკვიანის სცენარშიც კვანძის შეკვრა სწორედ აღნიშნული მოტივის გამოყენებით ხდება.

სიკვდილის შიშით სოფლიდან გამოქცეული ხალხის ახალი რეალობა კი შემდეგნაირია: „ტყეში რომ შევედით, საკვირველი სანახავი დაგვხვდა. მთელს სოფელს იქ მოეყარა თავი, ... ეს ამოდენა ბრბო რომ გენახათ და ჟრიამული ხალხისა გაგეგონათ, იმას

როდი იტყოდით, ხოლერას დაუფრთხია ეს ხალხი, – დღეობაში წამოსულანო, გეგონებოდათ“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 207). ამ განსხვავებულ მოცემულობაშიც საჭირო იყო ყოფით წვრილმანებზე ზრუნვა, ამიტომ ცხოვრების მოთხოვნილებამ ახლი ენერგიით ძველებურ ფერხულში ჩააბა ადამიანები.

„ხალხმა, ღვინით რომ მოფხიანდა, თანდათან ენა ამოიღვა: მრავალჟამიერის ძახილიც გაისმა“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 209). მოთხრობაში მრავალჟამიერით ხალხი წუთისოფელს შემდერის, თავად წუთისოფელი კი თავისი მარადიული წრებრუნვითა და საზრუნავით უხმობს ადამიანს, რადგან მის გარეშე იგი სასაფლაოს დამსგავსებია: „მე გულმა ვედარ მომითმინა და გადავხედე ჩვენს სოფელს მაღლიდამ. საბრალო სანახავი იყო მაშინ ჩვენი სოფელი, სასაფლაოსა ჰგავდა; დამავალს მზეს მაღლის მთის ჩრდილი შავს ნაბადივით ზედ მიეფინა; ხმაურობა მიმწყდარიყო, მხოლოდ შორიდან ისმოდა მამლის ყივილი, სახლის ბანებზე ძაღლები დარბოდენ. კამეჩები ბოსტნებს იკლებდენ, ვინ იყო კაცი და პატრონი?! ... ჩემი ქოხი თითქოს შორიდან შემომტიროდა, მეძახოდა: ჩემო პატრონო, თავს რად მანებებ, სად მიმირბიხარ, ჩემს თავს ვის აბარებო?“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 208). ქოხის საყვედური და მამლის ყივილი მოისმის, როგორც ყოფიერების ძახილი – ჩააბას ადამიანი ყოველდღიურ საზრუნავში; და აქვე უნდა გავიხსენოთ ჩვენი გენიალური რომანტიკოსი პოეტის – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსაგვსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

(ბარათაშვილი 1992: 570)

ვაჟა-ფშაველას მოთხრობის ეს იდეა პავლე ჩარკვიანმა თავისი ფილმის მთავარ სათქმელად აქცია: მთელი აურზაურის შემდეგ, რომელიც ქოლერის მოახლოებამ და სიკვდილის შიშმა გამოიწვია, ტყეში გაქცეული ხალხი უკან ბრუნდება სიყვარულის მიზეზით – დაბრკოლებების მიუხედავად, ბერუა და სოფო სოფელში

გაიპარებიან ოჯახის შესაქმნელად. ქორწინების აქტი ახალი სიცოცხლის მომასწავებელია და წუთისოფლის მარადიული ბრუნვა, რომელიც თითქოს მოახლოებულმა სტიქიამ შეაფერხა, ისევ ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ამის სიმბოლოა ღობეზე შემომჯდარი მამალი.

ქანდარაზე შემომჯდარი მამლის სილუეტი უძველესი დროიდან აღიქმებოდა სიფხიზლის, სიმამაცის, შორსმჭვრეტელობისა და საიმედოობის სახედ. სწამდათ, რომ მამლის პირველი და ყოველგვარსა და ღამის აჩრდილები ქრებოდნენ. მამლის სიმბოლიკამ შუა საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, მისმა გამოსახულებამ ყველაზე მაღალი შენობები დაამშვენა, როგორც სულიერი მღვიძარების ალეგორიამ. ანტიკურ მითოლოგიაში მამალი, როგორც ქტონური არსება, მიწისქვეშეთს უკავშირდებოდა და სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოს განასახიერებდა. ჩინეთში წითელი მამლის გამოსახულება სახლს ხანძრისაგან იცავს, თეთრი – მოჩვენებებისგან. მისი სახისმეტყველება, რა თქმა უნდა, ქართულ წარმართულ ცნობიერებაშიც აისახა და ხატობებსა და ქრისტიანულ სალოცავებში დღემდე სწირავენ მამალს (აბზიანიძე, ელაშვილი 2011).

მამლის ეს ზოგადი სიმბოლიკა გასათვალისწინებელია აღნიშნული სახის გააზრებისას. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვაჟაფშაველას მოთხრობაში ყოფიერების მოთხოვნილებას ახმინებს. პავლე ჩარკვიანმა კიდევ უფრო დატვირთა, უფრო მეტად გაამახვილა მაყურებლის ყურადღება ამ სიმბოლოზე. ფილმი იწყება და მთავრდება ბანსა და ღობეზე შემომჯდარი მამლის ყვილით. იგი სიმბოლოა როგორც წუთისოფლის მარადიული ბრუნვის, რომლის მიკრომოდელის – დღე-ღამის გასაყარს, სწორედ მამლის ყვილი ამცნობს ქვეყანას, ასევე, სულიერი სიფხიზლის, რაც ვაჟაფშაველას მთელი შემოქმედების – ეპოსის, პროზის, პოეზიისა და პუბლიცისტური წერილების თანმდევი იდეური ხაზია. რეჟისორმა განსახილველ ფილმში არამხოლოდ გააცნენარა მწერლის მოთხრობები, არამედ მაყურებელი ვაჟას იდეურ სამყაროსთანაც მიახლოვა; როგორც იუზა ევგენიძე აღნიშნავს, „რეჟისორმა სცადა კინოს ენაზე „ეთარგმნა“ ანუ ვაჟას თხზულებათა სულისკვეთებით აეგსო სცენარი“ (ევგენიძე 1986: 83).

ფილმი – „ზოგი ჭირი მარგებელია“ – დღევანდელი დროის აქტუალურ პრობლემას – პანდემიას, ეხება და ვაჟასეული ჯანსაღი ოპტიმიზმით ასახავს ადამიანისა და წუთისოფლის მარადიულ საკითხებს, რომელსაც სტიქია ვერ ცვლის. ვაჟას ამ ხედვას იზიარებს პავლე ჩარკვიანიც და კინოს ენაზე აცოცხლებს მწერლის ბრწყინვალე პროზაულ ტექსტებს. რეჟისორმა ფილმის სხვადასხვა მცირე ეპიზოდითა და პერსონაჟებით ასახა ვაჟა-ფშაველას პროზის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი – სოფლის ცხოვრების სოციალურ-მორალური პრობლემატიკა, რომელსაც მწერალი არაერთ თხზულებაში შეეხო. საყურადღებოა, რომ კინემატოგრაფისტმა არ შეზღუდა თავისი ფანტაზია და ორიგინალური ეპიზოდებითაც გაამდიდრა სცენარი (მეთევზის პერსონაჟი, ბერუას მისვლა სოფოს ოჯახში, მოხუცების მიერ ახალდაქორწინებულების დალოცვის და სხვ.) რომლებიც ვაჟა-ფშაველას აღნიშნული მოთხრობების მხატვრულ-იდეურ პარადიგმაში ორგანულად თავსდება.

დამოწმებანი:

აზიანიძე, ელაშვილი 2011: აზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2011.

ბარათაშვილი 1992: ბარათაშვილი ნ. *ქართული მწერლობა*. ტ. 9. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1992.

ბაქრაძე 1966: ბაქრაძე ავ. „ვაჟა-ფშაველა კინოში“. *ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული*. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1966.

ევგენიძე 1986: ევგენიძე ი. „შთაგონების წყარო“. აღმანახი „კინო“, N3. თბილისი: „საქინფორმკინო“, 1986.

ვაჟა-ფშაველა 1964ა: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964ბ: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

მინაშვილი 1991: მინაშვილი ვლ. „ვაჟა-ფშაველას ახალი სიცოცხლე კინოში“. *ვაჟას კრებული*, III. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1991.

Maia Kiknadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli theatre and Film Georgia State University

„Khorveloba“ (Cholera) and Georgian Theatre

Summary

In 1892, cholera came to Georgia from Baku. The political and literary newspaper “Iveria” daily provided the audience with official information. In the section “About cholera” we find a lot of interesting information, in terms of combating cholera, preventive measures or tightening sanitary rules.

In addition to documentary references, various poems, articles, feuilletons, short stories about cholera were published. Famous theatre figure Valerian Gunia, who was the administrator of permanent theatre at the time, dedicated his play “Khorveloba” to cholera, premiered at the Georgian theatre on September 29, 1892. The events, familiar situations, comic behaviors of the characters and ridiculously described episodes shown in the vaudeville, deserved the audience’s sympathy.

The spread of pandemic did not intercept the theatrical processes.

Theatre life went on with its common rhythm: premieres were held, benefits were arranged, new plays were written. Despite the pandemic that lasted for about 6 months, the fall and winter theatre seasons did not fail and proceeded as usual.

Key words: benefis, Valerian Gunia, pandemic period, play.

მაია კვიციანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის თეატრისა

და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ხორველობა“ და ქართული თეატრი

„ხოლერამ სთქვა, ღვთის –რისხვა ვარ, სიკვდილის მოციქულიო;

„მიქელ-გაბრიელს ვახლავარ
ერთგული ზოქაულიო, როგორც მიმინო სამწყეროდ
სულეზზე გაწაფულიო!..
ხორც ცოდვილ მიწას მივუგდებ
და ცაში მიმაქვს სულიო!...“

(წერეთელი 1892: 1)

საქართველოში პანდემიის გავრცელებას თავისი ისტორია გააჩნია. სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენს ქვეყანასაც მოედო შავი ჭირი, ისპანკა, ხოლერა, სხვადასხვა სახის ინფექცია-კოვიდი. ყველა დაავადებას თავისი სპეციფიკა გააჩნდა და მკურნალობის მეთოდები.

ხოლერა რამდენჯერმე გავრცელდა საქართველოში. მე-19 საუკუნეში ხოლერა გაჩნდა ცარისტული რუსეთის იმპერიის პერიოდში 1848 და 1892 წლებში, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1919-1920.

1892 წელს ხოლერა საქართველოში ბაქოდან შემოვიდა, ბაქოში კი ირანიდან. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ მოსახლეობას ყოველდღიურად აწვდიდა ოფიციალურ ცნობებს. რუბრიკაში „ხოლერის შესახებ“ ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ, ხოლერასთან ბრძოლის, პრევენციული ზომების გატარებისა თუ სანიტარული ნორმების გამკაცრების შესახებ. თბილისში ხოლერის გავრცელებასთან დაკავშირებულ ცნობებს პირველად ივნისის თვეში ვხვდებით. 1892 წლის გაზეთი „ივერია“ წერდა: „20 ივნისს ტფილისში ავად გახდა ერთი ქალი და ერთი

* Cholera – ბერძნული სიტყვა, ადამიანის მწვავე ინფექციური დაავადება.

** „ხოლერის შესახებ“ დაიბეჭდა (N N123,125, 131, 129, 127, 120, 203).

კაცი, 21 ივნისს განჯაში ავად გახდა დურგალი, მისი ტანსაცმელი დაწვეს“ (ივერია 1892: N130). 21 ივნისს თბილისში ხოლერით კიდევ 6 ადამიანი დაავადდა, გარდაიცვალა 2, ქოლერამ საპატიმროშიც შეაღწია, სადაც 1 მსჯავრდებული გარდაიცვალა.

როდესაც, ბაქოში ხოლერა გაჩნდა და მისი არსებობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, (იანვრის თვეში) თბილისის ქალაქის მმართველობისთვის ცხადი გახდა, რომ პროცესი შეუქცევადი იყო და დაიწყეს მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ხოლერის თავიდან ასაცილებლად, 2 ივნისს საგუბერნიო მმართველობის დარბაზში, ჩატარდა სასანიტარო კომისიის საგანგებო კრება. ქალაქის მმართველობამ, მომავალი ავადმყოფებისთვის შეუკვეთა 5 სპეციალური ეტლი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს წყლის მიღების დათვალიერებას, მომავალი ავადმყოფებისთვის კი შენობების, მათ შორის ცირკის შენობის მომზადებას. დაავადებულების თეთრეული მტკვრის პირას უნდა გაერეცხათ და სადეზინფექციო წყალი მიესხათ, თბილისის საყასბოებში სადეზინფექციო სამუშაოები უნდა ჩატარებიათ და ა. შ. თბილისის გარდა, რაიონებსა და სოფლებშიც მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა. სიღნაღის მაზრის უფროსის თხოვნით, აფთიაქარმა ლუკა მოსულიშვილმა გადაწყვიტა, რომ წამლებზე ღარიბი მოსახლეობისთვის 40% დაეკლო. სიღნაღის დეპუტატებმა 20-25 მანეთი გადადეს ხსნარების შესამენად. თბილისიდან ბაქოს დასახმარებლად, სადეზინფექციო წამლები გააგზავნეს, ბაქოში ქართველებმა საქველმოქმედო საღამო გამართეს ხოლერით გარდაცვალებულთა ობლებისთვის. „1-განყოფილებაში ითამაშეს „მზის დაბნელება საქართველოში, 2 განყოფილებაში – ცხოველი სურათები და ლეკური გამართეს“ (ივერია 1892: N14).

ხოლერა საქართველოში სულ 6 თვე არსებობდა. ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით (1893 წლის იანვრში ხოლერის გავრცელების შესახებ ინფორმაცია წყდება). დოკუმენტური ცნობების გარდა, იბეჭდებოდა ხოლერისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ლექსები, ფელეტონები, ნარკვევები. ამ მხრივ ცნობილია ეკატერინე გაბაშვილის ფელეტონი „ხოლერა“, სტ. ჭრელაშვილის „ხოლერიანის თავგადასავალი“, ნაბოლარას „ხორველობას, „ვაჟა-ფშაველას „ხოლერამ მიშველა“ და პუბლიცისტური წერილი „ფიქრე-

ბი ხოლერის გამო“. წერილში ვაჟა, ინფექციის არსებობას „სხვა ხოლერას“ ადარებს და პოლიტიკურ შეფასებას გვთავაზობს. „ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლერაცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი. ნეტავი ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა-ბაქტერიების დედა ააყაყანებს ქვეყნას ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში... აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს წამხდარ საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად“ (ივერია 1892: N207). ვაჟასთვის „უარესი ხოლერა“ რუსეთის თვითმპყრობელობაა, რომელიც ბაცილაზე გაცილებით „სასტიკი და მავნებელია“, ვინაიდან არც წამალი შველის და არც დეზინფექცია, „აბა ხოლერა ნამდვილი ხოლერა ეს გახლავთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადაჰჩრება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს.“ ვაჟა წერილში გარკვეულ გულისტკივილსაც გამოთქვამს მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ამ ხოლერას უფრო შეუწუხებია, ვიდრე „ნამდვილ ხოლერას“, ამიტომ მოუწოდებს საზოგადოებას, რომ მეტი ყურადღება „მეორე ჯურის ხოლერას“ მიაქციოს, ამაზე ბევრი იფიქროს და მიაპყროს თვალი, რათა თავიდან მოშორება შეძლოს.

მოთხრობების, ფელეტონებისა და წერილების გარდა, ხოლერის ამსახველ მოვლენებს ქართულ სცენაზეც ვხვდებით. ცნობილი თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი, დრამატურგი ვალერიან გუნია, რომელიც ამ დროისთვის მუდმივმოქმედი თეატრის* ადმინისტრატორი იყო, ხოლერას უძღვნის პიესას სათაურად „ხორველობა“. ვალერიან გუნიას პიესებმა, რომლებმაც 70-იანი წლებში, საქართველოს ქალაქების თითქმის ყველა სცენა მოიარა (განსაკუთრებით ეს ეხება ისტორიულ პიესას „და-ძმა“), დიდი მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევიან. მათი მნიშვნელობა მხოლოდ ქართულ თეატრთან არის დაკავშირებული, თუმცა უნიჭო თუთაევისა და გარსევანიშვილის არაფრისმთქმელი პიესების ფონზე, თეატრის რეპერტუარს აკმაყოფილებდნენ და დახმარებას უწყევდნენ. აღნიშნული ვოდევილიც საკმაოდ მარტი-

* მუდმივმოქმედთა პროფესიული თეატრი დაარსდა 1879 წელს (დღევანდელი რუსთაველის ეროვნული თეატრი).

ვი, პრიმიტიული და მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია, მისი მნიშვნელობა, მხოლოდ დროის კონტექსტით უნდა შეფასდეს.

1892 წლის 11 სექტემბრის გაზეთი „ივერია“ წერდა: „ვალერიან გუნის დაუწერია ახალი ორიგინალური კომედია-ხუმრობა 1 მოქმედებად. პიესის შინაარსი აგებულია წლევეანდელ ხოლერობის ამბავად. ვისაც მოუსმენია, ისინი ამბობენ, რომ შიგ მრავალი სასაცილო მდგომარეობა და მახვილი, საოხუნჯო სიტყვა-პასუხია“.

ვალერიან გუნის პიესაში „ხორველობა“, თანამედროვე პერიოდის ცხოვრებაა გადმოცემული. სიუჟეტში ასახული მოვლენები, საქართველოში ხოლერის გავრცელებასა და მასთან დაკავშირებულ ამბებს მოგვითხრობს. ავტორი ვოდევილს წარმოგვიდგენს, როგორც ხუმრობას, კომიკური ეპიზოდებისგან შედგენილ პატარა ამბავს. პიესის ფაბულა მარტივი და სასაცილოა. ვოდევილის მოქმედი პირები (თავადი იორამი, ტრდატ წყალობიჩ შაშლამიანცი, მაქთაღა, მარინე კვალკვალამისა, ქრისტოფორე კენკიაშვილი, ალი-ბალი-მაშადი ისკანდერ-ოლლი მირზა, მოსიკო, სიკოია), კომიკური პერსონაჟები არიან, რომლებიც თავის გადასარჩენად ხალხმრავალი ადგილების დატოვებას და სოფლებში გადაბარგებას ცდილობენ. ცნობილია, რომ ხოლერის თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობა ტყეებსა და ვენახებში პოულობდა თავშესაფარს. სწორედ სინამდვილეში მომხდარი ამბები თავშესაფარის ძიება, ვალერიან გუნია ვოდევილის ფაბულად გამოიყენა.

პიესის მთელი მოქმედება თბილისის სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში ვითარდება. მაგიდაზე ქაღალდის ყუთში სხვადასხვა შუშამინები წამლებით და პულვიზატორებია მიმოფანტული.

პიესის მთვარი გმირი, 55 წლის მოქეიფე ქართველი თავადიშვილი, იორამ რეტანიია. მისი პირველი მონოლოგი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ასახავს: „...ბაქოში თურმე ძაან არის ხორველობა... ბათუმში კიდევ ჭირი გაჩენილა... აი უბედურება ამას ჰქვია. მოგვამწყვდიეს შუაში და სულ ერთიანად ამოგვწყვეტენ!.. დალაზვროს ღმერთმა! ძველ დროშიაც აღარ გვქონდა ოსმალ-სპარსელებისაგან მოსვენება, ხან ერთი გვაწუხებდა ხან მეორე, ეხლა ომით რომ ვერას გვიშვრებიან, – სენით და ჭირით არ გვასვენებენ...“ (გუნია 1893: 230). მიუხედავად შექმნილი პირობებისა, იორამი ცდილობს პანდემია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს,

სოფლის სახლი გააქირაოს და სარფიანი მოგებაც ნახოს, ამიტომ კმაყოფილი აცხადებს: „...კარგი საქმე გვიყო ამ ხორველობამ, ძრიელ დაიდრა სოფლებში ქალაქელი ხალხი..თუ ცოცხალი დავრჩი, კიდევ ჩავჭიმავ ორიოდ სახლსა“ (გუნია 1893: 231). თავადი იორამი გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ ინფორმაციას აქვეყნებს სახლის გაქირავების თაობაზე. „ქირავდება აგარაკი თავის მოწყობილობით, მიაკითხეთ იორამ რეტანს. „გასტინიცა“ იტალია N5“. აღნიშნულმა განცხადებამ ბევრი ადამიანი დააინტერესა. მომავალი მდგუმურები იორამთან სასტუმროში მიდიან საქმეზე მოსალაპარაკებლად. დიალოგების ძირითადი თემა ბინის ფასია, რომელზედაც ვერ თანხმდებიან, ამიტომ კამათისა და ემშაკობის საგანი ხდება. პერსონაჟები სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. მათი ქცევები და მოქმედება კომიკურ სიტუაციებს ქმნიან. სტუმრების მიღებას იორამი, ნავთით მოვაჭრე თათარ ალი ბალი-მაშადისთან მოლაპარაკებით იწყებს. საუბრის დროს, როცა თათრის წარმომავლობას გაიგებს, ბაქოელის ხსენებაზე იორამს ისტერიკა ემართება, გიჟივით ფეხზე წამოხტება და მათ შორის დიალოგი ჩხუბში გადაიზრდება „ბაქოელი! აი დალახვროს ღმერთმა-რატომ არ მითხარი, შე ოჯახ ამოზუგულო, ეგ ხომ დამღუპე... ცოლ-შვილს ხომ გამომწირე... მიბრძანდი თუ ღმერთი გწამს, მიბრძანდი...“

ალი-ბალი (გაჯავრებული) – რა არის კნიაზ რატომ ჯავრობ?

იორამ – ჯავრობ რომელია. შენ აქ ხოლვერით გინდა მომკლა!.. სულ პანტასავით ჰცვივა თურმე ბაქოში ხალხი. არა ძმაო, მე შენთვის დაჩა არა მაქვს (აიღებს პულვიზატორს და შეასხურებს). აი ეს თუ მიშველის, თორემ ჩემი საქმე ცუდად არის!

ალი – რას შვრები კაცო, სულ ტყუილია

იორამ – ტყუილი კი არა მართალია, წადი დამეკარგე აქედან.. რაზედ მიღუპავ, შე ოჯახ ამოზუგულო, ცოლ-შვილებს! გამეცალე! თორემ კიდევ შეგაშხაპუნებ... შე ხოლვერიანო შენა. გასწი დამეკარგე! (ალი გადის)“ (გუნია 1893: 235).

იორამი გაბრაზებულია პოლიციაზედაც, რომელიც ბაქოელებს თბილისში შემოსვლის ნებას აძლევს.

„...აი იმ პოლიციას რა ვუთხრა, რომ ბაქოელებს აქეთ უშვებენ! ასე თავისუფლად რომ იხეტიალოს ბაქოელმა თათრებმა, ხომ

მთელი საქართველო ამოსწყვიტეს..! კარგია კიდეც რომ ეს შესაშხაპუნებელი ვიყიდე! (იშხაპუნებს) ის რაღაც ბაცილები თუ მაცილები რომ არის, სულ ერთიანად გაწყდება! (გუნია 1893: 236)

როდესაც ხოლერა ბაქოში გავრცელდა, გაზ. „ივერია“ ქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე ინფორმაციას აქვეყნებდა. იმ დროს, ბევრი რამე აიკრძალა ბაქოდან შემოტანილი, თბილისის რკინიგზის მმართველობამ კი ყუთებით პურები გაუგზავნა თბილისელ მემანქანეებს, რომ ბაქოში ჩასულებს პური არ ეყიდათ.

ვოდევილის მესამე ეპიზოდში წარმოდგენილია თბილისელი სომეხი ვაჭრის შაშლამიანცისა და იორამს შორის საუბარი, რომელიც საბოლოოდ ჩხუბით დამთავრდა. უსიამოვნების მიზეზი ვაჭრის მიერ იორამის გვარის დაუწყუნამ გამოიწვია („რეტანი“ ასეთი თავადის გვარი მეუცხოვებო – უთხრა), რამაც იორამი საშინლად გააღიზიანა. ამას დაემატა ისიც, რომ ვაჭარს ბინის ფასი ეძვირა და იორამს ქირის დაკლება მოსთხოვა.

პიესაში, ხოლერის გარდა კიდეც ერთი ნამდვილი ამბავია ნახსენები, რომელსაც იორამთან საუბარში სომეხი შაშლამიანცი გაიხსენებს. საქმე სომეხთა დაღუპვის ტრაგიკულ მოვლენას ეხება, რომელმაც მაშინ მთელი თბილისი შეძრა.

შაშლამიანცი ამბობდა: „ნათლისღება დღეს ხომ გაგეგონებათ, ვანქის პირდაპირ, ხიდი ჩაიმტვრა და შიგ ორასამდე სომეხი ჩაიტანა და ჩაახშო, მერე ვაჭრობა დაეცა, მერე ქვეყნის პირველი კაცი არჩრუნი* გარდაიცვალა“ (გუნია 1893: 239). 6 იანვარს წყლის კურთხევისას, მადათოვზე გადებული ხის ხიდი ჩატყდა და 500 მდე სომეხი თან ჩაიტანა, მათ შორის ბევრი დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით, გაზ. „ივერია“ წერდა: „ნათლისღების დღეს ტფილისში 100-მდე სომეხი გაუბედურდა.. მეთერთმეტე საათი იქნებოდა, როცა სომეხთა სამღვდელოების კრებულმა წყლის კურთხევის წესი შეასრულა მადათოვის კუნძულის ბოლოს მტკვრის დიდ ტოტზე... ვანქის ტაძრისკენ ეკლესიის პირდაპირ ხიდს ლაწანი გაუვიდა და ჩატყდა და 500 მდე კაცი ჩავარდა...“ (ივერია“ 1892: N4). სხვათაშორის, ამ დღეს ქართულ დასს დანიშნული ჰქონია წარმოდგენა, რომელიც გადაუდიათ „ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა“.

* გრიგოლ არჩრუნი, სომხური გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი, პუბლიცისტი.

პანდემიის პირობებში, ადამიანებს გარკვეული უნარ-ჩვევები შეუძენიათ. პულვიზატორის ხმარება, წამდაუწუმ წამლებს მიღება. დაავადების მიმართ გამძაფრებულმა შიშმა მოსახლეობა დააბნია და პანიკაში ჩააგდო. იორამი ამბობდა: „ეგ ხოლვერა ხომ ხოლვერაა, მაგრამ ეს რაღაც ახალი ჭირი და სენი გაჩენილა – „პანიკა“, რომ ჰქვია, ეს რაღაც ოხრობა და ჯანდაბაა!“ ამ მხრივ, პიესაში განსაკუთრებით გამორჩეული ტიპაჟია, ახალგაზრდა, უსაქმური ყმაწვილი ქრისტოფორე კენკიაშვილი, რომელიც მუდმივად წამლებიან შუშებს დაატარებს, ვინაიდან ჰგონია, რომ ხოლერისაგან დაიცავს. ამ შუშებს ის ახალი მოდის დუხებს ეძახის, თუმცა სინამდვილეში სხვადასხვა სახის კაპლებია: ვალერიანის, ბოტკინის, ეფირნი მორფისა და ა შ. თავად ამ შუშებს წამდაუწუმ ყნოსავს, შაქარს კაპლებს ასხამს და ისე მიირთმევს. ახალგაზრდა ყმაწვილს თავში აბდა-უბდა აზრები უტრიალებს. ვინც ცუდად ხდება ყველა ხოლერიანი ჰგონია, სჯერა, რომ დაავადებულ ადამიანებს საავადმყოფოში კლავენ. მისი მონათხრობი ამბავი მგზავრობის თაობაზე, სრულ სიგიჟეს წარმოადგენს. სადღაც ყური მოუკრავს, რომ „სტანციაზე“ მისულ მგზავრებს აშიშვლებენ და ორთქლში ფუფქავენ, ტანსაცმელს კი კორბოლის მჟავეში ავლებენ. ჭორ-მართალის ერთმანეთში არევა, პანიკური შიშის დათესვა, უსარგებლო, აბსურდული რჩევების მიცემა და ჭორების გავრცელება პანდემიის მთავარი მახასიათებელი იყო, რასაც გარკვეულ წილად „ივერიაც“ უწყობდა ხელს, რომელიც ყველა სახის ინფორმაციას აქვეყნებდა, იქნებოდა ეს ექიმებისა თუ დილეტანტთა მოსაზრებები. მაგ. რჩევის სახით, „ივერია“ წერდა: „უნდა ერიდონ სოდის წყლის სმას; ლიმონადის სმა სასარგებლო არ არის. ღვინო უნდა სვან წითელი, ბოთლებში ჩასხმული ადრევე, სანამ ხოლერა გაჩნდებოდა, ვინც მიჩვეულია ლუდი დალიოს, მხოლოდ ცოტა და კარგად დადუღებული. კვასი სჯობია რომ არ დალიონ, ნურც მაროქს მიირთმევენ... საზრდო უნდა იყოს ადვილად მოსანელებელი..უნდა სჭამონ ცოტცოტა და ხშირად. საზრდო და სანოვაგე კარგი მოხარშული და კარგი შემწვარი უნდა იყოს“... (ივერია 1892: N135). სტატიაში, სხვა რჩევებსაც ვხვდებით მოსახლეობის ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ სამზარეულოს ჭურჭელს, როგორი

სურსათი იყოღონ და ა შ. რჩევები ხშირად ერთიდაიგივე შინაარსის შემცველია. მაგ. წერილში „ხოლერა ბაქოში“ სომეხი მკურნალი მოსახლეობას ურჩევდა, რომ გადაჭარბებული ჭამა-სმა მავნებელი იყო ჯანმრთელობისთვის... ძლიერ მავნებელი ყოფილა ხოლერის დროს ხილი, წნილი, კიტრი, ბოლოკი, ნესვი, სუქანი ხორცი... ღვინო წითელი უნდა დაილიოს წყალ-წყალ ნარევი“ და ა. შ. (ივერია 1892: N121) ამგვარად, „ივერიის“ ფურცლებზე მოყოლილი ისტორიები, საეჭვო რჩევები თუ სამართლიანი შენიშვნები სრულ თანხვედრაში იყო პიესის სულისკვეთებასთან. პანდემიური გარემოს შექმნა, რომელშიც არაფერი იყო მოგონილი, სიტუაციების დაძაბვა, შესაძლოა ზოგჯერ გაზვიადებული, ვოდევილში რეალურად იყო გადმოცემული.

პანიკური განწყობა, დაბნეულობა და შიშის განცდა პიესის ფინალურ ეპიზოდშიც შენარჩუნებულია. თავადი იორამი, რამდენიმე ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, გადაწყვეტს, რომ ბინა ახლგაზრდა, ლამაზ ქალს მაკრინე კვალკვალაძისას მიაქიროს, რომელთანაც არშიყოფა უნდა, მაგრამ ქალს ქმარიც ჰყავს და კავალერიც ქრისტოფერის სახით. ქალის „ევროპულად“ ცხოვრების წესი მოსწონს იორამს და ნატრობს, რომ მასაც შეეძლოს იგივეს გაკეთება, მაგრამ ცოლის ეშინია. პიესაში ჩართულია მცირედი საარშიყო ეპიზოდი, რომელიც პიესას შინაარსის თვალსაზრისით, დიდად არაფერს მატებს. მალე, სომეხი ვაჭრის მეუღლის მაქთაღას დახმარებით გაირკვევა, რომ მაკრინე და მისი კავალერი თაღლითები არიან, რომ ბინაში ფულს არ გადაიხდიან და იორამს ატყუებენ. საბოლოოდ, იორამს არჩევანის გაკეთება აღარ უწევს, ვინაიდან მისი ცოლი-ხორომანი კლიენტს თავად იპოვის და დაჩას მიაქირავებს.

პიესის ბოლოს დაქირავების მსურველები კვლავ იორამის სასტუმროში იკრიბებიან. ნავთის გამყიდველი თათარი და სომეხი ვაჭარი, რომლებმაც ბინა ვერ იშოვეს, მზად არიან იორამს ბევრი ფული გადაუხადონ, ოღონდ დაჩა მიაქირავონ. იორამს კი მათი თავიდან მოცილება უნდა, რაშიც მსახური მოსიკო დაეხმარება. მუცელზე ხელს მოიკიდებს და იყვირებს: „ვაიმე მიშველეთ, მუცელი!“

ყველანი დაფრთხებიან და ყვირიან: „არიქა, თავს უშველეთ ხოლერაა!..“

ვოდევილი ხუმრობა „ხორველობა“ დაწერიდან მალევე დაიდგა. სეზონის გახსნისთვის, სექტემბრის თვეში თითქოს ხოლერის გავრცელებამ იკლო, ამიტომ უნდოდათ, 27 სექტემბერს, ხოლერის მოსპობის აღსანიშნავად, სიონის ტაძარში სამადლობელი პანაშვიდი გადაეხადათ, მაგრამ 4 ოქტომბრისთვის გადასდეს, ვინაიდან კიდევ რამდენიმე კაცი დაავადდა.

27 სექტემბერს, სეზონის გახსნაზე მუდმივმოქმედმა თეატრმა, ორი ახალი ქართული პიესა შესთავაზა საზოგადოებას: ა. ბენაშვილის „თელაველი ოტელი“ და ვ.გუნიას „ხორველობა“ (ორი სპექტაკლის ერთ საღამოს წარმოდგენა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო). ვოდევილში ასახულმა მოვლენებმა, ნაცნობმა სიტუაციებმა, პერსონაჟთა კომიკურმა საქციელებმა და სასაცილოდ აღწერილმა ეპიზოდებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. პრემიერის დღის შესახებ, 29 სექტემბრის ახალ ამბებში, გაზეთი „ივერია“ წერდა: „27 სექტემბერს, ქართულმა დრამატულმა დასმა პირველი წარმოდგენა გამართა. ა.ბენაშვილის „ოტელი“ და გუნიას ვოდევილი „ხოლერობა“ წამოადგინეს, როგორც მოსალოდნელი იყო ხალხი კარგა ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. არტისტები მწყობრად თამაშობდნენ. ეტყობოდათ, რომ პირველი წარმოდგენისთვის შრომა არ დაეშურნათ. ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელი“ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ავტორი რამდენჯერმე გამოიწვიეს და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. გუნიას ვოდევილმა „ხორველობამ“ ხალხი ძლიერ აცინა“. სპექტაკლი 11 ოქტომბერსაც გაიმართა, ამჯერად „ხორველობასთან“ ერთად ვალერიან გუნიამ კიდევ ერთი ახალი პიესა შესთავაზა მაყურებელს კომედია „ზოგი ჭირი მარგებელია“ გადმოკეთებული 3 მოქმედებად.

„ხორველობა“ სხვადასხვა ქალაქებსა და წლებშიც იდგმებოდა, ძირითადად მას სცენისმოყვარეები წარმოადგენდნენ საქველმოქმედო მიზნით, რაც პირველ რიგში სიუჟეტის სიმარტივეით იყო განპირობებული. ერთ-ერთი წარმოდგენა, 1896 წელს ახალ-სენაკში ნატო გაბუნias ხელმძღვანელობით უთამაშიათ,

* მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის მსახიობი. მას მიუძღვნა ა. ცაგარელმა პიესა „ხანუმა“.

წყალ დიდობისა და დიდი თოვლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. ხაშურშიც წარმოუდგენიათ მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ, „ბილეთები კი ნისიად გაუყიდიათ“ (ცნობის ფურცელი 1899: N8350).

თბილისურ სეზონს მალე ქუთაისის თეატრის სეზონის გახსნა მოჰყვა. პირველი სპექტაკლი 11 ოქტომბერს გაიმართა. თეატრმა, კლასიკა შესთავაზა მაყურებელს. გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, კოტე მესხისა და ეფემია მესხის მონაწილეობით. „ახლავე კი შევძლებთ, ვგონებ ხოლერისაგან შეშინებულ-დადარდიანებული გული თეატრში სიარულით გავართოთ“ – წერდა 15 ოქტომბრის „ივერია“.

ამ პერიოდის მანძილზე, ვიდრე ქვეყანაში ხოლერა არსებობდა, თეატრალური ცხოვრების რიტმი არ შეცვლილა. არც რაიმე საგანგებო რეჟიმი შემოუღიათ, არც სპექტაკლები მოუხსნიათ. თბილისსა და რაიონებში კულტურულ-თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა. ამ 6 თვის მანძილზე არაერთი თეატრალური პრემიერა შედგა, დაიწერა ახალი ქართული პიესები, გაიმართა ბენეფისები, ჩატარდა თეატრალური საზოგადოების სხდომა, ერთი სიტყვით თეატრალური პროცესები ჩვეულებრივად მიმდინარეობდა.

თეატრალურ დასებს, არც მნიშვნელოვანი თარიღები დარჩენიათ უყურადღებოდ. მაგ. რუსულმა დასმა ფორკატის ხელმძღვანელობით, ამერიკის აღმოჩენის 400 წლისთავს მიუძღვნა სადღესასწაულოდ სპექტაკლები. ბარრეს ხუთმოქმედებიანი ფერია პროლოგითურთ: „ქრისტოფორე კოლუმბი ანუ ამერიკის აღმოჩენა“ (ივერია 1892: N223), რომელშიც მთელი დასი იღებდა მონაწილეობას. ფორკატის^{*} ხელმძღვანელობით რუსული დასი აპირებდა წარმოდგენის გამართვას, საზაფხული თეატრში ქ-ნ სტრეპეტოვას მონაწილეობით, რომელიც 10-12 წარმოდგენისთვის იყო მოწვეული.

ასევე ფორკატის მოლაპარაკება დაუწყია, იტალიიდან საბალეტო დასის ჩამოსაყვანად.

* ვ.ლ.ფორკატი – ანტრეპრენიორი, მსახიობი, თბილისში ჩამოვიდა თავისი დასით 1887 წელს, 1892-93 წლებში. სათავეში ჩაუდგა თბილისის ოპერის თეატრის ანტრეპრიზას.

სპექტაკლებს მართავდა სომხური დასიც, მიუხედავად იმისა რომ სომხური თეატრის კომიტეტს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და დასს დახმარება შეუწყვიტა, კომიტეტის საამმა წევრმა განიზრახა თავისი ხარჯით განეგრძოთ წარმოდგენების მართვა.

ქართულ თეატრში ტრადიციულად გაგრძელდა ბენეფისების მოწყობა. 9 დეკემბერს წარმოადგინეს კოტე ყიფიანის საბენეფისოდ გუნიას პიესა „და-ძმა“ და ვოდევილი „არც აქეთ არც იქით“. ვალერიან გუნიას საბენეფისოდ გაიმართა 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა „მოღალატე“, კომედია „ჩვენი დროის ქალები“ და დრამა „სულით ღატაკნი“ (ივერია 1892: N260). მსახიობი ლადო მესხიშვილი მიუწვევიათ საიმპერატორო თეატრის სცენაზე დრამატული როლების სათამაშოდ (ივერია 1892, N225). დაიწერა ახალი პიესები (მაგ.გამოურკვეველი ოცნებანი, ჩვენი დროის ქალები, ორივეს დადგმა ქართულ დასს გადაწყვეტილი ჰქონდა), დაიდგა ახალი სპექტაკლები („მოღალატე“, „სულით ღატაკნი“, „თელაველი ოტელო“, „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ და სხვა). ზოგიერთ სპექტაკლს წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში ღირებული არაფერი შექმნილა და სეზონიც საკმაოდ მდორედ მიედინებოდა. ყველა ახალ სპექტაკლს, რომელიც ამ დროისთვის იდგმებოდა, გაზეთი „ივერია“ ეხმაურებოდა და მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას, ბეჭდავდა რეცენზიებს. რეცენზენტები ზოგჯერ მკაცრად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, როგორც სპექტაკლის, ასევე პიესის მიმართ. მაგალითად, როდესაც ბელოვის მელოდრამა „დანაშაული და სასჯელი“ დაიდგა, რეცენზენტმა მისი შინაარსი უარყოფითად შეაფასა. პიესა მოღალატე ცოლის ისტორიას მოგვითხრობს. მთავარი მოქმედი პირი კორა ღალატობს ქმარს და უდანაშაულო კაცს ციხეში აგზავნის. რეცენზენტის აზრით, ასეთი შინაარსის პიესა ქართული საზოგადოებისთვის სრულიად შეუფერებელი იყო და მნიშვნელობას მოკლებული. „ისეთი ხასიათის ქალებს, როგორიც აქვს კორას, ევროპის დიდ ქალაქებში თუ შეხვდებით პარისში ან ლონდონში. დასავლეთ ევროპაში დიდ წარმატებასთან ერთად ზნედაცემულობაც დიდია და ამ ნაკლს ცივილიზაციისას გვიხატავს ბელოვის მელოდრამა..(ივერია 1892: N207). როგორც ვხედავთ ცოლის მიერ ქმრის ღალატი და მასზე ვერაგული შუ-

რისძიება, წერილის ავტორმა ევროპულ მოვლენად აღიქვა. ამის გარდა, რეცენზენტი თვლიდა, რომ მიუხედავად მსახიობთა (სვიმონიძე, აბაშიძე, გედევანოვი, განსაკუთრებით კი კორას როლის საუკეთესოდ შემსრულებელი ავალიშვილი) კარგი შესრულებისა, პიესა არ იყო შესაფერისად დადგმული, არც დეკორაციები და არც ტანსაცმელი ვარგოდა.

თეატრალური წარმოდგენების პარალელურად, ხოლერის პერიოდში სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონისძიებები ეწყობოდა. მაგ. 27 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს გაიმართა დიდი დოლი დიდუბის მინდორზე. ცხინვალში პატარა ლიახვზე ხიდის გასაკეთებლად მოეწყო გასართობი საღამო, ჯერ ითამაშეს სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში,“ შემდეგ კი გაიმართა ჭიდაობა. აქტიურად მუშაობდა წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა, გამოსაცემად მზადდებოდა ლერმონტოვის „მწირი“, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“. აკაკი წერეთელმა, ნოტარიუსით დამტკიცებული ხელწერილით 1892 წლის 16 ოქტომბერს, ამხანაგობას გადასცა თავისი ნაწარმოებების სრულიად გამოცემის უფლება, სხვებს კი აეკრძალა აკაკის ნაწარმოების გამოცემა ან კრებულში ან ცალკე წიგნად, სხვა შემთხვევაში დაჯარიმდებოდა. გაიხსნა ახალი სასტუმრო მადათოვის ქუჩაზე „ქართული პურ-მარილი“...

მიუხედავად მდარე თეატრალური სეზონისა, ამ პერიოდის სათეატრო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მოსკოვის საოპერეტო დასისაგან სპექტაკლების გამართვა, რომელის ხელმძღვანელობაც დრამის მსახიობმა მაკო საფაროვამ ითავა.

გაზეთი „ივერია“ წერდა: „ჩვენი ბანკის თეატრი იჯარით აიღო მაკო საფაროვამ, რომელმაც მოსკოვიდან უნდა მოიწვიოს საოპერეტო და სადრამო დასი“ (ივერია 1892: N199). უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება ყოველთვის დიდი მოყვარული იყო მუსიკალური საღამოებისა. 1851 წლიდან, როდესაც თბილისში იტალიური ოპერა შეიქმნა, მაყურებელი დიდ ინტერესს ავლენდა ამ ჟანრის მიმართ. თბილისში, სამუსიკო და სალიტერატურო საღამოები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მაგ. 1892 წლის 18 იანვარს ხუთ განყოფილებიანი საღამო გაიმართა. ითამაშეს ოპერეტა ჟონანისა „ქორწინების წინა დღე“, ვასო

აბაშიძემ შეასრულა კუპლეტები, ქ-ნმა ძნელადემ იმღერა არია ოპერიდან „რუსლანი და ლიუდმილა“. „ოპერისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ აფიშაზე გაჩნდა წარწერა „სადრამო და საოპერეტო“ წარმოდგენა. ხშირად დრამის მსახიობები არათუ თავისი ბენეფისთვის ირჩევდნენ ნაწყვეტებს ოპერებიდან, არამედ საოპერეტო წარმოდგენაც კი დადგეს (1882 წლის 24 ნოემბერს,) ჟაკ ოფენბახის „მეჯლისი იტალიელებით“, რომელიც ქართულ ენაზე წარმოადგინეს.

პანდემიის პირობებში, ამ თვალსაზრისით ოქტომბრის თვე იყო გამორჩეული. 1892-1893 წლის სეზონში, როცა მაკო თეატრის ანტრეპრენიორი გახდა, არაერთი მომღერალი დასი ჩამოიყვანა. მაკოს დასმა პირველი წარმოდგენა 1892 წლის 15 ოქტომბერს გამართა სტრაუსის 3 მოქმედებიანი კომიკური ოპერა „ყარაჩთა ბარონი“. ივერიის რეცენზენტი სპექტაკლის ქებასთან ერთად, აკრიტიკებდა მსახიობთა ოსტატობას, ხოროს შესრულებას, რომელსაც „ხმა შეუწყობელი, შეუთანხმებელი ჰქონდა“ (ივერია 1892: N220). 18 ოქტომბერს, არწრუნის თეატრში კიდევ ერთი ოპერეტა ითამაშეს. ლეკოკის „ხელი და გული“. ბოენსის და ლეანოვის შესრულებით. სპექტაკლს წარმატება მოყვა. მეორე დღეს, 21-ოქტომბერს, ბანკის თეატრში წარმოადგინეს ზუპკერის სამმოქმედებიანი ოპერეტი „ბოკაჩიო“. გაზეთები „კავკაზი“ და „ივერია“ აშუქებდა სპექტაკლების ხარისხსა და მომღერალთა შესრულებას. მსახიობი ქ-ნი ბოენსი და ბ-ნი ბიაზი გამორჩეული ყოფილა. სპექტაკლში „ბოკაჩიო“ რეცენზენტმა დაიწუნა ქალების ხორო და ურჩევდა ადმინისტრაციას, რომ ხოროსთვის მეტი ყურადღება მიექცია. მართალია, ზოგიერთი მომღერალის გამოსვლას რეცენზენტთა კრიტიკა მოჰყვა (ზოგიერთ მსახიობს როლები არ სცოდნია), მაგრამ მთავარი იყო, რომ თბილისელი მაყურებელი მუსიკალურ სპექტაკლებს დიდი ინტერესით ესწრებოდა. განსაკუთრებით, ეს ეხებოდა საოპერეტო ჩამოსულ დასებს. მაგ. 1893 წელს 10 ახალი საოპერო სპექტაკლი გაიმართა, რომელზედაც ყველა ბილეთი გაყიდულა.

დრამატული საზოგადოება თვალყურს ადევნებდა ოპერეტის დასის საქმიანობას, მომღერალმა ბარიტონმა კაზიმირ ცხომელიძემ (ივერიელი), რომელიც ხშირად მართავდა საოპერო სადამო-

ებს, 11 ოქტომბრს, სხდომაზე დასვა საკითხი მუსიკალური სპექტაკლების გამართვის შესახებ. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენების მართვა თავის თავზე აეღო დრამატულ საზოგადოებას. საზოგადოების თავჯდომარემ გიორგი თუმანიშვილმა, ამის თაობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან წესდების მიხედვით, დრამატულ საზოგადოებას არ შეეძლო სამუსიკო საღამოების წარმოდგენების მართვა. დრამატული საზოგადოება, ამ პერიოდშიც აქტიურად აგრძელებდა თავის საქმიანობას. წესისამებრ, ჩატარდა წლიური კრება, აირჩიეს კომიტეტის წევრები, განიხილეს ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე საკითხები.

პანდემიის არსებობამ ხელი ვერ შეუშალა თეატრალური პროცესების წარმართვას. შემოდგომის და ზამთრის სეზონმა ნორმალურად ჩაიარა. იმ დროინდელი მონაცემების მიხედვით, რეპეტიციების ჩატარებისა თუ მაყურებელთა დასწრების შეზღუდვების ან რაიმე რეგულაციების შესახებ არ გვაქვს ინფორმაცია. ეს ეხებოდა, როგორც დედაქალაქს, ასევე რაიონებსა და სოფლებს.

ამგვარად, პანდემიის პირობებში თეატრალური ცხოვრებაში, ცვლილებები არ შეინიშნებოდა. ამ 6 თვის მანძილზე დაიდგა ახალი სპექტაკლები, გაიმართა ბენეფისები, დაიწერა პიესები, გამოიცა ახლი წიგნები, მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მაკო საფაროვას მიერ რუსული საოპერეტო დასის ჩამოყვანა, რომელსაც საზოგადოება დიდ თანაგრძნობას უცხადებდა. გაიმართა დრამატული საზოგადოების სხდომა. ერთი სიტყვით, თეატრალური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა...

დამოწმებანი:

გუნია 1893: გუნია ვ. *დრამები და კომედიები*. თბილისი: 1893.

ვაჟა-ფშაველა 1892: *ფიქრები ხოლერის გამო*. ივერია, N207, 1 ოქტომბერი. 1892.

ივერია 1892: „ხოლერის შესახებ“. ივერია, N130, N131, 125, N129, N 120, N127. 1892.

ივერია 1892: „ხოლერა ბაქოში“. ივერია, N121, 12 ივნისი. 1892.

ივერია 1892: *ახალი ამბების რუბრიკა*. ივერია, N11, N17, N205, N4, N135, N199, N 203, , N223, N221, N 225, N224. 1892.

ივერია 1892: ნათლისღების დღეს მომხდარი უბედურება ტფილისში. ივერია, N4, 8 იანვარი. 1892.

ივერია 1892: დარიგება ხოლერის დროს. ივერია, N135, 28 ივნისი. 1892.

ივერია 1892: ქართული თეატრის მატთანე. ივერია, N208, 3 ოქტომბერი, 1892.

ივერია 1892: საოპერეტო დასის პირველი წარმოდგენა. ივერია, N220, 17 ოქტომბერი. 1892.

წერეთელი 1892: წერეთელი ა. ხოლერა მესტიკირული შაირები. ქუთაისი: 1892.

Tsira Kilanava

Georgia, Tbilisi

Ilia State University

**„The Awakening of the Person Hidden Inside“:
Representation of the Epidemic in “Mikela”
by David Kldiashvili
(visualization of spatial and social relations)**

Summary

The epidemic is represented in “Mikela” in two manifestations: As an organizing principle of the space determined by the disease and in terms of the representation of the model of social relations.

To analyze the given issues, the textual data showing the disease and the relation to it were identified in the narrative (mainly through the narrator’s report and through the characters’ speech); moreover, the practice of organizing the space was specified based on the passages showing the characters’ action space, and the social network of “Mikela” was reconstructed through the relation to other characters. The value system that forms the basis of the characters’ relationships was revealed. Diagrams were used to classify the textual data, which were created using simple online tools.

Key words: David Kldiashvili, epidemic, space, value, diagram.

ცირა კილანავა

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„შიგნით დამალული ადამიანის გაღვივება“:
ეპიდემიის რეპრეზენტაცია დავით კლდიაშვილის
„მიქელას“ მიხედვით
(სივრცისა და სოციალურ ურთიერთობათა ვიზუალიზება)**

შესავალი

ქართულ ლიტერატურაში განსახოვნებული მრავალფეროვანი თემატიკიდან ერთ-ერთი უძველესია ფიზიკური ავადმყოფობა. აღნიშნულ საკითხს ჯერ კიდევ მე-5 საუკუნის „შუშანიკის წამებაში“ ექცევა დიდი ყურადღება (ეპოქის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შესაბამისად, მოწამის დასწეულება იმთავითვე გულისხმობს მის სულიერად გაძლიერებას). დასახელებული საკითხისადმი ინტერესი არ კლებულობს მომდევნო ხანების მხატვრულ ნარატივებშიც (შდრ. დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, გურამ გეგეშიძის, ბესიკ ხარანაულისა და სხვათა ნაწარმოებები). მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელას“ (1904 წ.), რომელიც მწერლის შემოქმედების პირველ ეტაპზეა შექმნილი და წარმოადგენს მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული მოთხრობათა ციკლის დასასრულს: „მიქელა“ აგრძელებს და კრავს „შერისხვასა“ (1893 წ.) და „მსხვერპლში“ (1894 წ.) თემატიკებულ საკითხებს: დეინდივიდუალიზებულ და დეჰუმანიზებულ ურთიერთობებს, მატერიალური და სულიერი სიღარიბის საშინელებას, მოულოდნელი/უარყოფითი მოვლენის მიმართ არარაციონალური დამოკიდებულების პრობლემურობას. დასახელებულის გარდა, „მიქელა“ საყურადღებო ნაწარმოებია ეპიდემიის რეპრეზენტაციის, სნეულებით განპირობებული სივრცის ორგანიზების პრაქტიკისა და სოციალურ ურთიერთობათა მოდელის განსახოვნების თვალსაზრისით.

დასახელებული საკითხების საანალიზოდ მოთხრობაში იდენტიფიცირებულია სწეულებისა და მისდამი დამოკიდებულების ამსახველი ტექსტური მონაცემები (ძირითადად – მთხრობლისა და პერსონაჟთა მეტყველების დონეებზე), მთავარი პერსონაჟის სამოქმედო არეალის ამსახველი პასაჟების საფუძველზე დადგენილია სივრცის ორგანიზების პრაქტიკა და დანარჩენ პერსონაჟებთან მიმართებით რეკონსტრუირებულია მიქელას სოციალური ქსელი; აღნიშნულის საფუძველზე, გამოვლენილია სხვებთან მისი დამოკიდებულების ღირებულებითი მოდელიც. საამისოდ გამოყენებულია დიაგრამირების მეთოდი და მონაცემთა კლასიფიკაციის/ვიზუალიზების მარტივი ონლაინინსტრუმენტი.

ძირითადი ნაწილი

„მიქელაში“ მოვლენების განვითარების საწყის ეტაპად წარმოდგენილია ოჯახში დატრიალებული ტრაგედია – გაურკვეველი, ავტორის მიერ სახელუდებელი მიზეზით მოხუცმა „სულ მოკლე ხანში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვან ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მათა“ (კლდიაშვილი 2014: 1). ღვთისადმი/უზენაესისადმი/ღვთაებისადმი/უფლისადმი (მოთხრობაში ყველა ეს სახელდება მოცემული) ტექსტში სამგზის ხაზგასმული მორჩილებითა და მოთმინებით ნასაზრდოები დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ოჯახის ამოწყვეტისა და მიცვალებულთა მაცხოვრებლის/ მომგონებლის დაკარგვის შიშმა (ერთი წინადადების ფარგლებში სიტყვა „შიში“ სამგზისაა გამოყენებული) მიქელას აქტიურობისკენ უბიძგა: უფროსი შვილიშვილის, სპიდონას, უცნაური ავადობისა და უმცროს შვილიშვილ ნესტორას გახიზვნის შემდეგ „მასში თითქოს გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით“ (იქვე: 2). ამ „შიგნით დამალული ადამიანის“ გამოღვიძება რამდენიმე ეტაპად წარიმართა: პირველი იყო მიქელას დეპრესია, რომელიც ჩვეული საქმიანობისადმი სრული გულგრილობით გამოიხატა: ერთთავად ეზოში, ხის ძირას, მჯდო-

მი საგონებელში ჩავარდნილი მიქელას საქმეებიც მთლიანად რმალ „მაიას დააწვა კისერზე“ (იქვე); მეორე ეტაპზე მიქელა წავიდა მძახლების ოჯახში თავისი უმცროსი შვილიშვილის სანახავად, მათგან გაიგო უბედურების (ოჯახის ამოწვეტის) თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ; მესამე ეტაპზე იმედმოცემული მიქელა შეუდგა საქმეს:

1. სახლის გასაწმენდ-გადასადგმელად საჩხერეში მოელაპარაკა ჟამგამოვლილ (!) ალექსი ბოჭორიძეს (რძლის თქმით, მეზობლები ავადობის შიშით ახლოსაც არ ეკარებოდნენ მიქელას ოჯახს);

2. უფროსი შვილიშვილი სპიდონა გადაიყვანა ეზოს კუთხეში, ღობესთან, ცალკე კარავში, რომლის მოსამზადებლადაც შორი მთიდან ორჯერ ჩამოიტანა ურმით წნელი (ამ ეპიზოდში, მთხრობლისეული შეფასებების სახით, ექსპლიციტურ დონეზე, ორგზისაა ხაზგასმული მიქელას გულცივობა);

3. ჟამგამოვლილ ალექსისთან ერთად დღე-ნახევარში დაარღვია ორივე სახლი, ალექსის მიერ საგულდაგულოდ დაფხეკილი და დამდულრული ფიცრები სათითაოდ ზურგით გადაიტანა თავის ძველ ნამოსახლარზე; პარალელურად, შემორაგვა (შემოღობა)/გამოყო თავისი და სპიდონას სივრცეები;

4. ახალ (გაწმენდილ და ძველ ნამოსახლარზე გადატანილ) სახლში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მაქსიმალურად ერიდებოდა სპიდონასთან სიახლოვეს: გამოუყო ცალკე ჭურჭელი, რომელსაც სპეციალურად მიჩენილი ჯოხით აწვდიდა ავადმყოფ შვილიშვილს.

რას მივიღებთ, თუკი ზემოთ კლასიფიცირებულ ტექსტურ მონაცემებს მოვაცილებთ კონკრეტულ მოცემულობებს და განვაზოგადებთ? კორონაპანდემიის გამოცდილების მქონე საზოგადოებისთვის ესაა ვირუსთან გამკლავების საბაზისო ქცევის სტადარტი: უცხო ავადმყოფობასთან შეჯახებისას დაბნეულობა/დეპრესია, ავადმყოფისა და ჯანმრთელი ადამიანების განცალკევება, ახლობლის/ძვირფასი ადამიანის ნახვის/მასთან სიახლოვის სურვილი, გამოცდილი/სანდო ადამიანისგან რჩევის მიღება და დეზინფექცია-იზოლაციის პრაქტიკის დანერგვა. დასახელებული ნიშნების მიხედვით, მიქელას მიერ გადადგმული ნაბიჯები, დღევანდელი გამოცდილებით, ჯანდაცვის პროტოკოლის მო-

თხოვნებს ითვალისწინებს. მაგრამ ეს „შიგნით დამალული ადამიანის გაღვიძების“ მხოლოდ გარეგნული ნიშნებია. მათ მიღმა კი პიროვნული ურთიერთობების კომპლექსური საკითხი დგას.

როგორია მიქელას სოციალური ქსელი? მოთხრობის მიხედვით (და ეს ლოგიკურიცაა, სათაურიდან გამომდინარე) – ყველაზე კომპლექსური. მას, როგორც მთავარ გმირს, ექსპლიციტურ დონეზე სოციალური ურთიერთობა აქვს მოთხრობის თითქმის ყველა პერსონაჟთან, მათ შორის და, უპირველეს ყოვლისა, – ღმერთთან. როგორია, ეს ურთიერთობები? თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობების საფუძველი მიქელას (დიდი ალბათობით, შესაძლებელია მისი განზოგადება) მსოფლმხედველობრივი წარმოდგენებია – მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა და არა – სიტუაციით განპირობებული გადაწყვეტილებები.

ეს წარმოდგენები ეფუძნება სააქაოსა და საიქიოს შესახებ ბინარულ ოპოზიციას, საიქიოს პრიმატიულობით. საიქიო/მარადიული ცხოვრებაა ამქვეყნიური არსებობის ორიენტირი; ცოცხალ ადამიანთა მთავარი საზრუნავი გარდაცვლილთა სულების პატრონობა და მათი „აქედან ხელისწყობა“ (კლდიაშვილი 2014: 3). ეს არაერთხელაა აღნიშნული ტექსტში: „ღრმად სწამდა ეს მიქელას, მადლობას სწირავდა უფალს და მზად იყო დაევიწყნა უბედურება, რაკი ამათში (იგულისხმებიათ შვილიშვილები – ც.კ.) ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და **თავისი გამწარებული სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ.** (...) და სწორედ მაშინ, როცა მიქელა იმედს მიეცა, ამ რწმენით დამშვიდებული იყო, რომ **მისი სიკვდილის შემდეგ ესენი ეყოლებოდნენ მისი სულისთვის მზრუნველებად** (...). მისი ოჯახის ამომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზე ეკიდა, როგორც იყო მისი უმცროსი შვილიშვილი, პატარა ათის წლის ნესტორა; **ამდენი სულის მომვლელ-პატრონად, როგორც ესაჭიროებოდა ოჯახის მიცვალებულთ და თვითონ მიქელასაც მისი სიკვდილის შემდეგ** (...)...მოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ **ამდენ მიცვალებულთა სულის მოსამსახურედ** აღარავინ დარჩება ოჯახში, გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დაცეცხლა. (...) საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას კი მთლად იმ კუთხის დედა-

კაცები შემოედგნენ. ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ იმათ იქაურ ყოფაზე, კითხულობდნენ – ეგებ რამეს ითვლევინებოდნენ – ან თუ **სამსახური მეტი ეჭირვებოდეთ, ან წირვა-ლოცვა, ან აკლდეთ შესაწირი, აკლდეთ აქედან ხელისწყობა** და მათი სული წუხდეს და გასაჭირში იმყოფებოდეს **უგუნურ და მიუხდომელ ამქვეყნად დარჩენილ მათ პატრონთა** გამოისობით (...) ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული, ერთი ბაღანა დამრჩა, **ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხოვნებელიც** (...) მისი ჭირი წამილია!.. **ჩემი სულის მაცხოვნების**. იყვეს... – და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა. – მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე, **ჩვენი სულის მაცხოვნების!**..“ (იქვე: 1-3, 17).

დამოწმებული პასაჟებიდან ცხადი ხდება, რომ მიქელა (და მოთხრობაში განსახოვნებული მთელი საზოგადოება) ვერ ხედავს კონკრეტულ ადამიანს, როგორც გაუმეორებელ ინდივიდს, უნიკალურ პიროვნებას, ცოცხალ ადამიანში ხედავს მხოლოდ (!) პასუხისმგებლობას, რომელიც, არჩევანის შესაძლებლობის უგულვებლყოფით, მას სოციუმში აკისრია – ესაა ოჯახის მიცვალებულთა პატრონობა, დასახული ადამიანად ყოფნის უმთავრეს მიზნად. დასახელებული კონვენციური ღირებულება, როგორც მოთხრობაში ჩანს, გამორიცხავს ცოცხალ ადამიანებთან პიროვნულ ურთიერთობას. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ვლინდება ერთი წლით საიქიოდან გამობრუნებულ სპიდონასთან მიქელას დამოკიდებულებაში, რომელიც რამდენიმე საფეხურადაა წარმოდგენილი:

1. თავდაპირველად სპიდონას დაავადებამ **თავზარი დასცა** მიქელას,

2. შემდეგ, როცა ეგონა, შვილიშვილი მოუკვდა, „გონება არეული მოხუცი **მზადებას შეუდგა**, ესეც ისე გაეტანა ურმით, როგორც წინანდელი მიცვალებულები“ (იქვე: 1),

3. „მაღე სპიდონამ, **მოხუცის სასიხარულოდ**, ისევ ამოისუნთქა“ (იქვე),

* ის საყურადღებო გარემოება, რომ მოთხრობის მთავარ პერსონაჟსა და მის მძახალს მიქელას და გაბრიელი ჰქვიათ, სახელდების დონეზეც ადასტურებს სიკვდილის *ფენომენის* მნიშვნელობას (პრიმატს) მოცემულ ტექსტში. აღნიშნულ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიის შესახებ ვრცლად იხ. ავალიანი 2005.

4. სპიდონას ერთი წლით საიქიოდან გამობრუნების ამბის შეტყობისთანავე „მოხუცებული აირია, მოუსვენრობას მიეცა (...) ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქოს გაიდვიბა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით“ (იქვე: 2),

5. „გადადებული“ სპიდონას სახე მიქელას ცნობიერებაში სრულად ჩაანაცვლა შორს მყოფი უმცროსი შვილიშვილის, ნესტორას, მონატრებამ,

6. მძახლის რჩევის (სახლის გაწმენდისა და ძველ ნამოსახლარზე გადატანის) სისრულეში მოსაყვანად მზადებას მიქელა სახლში დაბრუნებისთანავე შეუდგა და არ გაითვალისწინა ერთწლიანი ვადა, რომლითაც, სპიდონასავე თქმითა და ყველას რწმენით, საიქიოდან გამოაბრუნეს უფროსი შვილიშვილი: „ერთი წელიწადი რას ვუყურო? – წამოიძახა მიქელამ (...) სპიდონას კარავში გევიყვან, კარავს გოვუკეთებ და გევიყვან შიგ“ (კლდიაშვილი 2014: 7-8),

7. „სპიდონა, შენ კარავში უნდა გახვიდე! – რაღაც განსხვავებული კილოთი, გულცივად მიმართა მან ყმაწვილს. – სახლი უნდა გავეწმინდო (...) ჰო! ეგერ გაგიკეთე!.. ადექი.. ადექი !.. – ისევ გულცივად ჩასძახა მიქელამ“ (იქვე),

8. „ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიავიწყებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილიშვილი. თანდათან უკლებდა მიხედვას, თვალყურის დევნას; ხშირად მშიერსაც სტოვებდა (...) ერთ დღეს მიქელამ სრულიად უწყლოდ დატოვა იგი. (...) მოიხედა და, რა დაინახა სპიდონა, გაჯავრებით გამოექანა შვილიშვილისკენ. – რა გინდა შენ აქ? – მიაძახა მას. რა გინდა აქ? წადი!“ (იქვე: 11-12),

9. „ბერმა კაცმა უცნაური საქციელი დაიჭირა ფარღალალა კარავში მარტოდ დარჩენილ ყმაწვილთან. რაკი გადადგმულ სახლში შევიდა მიქელა, მან მორიდება დაუწყო სპიდონას, ახლოს აღარ ეკარებოდა შვილიშვილს“ (იქვე: 12),

10. „იგი (იგულისხმება სპიდონა – ც.კ.) ზეზე მდგარ მკვდარს უფრო მიემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალს. მიქელაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არ წუხდა, რადგან იცოდა – ბიჭი წლის გასულს უსათუოდ საიქიოს გასაბრუნებელი იყო და ვერას უშველიდა, მისი ფიქრით“ (იქვე: 12),

11. გვიან შემოდგომაზე დაწყებული ძლიერი წვიმა სპიდონას სასიკვდილოდ ემუქრებოდა. ამ დროს რძალ მაიასა და მეზობელ ანთიმოზას შეხსენებაზე, სპიდონასთვის მიეხედა, მიქელას პასუხი პიროვნული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა იყო: „**რა ვუყო ახლა მე! (...)** **რა ვუყო ახლა მე! (...)** **რა ცოდვა უნდა დაგვედვას, ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამ მოუვიდა და ისაა!** – უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა მოხუცმა“ (იქვე: 13-14),

12. ღვარცოფში ფარდალალა კარავში მიტოვებულ სპიდონას რამდენჯერმე გადასძახა მიქელამ: „სპიდონა, ე, ბიჭო, სპიდონა, **არ შეგეშინდეს, ბიჭო!** ახლავე მოვალ კიდო, ახლავე! (...) ბიჭო, სპიდონა! სპიდონა! ბაბუა! (...) **სპიდონა, ბაბუა! გესმის?**“ (იქვე: 16),

13. სპიდონას დროზე ადრე გარდაცვალებით გაკვირვებული მაიას შენიშვნაზე, ერთი წელი ხომ არ გასულაო, მიქელამ უპასუხა: „**ალბათ, შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგია რა ვადა დაუნიშნეს...**“ (იქვე)

14. გარდაცვლილ სპიდონასთვის წესის ასაგებად მოსული მღვდლის წინაშე (რომელიც „ძლიერ შეუწყრა მიქელას შვილი-შვილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში მიცემას“) ასე იმართლა თავი მიქელამ: „**თავათ აშობდა, რომ ვადით იყო გამობრუნებული, შენი ჭირიმი... მაინც ეს დღე მოელოდა მოკლე ხანში... ხელიდან წასული იყო... ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული – ერთი ბაღანა დამრჩა. ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხოვრებელიც... გოუწმენდელ სახლში რავა შემომეყვანა... რა ვიცი, იმასაც რომ შემთხვეოდა რამე! ცხრა მთას იქით მყავს გადამალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო! რახანია, თვალთ არ დამინახავს... შედით ჩემს მდგომარეობაში!**“ (იქვე).

მართალია, სპიდონასადმი მიქელას დამოკიდებულებაში პერიოდულად ჩნდება ჰუმანურობის ნიშნები (შდრ. მე-3 და მე-12 პუნქტები), მაგრამ მთლიანობაში, და რაც მთავარია, ერთი წლით საიქიოდან გამობრუნების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე (შდრ. მე-4 პუნქტი) მიქელაში გაიღვიძა „შიგნით დამალულმა ადამიანმა“, რომელმაც შემდეგ უზენაესის ნების აღსრულებისა და ამოწყვეტისაგან ოჯახის დაცვის სახელით, ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც კი გააკეთა, თვითგადარჩენას მიუძღვნა: ოჯახის წევ-

რთა მოულოდნელი გარდაცვალებით თავზარდაცემული მიქელა დარჩენილ ორ შვილიშვილს თავისი სულის მომვლელებად სახავდა (შდრ. მოთხრობის მესამე აბზაცი), პატარა ნესტორას ოჯახის მომავლად და გვარის ამოწყვეტისგან გადარჩენის ერთადერთ იმედად სახელდებდა (შდრ. მისი საუბარი მძახალ ტუფიასთან), მომაკვდავი სპიდონა მის ცნობიერებაში მალევე სრულად ჩაანაცვლა ნესტორამ, რომელიც მისგან არ მოითხოვდა მოვლა-მზრუნველობას (ნესტორას გახიზვნის იდეაც კი არ იყო მიქელასი; ეს მაიას, ბავშვის დედის, გადაწყვეტილებით მოხდა). სამაგიეროდ, ის, ვინც მთლიანად მის კეთილ ნებასა და პატრონობაზე იყო დამოკიდებული, მიქელამ არ/ვერ მიიღო სწორედ იმ მიზეზით, რომლითაც მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჯანმრთელი, „საიმედო“ (მოთხრობლისეული აღნიშვნით) შვილიშვილი – 10 წლის ნესტორა იყო მისი (მიქელას) სულის მომვლელი და არა უბრალოდ, ბავშვი, რომელიც უნდა გადარჩენილიყო; მღვდლის მისამართით ნათქვამ მის სიტყვებშიც საგულისხმო ასპექტები იკვეთება: სპიდონას მიმართ გამოვლენილი გულგრილობა მან ორი საფუძვლით ახსნა: 1. თავად სპიდონას ნათქვამით ერთი წლით გამოზრუნების შესახებ და 2. მისი პატრონისა და სულის მაცხოვრებელი უმცროსი შვილიშვილის უსაფრთხოების ფაქტორით. მისი სიტყვის ბოლო მონაკვეთში აღნიშნული კი, რომ შვილიშვილი ცხრა მთას იქით გადამალა და დიდი ხანი იყო, რაც არ ენახა, სრულ სიცრუეს წარმოადგენდა: ნესტორა გვერდითა („მახლობელ“) სოფელში იყო (იქ მისვლა და დაბრუნება მიქელამ ერთ დღეში მოასწრო); ბავშვი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მისი ინიციატივით არ გაუხიზნავთ; რაც მთავარია, დიდი ხნის უნახავი არ ჰყოლია ბაბუას უმცროსი შვილიშვილი (მისი მონახულებიდან სულ ცოტა ხანში გადაიტანა სახლი ძველ ნამოსახლარზე. მას კი მალევე მოჰყვა შემოდგომის გადაუღებელი წვიმა, რომელსაც შეეწირა კიდევ სპიდონა).

უბედურებით თავგაბეზრებულმა და ფორმალური რელიგიურობის სქემატურობით ცნობიერებადამახინჯებულმა მიქელამ ვერ გაიაზრა, რომ ის ერთი წელიწადი, რომლითაც სპიდონა გამოაბრუნეს საიქიოდან (იხ. „შვილიშვილმა მიქელას გამოუცხადა, რომ საიქიოს ვიყავიო, მაგრამ რადგან ჩემი იქ წასვლის ბორჯი არ მო-

სულა, ერთი წლით გამომაბრუნეს უკანაო“ (კლდიაშვილი 2014: 1), მისი, როგორც პიროვნების, ბოლო გამოცდა/შესაძლებლობა იქნებოდა, გაქვავებული სტატუსებისა და სოციალური პასუხისმგებლობების მიღმა დაენახა ცოცხალი ადამიანი; ადამიანი, როგორც მიზანი და არა – საშუალება.

მოთხრობის სხვა პერსონაჟებთან მიქელას დამოკიდებულება-შიც ჩანს ის სქემატურობა, რომელიც მას, როგორც უბედურებით გამწარებულ ადამიანს, არ აძლევს საშუალებას, საკუთარი თავისა და გასაჭირის მიღმა დაინახოს მეორე/სხვა, რომლის აღმოჩენის აუცილებლობაზე მოთხრობაში ყურადღება რამდენჯერმე გამახვილებული. საკითხის მნიშვნელობის ხაზგასასმელად აქ ვიმოწმებ მხოლოდ იმ პასაჟებს, რომლებიც უშუალოდ სპიდონას უკავშირდება: „ბიჭი ხმას არ იღებდა, როცა მიქელამ მიატოვა იგი, შეფორთხდა შიგნით კარავში და მუხლებმოკვეთილივით მოიკეცა თავის ახალ საწოლზე, სახემწუხარემ, დაღონებულმა. **თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა, რომ უკვე ხელს იღებდნენ მასზე, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ.** დაწვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოიწია – **სული უწუხდა** (...) თავდაპირველად ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა – თითქოს იგი ჭირიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე ამასაც შეურიგდა; იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა და **მან კიდევ გაამართლა თავის გუნებაში მოხუცი, რომელიც ასე შეუბრალებლობის გზას დაადგა** იმისათვის, რომ წლის თავზე საიქიოს გაბრუნებოდა, ითმენდა ყველაფერს და თან დღითიდღე დნებოდა, ქრებოდა“ (კლდიაშვილი 2014: 8, 11). დამოწმებულ პასაჟებში ხაზგასმული ფრაზები მიუთითებს არა მხოლოდ მიქელას ადამიანურ მოვალეობასა და დანაშაულზე, არამედ აჩვენებს სპიდონას შინაგან მდგომარეობასაც – მზაობას, შეუბრალებელ ბაბუაში დაინახოს მისი მიუღებელი საქციელის გამამართლებელი მოტივი – შიში და აპატიოს მას.

რაც შეეხება ფრაზას – „თითქოს იგი ჭირიანი ყოფილიყო“ – ის ერთგვარ ეჭვს აჩენს მოთხრობაში განსახოვნებული ავადმყოფობის რაობის თაობაზე. არის კი ნამდვილად ეპიდემია ის, რაც აღწერილია ტექსტში და რაც ხსნის კიდევ პერსონაჟთა მხატვრულ

სახეებს? ტექსტურ მონაცემთა კლასიფიცირების საფუძველზე, დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. მართალია, დაავადების კონკრეტული სახელი მოთხრობაში არაა ნახსენები, მაგრამ დასტურდება ორი საიდენტიფიკაციო ტიპის ინფორმაცია:

1. **დაავადების ნიშნები:** გაფერმკრთალემა-გაყვითლემა, ზოგადი სისუსტე და ლეტალური შედეგი; დაავადების გავრცელება (მოთხრობის მიხედვით, რეგიონში მსგავსი გამოცდილების მქონე რამდენიმე ოჯახი იყო); 2. **პრევენციის გზები:** *დეზინფექცია* (სახლის საფუძვლიანი გაწმენდა-დამდუღვრისა და გადატანის, ასევე – ავადმყოფისთვის სპეციალური ჭურჭლის მიჩენის გარდა, ამას ადასტურებს მძახლების სახლში მიქელას სტუმრობის ეპიზოდიც, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი პროცედურა – „ტანისამოსის დაბერტყვა. შეჩერდა, გაიხადა ჩოხა, მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ოჯახში“ (კლდიაშვილი 2014: 4) და *იზოლაცია* (ეს უკანასკნელი დეტალურადაა აღწერილი ეზოს ბოლოს, კარავში, სპიდონას გადაყვანითა და მისი დასაფლავების ეპიზოდში).

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად ანალიზის მეთოდის შესახებ: საკონფერენციო თემატიკის მიხედვით განისაზღვრა საკვლევი თემა – „მიქელაში“ რეპრეზენტირებული ეპიდემია, რომელიც მოთხრობაში ორი ნიშნით აღმოჩნდა განსახოვნებული – სივრცის ორგანიზებისა და სოციალურ ურთიერთობათა დონეებზე. ორივე მიმართულებით იდენტიფიცირებული ტექსტური მონაცემები (ზოგ შემთხვევაში – ინტერპრეტაციებით) თავდაპირველად გადავიტანე cogxle.it ონლაინ-პლატფორმაზე (იხ. დანართი). ამან საშუალება მომცა, სურათი მეტნაკლები სისრულით ობიექტურად დამენახა, შემდეგ ინფორმაცია სასტატოდ დამეხარისხებინა და გამომეკვეთა ძირითადი ტენდენციები.

დასკვნა

დავით კლდიაშვილის ადრეულ ნაწარმოებ „მიქელაში“ რეპრეზენტირებულია ფიზიკური ავადმყოფობა (ტექსტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ეს უნდა იყოს ეპიდემია) და დეზინფექციის/იზოლაციის/სივრცის ორგანიზების გზით მასთან გამკლავების პრაქტიკა. ლიტერატურულად განსახილველი პრევენციის პრაქტიკა თვისებრივად თანხვედბა კორონაპანდემიის პირობებში საერთაშორისოდ აღიარებულ ქვეყის სტანდარტს. ეპიდემია, როგორც მოვლენა, წარმოდგენილია მთავარი პრობლემის – „შიგნით დამალული ადამიანის გაღვიძების“ – წარმოსაჩენად. კლდიაშვილი, მოთხრობის მოცულობითი სიმცირის მიუხედავად, ახერხებს ბოლომდე გახსნას მთავარი პერსონაჟის ტრაგიკული მხატვრული სახე და აჩვენოს გარეგნული რიტუალებისა და მხოლოდ ტრადიციადქცეული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მცხოვრები ადამიანის ცნობიერება, რომელიც მოცულია თვითგადარჩენის იდეით. ამ იდეის ფონზე მას ეკარგება მთავარი – მეორე ადამიანის დანახვის უნიკალური შესაძლებლობა.



დამოწმებანი:

ავალიანი 2005: ავალიანი ლ. *დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი*. თბილისი: გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, 005.

კლდიაშვილი 2014: კლდიაშვილი დ. *მიქელა*. ერთი შედეგის ბიბლიოთეკა. <https://saba.com.ge/reader/book/2268>

coggle.it (ონლაინინსტრუმენტი)

დანართი



Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Balcony Culture“ of COVID Epoch

Summary

In the beginning of the pandemics, in the social media entire world observed people on their balconies singing songs of different genres (sometimes they lacked professionalism but mostly they sang with great love).

The fact that all performances had the same signs, as reflected on the **performance manner, style**, attracts attention: there was apparently seen the sense of **missing, desire of live communication and support**, consequently, we offer the question: is it possible that at a time of pandemics there emerged some **kind of movement** that has existed for certain time only and that, **conditionally**, we called **“the balcony culture of COVID epoch”**.

Key words: covid epoch, culture.

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კოვიდის ხანის „აივნური კულტურა“

პანდემიის დასაწყისში სოციალური ქსელებიდან მთელი მსოფლიო ხედავდა თავიანთი სახლების აივნებზე გადმომდგარ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს ასრულებდნენ (ზოგჯერ – არაპროფესიონალურად, მაგრამ უმეტესწილად – დიდი სიყვარულით).

საერთოდ, კრიზისულ პერიოდებში ის ხელოვნება იწევს ხოლმე წინ, რომელსაც მაღალს ვუწოდებთ; ვფიქრობთ, საჭიროა, სოციოლოგებმა გაარკვიონ, ძირითადად რომელ მუსიკას უსმენდა ამ დროს ხალხი, – სოციალური ქსელებიდან ჩანდა, რომ ძალიან ხშირად ვერდის, პუჩინის, მოცარტის და სხვათა ოპერებიდან ასრულებდნენ სახლებში გამოკეტილი, სლოგან – **stay home**-ის ერთგულად დამცველი ადამიანები არიებს, ალბათ აღმოჩნდება, რომ **ამ კრიზისის დროსაც კლასიკამ წამოიწია წინ**, რომ ხსენებულ ქსელებში გავრცელების რაოდენობით ძლიერი „კონკურენცია“ გაუწია მან მასკულტურას; **მაღალი სულიერი კულტურა ერთგვარ შემწედ მოველინა ამ დროს ადამიანებს**.

გვინდა, ყურადღება გადავიტანოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც რელიგიური მოსაზრებებით არიან განმარტოებულნი, – საინტერესოა, **შეინიშნება თუ არა რაიმე საერთო მათსა და პანდემიით ჩაკეტილსა და კლასიკურ მუსიკაში ნუგეშის მიძენელ ადამიანთა შორის**, ხომ არ არის საფიქრებელი, რომ გარკვეულწილად მსგავსია ის ძალა, რომელიც ორსავე შემთხვევაში შემწის როლს ასრულებს მრავალთათვის.

ჰაგიოგრაფიაში ხშირად იხატებიან ადამიანები, რომლებიც სენაკებში არიან განმარტოებულად გამოკეტილნი, მაგრამ არ იტანჯებიან ამით, ვგულისხმობთ ანაქორეტ მონაზვნებს, რომელთაც მთელი ყურადღება სულიერი სამყაროებისაკენ აქვთ მიმართული და, აქედან გამომდინარე, სულიერად ამ სამყაროებში მყოფებად აღიქვამენ თავს, ისინი მთელ წუთისოფლურ ყოფას, ადამიანის მოკვდავობას მიიჩნევენ კრიზისის ფაქტად და ცხოვრების თავიანთებური წესით **სულიერი წიაღების რეალურობაში დარწმუნებასა და ამით სიკვდილის შიშის დამარცხებასაც ცდილობენ**.

ჰაგიოგრაფიაში აღწერილი ანაქორეტები ფიზიკურად ცალცალკე ცხოვრობენ, მაგრამ სულიერად ღმერთთან და ანგელოზებთან არიან, ამ ლიტერატურაში დახატული მონაზვნები ღვთისმშობლის ნათელს გრძნობენ და შეიძლება ითქვას, რომ სულიერად ერთად იმყოფებიან ეს მონაზვნები; ჰაგიოგრაფიაში შეხვდებით განმარტოებით მცხოვრებ ბერს, რომელმაც იცის, თუ როგორ არის, რა სულიერ მდგომარეობაშია სხვა მარტომყოფელი, ასეთ მონაზონს წინასწარ ეუწყება ხოლმე, რომ, ვთქვათ, რომელიმე სხვა

დიდი ბერი უნდა ეწვიოს თავის ფიზიკურ სამყოფელში (მაგ., „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მარტო მცხოვრებ ბერ ჯუდედიოსს ღვთაებრივი ხილვით ეუწყა /„ჩუენებად იხილა არა თუ ძილსა შინა, არამედ ცხადად“/, რომ გრიგოლი და სხვა ბერები მივიდოდნენ იმ ადგილას, სადაც თვითონ იმყოფებოდა და გრიგოლის მიერ მონასტრები აშენდებოდა, ასე მოხდა იმიტომ, რომ „ჩუეულებად აქუნდა ღმრთისამიერისა ხილუისად, ეგრეთვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებად და ადგილისა მის მიგებად მისა“ – ძეგლები 1964: 253), განმარტოებულმა ზოგჯერ ისიც იცის, რომ მოშორებულ სენაკში მცხოვრებ ბერს ანგელოზები დაჰხარიან და ბოროტი ძალებისგან გამოიცდება, მოახლოებულ მტერსაც წინასწარ ხედავს ხოლმე იგი (ბერმა მატომ სულიერი ხილვით „ცნა“, რომ ქურდები მივიდოდნენ მასთან ღამით, რის გამოც „დღისივე დაჰმზადა მათოჯს პური“ და როცა მივიდნენ „მპარავნი“, ამ სიტყვებით შეეგება მათ: „გრწმენინ ჩემი, შვილნო, წმიდად ღმრთის-შშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა, არამედ მოვედით და ჭამეთ პური, რომელი განგიმზადე თქუნ“; ერთი ქურდი მაინც აპირებდა ბერის გაძარცვას, მაგრამ დაისაჯა, – „მუნთქუესვე დაეცა იგი“, მაგრამ, როცა სხვა „მპარავთა“ თხოვნით განკურნა იგი მონაზონმა, ყველა ქურდმა მოინანია საქციელი; – ძეგლები 1964: 284...); წმიდანთა „ცხოვრებებში“ არის ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ ტოვებს ამ ქვეყანას ესა თუ ის ბერი, მისგან ფიზიკურად შორს მყოფი მონაზონი კი ხედავს, რომ ცათა სიმაღლეთაკენ მიემართება ეს ამ ქვეყნიდან აღსრულებული ბერი, რომელსაც ანგელოზები ეხვევიან გარს და ღვთის სასუფევლისაკენ მიაცილებენ მას (გავიხსენოთ იგივე ბერი „მატომს“ გარდაცვალების ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, – ძეგლები 1964: 285...). ჰაგიოგრაფიის მხატვრული სამყაროს გავლენით თუ დაწერს, პროზაიკოსს შეუძლია, ბრწყინვალე სურათები შექმნას: მაგალითად, დახატოს უდაბნო, ან – მთა, რომლებშიც კელიებია განთავსებული და რომლებშიაც ფიზიკურად განმარტოებული მონაზვნები ცხოვრობენ, და – ზეციური ქალაქი, სადაც სულიერად ერთად იმყოფებიან ეს მონაზვნები და ანგელოზთა გვერდით მყოფნი ურთიერთობენ ერთმანეთთან.

წუთისოფლისგან შორს არის დიდი მონაზონი, სულიერ სამყაროში იმყოფება, გაჰყურებს იგი წარმავალ სოფელს, ხედავს იქ მცხოვრებ დებსა და ძმებს, რომელნიც წუთიერი სიამოვნებებისთვის იბრძვიან, სულიერად ჩაძინებულებად მიაჩნია უმეტესი მათგანი და ლოცულობს მათთვის; იქით, წუთისოფელში, ისეთ ნათელ ადამიანებსაც ხედავს, რომელნიც, ერში ცხოვრების მიუხედავად, მუდამ ღმერთისკენ იყურებიან, შინაგანი მონაზვნები არიან და თავის თანამოსაგრეებად ესახება ისინი. ამგვარი მონაზვნისთვის ზეცა და სულიერი სამყაროა რეალური, ქვეყნიურ სოფელს ერთ დიდ ილუზიად აღიქვამს, თავისუფლებასა და ნეტარებას გრძნობს ამ სულიერ სამყაროში და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბრძოლაც უხდება ხორციელ ლტოლვასთან და იზიდავს წუთისოფელი, მაინც ასატანია მისთვის ფიზიკური ჩაკეტილობა; ზოგიერთ ანაქორეტს შეუძლია, ფიზიკური სამყაროსათვის მოკვდინებულს დაემსგავსოს, წარმოიდგინოს, რომ მიწაზე საფლავია მისი და სულიერად კი ღვთის სასუფეველში იმყოფება; ქართულ ჰაგიოგრაფიაში ამგვარ ანაქორეტად წარმოდგენილია, მაგალითად, წმიდა შიო მღვიმელი, რომელიც მღვიმეში ჩავიდა... ფიზიკურად თავს იმარხავს შიო, ისე ჩადის იმ მღვიმეში, როგორც – სამარეში... ლოცვით აცილებენ მას ამ ქვეყნიდან სხვა ბერები; ემშვიდობება მათ და მთელ ფიზიკურ სამყოფელს შიო, სხეულს „საფლავში“ ტოვებს და ზეციური სასუფეველისაკენ მიიწევს სულით, ფიზიკურად „იმარხება“, მაგრამ სულიერად ცოცხლდება, წუთისოფლისთვის მოკვდინებული, ცათა სიმალღეთაკენ აღმავალ კიბეს მიუყვება სულიერად (მის მიერ ღვთისადმი მიმართული სიტყვებია: „დავიდევ მე ნეფსით მღვმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა“... „ნუსადა ვემსგავსო შთამავალთა მღვმედ ჯოჯოხეთისა, არამედ აღმოიყვანე საჰერობილისაგან ბოროტისასა სული ჩემი აღსაარებად სახელისა შენისა“... „არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა და განსუენებად ჯორცთა, ვიდრემდის ვპოო ადგილი უფლისაჲ საყოფელი ღმრთისა იაკობისი“), მისი ამაღლებული სულის დანახვას დიდი ბერები შეძლებენ (ნაწარმოების ეს ადგილი, ვფიქრობთ, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება, იქნას აღიარებული, – ძეგლები 1971: 288-289).

ანაქორეტები ნებით იტყვევებენ თავს ფიზიკურად, სურთ, რომ ფიზიკური ცხოვრებისაგან განრიდებით სულიერ თავისუფლებას, სულიერ სამყაროებს მიეახლონ.

თუნდ, ათეისტის თვალთახედვით შეხედონ მსგავს მოვლენებს, თუგვინდ, თეისტის თვალთ ადვიქვათ ისინი, იმ ფაქტს ვერავინ უარყოფთ, რომ მორწმუნის ფანტაზიით წარმოსახული თუ რეალურად არსებული სულიერი სამყაროდან სასიცოცხლო ძალას ღებულობს ადამიანი, მისგან ეძლევა სიცოცხლისათვის საჭირო საზრდო.

დიდი ანაქორეტისთვის მშობლიური საცხოვრისი სულიერი, ზეციური სამყარო, მამა ღმერთისეული სახლია, რასაც, ცხადია, ვერ ვიტყვით ისეთ მორწმუნეებზე, რომელნიც მონაზვნობისათვის არ არიან შინაგანად მოწოდებულნი და იმიტომ ცხოვრობენ სენაკებში, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მორგებიან ქვეყნიურ ცხოვრებას, – ან გაჰქცვიან წუთისოფლურ სიძნელეებს, ან ვინმეს გაუხდია იძულებულნი, მონაზვნებად აღკვეცილიყვნენ, ან რაიმე სხვა მიზეზით აურჩევიათ მონასტრული ყოფა... რა გამოსავალს პოულობს მონასტერში იძულებით გამოკეტილი ადამიანი?

თუ მართლა არ არის მოშორებული ამქვეყნიურ საზრუნავს, თუ ძალით ჩაუკეტავთ მისთვის ყოველდღიური საზრუნავისთვის კარი, მაშინ, შესაძლოა, ციხეში ყოფნასაც დაემსგავსოს მათი ცხოვრება, უჭირთ ასეთებს გამოკეტილად ცხოვრება, მაგრამ სულიერად მაინც მტკიცედ დგანან და ამაში, ლოცვის გარდა, მაღალი ხელოვნება, ვთქვათ, პოეზია ეხმარება მათ.

აქ გვინდა გავიხსენოთ ვანის ქვაბებში მონაზონი ქალების მიერ კედლებზე მიწერილი წარწერები, რომლებსაც მკვლევარები XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ (ონიანი 1959: 35-36...).

როგორც შერმადინ ონიანი აღნიშნავს: ერთ-ერთი მონაზონი – „ანა რჩელაშვილი ჩივის იმის გამო, რომ ვერ გაიხარა ვერც ჩაცმით, ვერც ჭამა-სმითა და ნათესავ-მეგობრებით“ და განიცდის თავის მძიმე ყოფას: „რა ვქნა, მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად ქმნილ. შევზარებვიარ სიკვდილსა შემადწუნებელსა“ (ონიანი 1959; 7: 35); სხვა მონაზონი, – „გულქანი გადმოგვეცემს, რომ ის იყო გაუთხოვარი, არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქალი და საამისოდ იმოწმებს თავის მნახველებს, „ჩემნი მნახავნი არ გამამტყუ-

ნებენ-ო“» (ონიანი 1959; 7: 35); შერმადინ ონიანის აღნიშვნით, „ხვარამზე შტელიშვილი და ბატონი გოზლალა შეყვარებულები ყოფილან და ძალით განუშორებიათ ერთმანეთისათვის. წარწერაში კვითხულობთ: „...ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზლალას ჩემისა და იმის გამყრელობასა, ესეც უნდოდა, ვაიმე თუ ერთმანეთს სიკვდილის და სულთ ამოსვლის დროს არ დაეხვდეთ, შეგვიბრალეთ. ღმერთმა გამიგონოს, რომე, როდესაც მე და გოზლალა აქა მოვედით, ცნობა დაგვეპანტა, ბევრი ვიტირეთ ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ... ვაიმე გულთაგან დამდნარსა“» (ონიანი 1959: 35); შერმადინ ონიანი წერს, რომ „ვინმე სარა დის პირით მოკითხვას უთვლის თავის „დიდს იმედს“, რომელშიც ის მიჯნურს უნდა გულისხმობდეს: „სარა ვიკადრებ დაო ულუყმო (?). მერმე დარბაზს, ჩემს დიდს იმედს, ბევრი მოკითხვა“; მონაზონი ქალი, სახელად – თუმიანი ასე მიმართავს მიჯნურს: „მოკვედ უშენოდ, აღარ ცოცხალ ვარ, ვაიმე, უშენოდ რა მადლებინებს...“ (ონიანი 1959; 7: 35); მკვლევარის თქმით: „ერთი სიტყვით, მონაზონ ქალებს დიდი სითამამე გამოუჩენიათ და ვანის ქვაბთა მონასტრის ცივი კედლებისათვის აშკარად გაუნდვიათ თავიანთი თბილი გულის საიდუმლო. მათი წარწერები გამსჭალულია უაღრესი გულწრფელობითა და უშუალობით. ისინი წერდნენ იმიტომ, რომ არ შეეძლოთ, არ ეწერათ; წერდნენ არა აუდიტორიისათვის, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი გულის დარდები მოეოხებინათ“ (ონიანი 1959: 35)...

შერმადინ ონიანი **პანდემიის თემასაც ეხმიანება**, იგი ჯერ იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „წარწერები შესრულებულია XV-XVI საუკუნეებში“, იხსენებს იაყუბ ყანის ორგზისსა (1485-1486; 1488 წწ.) და შაჰ-თამაზის რამდენსამე ლაშქრობას (XVI ს-ის პირველი ნახევარი), შემდეგ იმ ფაქტზე გადააქვს ყურადღება, რომ ამ ლაშქრობათა გამოძახილი არ არის ასახული მონაზონ ქალთა წარწერებში, რომ „ამგვარი საკითხების მიმართ მონაზონ ქალებს სრული ინდეფერენტიზმი გამოუჩენიათ და თავიანთი წარწერები შემოუფარგლიათ მათი ცხოვრების პირადული ამბებით“ და, რადგან მათი ქმედება შავი ჭირისაგან გადამალულ ბოკაჩოსულ პერსონაჟებს აგონებს, წერს: „აქ უნებლიედ გვახსენდება დიდი იტალიელი მწერლის ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“. ფლო-

რენციაში შავი ჭირის მძვინვარების დროს 1348 წელს სიცოცხლის გადარჩენის მიზნით შვიდ ქალიშვილს სამი მამაკაცის თანხლებით დაუტოვებია ქალაქი და თავი შეუფარებია ბუნების წიაღისათვის, სადაც ისინი ერთობოდნენ სხვადასხვა საინტერესო ამბის მოყოლით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ მსგავსად სამშობლო ქვეყნის განსაცდელის ჟამს მონაზონ ქალებს ვანის ქვაბთა მონასტერში ერთმანეთის მიმართ მეტად ინტიმურად განწყობილი ქალთა საზოგადოება შეუქმნიათ იმ განსხვავებით, რომ ამ საზოგადოებაში არცერთ მამაკაცი არ ერია“ (ონიანი 1959: 35).

შ. ონიანის ნაშრომში მონაზონ ქალთა არაერთი ლექსია განხილული: ერთ-ერთ ლექსს კალიგრაფიის გათვალისწინებით გულქანისად მიიჩნევს ამ ნაშრომის ავტორი (ონიანი 1959: 36); ლექსი ღვთისმშობლისადმია მიმართული: „ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი, / შენ აღვოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი, / მე სამოელ ტანჯვად მაწვევს, უშიში და უკრძალველი, / მწეო ჩემო, შენ მიშველე, გამოქსნასა შენგან ველი. / მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან, ძალნი დასნი, / ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი“ (ონიანი 1959: 36-37)...

ანა რჩეულაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფი დაუწერია შეცვლილი სახით (შ. ონიანის აზრით, ცვლილებების მიზეზი ისაა, რომ მახსოვრობით წერდა ანა): „ქ. ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა თ(უ)ალნი ძლ(ი)ვ შემომცდება, / გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან, / მაშიგან ორნი გუშავნ(ი) ნაბადსა არ დაცდება, / მათსა შემბელსა დაჯოცენ, ცეცხლურებრ მოედებ(ი)ან, / ჩემო ნუ მოხვალ ჩემზედა, სხუ(ა)თა მებრძოლთა წ(ე)სითა, / ნურცა მე მომკლ(ა)ვ ჭირითა ამისგან უარესითა, / დამთმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა“ (გვ. 37); ამ მონაზონს ასეთი იამბიკო მიუწერია კედელზე (შერმადინ ონიანის აღნიშვნით, ლექსი ლექსიკური თუ აზრობრივი შეცდომებითაა დაწერილი, რაც ცხადჰყოფს, რომ ანა არ უნდა იყოს მისი ავტორი): „ქრისტე ღმერთო, / საბრალოთა / შემახვეწო, / მწყალობელო, / თვალფერათო, / ზღუდგანთქმულო, / შენი სახე, / ზღუდგანთქმულო / ღმრთობის ხატო; / შენი ჭირი / მე, ბატონო, / ღმრთობის ხატო; / მე შენს სახელ- / ხსენებასა / სადა ღირს

ვარ, / კურთხეულ ხარ / დიდებულო / ღმრთობის ხატო!..“ (ონიანი 1959: 37)...

ვანის ქვაბებში არის ლექსები, რომლებიც თუმიანს მიუწერია კედელზე. ეს ლექსები ცნობილია ფოლკლორში. შ. ონიანის თანახმად, ისინი ფოლკლორულია და თუმიანს არ უნდა ეკუთვნოდეს (მკვლევარს ექვევება, რომ ვანის ქვაბებიდან გავრცელებულიყო ისინი ხალხში): აღდგომის დღეს თუმიანს ასეთი წარწერა გაუკეთებია (ტექსტის ზოგი ადგილი ხალხური ლექსის მიხედვით შ. ონიანის მიერ არის აღდგენილი): „ქ. წვრილად ნახვეწო ისარო, ქალაქს ნა[ღებო ინითა], / ყირმიზი რკალის პერანგი გაცვია ოქროს ღილითა; / ნეტავი [შენთან მამყოფა], შენთან გამაძლო ძილითა, / მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა“ (ონიანი 1959: 39); სხვა ლექსი: „ზეცას გაველ, ზეცა ვნახე და მარსკვლავთა მოვეძრახე, / ძირს ჩამოველ შამბის პირსა ოღვა წვრილად გამოვსახე; / შენ ჯარშია ვერა მიცან, მე სიკვდილი თვალით ვნახე, / შენ რა მოხველ, ღმრთისა მადლმა, მე ლახვარზე გული ვახე“ (ონიანი 1959: 39); ყურადღებას იქცევს მკვლევარის სიტყვები, რომ ზემოთ მოხსენებული წარწერა („ქ. წვრილად ნახვეწო ისარო...“) „თუმიანს აღდგომა დღეს შეუსრულებია“; მისი აღნიშვნით, საინტერესო ფაქტია, რომ „აღდგომა დღეს მონაზონი ქალი ღვთისმსახურების ნაცვლად გართულია სატრფიალო ლექსების წერით“, მკვლევარი დასძენს: „როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია...“ (ონიანი 1959: 39).

თუმიანს ასეთი ლექსიც მიუწერია კედელზე (ამ ლექსის სხვა ვარიანტი, შ. ონიანის აღნიშვნით, XV საუკუნის „კარაბადინზე“, როგორც ეს ქრისტიანე შარაშენიძეს აქვს შენიშნული, XVI საუკუნეში შესრულებულ მინაწერშიაც გვხვდება; არსებობს სხვა, – ხალხში გავრცელებული ვარიანტიც): „აწ, მზეო, შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ლხინი მე, / ვით მმართვეს, ეგრე გასრულვარ, სისხლის ცრემლითა ვტირი მე, / ნეტარ ღირს ვარმცა, მენახოს შენი ლამაზი პირი მე, / ნუ დამივიწყებ, ღონეო, შენის თვალისა ჭირიმე“ (ონიანი 1959: 40).

გვინდა, ორიოდე სიტყვით იმ საკითხს შევეხოთ, რომ, როგორც ვნახეთ, შ. ონიანი „დეკამერონსა“ და ვანის ქვაბთა მონასტრის მონაზვნებს შორის პარალელს ავლებს, ერთმანეთს ადარებს ბო-

1964 წელს სამი რეჟისორის მიერ გადაღებული კინოალმანახი „წარსულის ფურცლები“ ელდარ შენგელაიას, გიორგი შენგელაიასა და მერაბ კოკოჩაშვილის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისგან შედგებოდა. სამივე მათგანი იმედისმომცემ ახალგაზრდა რეჟისორად ითვლებოდა. დღეს უკვე ქართული კინოს კლასიკოსებად აღიარებული ხელოვანები მაშინ შემოქმედებითი გზის დასაწყისში იყვნენ, თუმცა ორ მათგანს, ელდარ შენგელაიასა და მერაბ კოკოჩაშვილს უკვე გადაღებული ჰქონდათ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, გიორგი შენგელაიას კი – ქართულ კინოკლასიკად აღიარებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალავერდობა“. სამოციანი წლების კინოსტუდია

„ქართული ფილმში“, ე. წ. დათბობის პერიოდის შესაბამისად, უადრესად საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა.

ალმანახ „წარსულის ფურცლების“ ორი ნოველა მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით იქნა გადაღებული. ალმანახის მესამე ფილმი, ელდარ შენგელაიას „მიქელა“ ქართული პროზის კლასიკოსის, დავით კლდიაშვილის მოთხრობის ეკრანიზაციაა. ახალგაზრდა რეჟისორები ქართული პროზის აუდიოვიზუალური ინტერპრეტაციის თამამ ექსპერიმენტს იწყებდნენ, პროზის ახლებურად წაკითხვას ახდენდნენ.

დავით კლდიაშვილის „მიქელა“ ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული. როგორც ლიტერატურათმცოდნე მალხაზ ხარბედია წერს: მწერალი „ახერხებდა წარმოდგენელი ერთგულება გამოეჩინა იმის მიმართ რასაც წერდა, ყოფილიყო თავგანწირულიც, და ამავდროულად, დაუნდობლად ზუსტი. მხოლოდ ასეთი უცნაური შეფასება თუ შემიძლია გაუკეთო მის ზოგიერთ მოთხრობას, პირველ რიგში კი, შესაძლოა ყველა დროის საუკეთესო ქართულ ნოველას, „მიქელას“. ეს თემა, რელიგიური ცრუმორწმუნეობა, ალბათ ერთ-ერთი უმთავრესია დავით კლდიაშვილთან. მას ეძღვნება მისი საუკეთესო ნაწარმოებები და ყველაზე მძაფრი ეპიზოდები. ამაში დავით კლდიაშვილს ბადალი არ ყავს და დღემდე ვერავინ შეძლო სხვაგვარი, განახლებული ხედვა წარმოედგინა ამ უმწვავესი ქართული პრობლემისა“ (ხარბედია 2012).

რელიგიური ცნობიერების პრიმიტიული ფორმებისა და კანონიკური სარწმუნოებრივი სისტემისგან დევიაციის ნიადაგზე შექმნილი წარმოდგენების, ცრურწმენების თემა მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დავით კლდიაშვილთან. ამ ცრურწმენების ნიადაგზე ვითარდება კონფლიქტები მის ყველაზე დრამატულ ნაწარმოებებში, მათ შორის მოთხრობებში „ქამუშადის გაჭირვება“ და „მიქელა“. დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელა“ (1904) მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ მწერალი აღწერს, ერთი მხრივ, მოხუცებული მიქელასა და მისი თანასოფლელების ცრურწმენებს, ხალხური წარმოდგენების ნიადაგზე განვითარებულ შეხედულებებს, რომლებიც მათ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს განსაზღვრავს; მეორე მხრივ კი, ფინალში შემოიყვანს

მართლმადიდებელ მღვდელს, რომლისთვისაც მიუღებელია ცრურწმენებზე დაფუძნებული, უბედურების მომტანი ქმედებები, მაგრამ უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეუძლია. მიქელას ფიქრებში „ღვთაების“ მორჩილების განცდა დომინირებს, თუმცა მისი და მისი თანასოფლელების წარმოდგენები „ღვთაებისა“ თუ საიქიოს შესახებ ქრისტიანული სწავლებისაგან შორს არის. დღევანდელი გადასახედიდან, განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მოთხრობაში დრამატული მოვლენები ეპიდემიის ფონზე ვითარდება. მიქელას ქმედებებში ჩანს მე-19 საუკუნის ქართულ სოფელში ეპიდემიასთან, „ჟამთან“ ბრძოლის შესახებ არსებული წარმოდგენებიც (მაგ. სახლის „გაწმენდა“ – მორების შებოღვა, დამდულვრა – ინფექციის მოსპობის ფორმაც შეიძლება იყოს, თუმცა მიქელასა და მისი მძახლის დიალოგში აღრეულია, დაავადებასთან გამკლავების გზაა ეს თუ „მავნეულთან“, ბოროტ ძალებთან ბრძოლისა.

1964 წელს „დიადი კომუნის“ მშენებლობის მორიგი ხუთწლედის ერთ-ერთი მორიგი წელი იდგა. ტოტალიტარიზმის პერიოდის ფაქტობრივი დასრულებიდან ათ წელიწადზე მეტი იყო გასული. მართალია, დესტალინიზაციის პროცესი აქტიურად წარიმართა, მაგრამ საბჭოთა საქართველოს ოფიციალური სივრცე კვლავ კომუნისტური პრინციპების ერთგულებას მოითხოვდა: რელიგია, რწმენა, ეკლესია, მღვდელი – ყოველივე მხოლოდ უარყოფით კოტექსტში განიხილებოდა. სამწუხაროდ, ქართულ ფილმებში შექმნილი მღვდლების სახეები ფაქტობრივად მხოლოდ უარყოფითია, კარგ შემთხვევაში კომიკური. დავით კლდიაშვილის, კლასიკოსი მწერლის მიერ აღწერილ ცრურწმენაზე და მისგან გამოწვეულ პრობლემებზე ფილმის გადაღება წარსულის სიბნელის ასახვისთვის ყველაზე საუკეთესო მასალა იყო. ზოგადად ქართული საბჭოთა ხელოვნება და სამოციანი წლების კინოც ამ პათოსს სრულად იზიარებდა და ეკრანზე წარსულის კრიტიკული ხედვით გადაღებული ფილმები მრავლად იყო. ელდარ შენგელიას „მიქელა“ ცრურწმენის მხილების პათოსით სავსე ნოველად იყო შემოთავაზებული, სადაც დაიკარგა ის უდიდესი სითბო, სიყვარული და თანალმობა, რომელიც დავით კლდიაშვილს თავისი პერსონაჟების მიმართ ახასიათებს. ფილმში კადრს უკან ჟღერს კლდიაშვილის მოთხრობის ტექსტი, მაგრამ, ათეისტური იდე-

ოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, დამატებულია შემდეგი სიტყვები: „ეს მოუცილებელი სიკვდილიანობა, ამდენი გლოვა და ტირილი, ლოცვა და ვედრება, ღვთისა და მიცვალებულთა სულების გაუთავებელი ხსენება ბავშვს საიქიოს არსებობაში არწმუნებდა“. ფილმის სცენარის ავტორი ელდარ შენგელაიაა. ჩამატებული ტექსტიც მას ეკუთვნის. იმის შიშით, რომ საიქიოში სულის მაცხონებელი არ ეყოლება, ფილმში მიქელა (გრიგოლ ტყაბლაძე), ფაქტობრივად, ურჩხულად არის ქცეული და ავადმყოფ სპიდონას (მიხეილ ხვიტია) უპატრონობით სტანჯავს. აქვე უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ტყაბლაძე მართალაც შესანიშნავად ასრულებს გაუბედურებული მოხუცის როლს, რომელიც ჟამიანობამ აქცია სულიერად გატეხილ, დაუნდობელ ადამიანად.

სცენარში და შემდგომ ფილმში საკმაო ბევრი ცვლილებაა შეტანილი: შეცვლილია მიქელას შვილიშვილების ასაკი: მოთხრობაში სპიდონა ოცი წლისაა, ფილმში კი – თორმეტის. ნესტორა მოთხრობაში ათი წლისაა, ფილმში კი სამი წლის არის და შიშველი დატანტალებს ეზოში. ფილმის პერსონაჟებს დაემატა თეთრკაბიანი გოგონა ეკა (მანანა მანაგაძე), სპიდონას თანატოლი და მისი მეგობარიც. ეკა ერთადერთი ნათელი პერსონაჟია ფილმში. თეთრი კაბით შემოსილი, იგი სწორედ ამგვარად მოიაზრება. სწორედ ეკა აკითხავს სპიდონას წნელისგან შეკრულ კარავში, სათამაშოდ იწვევს მას და როცა ბაბუის მიერ დაშინებული სპიდონასგან უარს მიიღებს, წნელის კარვის დაშლასაც იწყებს. სპიდონა კარვიდან გამოდის და ეკას მისდევს. ყმაწვილის სირბილი საკმაოდ ენერგიულია, ბიჭი ხალისიანია, გოგოს უცინის, ეკაც კისკისით გარბის. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში სპიდონა დამაბუნებელია და საიქიოდან მობრუნების შემდგომ მისი ამგვარი აქტიურობის ეპიზოდები არ გვხვდება. ცხადია, ამ ეპიზოდის დამატებით ელდარ შენგელაია იმ გარემოებას გამოკვეთს, რომ სპიდონას სასიკვდილო არაფერი ჭირს და ის ცრურწმენისა და გულგრილობის მსხვერპლია.

ფილმში მიქელას რძალს, მაიას, ზინაიდა კვერენჩხილაძე ასრულებს – შესანიშნავი ტრაგიკული როლების შემსრულებელი სცენაზე, ქართული თეატრის ვარსკვლავი. მაია შავებში მოსილი,

ფიქრიანი მზერით, ცოდვის და, კიდევ უფრო მეტად, სნეულების შიშით შეპყრობილი პერსონაჟია.

ფილმში განსაკუთრებული დატვირთვა გამომსახველობით მხარეს ენიჭება. „მიქელა“, ისევე როგორც მთელი აღმანახი, შავ-თეთრია. ფილმის მხატვარია ქრისტესია ლებანიძე, დამდგმელი ოპერატორი – ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი. გრაფიკული კომპოზიციები მუდმივად გადმოსცემს პერსონაჟების დეპრესიულობას და შფოთის განცდას იწვევს მაყურებლებში. ელდარ შენგელაია, თანამოაზრეებთან ერთად, პერსონაჟების საინტერესო პორტეტებს ქმნის მსხვილი ხედების მონაცვლეობით. მეორე მხრივ, შთაბეჭქდავი საერთო ხედებით იქმნება ის ტრაგიკული გარემო, სადაც გაჭრილ საფლავთან მდგარი რამდენიმე ფიგურა თუ გრძელ ცარიელ გზაზე მიმავალი მიქელა დაუცველობის და მიტოვებულობის განცდას აღძრავს. გზაზე სამი ადამიანი მიემართება. მაიას ხატი უჭირავს. გრძელი კადრი თითქოს კიდევ უფრო დიდი ტრაგედიისთვის ამზადებს მაყურებელს...

დავით კლდიაშვილის „მიქელას“ მიხედვით კინონოველა ელდარ შენგელაიამ მოთხრობის დაწერიდან 60 წლის შემდეგ, 1964 წელს გადაიღო. ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დადგმული თემურ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1973), რუსთაველის თეატრის სპექტაკლი, საიდანაც იწყება კლდიაშვილის თეატრის ეპოქა. კლდიაშვილის თეატრის ფენომენი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სათეატრო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ქართული ფსიქოლოგიური თეატრის ყველაზე სრულყოფილი განსხეულება სწორედ კლდიაშვილის ნაწარმოებების დადგმით მოხდა. რაც შეეხება კლდიაშვილის ნაწარმოებების ეკრანიზაციებს, 1926 წელს გადაღებული კოტე მარჯანიშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და 1937 წელს დავით კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით გადაღებული „დაკარგული სამოთხე“ – არცერთ ეს ფილმი არ არის ფსიქოლოგიურ ასპექტში გადაწყვეტილი, უფრო კომედიურ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ელდარ შენგელაიას ჟამიანობის თემაზე შექმნილი კინონოველა „მიქელა“ დავით კლდიაშვილის ნაწარმოების ფსიქოლოგიურ ასპექტში გადაწყვეტის პირველი მცდელობაა.

ელდარ შენგელაია კართული კინოს კლასიკოსია, მაგრამ ის კინოკლასიკოსად კომედიური ჟანრის ფილმებმა აქცია. თვით 1978 წელს ელდარ შენგელაიას გადაღებული „სამანიშვილის დედინაცვალიც“ არ მიიჩნევა რეჟისორის შემოქმედების მწვერვალად. ამ თვავითვე უნდა ითქვას, რომ „მიქელა“ არ არის ელდარ შენგელაიას შემოქმედების ყველაზე წარმატებული მცდელობა; უფრო მეტიც, ხუთნაწილიანი, 48 წუთიანი კინონოველა არც ალმანახის საუკეთესო ფილმი არ არის. და მაინც, „მიქელა“, ისევე როგორც ალმანახში შესული, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები – გიორგი შენგელაიას „ჯილდო“ და მერაბ კოკოჩაშვილის „მიხა“ (უდავოდ საუკეთესო ამ სამ ფილმს შორის) – ზოგადად, ქართული პროზის ახლებური ინტერპრეტაციის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ.

ვაჟა-ფშაველა პატარა მოთხრობა „ხოლერამ მიშველა“ 1892 წელს დაიწერა, როცა მთელს რუსეთის იმპერიაში ქოლერა გავრცელდა. მაშინ გენიალურ მწერალს თავად ახალი გადატანილი ჰქონდა ციმბირის წყლული, რამაც მარჯვენა თვალი დაუზიანა, ვაჟას ჯანმრთელობა სრულიად ახალგაზრდას შეერყა. ამ ფონზე კი ქოლერის შესახებ დაწერილი მოთხრობა საოცრად ოპტიმისტურია.

„მე და სოფო დავსხდებით კერის პირას გვერდის-გვერდ და ვიცინით, როცა ჩვენს ოინს მოვიგონებთ,- ხოლერა რომ არ მოსულიყო, ხომ ჩვენ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გავბედავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ კი გაგვაბედინა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 213).

მოთხრობაში სიკვდილის შიშმა ახალგაზრდა წყვილს გამბედაობა შემატა და ბედნიერებისკენ გადაადგმევინა ნაბიჯი, მაშინ როცა მთიანი სოფლის მცხოვრებლები ტყეში გაურბიან მოსალოდნელ ეპიდემიას. პავლე ჩარკვიანის სცენარში ამ პატარა მოთხრობის პერსონაჟებს კიდევ მრავალი მთაში მცხოვრები მამაკაცი თუ დედაკაცი დაემატა, ბევრი მათგანი მწერლის სხვა მოთხრობების ადაპტირების გზით მოექცა ფილმის სიუჟეტურ ქარგში. ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად იქცა ბერუას (თემურ ქამხაძე) დედა (ლაურა რეხვიაშვილი), ვაჟა-ფშაველას მოთხრობის, „დარეჯანის“ მთავარი გმირი. მოთხრობაში ობოლ ბერუას დედა არ ყავს. ფილმი დაიხუნძლა სახასიათო როლებით, რომელთაც ძალზე საინტერე-

სოდ ასრულებენ ნიჭიერი მსახიობები: ანა ნიჟარაძე, ლეო ფილფანი, ბორის წიფურია, თამარ სხირტლაძე, დავით დვალიშვილი, კოტე თოლორაია, ბერტა ხაფავა, რეზო ესაძე, გია ჯაფარიძე, გივი ჩუგუაშვილი და სხვანი – ქართული სამსახიობო სკოლის ნამდვილი თანავარსკვლავედი. მსახიობები პავლე ჩარკვიანის ფილმში მათი ნიჭის შესაფერის სახეებს ქმნიან – ფერადოვანს, კომედიურს, ისეთს, როგორც ხალხს უყვარს.

პავლე ჩარკვიანმა „ზოგი ჭირი მარგებელია“ 1984 წელს გადაიღო. ფილმის სცენარს საფუძვლად დაედო ვაჟა-ფშაველას მოთხრობები „ხოლერამ მიშველა“, „დარეჯანი“ და „სურათი ფშაველის ცხოვრებიდან“. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები ქართული კინოს აღმავლობის წლებია. სწორედ ამ ათწლეულში შეიქმნა ქართული კინოს შედეგები, მხოლოდ 1984 წელს დასრულებული „მონანიების“ დასახელებაც საკმარისია. ამ გარემოებას ისიც ემატებოდა, რომ ქართულ აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში უკვე შექმნილი იყო ორი შედეგრი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით: არკადი ხინთიბიძის მულტიპლიკაციური ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“ (1961) და თენგიზ აბულაძის „ვედრება“ (1967). შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მაყურებელი განსაკუთრებულად მომთხოვნი იყო ვაჟას ნაწარმოების ყოველი ეკრანიზაციის მიმართ.

პავლე ჩარკვიანის ფილმის ვიზუალური გადაწყვეტა სრულად არის აგებული ეთნოგრაფიული დეტალებით გაჯერებული მთის სოფლის სახის მიხედვით. მხატვარი ნოდარ სულემანაშვილი და ოპერატორები ვიქტორ ანდრიევსკი და ედუარდ გრიგორიანი 83-წუთიანი ფერადი ფილმის კოლორიტს სწორედ ქართული სოფლის პეიზაჟებით, მთის კალთებზე შეფენილი ბანიანი სახლებით ქმნიან. გადაღებები მიმდინარეობდა ფასანაურში, წიფორში, ლაკადხევში. პერსონაჟების კოსტიუმებიც ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატებით არის თითქოს ინსპირირებული. ცალკე აღნიშვნის ღირსია იაკობ ბობოხიძის შესანიშნავი მუსიკა. ფილმის ექსპოზიციურ ნაწილში მუსიკის ფონზე სხადასხვა კადრებში მთელი სოფლის ცხოვრება ჩანს, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ჩანახატი.

პავლე ჩარკვიანის ფილმი არ მიიჩნეოდა ათწლეულის საუკეთესო ფილმად, და მაინც, ფილმს დღესაც ჰყავს აუდიტორია, უჩვენებენ ტელევიზიით, ხელმისაწვდომია ინტერნეტით; „კომედია, ზღაპრული (ფენტეზი)“ – ამ ჟანრობრივ კატეგორიას მიაკუთვნებენ ფილმს ინტერნეტში სხვადასხვა ვებ-გვერდებზე განთავსებისას. ცხადია, ამგვარი კლასიფიკაცია ღიმილის მომგვრელია და არ შეესაბამება ფილმის ჟანრობრივ მახასიათებლებს.

ორი განსხვავებული ხედვა და განსხვავებული ფილმი: ჟამიანობით გამოწვეული დეპრესიის და შიშის ძალით ურჩხულად ქცეული მიქელა და ასევე ჟამიანობის წყალობით გაბედნიერებული ლამაზი წყვილი; პესიმიზმი, რომელიც სულიერ დაცემას იწვევს და დამნაშავედაც აქცევს კაცს და ოპტიმიზმი, რომელიც ყველა ვითარებიდან აპოვნინებს გამოსავალს ადამიანებს – ასეთია ქართველ კლასიკოსთა პროზაული ტექსტებისა და შესაბამისი მხატვრული ფილმების გზავნილები. პანდემიით გამოწვეული დღევანდელი ვითარებაც ამგვარია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. საით წავა და რა გზას აირჩევს სამყარო, რა ფორმით გახდება პანდემია მწერლების და რეჟისორების შთაგონების წყარო?

მოხსენებას ელდარ შენგელაიას სიტყვებით დავასრულებ: „ქართული ხელოვნება განსაკუთრებული ფენომენია. არა მარტო ქართული კინო – ქართული თეატრი, ქართული მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ქანდაკება... დაიწყო ბრძოლა ცენტურასთან: ხანდახან ცენტურა იმარჯვებდა, ხანდახან ჩვენ. რაღაც ხრიკებსაც მივმართავდით ხოლმე და საბოლოოდ, ჩემი აზრით, ქართულმა კინომ დამოუკიდებლობა უფრო ადრე მოიპოვა, ვიდრე ჩვენმა ქვეყანამ – სახელმწიფოებრიობა“ (შენგელაია 2013). ქართული კინოს ფენომენის შექმნაში ქართული პროზის ეკრანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დიდ მწერალთა ავტორიტეტი და ლიტერატურული მასალის ლეგიტიმურობა რეჟისორებს არა მხოლოდ წარსულის, არამედ თანამედროვეობის გააზრების საშუალებასაც აძლევდა. ეპიდემიის თემა, რომელიც ეკრანიზაციების შექმნის პერიოდში წარსულის კუთვნილებად ითვლებოდა, ფილმებში ცენტრალურ ადგილს აღარ იკავებს. ამის ნაცვლად რეჟისორები მწერლების ჩანაფიქრს მიჰყვებიან და ფილმის პრობლემატიკას მორალურ განზომილებაში გააიზრებენ.

დამოწმებანი:

გვერდწითელი 2006: გვერდწითელი, გ. „მოკავშირე თუ მეტოქე? კინოზეც და სხვაზეც“. წერილები. თბილისი: 2006.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. „ხოლერამ მიშველა“. *თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად*. ტ. 5. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

კლდიაშვილი 1995: კლდიაშვილი დ. „მიქელა“. *თხზულებანი 2 ტომად*. ტ. 1. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1995.

ნურმანოვა 2012: ნურმანოვა, ჟ. „ლიტერატურისა და ფილმის შედარება, როგორც სამეცნიერო სფერო“. *სჯანი*, 13. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2012.

უელეკი ... 2010: უელეკი რ., უორენი ო. *ლიტერატურის თეორია*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

შენგელაია 2013: შენგელაია ე. *კინორეჟისორი, თავისუფლების დღიურები*. რადიო თავისუფლება, თებერვალი 03, 2013, <https://www.radiotavisupleba.ge/a/liberty-diaries-eldar-shengelaia/24891868.html>

ხარბედია 2012: ხარბედია, მ. *დავით კლდიაშვილი-150*. სექტემბერი 09, 2012, <https://www.radiotavisupleba.ge/a/24702580.html>).

Nino Popiashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Literature in the Pandemics: Global Space and the Paradigm of Migrant Literature*

Summary

Migrant literature is characterized by the expansion of borders, overcoming cultural isolation, and the scale of intercultural relations. Migration as a result of political, cultural, social, economic events of the 20th and 21st centuries has brought significant changes in the transformation of

* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [N°DI-18-965].

identities, in the markers of cultural identity. One could say that a global space has been created in which, among other components, an important place is given to culture and literature. The characteristics of migrant literature and its features, independent, definite and indefinite contexts, the representation of individual and collective memories and other aspects are the object of special study.

Key words: Literature, Pandemic, Global Space, Migrant Literature.

ნინო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა პანდემიაში: გლობალური სივრცე და მიგრაციული ლიტერატურის პარადიგმა*

მიგრაციული ლიტერატურა ხასიათდება საზღვრების გაფართოებით, კულტურული იზოლაციის დამღვევითა და კულტურათშორისი ურთიერთობების მასშტაბურობით. მიგრაციამ, როგორც XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური მოვლენების შედეგმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა იდენტობათა ტრანსფორმაციაში, კულტურული იდენტობის მარკერებში. შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა გლობალური სივრცე, სადაც სხვა შემადგენლებთან ერთად, კულტურასა და ლიტერატურას თავისი მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭა. მიგრაციული ლიტერატურის მახასიათებლები და მისი თავისებურებები, დამოუკიდებელი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი კონტექსტები, ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერებების რეპრეზენტაცია და სხვა ასპექტები, საგანგებო შესწავლის ობიექტია.

პანდემიური ეპოქა, თავის მხრივ, ქმნის და აყალიბებს ახალ მარკერებს, ახალ სივრცეებს, სადაც ღირებულებათა გადაფასების

* კვლევა განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [№DI-18-965]“.

ფონზე მრავალი ფაქტორი განიცდის ცვლილებას. პანდემია, როგორც კრიზისი, ამკვიდრებს ახალ ღირებულებით ნიშნულებს. კრიზისის რამდენიმე განმარტებას შორის ყველაზე შესაბამისი პანდემიის პირობებში არის „გადამწყვეტი ხასიათის ცვლილება“. კრიზისი, როგორც ცვლილება, რომელსაც არსებითი, გადამწყვეტი, უმნიშვნელოვანესი როლი და მნიშვნელობა აქვს.

პანდემიურმა კრიზისმა შეცვალა როგორც აღქმის, ისე ხედვის ფოკუსები, მათ შორის, მიგრაციასთან დაკავშირებითაც. თუ მიგრაციას დავახასიათებთ, როგორც გაქცევას, წასვლას, გადაადგილებას, პანდემია ხასიათდება ჩაკეტილობით, დისტანციით, შემოსაზღვრულობით. მრავალფეროვნება შეიცვალა ერთფეროვნებით, გადაადგილება – უძრაობით. გაჩნდა მორალური დილემა ფიზიკურ საზღვრებთან დაკავშირებით, რაც სრულიად ჩანაცვლდა დიგიტალური საზღვრებით. ამასთან, პანდემია, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური განვითარების ერთგვარი ადგილობრივი, ლოკალური ალტერნატივა, სადაც მიგრაციას, სივრცულ გადაადგილებას და მიგრაციულ პერსპექტივას სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩება განვითარებისათვის. ამასთან, მიგრაცია, როგორც ადამიანების კომუნიკაციის უძველესი და ფუნდამენტური, ისტორიული და თანამედროვე საქმიანობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების წესს, აზროვნებას, მსოფლმხედველობას. ტერმინები: გაქცევა, გადაადგილება, თავშესაფარი, ან კატეგორიები: გამევეებული, დევნილი, ლტოლვილი პოლიტიკური მნიშვნელობებით არის დატვირთული, თუმცა სოციალური, კულტუროლოგიური, პედაგოგიური პრაქტიკები გვაჩვენებს სხვადასხვა გამოცდილებას, სადაც მრავალი განსხვავება, ჰომოგენურობა და ჰეტეროგენურობა შეინიშნება (ოლტმერი 2017: 726).

პანდემიამ გავლენა იქონია მიგრაციული გამოცდილების მქონე ადამიანებზეც. მიგრაცია, როგორც პროცესი, არის საფრთხისაგან გაქცევის, თავის არიდების მოძრაობა. პანდემიის პირობებში კი იცვლება პარადიგმა: ჩაკეტვა, როგორც საფრთხე, გაქცევა, როგორც გადარჩენა პარადიგმით: გაქცევა, როგორც საფრთხე, ჩაკეტვა, როგორც გადარჩენა. პანდემიური ეპოქის ლიტერატურულ

პროცესებზე დაკვირვებისას მნიშვნელოვანია მიგრაციული ლიტერატურის თვისობრიობის ანალიზიც.

მიგრაციული ლიტერატურა იმ გამოცდილებებისა და განცდების ერთობლიობაა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მოცემულობას ასახავს. „ მიგრაციული გამოცდილების მქონე ავტორები ყოველთვის რეალურ კულტურულ ცვლილებას ასახავენ ეთნიკურ და ნაციონალურ სემანტიკურ სივრცეებს შორის. მათი ბიოგრაფიები ტრანსნაციონალურია და ქმნის ჰიბრიდულ სივრცეებს კულტურებს შორის. ეს კულტურული ჰიბრიდულობა ხშირად გვხვდება ტექსტებში: ერთი მხრივ, მათი ლიტერატურული კავშირები აშკარად არის გამოკვეთილი „წარმოსახვით სამშობლოსთან“, ასახულა სამშობლოს სიმბოლური მდებარეობა სივრცესა და დროში, პეიზაჟები, ტრადიციები და მითები. ამასთან, იგრძნობა სამშობლოსთან დაკავშირებულ მდგომარეობასთან და მოტანილ იდენტობასთან დისტანცირებაც“ (ჰაუსბახერი 2008: 47).

მიგრაციული ლიტერატურის დახასიათებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გლობალურმა მიგრაციულმა პროცესებმა შეცვალა ნაციონალური იდენტობის საკითხებზე დაკვირვების განზომილებები და შესძინა მას როგორც შიდა, ასევე გარედან დანახული სხვა ხედვა და გამოიკვეთა სოციოპოლიტიკური და სოციოკულტურული პერსპექტივები. „სხვადასხვა მენტალობის, რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელთა დაახლოების, იდენტობათა ტრანსფორმაციების შედეგად მოსალოდნელი იყო საერთო ფასეულობათა ჩამოყალიბება, თუმცა გლობალიზაციის კულტურულმა სპექტრმა გაამყდავნა პარადოქსული რეაქცია: უნიფიცირების საფრთხემ, მასკულტურაში ჩაკარგვის შიშმა აიძულა ხალხები (განსაკუთრებით მცირე ერები) მოეძიებინათ ისტორიული ფესვები, გაეხსენებინათ თავიანთი ენები და კულტურა, დაეცვათ საკუთარი იდენტობა. ცალკეულ შემთხვევებში ამან წარმოშვა და გაამწვავა ეთნოკონფლიქტები. გამოიკვეთა ნაციონალური იდენტობის სოციოკულტურული კონტექსტის უპირატესობა სოციოპოლიტიკურ კონტექსტთან შედარებით“ (კარტოზია... 2016: 8).

გლობალური სივრცის პარადიგმის ცვლილებამ პანდემიის პირობებში მრავალი დამატებითი ცვალებადობა გამოიწვია. ეს არის

ლოკალური და გლობალური ცვლილებები, ინდივიდუალური დღის წესრიგიდან დაწყებული, ნაციონალური და მსოფლიო ცვლილებების ჩათვლით, სადაც ადამიანის ცხოვრების წესისა და მთელი სამყაროს მოძრაობის ცვლილებები მოულოდნელი და დაუგეგმავი ფორმებით მიმდინარეობს, ამასთან, ეს ცვლილებები აღძრავს მრავალ შეკითხვას, ერთდროულად უძრაობას, ჩაკეტილობას და, მეორე მხრივ, კვლავაც ცვლილებების განვითარებას, არაპროგნოზირებულობას, რომელიც სტატიკურ მდგომარეობასთან ერთად, შინაგან წინააღმდეგობებში აქცევს ინდივიდსაც და საზოგადოებასაც. პანდემიურმა გარემომ მრავალი საკითხი ახლებურად წარმოადგინა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები:

- პირადი თავისუფლების იძულებითი შეზღუდვა, პოსტულატებისა და სააზროვნო პარადიგმების ცვლილება და სხვა.

- ახალი, უცნობი, დავიწყებული გამოცდილება. გარკვეული პერსპექტივიდან ნათლად ჩანს, რომ პანდემიური ცხოვრება სრულიად გამორიცხავს და კარგავს იმ გამოცდილებას, რომელიც გარკვეულ სფეროებში, მათ შორის, ლიტერატურაში არსებობს და ახალ გამოცდილებას, ან უკვე დავიწყებულსა და ნაკლებად მნიშვნელოვან ჩვევას უთმობს ადგილს.

- ემოციური მდგომარეობა: ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ყოფიერების ემოციურად განცდა.

- პერსპექტივები, როგორც არის: – როგორ ხარ? როგორ არის? – სრულიად ახალ შინაარსსა და დატვირთვას იძენს, მათ შორის, გარდა ჯანმრთელობისა, ეს გულისხმობს ახალ გამოცდილებასთან ზიარებას, ჩაკეტილობას, ვირუსთან ფიზიკურ და ჰიპოთეტურ ბრძოლებს და სხვა.

- ცალკე უნდა აღინიშნოს დიგიტალური ელემენტის გაფართოება, როგორც პარადიგმული ცვლილება, რომელმაც ჩანაცვლა ყოფითი და სივრცული დამოკიდებულებები, ასევე, ინდივიდუალური, მიკრო და გლობალური, მაკრო ურთიერთობები, აღქმები და პერსპექტივები. მუდმივად ჩართული კამერა, სხვადასხვა სოციალური მედია, ჯგუფი, გზავნილი, გამოხმაურება, გაზიარება და სხვა აქტივობა მთლიანად იკავებს ისედაც შევსებულ დროს. სოციალური ქსელები, როგორც გადარჩენის ერთ-

ერთი გზა და, ამავდროულად, როგორც სხვა ალტერნატივის, ვირტუალური ცხოვრების ადგილი, ანაცვლებს ნამდვილს.

- ჰიპოთეტური და ნამდვილი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს გაუტოლდა და ერთმანეთს შეერწყა. გარდა დიგიტალური და ელექტრონული მედიების მასშტაბების გაფართოებისა, შეიზღუდა სოციალური კონტაქტები და მას დაემატა ახალი ელემენტები, როგორც არის ფიზიკური დისტანცია და ნიღაბი. ეს კი იქცა ადაპტირებულ ყოველდღიური ურთიერთობების რადიკალურად საპირისპირო გამოვლინებად: გაუცხოება, უნდობლობა, განსხვავება.

- სოციალური მედიების მძლავრი ზეგავლენა ფიზიკური დისტანცირების ფონზე სრულიად ცვლის ადამიანის მანამდე არსებულ მსოფლალქმას. ერთი მხრივ, ვირტუალურად ყველა კამერა ჩართულია, ყველა კარი ღიაა, ხოლო, მეორე მხრივ, ფიზიკურად, სავალდებულოა დისტანცირება და პირბადის ტარება. პარადოქსული ცვლილება-დაპირისპირება აყალიბებს ახალ ვალდებულებებს, ღიაობისა და შეზღუდვის განსხვავებულ პერსპექტივებს.

- ნორმა და ანტინორმა ადგილებს ცვლის და ახალ რეალობას ქმნის: საზოგადოებრივი სივრცეების ღიაობა და პირადი სივრცის დახურულობა შეიცვალა დისკურსით: პირადი სივრცის ღიაობა: ტრანსლირება ბინიდან, ჩართვები მისაღები ოთახის/კაბინეტის/სხვა ოთახის რომელიმე კუთხიდან და საზოგადოებრივი სივრცეების: უნივერსიტეტების, სკოლების, სამსახურებრივი ოთახების, შეხვედრების ოთახების, სათათბირო სივრცეებისა და სხვ. დახურულობა.

- აქტუალური გახდა, აგრეთვე, ვაქცინაციის თემა, რომელიც, თავის მხრივ, დაიყო ორ ძირითად ელემენტად, მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, სადაც ყოველი მათგანი, თავის მხრივ, არჩევანის ვალდებულებას გულისხმობდა, ასევე, დაპირისპირებისა და შედარების ელემენტებს.

- სამყაროს მომავლის პერსპექტივების განხილვა სხვადასხვა პერსპექტივიდან, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს რელიგიური განწყობილებებისა და გავლენების ზრდა, აპოკალიფსური პროგნოზები, ასევე, სამყაროს განვითარების განსხვავებუ-

ლი მოდელი, როგორც არის ხელოვნური ინტელექტი, ელექტრონული პირი, ნაცვლად ფიზიკური პირისა და სხვ.

პარადიგმულ ცვლილებებთან ერთად აქტუალური ხდება დიგიტალური და ანალოგიური სივრცეების დაპირისპირება. ის, რასაც აკეთებს პროგრამირებული სისტემა, ალგორითმი და ის, რასაც აკეთებს ადამიანი საკუთარი ხელით, გონებით, სურვილით, ნებით, ემოციით. ამ დაპირისპირებაში იბადება შეკითხვებიც: „როგორ გვინდა ვიცხოვროთ? რა გვაკავშირებს ერთმანეთთან? რამდენია საკმარისი? მნიშვნელოვანია, რომ კაცობრიობამ მომავალშიც განაგრძოს საკუთარი თავის ანალოგიური აღქმა, როგორც სხეულისა და როგორც მოაზროვნისა“ (არმინი 2021: 22).

პანდემიური სივრცითი ცვლილებების ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში გარკვეულ ტრადიციას უკვე ქმნის. ჩაკეტილობის, განსხვავებული ვითარების, შიშისა და ტკივილის ფონი, ამავედროულად, იმედის, სიყვარულის, სიცოცხლის სურვილის თემები პანდემიაზე შექმნილ ნაწარმოებებში სხვადასხვა რაკურსით არის ასახული. სხვადასხვა დროს სამყარო რამდენჯერმე გაჩერდა. „ჩაკეტვა შეიძლება დაგეხმაროთ, უფრო ნათლად დაინახოთ, სამყაროს წინა გაჩერებები გამოიყენოთ სიღრმისეული ასახვისათვის და ახალი პერსპექტივებისათვის“ (გრაფი 2020). მნიშვნელოვანია, პანდემიური ცვლილებების ფონზე თანამედროვე პერსპექტივიდან წავიკითხოთ ლიტერატურის პარადიგმა. რა არის პანდემია? პანდემია, როგორც ცრუ თუ ნამდვილი მსოფლიო წესრიგის სამომავლო სიმბოლო? როგორი იქნება სამყარო პანდემიის შემდეგ? რა შეიცვლება და რა დარჩება? სამყარო გაჩერდა. რა მოხდება, როდესაც ის გააგრძელებს მსვლელობას?

მიგრაციულ ლიტერატურაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ იგი განიცდის ორმაგ გავლენებს, როგორებიც არის ნაციონალური ლიტერატურა და ასევე, ინტერკულტურული კონტექსტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიგრაციული გამოცდილების სირთულე, განსაკუთრებულობა და ინდივიდუალიზმი, სადაც სწორედ განსხვავებული კულტურებისა და წესრიგის შერწყმა ხდება, აყალიბებს მიგრაციული ლიტერატურის პერსპექტივას. ლიტერატურა არის ის გზა, რომელიც მიგრაციის სირთულესა და თავისებურებებს მხატვრულად, ხშირად მხატვრულ-დოკუმენტურად

გადმოგვეცმს. ეს არის იმ ავტორების ლიტერატურა, რომლებმაც ბევრი განიცადეს და ბევრი რამ ნახეს. გაუცხოება, განმარტოება, გარიყულობა და მსგავსი თემები ხშირად უნივერსალურ თემებად არის წარმოდგენილი მიგრაციულ ლიტერატურაში. ორ და ზოგჯერ მეტ ენას, ორ ქვეყანას, ორ კულტურას შორის აღმოჩენა მიგრაციული ლიტერატურის პარადიგმის მიხედვით არის ამ ენებს, ქვეყნებსა და კულტურებს შორის დაკარგვა, განსხვავებული ალგორითმის, სისტემის, მოცემულობის აღმოჩენა. ენებს შორის დაკარგულობა ახალი, შინაგანი ენის, საკუთარი სათქმელის, როგორც სემანტიკური ნიშნების პერსპექტივას წარმოშობს, რომლისგანაც მიგრაციული ლიტერატურა იქმნება. ეს ენა არ არის მხოლოდ მშობლიური ენა, ან მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ენა, რადგან მიგრანტისათვის არცერთი ენა არ არის სრულფასოვანი, ნამდვილი სახლი. ენები შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი თავშესაფარი. მშობლიურმა ენამ, სიტყვებმა და გრძნობებმა უკვე დაკარგეს თავისი დიდი და ფართო მნიშვნელობა, ხოლო ახალი ენა, უცხო ენა, მეორე ენა, ბოლომდე ვერ იქცევა სრულფასოვან სახლად. მიგრაციული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ენებს შორის არჩევანი, ხოლო, მეორე მხრივ, ენათა შერევის მოცემულობა. საკუთარ თავზე ორიენტირება არის მიგრაციული ლიტერატურის ერთ-ერთი თვისება. „თვითიდენტიფიკაცია, როგორც პრობლემა, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში თვითგამოხატვის ერთ-ერთი ნიშანია. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი იდენტობის შეცნობის გრძელ და რთულ გზას მრავალი ავტორი სწორედ ლიტერატურულ ტექსტებთან ერთად ეძიებს“ (პოპიაშვილი 2011: 37-38). მიგრაციული ლიტერატურა მძაფრად ასახავს კონფლიქტებს, პოლიტიკურ და სხვა ტიპის დაპირისპირებებს, რომელიც მიგრაციის მიზეზსა და საფუძველს წარმოადგენს. მიმღები ქვეყნისათვის ეს გამოცდილება ხშირ შემთხვევაში უცხო და უცნობია, ისევე როგორც ის კულტურული განსხვავებულობები, რომლებსაც მიგრანტი მუდმივად ხედავს და გრძნობს. თუ მიგრანტთა პირველი თაობისათვის ეს განცდებია მნიშვნელოვანი, მეორე, მესამე თაობები იწყებენ ფესვების ძიებას, მეხსიერების რეკონსტრუირებას, იდენტობის ძიებას. კულტურის ტრანზიტულობა, ბუნებრივი მულტიკულტურალიზმი მიგრაცი-

ულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ პერსპექტივას ქმნის. ცვლადობის ლიტერატურა, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ადგილთან და კონკრეტულ კულტურასთან, აყალიბებს ლიტერატურის ახალ მოდელს. სხვადასხვა პერსპექტივიდან მიგრაციული ლიტერატურა, როგორც პოეტიკისა და პოლიტიკის ერთგვარი ნაერთი, განსხვავებული ტერმინებით არის აღნიშნული: გასტარბაიტერების ლიტერატურა, ემიგრანტებისა და იმიგრანტების ლიტერატურა, უცხოელების ლიტერატურა, მიგრანტების ლიტერატურა, სტუმრების ლიტერატურა, შრომითი მიგრანტების ლიტერატურა, უმცირესობების ლიტერატურა, ინტერკულტურული ლიტერატურა, მულტიკულტურული ლიტერატურა, მრავალკულტურული ლიტერატურა, ტრანსკულტურული ლიტერატურა, ლიტერატურა ინტერკულტურულ კონტექსტში, შუალედური სივრცეების ლიტერატურა, უცხოელების ლიტერატურა და სხვა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მიგრაციულ ლიტერატურას უკვე გააჩნია თავისი მუდმივი ხასიათი და ძირითადი მახასიათებლები. „ტრანსკულტურული ლიტერატურა, რომელსაც მიგრაცია ქმნის, არ შეიძლება ფილოლოგიის განვითარებისათვის უყურადღებოდ დარჩეს, რადგან მიგრაციული ლიტერატურის განვითარებასთან ერთად ახალი კითხვები ჩნდება ცალკეული ეროვნული ლიტერატურების „ცენტრებთან“ დაკავშირებით, რომლებიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია ლიტერატურულ კანონსა და განსხვავებაზე“ (ჰაუსბახერი 2008: 48).

პანდემიური მდგომარეობა ახალი წესრიგითა და დამატებითი მახასიათებლით ტვირთავს მიგრაციულ ლიტერატურას. მისი თვისობრიობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, არსებითად სოციალურ, ფსიქო-ემოციურ და პოლიტიკურ თემებს ეფუძნება, ამავდროულად, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეობს, ეხება სივრცულ საკითხებს, მათ შორის, შუალედური სივრცის თემას, მეხსიერების ფუნქციებსა და როლს და სხვა. პანდემიის პირობებში გლობალური სივრცის ცვალებადობამ მიგრაციული ლიტერატურა დამატებითი ასპექტებით შეავსო. ორი სამშობლოს თემა პანდემიაში აქტიური გახდა. ამასთან, იცვლება პარადიგმული სახეები: ჩაკეტილობისა და გაქცევის სიმბოლოები და სემანტიკური მახასიათებლები.

დამოწმებანი:

არმინი 2021: Armin, C. *Nahc der Pandemie: Analog und/oder Digita?* Die Reihe Opuscula N 150. Maecenata Institut, Berlin 2021.

ევერტი 2014: Ewert, M. *Fremdheit, Kulturkritik, Alterität—Georg Forster als interkultureller Autor avant la letter.* Georg-Forster Studien XIX: Georg Forster als interkultureller Autor (2014): 109.

გრაფი 2020: Graf, D. *Die Krankheit der Anderen, Republik*, 04. 04. 2020 <https://www.republik.ch/2020/04/04/die-krankheit-der-anderen>

ჰაუსბახერი 2008: Hausbacher, E. Poetik Der Migration. Transnationale Literatur Zeitgenössischer Russischer Und Kroatischer Autoren. Wiener Slavistisches Jahrbuch, vol. 54, [Harrassowitz Verlag, Austrian Academy of Sciences Press], 2008, pp. 47–62, <http://www.jstor.org/stable/24750300>.

კარტოზია ... 2016: კარტოზია ალ., ჩიტაური ნ., შამანაძე შ., პოპიაშვილი ნ., მოდებაძე ი., გაგოშაშვილი ნ., *ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016.

ოლტმერი 2017: Oltmer, J. Migration Aufgrund von Gewalt: Hintergründe, Bedingungen Und Folgen. *Sozialer Fortschritt*, vol. 66, no. 11, Duncker & Humblot GmbH, 2017, pp. 725–40, <http://www.jstor.org/stable/45018291>

პოპიაშვილი 2011: პოპიაშვილი ნ. *ქართული პოსტაპოკალიფსიკური ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.

კარანტინი და იზოლაცია ლიტერატურაში

Quarantine and Isolation in the Literature

Eka Chkheidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Plague in literature

Summary

- The Black Death as God's Punishment in Ancient Literature

The Black Death appears in literature as far back as ancient Greece. It is the driving force behind the story and the cause of the main conflict in the two fundamental texts in Homer's Iliad and Sophocles in Oedipus the King.

- Time in the Renaissance or how a person behaves in an emergency

Perspective changes significantly during the Renaissance. In one of the most important works of the Renaissance, the Black Death in Giovanni Boccaccio's Decameron is as horrific as it was in ancient Greece.

Key words: The Black Death, Pandemic, Literature.

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟამიანობა ლიტერატურაში

SARS-CoV-2-ის გამოჩენის დღიდანვე იგი მრავალჯერ იქნა შედარებული შავ ჭირთან, კაცობრიობისთვის ცნობილ ყველაზე მომაკვდინებელ ეპიდემიასთან, რომელმაც ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა კონტინენტზე უამრავი ადამიანის სიცოცხ-

ლე შეიწირა. რა თქმა უნდა, ეს შედარება მხოლოდ მეტაფორულია და ის უფრო ისტორიული მაგალითების მეშვეობით კორონა ვირუსისგან გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის ახსნისათვისაა საჭირო, ვიდრე თავად ვირუსის კონკრეტული მახასიათებლების შეფასებისათვის. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს კორონა ვირუსმა თანამედროვე ლიტერატურაში, საჭიროდ მიგვაჩნია მეტაფორულ ანალოგიაზე დაყრდნობით ყურადღება დავუთმოთ ისტორიულ გამოცდილებას და თვალი გადავაგვლოთ მსოფლიო ლიტერატურის იმ მნიშვნელოვან ძეგლებს, რომლებშიც ეპიდემია ცენტრალურ ადგილს იკავებს.

შავი ჭირი, როგორც ღვთის სასჯელი ანტიკურ ლიტერატურაში

შავი ჭირი ლიტერატურაში ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჩნდება. ის სიუჟეტის მამოძრავებელი მუხტი და მთავარი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზია ორ ფუნდამენტურ ტექსტში ჰომეროსის „ილიადასა“ და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“. ანტიკური ცნობიერებისთვის დამახასიათებლად შავი ჭირი ორივე ნაწარმოებში ღმერთ აპოლონის მიერ ადამიანთათვის თავს დატეხილი სასჯელია. „ილიადას“ შემთხვევაში აპოლონი ბერძენთა მხედართმთავარსა და მიკენის მეფეს აგამემნონს ქურუმ ქრისეისის შეურაცხყოფისათვის სჯის და მის ლაშქარს უკურნებელ სენს უგზავნის. ხოლო „ოიდიპოს მეფეში“ სრულიად თებე, მთელი ქალაქ-სახელმწიფო ეწირება მეფე ლაიოსის მკვლელის დაუსჯელობას. ჰომეროსი „ილიადაში“ ეპიდემიის განვითარებას რამდენიმე ნაბიჯად აღწერს: „ჯერ ჯორები და მკვირცხლი ძაღლები გაწყვიტა, ბოლოს კი ბასრი ისარი ხალხსაც მიაწვდინა: მთელი დღეები მრავალ კოცონზე იწვოდა გვამები“ (ჰომეროსი 2015: 16). სოფოკლესთან კი პირდაპირ საშინლად მძვინვარე ჭირს ვხვდებით, რომელსაც ცხოველები, მცენარეები და ადამიანები თანადროულად ეწირებიან: „თესლშივე ლპება მოსავალი ბალახიც ხმება / წყდებიან ჯოგნი, უდღეო შვილთ შობენ დედანი“ (სოფოკლე 2017: 16). ორივე ნაწარმოებში ჭირი განადგურებით ემუქრე-

ბა ყოველივე ცოცხალს და ორივე შემთხვევაში ჭირისგან თავის დასახსნელად გმირებს აპოლონის წყენის მიზეზის გამოცნობა და განრისხებული ღმერთის დამშვიდება უწევთ. სწორედ ამისთვის ტექსტებში შემოდის გულთმიასანი პერსონაჟები კალქასი და ტირეზიასი, გრძელნი და წინასწარმეტყველნი, რომელთაც ღმერთის ჩანაფიქრის გამოცნობა ძალუძთ. „ილიადაში“ აპოლონის რისხვას მხოლოდ ქურუმ ქრისეისისთვის მონად წაგვრილი ქალიშვილის დაბრუნება თუ დააცხრობს, რაც შემდეგ ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ კონფლიქტს - აქილევსსა და აგამემნონს შორის განხეთქილებას და ბერძენთა ჯარის გახლეჩას გამოიწვევს. სწორედ ეს განხეთქილება და აქილევსისა და მისი მეომრების დანარჩენი არმიისგან განდგომა ხდება ყოველი შემდეგი სიუჟეტური სვლის საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ვერც მითიური აქილევსი და ვერც მითიური აგამემნონი საკუთარ ტრაგიკულ ბედისწერას ვერ გადაურჩება, საკუთრივ „ილიადა“ ჩვენ მათ აღსასრულს აღარ გვაჩვენებს და შავი ჭირიც ე. წ. ექსპოზიციას არ სცდება, მას მხოლოდ სიუჟეტისთვის მთავარი ბიძგის მიცემა ეკისრება.

„ილიადასგან“ განსხვავებით „ოიდიპოს მეფეში“ შავი ჭირი მხოლოდ ნაწარმოების დასასრულს ცხრება მაშინ, როდესაც ოიდიპოსი მეფე ლაიოსის ნამდვილ მკვლელს, ანუ საკუთარ თავს გამოამჟღავნებს და მას სათანადოდ დასჯის კიდეც: თავს დაიბრმავებს და თებედან გადაიხვეწება. „მე კი ქვეყანა ბიწისაგან რომ განიწმინდოს / სჯობს გადამკარგოთ კითერონის უდაბურ მთასა“ (სოფოკლე 2017:64)

მართალია შავი ჭირი „ილიადასა“ და „ოიდიპოს მეფეში“ სხვადასხვა სიუჟეტურ თუ სტრუქტურულ დანიშნულებას ასრულებს, მაგრამ თავად დამოკიდებულება ეპიდემიის ფენომენის მიმართ სრულიად იდენტურია. შავი ჭირი ანტიკურ საბერძნეთში კონკრეტული ღვთის სასჯელია და ადამიანებმაც კონკრეტული დანაშაულები უნდა ზღონ. საგულისხმოა, რომ აპოლონისთვის სულ ერთია გმირები მის მიმართ განზრახ სცოდავენ (როგორც აგამემნონი, რომელმაც ზუსტად იცის ვის ქურუმსაც შეურაცხყოფს)

* კლასიკურ ლიტერატურაში სიუჟეტის საწყისი ნაწილი. ექსპოზიციის ხდება მოქმედი პირების განლაგება და ხდება სასიუჟეტო კონფლიქტის შემქმნელი მოვლენების აღწერა.

თუ ეს უცოდინრობით მოსდით (ოიდიპოსს წარმოდგენა არ აქვს, იმის შესახებ, რომ მეფე ლაიოსი თვითონვე მოკლა). ასე რომ ანტიკური ცნობიერებისთვის შავი ჭირი ერთგვარი კორექტივაცაა, ის სახელმწიფოს შიგნითაც და ომში მყოფ ლაშქარშიც განსაკუთრებულ, საგანგებო მდგომარეობას წარმოშობს და მანამდე არსებულ წესრიგს თავდაყირა აყენებს. ეს კი იმისთვის ხდება, რომ ადამიანებმა თავიანთი ცოდვებით დამძიმებული რეალობა შეიგრძნონ, მიხვდნენ, რომ ჭირის გამოჩენამდე არსებული ჰარმონია სრული ილუზია ყოფილა. ამის შემდეგ იძულებულნი გახდნენ მიაგნონ სიმართლეს თავიანთი თავისა და ყოფის შესახებ, რაც დანაშაულის გამომჟღავნებასა და დამნაშავის დასჯასაც მოითხოვს. მხოლოდ ამგვარი რეალობის გამოსწორებით, ილუზიის დამსხვრევით შესაძლებელია განრისხებული ღმერთის დამშვიდება და ეპიდემიის დასრულება. სწორედ ეს ჩანს სოფოკლესთან ქოროს სიტყვებში, როდესაც ის ოიდიპოსს სამუდამოდ ემშვიდობება: „მაგრამ დრომ ყოვლის მამხილებელმა / ეხლა საქვეყნოდ ახადა ფარდა, / შენი სიბრძავით ქნილ შეცოდებას... / ჰოი ბედკრულო, ძევ ლაიოსის!“ (სოფოკლე 2017: 58).

ჟამიანობა რენესანსის ეპოქაში ანუ როგორ იქცევა ადამიანი საგანგებო მდგომარეობისას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურაში მომაკვდინებელი ეპიდემიის გარშემო მთავარი კითხვები შემდგენიარად ისმევა: ვისი მოვლენილია ჭირი, ანუ რომელი ღმერთია გამწყრალი და რითი შეიძლება დანაშაულის გამოსყიდვა, ანუ ჭირის დასრულება. ევროპული კულტურის ისტორიის რიგით მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქის, რენესანსის დროს პერსპექტივა საგრძნობლად იცვლება. აღორძინების პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებში, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონში“ შავი ჭირი ისეთივე საზარელ, ისეთივე განსაკუთრებულ მდგომარეობას იწვევს, როგორც მანამდე-ანტიკურ საბერძნეთში. თუმცა სოფოკლესა და ჰომეროსისგან განს-

ხვავებით ბოკაჩოს შავი ჭირის გაჩენის მიზეზი თითქმის სრულიად არ აინტერესებს და ეპიდემიის წარმომავლობას მხოლოდ ორიოდ წინადადებით ეხება: „იტალიის ქალაქთა შორის ყველაზე ულამაზესს, თავს დაატყდა მომსვრელი ჭირი, ზეციურ მნათობთა გავლენით თუ ჩვენთა ცოდვათათვის ღვთის სამართლიანი რისხვის მიერ ჩვენდა დასასჯელად მოვლენილი“. ბოკაჩოსთვის პირველყოვლისა საინტერესოა თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საზოგადოება შავი ჭირის დროს და როგორ იქცევიან კონკრეტული ადამიანები. აქ პრინციპში ვხედავთ რენესანსის კულტურის ქვაკუთხედსაც. აღორძინების ხელოვნება პირველ რიგში ადამიანითაა დაინტერესებული და ბევრად ნაკლებად ღმერთისა თუ ღმერთების მიერ განსაზღვრული ბედისწერის თამაშებით, როგორც ეს ანტიკური საბერძნეთის შემთხვევაში ხდებოდა. კულტურის კვლევის ცენტრში თავად ადამიანი და საზოგადოება აღმოჩნდება. ამიტომაც „დეკამერონის“ შესავალში ბოკაჩო ვრცლად მოგვითხრობს ფლორენციაში შავი ჭირის მიერ გამოწვეულ ფაქტობრივ ანარქიაზე: „ასეთი საშინელი უბედურების დროს თითქმის დაეცა ყოველგვარი პატივისცემა და კრძალვა როგორც ღვთიური, ისე კაცობრიული კანონებისა, რადგან ამ კანონების მცველნი და აღმასრულებელნი, სხვათა მსგავსად, ან დახოცილიყვნენ, ან ავად გამხდარიყვნენ, ანდა უხელქვეითოდ დარჩენილიყვნენ, ასე რომ, აღარ შეეძლოთ რაიმე თანამდებობა აღესრულებინათ; ამიტომ ყველას შეეძლო ის ექნა, რაც მოეგუნებებოდა“ (ბოკაჩო 2016: 2). მწერალი ჯერ ხატოვნად აღწერს ფლორენციას თავს დამტყდარ აპოკალიფსს, შემდეგ კი ქალაქს გარიდებულ ახალგაზრდათა პროტაგონისტთა ჯგუფს მიუბრუნდება, რათა გვაჩვენოს თუ როგორ ცდილობენ ადამიანები მომაკვდინებელი ჭირისაგან თავის დახსნას.

თუ ანტიკური ავტორები ერთობ მეტაფიზიკურ ველში მოძრაობენ, ნამდვილ და ილუზორულ რეალობებს შორის ზღვარს ეძებენ და გმირებისა და ღმერთების კოსმიურ შეჯახებებს აღგვიწერენ – რენესანსის შემოქმედნი თავად ადამიანის (თანაც უბრალო ადამიანის და არა გმირთაგმირის) შინაგანი წყობის და სულიერი სიღრმის მოხელთებას ცდილობენ. ბოკაჩოსთან შავ ჭირს განრიდებული ახალგაზრდები ქალაქარეთ მდიდრულ ვილაში

განცალკევდებიან და დროს ერთმანეთისთვის სხვადასხვა ამბის მოყოლაში ატარებენ. ოღონდაც ამ შემთხვევაში ამბების გაზიარება დროის მოკვლაზე მეტად თავის გადარჩენის გზაა. სიყვარულითა და ეროტიკით, ჭკუამახვილობით და გესლიანი სატირით სავსე ისტორიების ერთმანეთისთვის მოყოლით „დეკამერონის“ პერსონაჟები იმასაც ახერხებენ, რომ ქალაქისგან იზოლირებულნი ჭკუაზე არ შეიშალონ და საკუთარი თავი გონიერ, მოაზროვნე ინდივიდებად შეინარჩუნონ. როგორც ცნობილმა თანამედროვე გერმანელმა მწერალმა და რეჟისორმა ალექსანდრე ქლუგემ აღნიშნა, დეკამერონი ადამიანური ურთიერთობების მთავარ ფუნდამენტს ეხება: ამბების, ისტორიების მოყოლა, როგორც გადარჩენის გზა. ქლუგეს მიხედვით, შეიძლება სწორედ ერთმანეთისთვის ამბების გაზიარების შესაძლებლობამ გადაარჩინა კაცობრიობა დღემდე, შეუნარჩუნა ადამიანს ადამიანის სახე და მისცა უამრავი ბუნებრივი თუ ადამიანური კატასტროფის გადალახვის ძალა. ანტიკური ავტორების მსგავსად ბოკაჩოც საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ შავი ჭირი ფლორენციაშიც მითიური ტროას თუ თებეს მსგავსად საგანგებო მდგომარეობას წარმოშობს, რომელიც ადამიანური თუ საზოგადოების ცხოვრების მანამდე დამალულ შრეებს აშიშვლებს. საზოგადოებრივი წყობა იშლება, ქალაქში ანარქია ისადგურებს, ხოლო ქალაქსგარიდებული პერსონაჟები თავის გადასარჩენად, ადამიანური სახის შესანარჩუნებლად ერთმანეთს სიცოცხლით და ემოციებით სავსე ისტორიებს მოუთხოვნიან.

ჟამიანობა მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ანუ წინააღმდეგობის ისტორია

ეპიდემიის თემისთვის მიძღვნილ ლიტერატურის ახალ და უახლეს ტექსტებს შორის თავისი სიმძაფრით, ექსპრესიითა და მხატვრული ოსტატობით სხვათაგან ძლიერ გამოირჩევა ალჟირული წარმოშობის ფრანგი ნობელიანტი მწერლის ალბერ კამიუს რომანი „შავი ჭირი“. ავტორი ამ ნაწარმოებში მაღალი მხატვრული ოსტატობით ალგვიწერს ალჟირის პერიფერიულ ქალაქ

ორანში აფეთქებული შავი ჭირის ეპიდემიას. აღსანიშნავია, რომ რენესანსელი ბოკაჩოს მსგავსად ეგზისტენციალური ფილოსოფიის მიმდევარი კამიუც ყველაზე დიდ ყურადღებას კონკრეტული ადამიანების ყოფაქცევას უთმობს, თუმცა იგი მათ სრულიად სხვა პერსპექტივით, სხვაგვარ სიტუაციაში აკვირდება და ცდილობს იმ ადამიანთა ტიპაჟთა გამოკვლევას, რომელნიც ირაციონალური, პრაქტიკულად უძლეველი შავი ჭირის წინაშე ფარხმალს არ ყრიან და მას არათუ გაურბიან ან განერიდებიან, არამედ მის წინააღმდეგ ბრძოლასაც კი ახერხებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შავი ჭირი კამიუსთან ევროპაში მეოცე საუკუნეში მოძლიერებული ფაშიზმის მეტაფორაა, კიდევ უფრო საინტერესო ხდება იმ ტიპაჟთა თუ არქექტიპულ პერსონაჟთა გაცნობა, რომლებიც ამ ბოროტებას წინ აღუდგებიან (აღსანიშნავია, რომ თავად რომანში ეს ინტერპრეტაცია – შავი ჭირი, როგორც ფაშიზმის მეტაფორა – არსად პირდაპირ არ იკითხება, რაც თავად ნაწარმოებს ისტორიული ფაშიზმის პრობლემატიკისგან დამოუკიდებლადაც, ჩვენი დროისთვისაც ღირებულ ტექსტად აქცევს). კამიუს მრავალფეროვან პერსონაჟთა შორის ყველაზე მკვეთრად სამი ტიპაჟი გამოირჩევა: ეს არის რა თქმა უნდა ექიმი რიე (რომელიც როგორც დასასრულს აღმოჩნდება თავად რომანის მთხრობელიცაა), თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, რომელსაც შავ ჭირთან გამკლავება საკუთარი პროფესიის ეთიკისა და ღირსების საქმედ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეპიდემიის დასაძლვეი არანაირი პრაქტიკული იარაღი არ არსებობს. ამას გარდა კამიუ გამორჩეული ინტენსიობით გვიხატავს ტარუს პერსონაჟს, პოლიტიკურ აქტივისტს და ავანტიურისტს, რომელიც რიეს მხარდამხარ ებრძვის ავადმყოფობას და კიდევ ერთ უცნაურ ტიპაჟს, უნაკლო ნაწარმოების შექმნის იდეით შეპყრობილ გრანს, რომელიც თავის შემოქმედებით ძიებას უზადლო წინადადების საპოვნელად გამძვინვარებული ჭირის დროსაც ვერ ეშვება. ეგზისტენციალისტთათვის დამახასიათებლად კამიუ მოქმედებაში, ბრძოლაში მყოფ ინდივიდებს გვიხატავს და ამავე დროს წინააღმდეგობაში მყოფთა არქექტიპებსაც იკვლევს. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კამიუსთვის თავად წინააღმდეგობის პროცესია

გადამწყვეტი და არა შედეგი, არა საბოლოო გარმარჯვება არამედ არ დანებება, ბრძოლის გაგრძელება მაშინაც კი, როცა თითქოს ყოველგვარ ბრძოლას აზრი აქვს დაკარგული. „მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეს ქრონიკა არ გამოდგებოდა საბოლოო გამარჯვების მაუწყებლად. ის მხოლოდ მატთანე გახლდათ იმისა, რაც უნდა მოემოქმედებინათ ადამიანებს და კვლავაც უნდა მოიმოქმედონ, რათა შიშსა და მის მსახვრალ იარაღს წინ აღუდგნენ, როცა პირადი სატანჯველიც აწუხებთ, არც წმინდანებად ქცევა ძალუბთ, და მაინც ეურჩებიან თავს დამტყდარ უბედურებას, მაინც ცდილობენ მკურნალებად იქცნენ“ (კამიუ 2013: 239). კამიუ „მკურნალთა“ გარკვეულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. რომანის მიხედვით მხოლოდ სამ არქექტიპულ პერსონაჟს შეუძლია წინ აღუდგეს შავ ჭირს ან უფრო აბსტრაქტულად რომ ვიფიქროთ საერთოდ ბოროტებას: ნამდვილ პროფესიონალს, რომელიც საკუთარი საქმიანთაა შეიარაღებული, თავზეხელადებულ ავანტიურისტს, რომელიც ბედის გამოსაცდელად უკან არაფერზე იხევეს და საკუთარი შემოქმედებით სიგიჟემდე შეპყრობილ ხელოვანს. მხოლოდ წინააღდეგობაში მყოფნი შეძლებენ სულიერ და ზოგ შემთხვევაში ფიზიკურ გადარჩენას, ხოლო სხვათა ხვედრი კი სიკვდილი ან კამიუსთვის კიდევ უფრო უარესი რამ – კონფორმიზმი და შემგუებლობაა.

პერსპექტივები მომავალი ლიტერატურისთვის

შედარებით სწრაფი და მოქნილი აღმოჩნდა თანამედროვე ფილოსოფია, რომელიც ხშირად საგაზეთო წერილების ან ინტერნეტში ვიდეო მიმართვების სახითაც ვრცელდება და ჩვენი დროის სახელგანდთქმულ ფილოსოფოსთა უმრავლესობამ უკვე გამოთქვა გარკვეული აზრი პანდემიის შესახებ. მათ შორის ყველაზე სწრაფი კი სლოვენელი მარქსისტი მოაზროვნე სლავოი ჟიჟეკი აღმოჩნდა, რომელმაც კორონა ვირუსის შესახებ მოკლე საგაზეთო ესეებისგან შემდგარი წიგნის გამოცემაც კი მოასწრო. წიგნში სახელად „პანდემია! COVID-19 მსოფლიო შეძრა“ ჟიჟეკი თითქოს ანტიკური ტირესიასის როლს მოირგებს და

გლობალიზებულ მსოფლიოში გაბატონებულ ნეო-ლიბერალურ პოლიტიკურ სისტემას და მის მთავარ შემოქმედსა და მცველებს დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს იმ დანაშაულში ამხელს, რომელმაც მსოფლიო პანდემიურ მდგომარეობაში ჩააგდო. ჟიჟეკის მიხედვით, კორონა ვირუსის ფატალური გავრცელების პირველმიზეზი, სწორედ გლობალური კაპიტალიზმია, რომელიც ეკოლოგიის განადგურებით ცხოველთა და ფრინველთა მთელ მიკროსისტემებს სპობს, რაც შემდეგ ადამიანებს ცხოველური ორგანიზმებიდან წამოსული საშინელი ვირუსის სახით უბრუნდება. „კაცობრიობის თავს მოწეული სასტიკი, მაგრამ სამართლიანი სასჯელი, დედამიწაზე სიცოცხლის სხვა ფორმების ულმობელი ექსპლואატაციის გამო“ (ჟიჟეკი 2020: 17) დიდი და არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა თანამედროვეობის კიდევ ერთი დიდი ფილოსოფოსის იტალიელი ჯორჯო აგამბენის წერილებს, რომელიც თუ ლიტერატურულ ანალოგიას გავყვებით უფრო ბოკაჩოს და კამიუს გზას ადგას და კრიზისის პერიოდში კონკრეტული საზოგადოებების და ადამიანების ქცევას აკვირდება. აგამბენი აკრიტიკებს თანამედროვე ადამიანის მზაობას შესწიროს ყველანაირი ინდივიდუალური თავისუფლება მეცნიერებისა და პოლიტიკის დიქტატს და ჩვენს დროს, როგორც მეცნიერების მიერ რეგულირებულსა და რაციონალიზირებულს აღიქვამს. საინტერესოა, რომ ორივე ფილოსოფოსი მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვირუსის ძალიან განსხვავებულ ასპექტებზე წერენ, ერთ ფუნდამენტურ საკითხზე მაინც თანხმდებიან კორონა ვირუსისგან გამოწვეულმა საგანგებო მდგომარეობამ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, საერთოდ საზოგადოების შესახებ თითქოს მანამდე დაფარული სიმართლე გვაჩვენა. როგორც წინა თავებში განხილული ლიტერატურული ნაწარმოებების მაგალითზე გამოჩნდა ამ ზედაპირზე ამოსული სიმართლის მაინც ერთობ ბუნდოვან და განუსაზღვრელ სფეროში ყველა ავტორი სხვადასხვა ორიენტირს ირჩევს, სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს. საინტერესოა თუ რომელი მიმართულებით იმოძრავენ თანამედროვე ლიტერატურა, როდესაც ის ნაწარმოებებს კორონა ვირუსის შესახებ შექმნის. სავარაუდოა, რომ გამოჩნდება ნაწარმოებები, რომლებიც ანტიკური მოდელის ფეხდაფეხ (ან იმავე

მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულ ჟიჟეკზე დაყრდნობით დიდი კონტექსტის დახატვას, პოლიტიკისა და ეკონომიკის და-ნაშაულთა აღმოჩენას ეცდება, რათა მერე იქნებ ისიც გვაჩვენოს თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კრიზისის დასრულების შემდეგ. რა თქმა უნდა, გამოჩნდება კონკრეტულ ინდივიდთა ბედ-იღბალზე აგებული ტექსტებიც, რომელნიც პანდემიის ფონზე ადამიანთა სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის შესწავლით დაკავდება და რადგან არც ასეთ გლობალურ პანდემიას და არც მასთან ბრძო-ლის თითქმის გლობალურ ერთობას აქამდე ზუსტი ისტორიუ-ლი ანალოგი არ მოეძებნება, გამოჩნდება ალბათ სრულიად ახ-ლებური, მოულოდნელი ლიტერატურული მცდელობებიც, რო-მელთა პროგნოზი და გამოცნობაც შეუძლებელია.

დამოწმებანი:

აგამბენი 2020: აგამბენი ჯ, *კორონა და საზოგადოებრივი ცხოვრება*. Noah Zürher Zeitung, <https://www.nzz.ch/feuilleton/giorgio-agamben-ueber-corona-und-das-leben-im-ausnahmezustand-ld.1599539>

ბოკაჩო 2006: ბოკაჩო ჯ. *დეკამერონი*. თბილისი: გამომცემლობა „ჭერა“, 2016.

კამიუ 2013: კამიუ ა. *შავი ჭირი*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2013.

ჟიჟეკი 2020: ჟიჟეკი ს. *პანდემია! COVID-19-მა მსოფლიო შემრა*. თბილისი: გამომცემლობა „არტე“, 2020.

სოფოკლე 2017: სოფოკლე. *ოიდიპოს მეფე*. თბილისი: გამომცემლობა „Philos“, 2017.

ქლუგე 2003: ქლუგე ა. *ბიუჰნერის სახელობის პრემიის გადაცემისას წარმოთ-ქმული სიტყვა*. <https://www.deutsheakademie.de/de/auszeichnungen/georg-buechner-preis/alexander-kluge/dankrede>

ჰომეროსი 2015: ჰომეროსი. *ილიადა*. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. 2015.

Grigol Jokhadze

Georgia, Tbilisi

Ilia State University

**Isolate but Preserve!
(on Mandelstam's Isolation)**

Summary

The article is marked by an attempt to cluster together and produce some sources for the allusions represented in Mandelstam's The Stalin Epigram. As the research has shown, possible sources might have been the memoirs of contemporaries, iconography of the Russian Ethnography, M. Javakhishvili's novel "Jaqo's Dispossessed", etc.

In the Long run, the Epigram, specifically, and the Mandelstam's fate, generically, show how the ways, instruments and goals of politics, on the one part, and of culture, on the other, are wide asunder: while culture tries to have an effect upon state by the instrumentality of catharsis, it resorts to violence.

Key words: Mandelstam, Stalin, the Epigram, allusions, historical reality.

გრიგოლ ჯოხაძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„გამიჯნეთ, მაგრამ შეინარჩუნეთ!“
(ოსიპ მანდელშტამის იზოლაციის თაობაზე)**

1933 წლის ნოემბერში მანდელშტამი წერს საბედისწერო უსათაუროს, რომელსაც ჯერ – „ეპიგრამა“, მერე კი „ანტისტალინური ეპიგრამა“ შეარქვეს. ამაზე საბედისწერო ის იყო, რომ პოეტი ლექსს თვითონ უკითხავდა ნაცნობ-მეგობრებს და თან აფრთხილებდა, არსად წამოგცდეთო. ამბობენ, რომ მანდელშტამმა ტექსტი მას მერე შეთხზა, რაც თავისი თვალით იხილა, რა საშინელი შიმშილობა ჩამოვარდნილიყო ყირიმში (სარნოვი).

პასტერნაკი ეპიგრამის დაწერას თვითმკვლევლობას ადარებდა: თქვენ არაფერი წაგიკითხავთ, მე არაფერი მომისმენია და, გთხოვთ, სხვას ნურავის წაუკითხავთო, – უთქვამს შეფასების მომლოდინე მანდელშტამისთვის (შენიშვნები ... 1981: 316).

ნადეჟდა მანდელშტამი მოისურვებდა, ეპიგრამის მისეული შეფასება დამკვიდრებულიყო: ეს ლექსი იყო აქტი, გმირული საქციელი, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მანდელშტამის ცხოვრებიდან და საქმიანობიდანო (ნადეჟდა მანდელშტამი 2014: 240).

* * *

ასე იყო თუ ისე, ვიღაცამ, ეს ლექსი რომ მოესმინა, მანდელშტამი დაასმინა. 1934 წლის მაისში პოეტი დააპატიმრეს. მას არ უარუყვია „ეპიგრამის“ შეთხზვის ფაქტი (გამომძიებელს ის „პასკვილად მოუნათლავს) და მათი ვინაობაც დაუსახელებია, ვისაც ეს ლექსი წაეკითხა. ახლობლებმა (ნ. მანდელშტამი, ა. ახმატოვა, ბ. პასტერნაკი) მისი გამოხსნა სცადეს. ამაოდ. 26 მაისს, 58-ე სტატიის მე-10 პუნქტით, ანტისაბჭოთა აგიტაცია დასწამეს და სამი წლით გაასახლეს ურალში (ჩერდინი, პერმის მხარე). გამომძიებელ შივაროვს ნადეჟდა მანდელშტამისთვის ლაკონიური დევიზის შინაარსი გადაუცია, რომელიც, თითქოსდა, „ზემოთ“ იღებდა სათავეს: „გამიჯნეთ (изолировать), მაგრამ – შეინარჩუნეთ“ (ნერლერი 2010: 57). ცოლს ქმრის თანამგზავრობის უფლება მისცეს. მანდელშტამები ჩერდინში 3 ივნისს ჩავიდნენ. პოეტი იმ საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოხტა, რომელშიც წყვილი შეასახლეს. 5 ივნისს ნადეჟდა მანდელშტამმა პოეტის ფსიქიკური მდგომარეობისა და ინციდენტის თაობაზე წერილებით ამცნო მრავალ საბჭოთა ინსტანციას თუ ნაცნობს, რომელთა შორის ნ. ბუხარინიც იყო. ამ უკანასკნელმა სტალინს აცნობა. ისტორიას შემორჩა ბელადის მინაწერი: „ვინ მისცათ მანდელშტამის დაპატიმრების უფლება? აღმაშფოთებელია...“ (მაქსიმენკოვი 2003: 239-240). სტალინმა პასტერნაკს დაურეკა და მისი აზრიც შეიტყო მანდელშტამზე. ჩერდინი ვორონეჟით შეიცვალა, სადაც წყვილმა 3 წელი გაატარა. 1938 წლის მაისში მანდელშტამი ისევ დააპატიმრეს, ისევ ანტისაბჭოთა აგიტაცია დასწამეს და ამჯერად 5

წლით შორეულ აღმოსავლეთში, შრომაგასწორებით ბანაკში უკრეს თავი. 27 დეკემბერს ტიფით გარდაიცვალა. ეს პოეტის სააქაოსაგან იზოლაციის თარიღია (ნერლერი 2010: 149).

* * *

ეპიგრამა მრავალ „კრამოლურ“ ელემენტს შეიცავდა: სტალინი იხსენიებოდა „კრემლის ბინადარ მთიელად“, მას ჰქონდა „მატლებივით გათქვირებული თითები“, ახასიათებდა „ტარაკანისებრ ულვაშებში ჩაცინება“, „სიკვდილით დასჯა“ „საამურად“ ეჩვენებოდა, და ა.შ. ყველაზე სკანდალური კი ბოლო პწკარი გახლდათ: ის „ფართომკერდიან ოსად“ ცხადდებოდა! (მანდელშტამი 1994: 74).

„როგორ შეეძლო ამ ლექსის დაწერა – ის ხომ ებრაელი!“, – ნადეჟდა მანდელშტამის მოგონებისამებრ, ასე ამბობდა ბორის პასტერნაკი (ნ. მანდელშტამი).

ლეონიდ ზორინის რომან „იუპიტერის“ გმირი – მსახიობი ისე შთაეგონებინა სტალინის როლის შესრულებას, მისი სახელით დღიურიც კი შეეთხზა და ეპიგრამაც განეხილა: ჩემს ოსურ წარმოშობაზე პირველად როდი მესმის. უფრო მოწადინებულები იმასაც ამბობდნენ, ბუშიაო. სიყმაწვილეში ეს მაცოფებდა, ეშმაკმა იცის, რის ჩადენა შეეძლო. დროთა განმავლობაში კანი გამიქვავდა. ეს ჭორები აღარ მოქმედებს. მაგრამ მათი ლექსებში გამეორება, გართიმვა პოეტს არ ეკადრებაო (ზორინი 2002: 17).

ფილოლოგებმა ლადა პანოვამ და ალექსანდრ ჟოლკოვსკიმაც მიაპყრეს ყურადღება უკანასკნელი სტრიქონის იდეოლოგიურ „მცდარობას“ თუ „პოლიტიკურ არაკორექტულობას“:

„...ეს რასისტულ გამოხდომას ჰგავს. არსი, დაახლოებით, ასეთია: ჩვენი კრემლი და ჩვენი რუსული ენა (მეტაფორულად ერთიმეორის დარად ცხადდება 1922 წელს გამოქვეყნებულ ესსეში „სიტყვის ბუნებისათვის“) დაუპყრიათ და შეურყვნიათ ბარბაროსებს, თათრებს, რომელიღაც „ჩუჩმეკებს“...“ (პანოვა, ჟოლკოვსკი).

ბევრს საერთოდაც ვერ გაეგო, სიტყვა „ოსის“ ხმარება რატომ იყო ასეთი საშინელება?

ახსენებდნენ მემუარისტ ემა გერშტეინსაც, რომელიც ამტკიცებდა, მანდელშტამი ამ სტრიქონზე უარის თქმას აპირებდაო (ვინიცკი).

სოფია ბერნშტეინ-ბოგატერიოვა თავის წიგნში „ვერცხლის ხანა“ ჩვენს სახლში“ იხსენებს, რომ ნადეჟდა მანდელშტამი ეპიგრაშის არა მხოლოდ ცნობილ, არამედ სკაბრეზულ ვერსიასაც აცნობდა მეგობრებს, და მამამისიც, მწერალი და ლიტერატორი, იგნატი ბერნშტეინი, ხანდახან იმეორებდა:

„Что ни казнь у него – то малина
И широкая жопа грузина“.

და თან დასძენდა: „ქართველები სწორედაც რომ ვიწრო-თემოიანები არიან...“ (ბოგატერიოვა 2019: 195). როგორც ვხედავთ, ამ ვერსიაში „ოსის ფართო მკერდის“ ნაცვლად „ქართველის ფართო უკანალი“ იხსენიება!

* * *

გამოთქმით – „კრემლის ბინადარი მთიელი“ («кремлевский горец»), მკვლევრების აზრით, არა მარტო ტირანის კავკასიურ წარმოშობას ესმებოდა ხაზი, არამედ კალამბურულად თამამდებოდა ტოპონიმი – გორი (Гори-горец), და ანაგრამაც ითხზებოდა – „горечь“, „гора“, „кремень“ (ვინიცკი).

„განათქვირებ თითებს“ ნადეჟდა მანდელშტამი ნამდვილ ამბავს უკავშირებდა.

საქმე ის გახლდათ, რომ დემიან ბედნი – რუსი პოეტი და თითქოს გულმხურვალე სტალინელი – გაუფრთხილებლად მოქცეულა და დღიურისთვის „გაუნდია“, არ მიყვარს სტალინისთვის წიგნების თხოვება, თეთრ ფურცლებს მისი გათქვირებული თითების ნაკვალევი ატყვიავ. დემიანის მდივანს „თავის გამოჩენა“ გადაუწყვეტია: ეს ადგილი საგანგებოდ გადაუწერია, რათა სტალინისთვის გადაეცა. როგორც ცნობილია, ეს ავადსახსენებელი დღიური მართლაც მოხვედრილა სტალინის ხელში და, ალბათ ამას მოჰყვა ბედნის შერისხვაც.

„წვრილკისერა“ მოხელეებს, რომლებმაც, საბოლოოდ, ეპიგრაშს „შეაფარეს თავი“, თურმე მანდელშტამი ადრეც ახსენებდა. წვრილი კისერი პირველად მოლოტოვისთვის (1890-1986) – იმხანად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის-

თვის – შეუმჩნევია, საყელოდან რომ ამოწვერილიყო და პატარა თავით „მთავრდებოდა“. „კატისას მიუგავს“, – უთქვამს ცოლისთვის მანდელშტამს, როცა მოლოტოვის პორტრეტს უჩვენებდა. ამ სიტყვის „გაცოცხლების“ პატივი ბიოლოგ ბორის კუზინს ეკუთვნისო, – დასძენს ნადეჟდა მანდელშტამი, – მას ახალისებდა მიჯრით მიწყობილი სამი „ე“ ზედსართავი სახელის, „წვრილკისერას“ (რუს. Тонкошеее животное) საშუალო სქესით გამოყენებისას (ნადეჟდა მანდელშტამი).

არაერთ მანდელშტამმცოდნეს უცდია ლექსის „ოსური“ თემის ახსნა:

იური ბორევი წერს: „მანდელშტამის ლექსის სტრიქონი – „ოსის ფართო მკერდი“ იმაზე მიუთითებს, რომ 30-იან წლებში სტალინის ეროვნებაზე არაოფიციალური და არაერთგვაროვანი ცნობები მოიპოვებოდა. ერთნი ამზობდნენ, ჯულაშვილი ოსური გვარიაო; მეორენი ეგნატაშვილს ახსენებდნენ; მესამეთა აზრით, ნახევრად ოსი იყო სტალინის დედა (ბორევი 1990: 17).

ბორის უნბეგაუნი მიუთითებდა, რომ გვარი „ჯულაშვილი“ წარმოდგება ოსური სიტყვიდან – „ჯუხა“, რაც „ნაგვად“, „ნარჩენად“ ითარგმნება (უნბეგაუნი 1989: 335).

დავუმატებ, რომ სიტყვა „ჯული“ (და არა – „ჯულა!“) განუმარტავია სულხან-საბას ლექსიკონში: ლექსიკოგრაფი მხოლოდ ისუ ზირაქის ბიბლიური წიგნის ძველი ქართული თარგმანის პასაჟს უთითებს; ასევე, გრიგოლ რობაქიძის რომან „ჩაკლული სულის“ პერსონაჟი ამზობს, „ჯულა“ ძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს, რკინის წიდას ნიშნავს, რასაც სხვა ხალხები შლაკებს უწოდებენო (რობაქიძე 2017: 69).

ალექსანდრ მეცი ამ ლექსის შენიშვნებში მიუთითებს, გვარი „ჯულაშვილი“ სიტყვასიტყვით „ოსის შვილად“ ითარგმნებო (!).

ვლადიმირ მიკუშევიჩი და ანდრეი ვოზნესენსკი სიტყვაში „ოსი“ (осетин) ჭკრეტენ მანდელშტამის ფარულ ხელმოწერას („ოსიპ“), და სხვ. (ვინიცი).

* * *

მაგრამ საიდან „ამოხაპა“ მანდელშტამმა ამ მგზნებარე ინვექტივისათვის ოსური მოტივი?

ი. ვინიციის აზრით, ამის წყარო შესაძლოა იყოს მე-19-20 სს. რუსული ეთნოგრაფიული იკონოგრაფია. ჯერ კიდევ 1890 წელს დაცულ დისერტაციაში ამოიკითხავთ: „ოსები უკვე მთელი საუკუნეა მიეკუთვნებიან მთიელებს ანუ იმ პირობებში ცხოვრობენ, რომლებიც განსაკუთრებით განაწყობს გულმკერდს მძლავრი სასუნთქი ექსკურსიებისადმი; ამის შედეგად, მკერდის პერიმეტრი თანდათანობით იზრდება“ (გილჩენკო 1892). თუმცა, ცნობილია, რომ სტალინი არც ზორბა ყოფილა და არც ათლეტური გარეგნობით გამოირჩეოდა!

ამ წყაროდ შესაძლოა გამოდგეს მ. ჯავახიშვილის 1924-25 წწ.-ში გამოქვეყნებული რომანი „ჯაყოს ხიზნებიც“. მკვლევარი მიუთითებს, რომ 1924 წელს ხელისუფლებამ ჩაახშო ანტისაბჭოთა აჯანყება. მე კი დავუმატებ, რომ 1929 წელს რომანი რუსულად დაიბეჭდა ჯერ თბილისში, შემდეგ – მოსკოვში.

ტექსტი მართლაც შეიცავს იმ მარკერებს, რომელთა ექოც შესაძლოა მოგვესმას მანდელშტამის ეპიგრამაში: მოძალადე და მედროვე ჯაყო ჯივაშვილი და მისი ნათესავები მთიდან ჩამოსულან – მთიელები არიან; ჯაყოს „პირსახე და ხელებიც მუდმივ ზეთით გაჰპოხვია“, „თავით ფეხამდე ქონშია ამოვლებული“, „ტაბიკის თითები“, „ქონიანი თათი“, „ოფლიანი თითი“, „ადლიანი მკერდი“, „ბალიშივით ამოგდებული“ თუ „ბალიშისოდენა მკერდი“ აქვს, და ა.შ. (ჯავახიშვილი).

ვინიციი იხსენებს „ჩაკლული სულის“ ერთ პასაჟს, როგორც გრიგოლ რობაქიძის „ოსურ თეორიას“ სტალინის „ბიოლოგიური საიდუმლოს“ ასახსნელად. აქ მართლაც წერია, რომ მამამისი ოსი იყო. და კიდევ: სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა (რობაქიძე 2017: 129).

ფაინა ბააზოვამ 1978 წელს ისრაელში გამოაქვეყნა მემუარი „ტანკები ბავშვების პირისპირ“, რომელშიც 1920-30-იანი წწ.-ს ქართული საზოგადოებრივი აზრიც მიმოიხილება: 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ კარგა ხანს ხალხიც და ინტელიგენციაც სახელ „სოსო ჯუღაშვილს“ ზიზღით წარმოთქვამდა. ალბათ ამან განაპირობა მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ერთ-ერთი გმირის, ოსი ჯაყოს – უხეში, ცბიერი და გაუნათლე-

ბელი ავანტიურისტისა და მოძალადის – პოპულარობა, რომელსაც ბევრი სტალინს ამსგავსებდაო (ბააზოვა 1978: 198).

იმასაც ამბობდნენ, თითქოს ე.წ. „ოსური მითი“ ტროცკის გავრცელებინოს. ყოველ შემთხვევაში, მისი წიგნი სტალინზე 1938-40 წწ.-ში იქმნებოდა ანუ ეპიგრამის დაწერიდან – საკმაოდ გვიან.

1935 წელს გამოიცა ბორის სუვარინის (1895-1984) – ებრაული წარმოშობის ფრანგი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, ანტი-სტალინელი კომუნისტის კაპიტალური ნაშრომი – „სტალინი. ბოლშევიზმის ისტორიის ნარკვევი“, თუმცა წიგნზე მუშაობა 1930 წელს დაუწყია.

ეპიგრამის დაწერამდე ერთი წლით ადრე, 1932 წელს, ბერლინს გადახვეწილ ქართველ მენშევიკს, იოსებ ირემაშვილს (1879-1944), გორის სასულიერო სასწავლებელშიც და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც სტალინის თანამოსაგრეს, გერმანულ ენაზე გამოუქვეყნებია წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“.

თუმცა ყოველივე ამას ისევ ტროცკის წიგნით ვიგებთ. ტროცკი წერს, რომ პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები სტალინის ფრანგული ბიოგრაფიის ავტორს, სუვარინს, არწმუნებდნენ, იოსებ ჯუღაშვილის დედა ქართველი კი არა, ოსი იყო და მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლს მონგოლოურიც შესზავებოდაო. ამის საპისპიროდ, – დასძენდა ტროცკი, – ვინმე ირემაშვილი ამტკიცებს, დედამისი წმინდა სისხლის ქართველი იყო, მამა კი – ოსი, „უხეში, გაუთლელი ნატურა, როგორც – ყველა ოსი, კავკასიის მაღალ მთებში რომ ცხოვრობდნენო“ (ტროცკი 1996: 18-48).

ეს ირემაშვილისეული პასაჟის ქართული თარგმანია: „ბესო – ბესარიონი... ეროვნებით ოსი იყო. თავზე რუსული ქუდი ეხურა და, კავკასიაში მცხოვრები ყველა ოსივით, მძიმე, მოუქნელი ბუნებისა გახლდათ“ (ირემაშვილი 2006: 22).

ტროცკი სტალინის ოსური წარმომავლობით ხსნიდა თავისი მთავარი მტრის ხასიათს: „ოსებს შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის გრძნობა გამოარჩევს. ისინი ჯერ კიდევ მისდევენ (სტალინის ყმაწვილობაშიც!) სისხლიანი შურისძიების ჩვეულებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. სტალინმა ეს ჩვეულება მაღალი პოლიტიკის სფეროებში გადმოიტანა“.

მანამდე კი, თითქოს გრიგორი ზინოვიეცს ეთქვას: ის სისხლიანი ოსია, რომელმაც არ იცის, რა არის სინდისიო (ვინიცკი)

1930-იანი წლების პირველ ნახევარში „ოსური მოტივი“ აღწევს საიდუმლო ანტისაბჭოთა პოეზიაში, რომელშიც უკვე მოეკიდებინა ფეხი სტალინის თემას.

აი, ერთი მაგალითი:

„А кто ж ведет страну к провалу,
Кто налагает карантин,
Детей толкает в пасть к Ваалу?
Почтенный Сталин — осетин“.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამ სტრიქონების ავტორად ალექსეი რეპინს – დიდი მხატვრის ნათესავს მიიჩნევდა (ანდრეევსკი 2018: 85).

* * *

საბოლოოდ, შესაძლოა ფრთხილი მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, რომ არარუსების მიმართ არც თუ დიდად კეთილგანწყობილ მანდელშტამს ეგებ სურდა, სტალინის ველურობასა და არაცივილიზებულობაზე ანუ არარუსობაზე მიეთითებინა. ის სტალინის სისასტიკეს ალბათ „მთიელისთვის“ ნიშანდობლივი დაუნდობელი ხასიათით ხსნიდა (და ეგებ ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ეპიგრამაში „ოსი“ წერია, თუ – „ქართველი“!). ამას უნდა ემსახურებოდეს ტექსტის საერთო პათოსიკა და მისი „შეკმაზვაც“ „მთიელითა“ და „ფართომკერდიანი ოსით“. ამის მეტ საშუალებას იძლეოდა ფორმად ეპიგრამის შერჩევაც ანუ ისეთი სატირული ნაკვესისა, რომელიც ვისამე ან რისამე განსაქიქებლად ითხზვება. ცხადია, პოეტს აქვს ამის უფლება, თუმცა, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ დასტურდება მანდელშტამის, როგორც ადამიანის, მიკერძოებულობა.

უფრო ზოგადად, ეს შემთხვევა იმას ავლენს, რა რადიკალურად დასშორებია ერთმანეთს კულტურისა და პოლიტიკის გზებიც, ინსტრუმენტებიცა და მიზნებიც: როცა კულტურა ცდილობს, პოლიტიკა კათარსის დაუქვემდებაროს, სახელმწიფო ტერორს იმარჯვებს.

და ეს უნივერსალური კონსტანტაა: მანდელშტამი ისე მოიქცა, როგორც პოეტი უნდა მოქცეულიყო, და სახელმწიფოც ისე მოექცა მას, როგორც ექცევა ხოლმე პოეტებს – განდევნა ის.

დამოწმებანი:

ანდრეევსკი 2018: Андреевский Г. В. Повседневная жизнь Москвы в Сталинскую эпоху 1920-1930-е годы. Москва: издательство „Молодая гвардия“, 2018.

ბააზოვა 1978: Баазова, Ф. *Танки против детей*, журнал Время и мы, 30, 1978, EBook 2010, https://vtoraya-literatura.com/pdf/vremya_i_my_030_1978.pdf

ბოგატიროვა 2019: Богатырева, С. Серебряный век в нашем доме. Москва: издательство АСТ, 2019.

ბორევი 1990: Сталиниада. Советский писатель, Москва: 1990.

გილჩენკო 1892: Гильченко Н. В. *Антропологический очерк осетин*. Протоколы заседаний Рус. антропол. о-ва при Петербург, ун-те за 1890-1891 гг. СПб., 1892.

ვინიცი 2020: Веницкий, И. *Почему Мандельштам, чтобы оскорбить Сталина, назвал его осетином*. 14 октября 2020, <https://gorky.media/context/pochemu-mandelstam-chtoby-oskorbit-stalina-nazval-ego-osetinom/>

ზორინი 2002: Зорин, Л. *Юпитер*. Москва: издательство „Aegitas“, 2002.

ირემაშვილი 2006: ირემაშვილი, ი. *სტალინი და საქართველოს ტრაგედია. უცნობი ირემაშვილი*. თბილისი: შპს „ფავორიტი“, 2006.

მანდელშტამი 2014: Мандельштам, Н. *Собрание сочинений в двух томах*, т.1. «Воспоминания» и другие произведения (1958-1967). Екатеринбург: издательство „Гонзо, при участии Мандельштамовского Общества“, 2014.

მანდელშტამი 2019: Мандельштам Н. *Нельзя держать людей в ватной коробке*. 2019-07-31, <https://philologist.livejournal.com/11056087.html>

მანდელშტამი 1994: Мандельштам, О. *Собрание сочинений в четырех томах*, т. III. Москва: издательство „арт-бизнес-центр“, 1994.

მაქსიმენკოვი 2003: Максименков Л. „Очерки номенклатурной истории советской литературы (1932–1946). Сталин, Бухарин, Жданов, Щербаков и другие“. *Вопросы литературы*. 2003. № 4.

ნერლერი 2010: Нерлер, П. *«Слово и «Дело» Осипа Мандельштама*. Книга доносов, допросов и обвинительных заключений. Москва: издательство „Петровский парк“, 2010.

პანოვა ... 2020: Панова, Л., Жолковский, Ал. *Он мастер, мастер, больше, чем мастер. Еще раз о стихотворении Мандельштама «мы живем, под собою не чуя*

страны...», 1 июня, 2020, <https://www.colta.ru/articles/literature/24565-aleksandr-zholkovskiy-lada-panova-my-zhivem-pod-soboyu-ne-chuya-strany?page=8>

რობაქიძე 2017: რობაქიძე, გ. *ჩაკლული სული*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2017.

სარნოვი 2018: Сарнов, Б. *Случай Мандельштама*. 27 декабря 2018, <https://le-chaim.ru/academy/88315/>

ტროცკი 1996: Троцкий, Л. *Сталин*. Т. 1. Москва: издательство „Терра“, 1996.

უნებეაუნი 1989: Унбегаун, Б. О. *Русские фамилии*. Москва: издательство „Прогресс“, 1989.

შენიშვნები ... 1981: *Заметки о пересечении биографий Осипа Мандельштама и Бориса Пастернака. Память*. Исторический сборник. Париж: 1981.

ჯავახიშვილი: ჯავახიშვილი, მ. *ჯაყოს ბიზნები*. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/mikheil_javakhishvili/jayos%20xiznebi.pdf

David Maziashvili

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Marijan and Joyce from Aleksidze's Room

Summary

During the COVID-19 pandemic in 2020, the premieres of two choreographic video performances took place in the Georgian virtual space. One was Marijan's Room, which told the story of one of the first female Georgian poets, Marijan (Mariam Tkemaladze-Aleksidze). The other, Lucia's Room, was about Lucia Joyce, daughter of great Irish writer James Joyce.

No doubt, the title of the video performances would remind you of *A Room of One's Own*, an essay by Virginia Woolf, but contemporary Georgian Artist Mariam Aleksidze, through the synthesis of words, poetry, music and movement, made the works by Marijan and Joyce speak the language of contemporary choreography from her own room.

Key words: Marijan, Woolf, Joyce, Mariam Aleksidze.

დავით მაზიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიჯანი და ჯოისი ალექსიდის ოთახიდან

ჩემს საუკუნეს მაჩანჩალად მე არ გავყვები,

თუნდაც პატარა უმნიშვნელო ვიყო ატომი.

მარიჯან

...Any man has to, needs to, wants to

Once in a lifetime, do a girl in.

T.S. Eliot

...ყოველ კაცსა სურს, სჭირდება, მოეთხოვება ცხოვრებაში

*ერთხელ მაინც, გოგოს აკუწვა, დაფლეთა-დანაწევრება.**

თ.ს. ელიოტი

2020 წელს ჩოვიდ 19-ის ჟამიანობის პერიოდში, ქართულ ვირტუალურ სივრცეში ორი ქორეოგრაფიული სპექტაკლის პრემიერა შედგა. პირველი სპექტაკლი „მარიჯანის ოთახი“ იყო, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტი ქალის მარჯანის (მარიამ ტყემალაძე-ალექსიდის) შესახებ მოგვითხრობდა. ხოლო მეორე – „ლუჩიას ოთახი“ – დიდი ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის ქალიშვილის ლუჩია ჯოისის შესახებ. სპექტაკლების სახელწოდება უთუოდ ვირჯინია ვულფის ესეს „საკუთარ ოთახი“ (*A Rooms of One's Own*) გაგვახსენებს, თუმცა მარიჯანის და ჯოისის შემოქმედება, თანამედროვე ქართველი ხელოვანის მარიამ ალექსიდის მიერ, მისივე ოთახში სიტყვის, პოეზიის, მუსიკისა და მოძრაობის სინთეზით, თანამედროვე ქორეოგრაფიული ენით ამეტყველდა. ორივე ქორეოგრაფიულ-ლიტერატურულ წარმოდგენას – „მარიჯანის ოთახი“ და „ლუჩიას ოთახი“, სწორედ სიტყვის, მუსიკისა და მოძრაობის კონტექსტში განვიხილავ.

* თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს.

მარიჯანის ოთახი

„მარიჯანის ოთახი“ ორ განზომილებაშია წარმოდგენილი. ერთი მხრივ, მენტალური ჟამიანობა – ახლად გასაბჭოებული 1925 წლის თბილისი. ყველასგან იზოლირებული ქალი, პოეტი, მარიჯანი, რომელიც მიუხედავად გარშემო არსებული მენტალური ეპიდემიისა, სულიერად თავისუფალი ცივილიზაციის ნაწილია, რომელშიც მისი ფიქრებისა და აზრების პარალელურად ჯაზისა თუ მალერის მუსიკა და ანა ახმატოვას, ვირჯინია ვულფის და სერგეი ესენინის შემოქმედება ისმის. მეორე მხრივ კი თანამედროვე რეალობა და დიდი ბეზიის – მარიჯანის სულიერი რეინკარნაცია (დიალოგი) შვილთაშვილთან – მარიამ ალექსიძესთან.

მარიამ ალექსიძის მონოწარმოდგენა ერთგვარი მხატვრული ტელეპორტირებაა – ოცდამეერთედან მეოცე საუკუნეში, რომელიც ჯერ მარიჯანის სოლოლაკის ბინაში, ხოლო მოგვიანებით წადვერში, აგარაკ „მზიანაზე“ გათამაშდა. წარმოდგენის მხატვრული სტრუქტურაც მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ესთეტიკაშია გადაწყველილი და ის სიტყვის (ლიტერატურა), მუსიკისა და მოძრაობის (თანამედროვე ქორეოგრაფია) ერთიანობის პრინციპითაა აგებული.

როგორც ცნობილია, მარიჯანის დღიურები პირველად, 1926 წელს სამხატვრო-სალიტერატურო ალმანახში „შემთხვევითი თემების“ სათაურით გამოქვეყნდა. მარიჯანის 20-იანი წლების ჩანაწერები პოეტის პირად, სულიერ სამყაროს და ასევე, გარშემო არსებულ მკვრო თუ მიკრო რეალობას შეეხება. ჩანაწერებში საუბარია: ქალის მარტოობის, ლიტერატურის, პოეზიის, მწერლობის, სიახლისა და სიძველის, პიროვნების ინდივიდუალიზმის და კოლექტივის ურთიერთმიმართების, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის, სტიქიის, დროის, სიცოცხლის, სიკვდილის, სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარმოდგენის სათაური ბრიტანელი მწერლის ვირჯინია ვულფის ცნობილი ესედან „საკუთარი ოთახი“ არის შთაგონებული და არცთუ შემთხვევით. გასული საუკუნის 20-იან წლებში მარიჯანი თბილისში, ხოლო ვირჯინია ვულფი ლონდონში ქალების სულიერ თუ შემოქმედებით სამყაროზე ერთმანეთის პარალელურად წერდნენ. თუმცა, მათ ნაწერებში,

მსგავსებებთან ერთად განსხვავებებიცაა. თუ მარიჯანის დღიურები უფრო ინტიმურია და პოეტის პირად განცდებს გადმოგვცემს, ვულფის ესე ერთგვარი მანისფესტია, რომელიც საზოგადო და სოციალური პათოსითაა დატვირთული. მარიჯანი კოლექტივიზმის გაბატონების საფრთხეზე საუბრობს, ხოლო ვულფი, მწერალი ქალისთვის პირადი სივრცის მნიშვნელობაზე. თუ ვულფი ქალი მწერლებისთვის ფულისა და საკუთარი ოთახის აუცილებლობაზე საუბრობს, მარიჯანი ბოლშევიკურ კოლექტიურ რეალობაში სამყაროსგან, ცივილიზაციისგან მოწვეტილ, ოთახში იძულებით გამოკეტილ პოეტ ქალზე წერს. მარიჯანთან – თავისუფლებიდან ტყვეობისკენ, ხოლო ვულფთან ტყვეობიდან – თავისუფლებისკენ სვლაზეა საუბარი. ვულფი, მისი საზოგადოების მასკულანურ, პატრიარქალურ მხარეებს აკრიტიკებს. მარიჯანისთვის, მასკულანიზმი ახლად გასაბჭოებული ბოლშევიკური საქართველოა. უფრო მეტიც, მარიჯანის „შემთხვევითი თემებისგან“ განსხვავებით, ვულფი წერს: „ადამიანმა თავი უნდა აარიდო შემთხვევით შთაბეჭდილებებს და ამგვარად მიაგნო დაწმენდილ არსს, ჭეშმარიტების გულისგულს“ (ვულფი 2009:30). თუმცა, მთავარი მსგავსება მარიჯანისა და ვულფის „ოთახებს“ შორის მენტალური პანდემიის წინაშე მდგარი, ურბანულ და ინდუსტრიულ ხმაურში იზოლირებული (ჩახშული) პოეტი (მწერალი) ქალია, მათი შემოქმედება კი, როგორც ძალა უძლოთა.

მარიამ ალექსიძის „მარიჯანის ოთახში“ ტექსტუალური ნაწილის გარდა, მუსიკალურ „პარტიტურასაც“ დიდი მნიშვნელობა აქვს. სპექტაკლში ოთხი მუსიკალური კომპოზიცია ჟღერს, რომელიც წარმოდგენის მხატვრულ-იდეური მხარის განუყოფელი ნაწილია:

1. ჯორჯ გერშვინის კომპოზიციაა, როგორც მარიჯანის აზროვნების, მისი ეპოქის დასავლური სულის ნაწილი. გასული საუკუნის 20-იან წლებში, დასავლურ მხატვრულ, ლიტერატურულ და შემოქმედებით სამყაროში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გამოვლინდა. ერთ-ერთი სწორედ ე.წ. ჯაზის ეპოქაა, რომელიც წარმოდგენაში პოლიფონიისა და თავისუფალი აზროვნების მუსიკალური ენაა.

2. მალერის ვოკალური ნაწარმოები „Ich bin der Welt abhanden gekommen“ (I am lost to the world) კრისტა ლუდვიგის შესრულებით, წარმოდგენას ევროპული კლასიკური მუსიკის სულიერ და იმავდროულად სოციო-პოლიტიკურ განზომილებას სძენს. მალერის მეტაფიზიკური მუსიკის გარდა, მნიშვნელოვანია კომპოზიციის ტექსტიც, რომელიც გერმანელი პოეტის ფრიდრიჰ რიუკერტის ლექსზეა შექმნილი და ის ადამიანის (კომპოზიციაში ქალის) მარტობასა და სიკვდილზე მოგვითხრობს, რაც ორგანულად ერწყმის წარმოდგენის მხატვრულ და შინაარსობრივ მხარეს. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების გერმანიაში, მარიჯანის აზრების პარალელურად, ადოლფ ჰიტლერი ავტობიოგრაფიულ მანიფესტს „ჩემი ბრძოლა“ (*Mein Kampf*) (1925) აქვეყნებს.

3. სპექტაკლში ქალის საოპერო კლასიკურ ხმას, გეოგრაფიული მნიშვნელობაც აქვს. თუ მალერის კომპოზიცია ავსტრია-გერმანულია, მას მანუელ დე ფალიას ესპანური სიმღერა (ნანა) ეხმიანება, რაც წარმოდგენას საერთო ევროპულ განზომილებას სძენს.

4. მეოთხე და საფინალო კი, ოდეტა ჰოლმის (Odetta Holmes) და მის მიერ შესრულებული კომპოზიციის “Sometime I Feel Like a Motherless Child” სახით, წარმოდგენაში პოსტ-კოლონიური მსოფლიოს და ეთნიკურ-რასობრივი თავისუფლებისა და თანასწორობის აზრი ჟღერს; ეს კომპოზიცია ასევე, სპირიტუალურ და ბიბლიურ სამყაროსა და მარიამ ღვთისმშობლის მხატვრულ სახესაც მოგვაგონებს. პიერ პაოლო პაზოლინის ფილმში „მათეს სახარება“ (*The Gospel According to St. Matthew*) (1964) მოგვთა სტუმრობის სცენაში, სწორედ ოდეტას შესრულებით იგივე სიმღერა ჟღერს.

როგორც წარმოდგენის მუსიკალური კონტექსტიდან გამოჩნდა, მარიჯანის ფიქრები, მისი სულიერი სამყარო, მისი ეპოქის შემოქმედებით პროცესებთანაა დაკავშირებული. მარიჯანის ტექსტის და თავად მისი ხმის გარდა, წარმოდგენაში ვირჯინია ვულფის, ანა ახმატოვას და სერგეი ესენინის ლექსები და ხმები ჟღერს, რომელიც მანუელ დე ფალიას, ოდეტას თუ ღვთისმშობლის

მხატვრული სახე-ალუზიებით, მარიჯანს და მის პიროვნებას უფრო ფართოდ, ზოგადევროპულ და ზოგადდასავლური ლიტერატურული და ეპოქალური პროცესების კონტექსტში წარმოგვიდგენს.

მარიჯანის ტექსტის იდეურ-მუსიკალური ჟღერადობა, სამი მსახიობი ქალის და თავად დამდგმელი ქორეოგრაფისა და შემსრულებლის მარიამ ალექსიძის დეკლამაციაში გრძელდება, რაც წარმოდგენის მხატვრულ-აზრობრივ ველს აფართოებს და მას მომავლის განზომილებას მატებს. მარიჯანის ფიქრების, მისი სულიერი მონოლოგის თანამედროვე ეპოქის ქალების მიერ გაჟღერება, მაიკლ კანინგჰემის რომანის „საათები“ (*The Hours*) (1998) პერსონაჟების მსგავსად, სხვადასხვა დროსა და სივრცეში მცხოვრებ ქალთა აზრებად გარდაიქმნება. თუმცა ხმებში, ისევე როგორც შინაარსში, ყველაზე მნიშვნელოვანი მარიჯანისა და მარიამ ალექსიძის, ბეზისა და შვილთაშვილის, როგორც წინაპრისა და შთამომავლის, წარსულისა და თანამედროვეობის სულიერი კავშირია. ორი შემოქმედი ქალის პიროვნება, სიტყვისა და მოძრაობის ერთობა და უწყვეტობა, რომელიც სიახლეს (მომავალს) შობს. ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ორი პიროვნების, ქალი შემოქმედის – მარიჯანის სიტყვისა (აზრის) და მარიამ ალექსიძის მოძრაობით (ქორეოგრაფიით), მათი მხატვრული აზროვნების ერთობით იკვრება 100 წლის წინანდელი და თანამედროვე სოციო-კულტურული და პოლიტიკური რეალობა. მარიჯანის სახლში, მის ოთახში, მისი სულიერი „მზითვის სარკე“, რომელიც წარმოდგენის დასასრულს მარიჯანისვე შესრულებით ჟღერს, მისივე შვილთაშვილმა მარიამ ალექსიძემ ციფრული სარკით (ეკრანით) თანამედროვე ეპოქის საზოგადო ფიქრებად აქცია. ალექსიძის ოთახის მხატვრულ სამყაროში, მარიჯანის ტექსტმა თითქოს ფერი იცვალა და გასული საუკუნის 20-იანი წლების მენტალური თუ იდეოლოგიური ეპიდემია, თანამედროვეობაში ახალი ფორმებით, პანდემიის სახით გამოგვეცხადა.

ლუჩიას ოთახი

„ლუჩიას ოთახი“ მოდერნ ბალეტის მოცეკვავის ლუჩია ჯოისის არაცნობიერში შობილი ჰალუცინაციაა. მამის – ჯეიმზ ჯოისის შემოქმედება და „ულისე“ ქალიშვილის სულიერ ოდისეად (მოდრაობად) გარდაიქმნება, რომელიც მამისა და ქალიშვილის უხილავი შემოქმედებითი კავშირის შესახებ მოგვითხრობს.

ლიტერატურათმცოდნეთა და ხელოვნების სამყაროში ლუჩია ჯოისი ცნობილია, როგორც დიდი ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის ქალიშვილი. თუმცა ბოლო წლებში, ლუჩიას პიროვნების მიმართ ინტერესი გაიზარდა, რისი მიზეზიც მისი საინტერესო და ბურუსით მოცული ცხოვრებაა. ლუჩია 1907 წელს ტრიესტში დაიბადა. მისი ახალგაზრდული ცხოვრების საინტერესო წლები ოჯახთან ერთად პარიზში გაატარა. 1920 წელს პარიზში თანამედროვე ცეკვას სწავლობდა და სხვადასხვა ექსპერიმენტულ დადგმაში მონაწილეობდა. სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა სემუელ ბეკეტთან და ამერიკელ ხელოვანთან ალექსანდერ კელდერთან. ასევე, იგი კარლ გუსტავ იუნგის პაციენტი იყო შვეიცარიაში, ხოლო ცხოვრების უკანასკნელი 50 წელი ინგლისში, მარტოობაში, ფსიქიკურ თავშესაფარში გაატარა. ლუჩიას ყველა წერილი, ჩანაწერი, ჩანახატი თუ მისი მკურნალი ექიმის იუნგის მასზე გაკეთებული ჩანაწერები განადგურებულია და დიდი მწერლის ქალიშვილის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. თუმცა, შემორჩა სემუელ ბეკეტის მიერ შემონახული თეზისის კოსტიუმში გამოწყობილი ლუჩიას ცნობილი ფოტო, რომელიც 1929 წლით თარიღდება (აირიშ თაიმსი 2018). რა თქმა უნდა, თანამედროვე რეალობისთვის, ამგვარი ბიოგრაფიის მქონე ქალები სხვადასხვა მხატვრული ჩანაფიქრისთვის კარგი წყაროა. მსოფლიო ლიტერატურის თუ ზოგადად, მხატვრული სამყაროს ისტორიაში ამგვარი პიროვნებების შესახებ ბევრი მხატვრული და დოკუმენტური ნამუშევარი შექმნილა. შეიძლება ითქვას, რომ მარიამ ალექსიდის „ლუჩიას ოთახის“ მხატვრული გადაწყვეტა და მიგნებაც, სწორედ ლუჩია, მისი ირეალური რეალურობა, მოდერნ ბალეტის მოცეკვავის პროფესია, მის ბიოგრაფიაში არსებული ცარიელი სივრცეები და რაც მთვარია, მისი მამის მხატვრული

სამყარო და მასთან შემოქმედებითი ურთიერთობაა. როგორც კრიტიკოსები წერენ, სწორედ ლუჩიამ და მისმა თანამედროვე ცეკვის ექსპერიმენტულმა პლასტიკურმა ენამ, მამის ბოლო რომანის „ღამისთევა ფინეგანისთვის“ (*Finnegans Wake*) (1939) წერის პროცესზე დიდი გავლენა იქონია (*History of Yesterday*) (Conversation 2018). უფრო მეტიც, ქეროლ შლოსი (Charol Loeb Schloss), ავტორი წიგნისა „ლუჩია ჯოისი“ (*Lucia Joyce: To Dance in the Wake*) (2003), ლუჩიას დანტეს ბეატრიჩესაც ამსგავსებს (შლოსი 2003). სიტყვისა და სხეულის ექსპერიმენტული ლინგვისტური თუ მხატვრული სამყარო, მამა-შვილი ჯოისების შემოქმედებითი და სულიერი კავშირის ადგილი გახდა (ნიუ იორკერი 2003).

„ლუჩიას ოთახის“ მაგისტრალური აზრი, სწორედ მამისა და შვილის (ქალიშვილის) სულიერ (არაცნობიერ) სამყაროში წარმართული მხატვრული დიალოგია, რომელიც დაკვირვებული მაყურებლისთვის, არა მხოლოდ მამა-შვილი ჯოისის, არამედ ალევორიულად, წარმოდგენის დამდგმელი ქორეოგრაფის მარიამ ალექსიძის და მისი მამის, გიორგი ალექსიძის სულიერ კავშირზეც მოგვითხრობს. რა თქმა უნდა, მამა შვილის სულიერი მიზიდულობის მხატვრული ხერხიც ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებიდანაა შთაგონებული. როგორც ცნობილია, ჯოისის „ულისეს“ მხატვრული ქარგა ოდისევსისა და ტელემაქეს, ლეოპოლდ ბლუმისა და სტივენ დედალოსის, მამა ჰამლეტისა და შვილი ჰამლეტის, მამა ღმერთისა თუ ძე ღმერთის ერთმანეთთან სულიერ სწრაფვაზეა აგებული.

„ლუჩიას ოთახის“ ტექსტუალური და მუსიკალური მხარე მთლიანად ჯოისის შემოქმედებაზეა დაფუძნებული. ჯოისის ტექსტები, წარმოდგენის დრამატურგიის, მუსიკისა და თემატიკის მიხედვითაა შერჩეული. წარმოდგენაში გამოყენებულია ნაწყვეტები „ულისეს“ IV (კალიფსო), VI (ჰადესი), XI (სირინოზები), XVIII (პენელოპე) ეპიზოდებიდან; ფრაგმენტები „დუბლინელების“ სხვადასხვა მოთხრობიდან: „არაბეთი“, „ეველინი“, „პანსიონი“, „პატარა ღრუბელი“, „უბედური შემთხვევა“, „ღვთის მადლი“ და „მკვდრები“. აგრეთვე, წარმოდგენაში გვხვდება ჯოისის ლექსები: „Because Your Voice Was at My Side“, „My Dove, My Beautiful One“, „Winds of May“, „Silently She’s Combing“, „A Flower Given To My Doughter“ და

ფრაგმენტები ჯეიმზ ჯოისისა და მისი ცოლის, ნორა ბარნაკლის პირადი მიმოწერიდან.

ჯოისის დუბლინის, ელიოტის ლონდონის თუ ჯონ დოს პასოს ნიუ იორკის მსგავსად, წარმოდგენაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურბანიზმს, როგორც მოდერნისტული ლიტერატურისა და ზოგადად მოდერნისტული მხატვრული ესთეტიკის მახასიათებელს. „ლუჩიას ოთახის“ ურბანულობა, ერთი მხრივ მარტოსულ, იზოლირებულ ქალთან – ლუჩიასთან, ხოლო მეორე მხრივ თანამედროვე თბილისთან ასოცირდება, რომელიც იმავდროულად მოდერნისტული ქალაქის მითო-პოეტური ესთეტიკის რეპრეზენტაციაცაა, სადაც რეალური და ფიქციური ლუჩია ჯოისის ცხოვრება, ერთი დღეში თამაშდება. ამიტომ „ლუჩიას ოთახის“ მოქმედების დრო და ადგილი თანამედროვე თბილისის ცათამბჯენში მდებარე ბინაა. წარმოდგენა „ულისეს“ მსგავსად ერთ დღეში ვითარდება, დილის 8 საათზე იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება. „ლუჩიას ოთახი“ სულ რვა სცენისგან (სურათისგან) შედგება და ოთხ თემადაა დაყოფილი: გაღვიძება (რეინკარნაცია), მუსიკა, სიყვარული და სიკვდილი. ლუჩიას ჰალუცინაციური სამყარო და მისი სულიერი კავშირი ჯეიმზ ჯოისთან, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, ბინის სხვადასხვა ოთახში, ჯოისის სხვადასხვა ტექსტის, სხვადასხვა ფორმითა და სტილის დეკლამაციით, მუსიკითა და თანამედროვე ქორეოგრაფიული ენითაა გამოხატული. წარმოდგენაში დროის სვლა, ლუჩიას სხვადასხვა ოთახში საათის ისრის მიმართულებით მოძრაობაშია გამოხატული. ოთახების ცვლასთან ერთად, იცვლება დღის ფაზები და მხატვრული სურათები.

წარმოდგენა ცათამბჯენის ფანჯრებში არეკლილი ურბანული თბილისის ხედით და სპეციალურად წარმოდგენისთვის ჯოისის ლექსზე „Flower Given To My Daughter“ შექმნილი სიმღერით იხსნება. თეთრი ვარდებით ხელში საძინებლიდან მომავალი და იმავდროულად მაგიდასთან მდგომი გაორებული ლუჩიას დილა (გაღვიძება-განახლება), „ულისეს“ მეოთხე ეპიზოდის ნაწყვეტის ფონზე მიმდინარებს. პარალელურად, ლუჩიას გონებაში ლეოპოლდ და მოლი ბლუმების დილისა და საუზმის ეპიზოდი ჟღერს და ლუჩია, მოლი ბლუმადაც წარმოგვიდგება, რა დროსაც მისი

ირეალურობა, არა მხოლოდ არაცნობიერ, ჰალუცინაციურ სამყაროში, არამედ მამის მხატვრულ სამყაროში, მხატვრული პერსონაჟისა და ფიქციურ რეალობაშიც ვლინდება. მეორე სცენა უზარმაზარ სახლში, მარტოსული ლუჩიას ცნობიერების ნაკადის, ჯოისის ლექსებისა და ნორასთან მიწერილი პირადი წერილების ფრაგმენტების ფონზე გრძელდება, რომელიც თანამედროვე საბალეტო პლასტიკითაა გამოხატული. მესამე სცენას შიზოფრენიული შეტავა შეიძლება დავარქვათ. ლუჩიას არაცნობიერში „ულისეს“ „სირინოზების“ ტექსტის რიტმები, ხმაურსა და მძვინვარებას წარმოქმნიან. სახლში გამოკეტილი ლუჩია, მის აჩრდილს, ბეკეტის ფოტოზე გამოსახული რეალური ლუჩიას მსგავს ორეულს, ოთახებში უშედეგოდ ცდილობს დაემალოს. მომდევნო სცენები, ლუჩიას შინაგანი მონოლოგით, „დუბლინელების“ ტექსტის და ჩამავალი მზის სინათლის ფონზე გრძელდება, რომელიც დღის ბოლოს სიკვდილით, „ჰადესში“ ჩასვლით სრულდება.

„ლუჩიას ოთახის“ ბოლო სცენა, „ულისეს“ „ჰადესისა“ და „პენელოპეს“ ეპიზოდების გარდა, მთლიანად ჯოისის „ღამისთევა ფინეგანისთვის“ შექმნის ვერსიაზეა აგებული. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, ლუჩია წერილებს მიცვალებულებს უგზავნიდა. ეს კი, მისი მამის ბოლო რომანის შთაგონების წყარო გახდა (ნიუ იორკერი 2003). წარმოდგენის ფინალში, სწორედ ჯეიმზ ჯოისის მიერ „ღამისთევა ფინეგანისთვის“ წაკითხული ფრაგმენტი ჟღერს, რა დროსაც სიბნელეში, ჭკუიდან შემოლილი, ყველასგან მიტოვებულ ლუჩიას მამის ხმა ჩაესმის, რის შემდეგაც იგი აბაზანისკენ მიემართება და თავს იკლავს. წარმოდგენის ამგვარი დასასრული, ვირჯინია ვულფის სიკვდილით, სერ ევერეტ მილის ნახატით „ოფელიას სიკვდილი“ და 1923 წლის ლონდონში მომხდარი მკვლელობის ამბითაა შთაგონებული, რომელიც თ.ს. ელიოტმა „სუინი აგონისტში“ გამოიყენა. ამბის მიხედვით, გალოთებულმა თერძმა, აბაზანაში მისი საყვარელი მოკლა და შემდეგ მის ცხედარს თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში იქ ინახავდა (კობახიძე 2015: 243). შეიძლება ითქვას, ელიოტის „სუინიადას“ მსგავსად, ჩვენს თანამედროვეობაშიც, მარადიული, რიტუალური, მითოლოგიური დროის ციკლური ბრუნვის შედე-

გად, რეინკარნირებული რეალური (იმავე დროს ფიქციური) ლუჩიას, ქალის, რომელიც იმავდროულად ქალაქიკაა, სიყვარული-მრუმობად, ხოლო სიკვდილი-მკვლევლობად, თვითმკვლევლობად გარდაიქმნა. ლუჩიას აზაზანაში აღსასრული კი, სიმბოლური გამოხატულებაა იმ ქალაქისა, რომლის მკვლელიც ელიოტის ნაწარმოების მსგავსად კაცია, „ლუჩიას ოთახის“ შემთხვევაში კი თანაქალაქელები „სუინები“.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მარიამ ალექსიდის მიერ ორივე სპექტაკლში განზოგადოებულია პანდემიურ (დავირუსებულ) სამყაროში ნამდვილი ხელოვანის და მაღალი ლიტერატურის სულიერი მდგომარეობა, რომელიც განურჩევლად დროებისა მუდამ საკუთარ ოთახში, როგორც ცნობიერებაში ან/და არაცნობიერშია გამოკეტილი. მაღალი შემოქმედება კი, განსაკუთრებით ჟამიანობისას, ზმანებადაა ქცეული, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მსგავსად არავის სჭირდება. თუმცა, ალექსიდის მიერ საკუთარ ოთახში შექმნილმა ბალეტმა-ჰალუცინაციამ, ლიტერატურული ნაწარმოებების და ქორეოგრაფიის ახალი გამომსახველობითი მხატვრული ფორმებით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ერთი მხრივ, მაღალი შემოქმედების მარადიული აწმყოობა, ხოლო მეორე მხრივ COVID 19-ით გამოწვეული იმულებითი იზოლაციით, ვირტუალური სამყაროს ამარა დარჩენილი თანამედროვე ადამიანის სულიერი სიცარიელე.

დამოწმებანი:

აირიშ თაიმსი 2018: „*The lost story of James Joyce’s daughter as a Parisian dancer*“, *The Irish Times*, Jun 21, 2018, available from <https://www.irishtimes.com/culture/stage/the-lost-story-of-james-joyce-s-daughter-as-a-parisian-dancer-1.3534604>

ვულფი 2009: ვულფი, ვ. საკუთარი ოთახი. თარგ. ი. მაცაბერიძე-პაპავასი. თბილისი: გამომცემლობა „კონსტანტინე“, 2009.

კობახიძე 2015: კობახიძე, თ. თ.ს. ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015.

ნიუ იორკერი 2003: „A FIRE IN THE BRAIN The difficulties of being James Joyce’s daughter“, *The New Yorker*, Nov.30. 2003, available from: <https://www.newyorker.com/magazine/2003/12/08/a-fire-in-the-brain>

კონვერსიშენ 2018: *Lucia Joyce: on Bloomsday, consider this real-life character's enduring and mysterious appeal*“, Theconversation.com, 15June, 2018 available from <https://theconversation.com/lucia-joyce-on-bloomsday-consider-this-real-life-characters-enduring-and-mysterious-appeal-98020>

შლახი 2003: Shloss, Carol Loeb, *Lucia Joyce: To Dance in the Wake*, [ibook], Picador 2003;

ჰისტორი ოგ ესტერდოი: „*From Sadness to Madness The tragic life of Lucia*, daughter of James Joyce“ Historyofyesterday.com available from <https://historyofyesterday.com/from-sadness-to-madness-97c1e2ddcab>

Ketevan Nadareishvili

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The Narrative of the Athenian Plague as a Social and an Intellectual Construct

Summary

A new stage in the research of the Epidemic narratives (starting from the 1970s) implies consideration of epidemics as a social and an intellectual construct. The article studies the Thucydides' account of the Athenian plague of 430 B.C. in the context of these novel approaches. The study revealed that Thucydides' story fits well Rosenberg's narrative model of epidemics and also presents generalizations characteristic of epidemics as a social construct. Together with this the paper analyzes the responses of the Athenian society of the 430-ies B.C. to this challenge as well as the long-term impact the plague had on the various spheres of Athenian life.

Key words: Epidemic narratives; Athenian plague; Thucydides; Pestilence in Antiquity

ქეთევან ნადარეიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ათენის ჭირის ნარატივი ეპიდემიის სოციალურ და ინტელექტუალურ კონსტრუქტად გააზრების კონტექსტში

1972 წ-ს ცნობილი მიკრობიოლოგების მ. ბარნეტისა და დ. ვაითის განცხადების მიუხედავად, რომ, სავარაუდოდ, მომავალში ინფექციური დაავადებანი ერთობ უსიცოცხლო იქნება, სამწუხაროდ, მათი და მთლიანად სამეცნიერო საზოგადოების ეს პროგნოზი არ გამართლდა.* ახალმა გარემოებებმა – ჰერპესის, 1970-იანებში ლეგიონერთა დაავადების, შემდგომში შიდსის, ებოლას და ა.შ. გამოვლენამ, მეცნიერები იძულებული გახადა ეპიდემიათა კვლევას მიბრუნებოდნენ. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში ეპიდემიათა შესწავლის კონცეპტუალურად ახალი ეტაპი იწყება. ავადობანი, და მათ შორის ეპიდემიები, სოციალურ მოვლენად იქნა გააზრებული, ანუ მოვლენად, რომელიც აღქმულია სოციუმის მიერ, რომლის კონსტრუირებასაც ახდენს სოციუმი – იკვლევს წარმოქმნისა თუ გავრცელების მიზეზებს, ეძიებს დამნაშავეებს, ამუშავებს პასუხებს, ახდენს გატარებულ ღონისძიებებზე რეაგირებას და ა.შ.

ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ეპიდემიის ნარატიული მოდელი 1989 წ-ს ცნობილმა მეცნიერმა ჩარლზ როზენბერგმა შეიმუშავა (როზენბერგი 1992: 278-292). საინტერესოა, რომ სულ ახლახანს, კოვიდ-19-თან დაკავშირებით დევიდ ჯონსმა მისი მოდელი გაიხსენა და დღევანდელ პანდემიურ კრიზისში კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას როზენბერგის მოდელის აქტუალობა (ჯონსი 2020).

სწორედ ეპიდემიათა კვლევას ამ ახლებური კონცეპტუალური მიდგომების შესაბამისად ვაპირებთ შევისწავლოთ ეპიდემიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნარატივი – ე.წ. ჭირი ათენში,

* ასე იწყებს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ჯონსი თავის სტატიას, რომელიც კოვიდ 19-ის აფეთქებიდან მალევე, 2020 წლის მარტში გამოქვეყნდა (ჯონსი 2020).

რომლის შესახებაც ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე „პელოპონესის ომის ისტორიაში“ მოგვითხრობს. ათენის ჭირის თუკიდიდესეული აღწერის შესახებ ბევრი დაწერილა, მეცნიერებს მწვავედ უკამათიათ, თუ რა დაავადება იყო რეალურად „ათენის ჭირი“, გარკვეული ასპექტით ეს ავადობა როზენბერგის მოდელთან მიმართებითაც არის განხილული.* და მაინც, ვფიქრობთ, თუკიდიდეს მონათხრობი კიდევ საჭიროებს კვლევას სწორედ რომ ეპიდემიის, როგორც სოციალური კონსტრუქტის, შესწავლის კუთხით.

ამისთვის ჩვენ უპირველესად შევიმუშავეთ ე.წ. ჩარჩო, კერძოდ, როზენბერგის მოდელი, რომელიც ეპიდემიის საფეხურებრივი განვითარების ერთგვარ სქემად გვევლინება, განვავრცეთ, ასე ვთქვათ, ამ ავადობის უნივერსალური მახასიათებლებით, რომლებიც მკვლევარებს სრულიად სხვადასხვა ეპოქისა და გეოგრაფიული ლოკაციის ეპიდემიათა ანალიზის შედეგად აქვთ მოძიებული. შემდეგ სწორედ ამ ჩარჩოს კონტექსტში შევისწავლეთ ათენის ჭირის თუკიდიდესეული მონათხრობი. ამგვარი კვლევა ემსახურება იმის ჩვენებას, თუ რამდენად აქტუალური შეიძლება იყოს თანამედროვეობისათვის ეპიდემიათა ძველი ნარატივების შესწავლა, რა გაკვეთილები შეიძლება ვისწავლოთ მათგან. ამასთან, სავარაუდოდ, ის ასევე დაგვეხმარება ეპიდემიათა ინტერდისციპლინარული კვლევის მნიშვნელობის უკეთ გააზრებაში, რამეთუ სლექის მართებული შენიშვნით, ეპიდემიათა და წარმოდგენათა ურთიერთზეგავლენა არ ვითარდება ერთი მიმართულებით – ბიოლოგიური გამოწვევიდან ინტელექტუალურ პასუხამდე და რომ ეს პროცესი გაცილებით რთული და საინტერესოა (სლექი 1992: 10).

როზენბერგის მიხედვით, ეპიდემიები ოთხაქტიანი სოციალური დრამის სტრუქტურის შესაბამისად მიმდინარეობს და, რო-

* ატკინსონი ძვ.წ. 430 წ-ის ათენის ჭირსა და რომაული სამყაროს ეპიდემიათ, განსაკუთრებით ე.წ. ანტონინუსის ჭირს (165-180), როზენბერგის მოდელთან მიმართებით განიხილავს, რათა გაარკვიოს, თუ რამდენად მიესადაგება ამ მოდელს ანტიკური ეპიდემიები. სტატიაში ეს მიმართება შესწავლილია ძირითადად ამ ეპიდემიებზე სახელისუფლებო პასუხის კონტექსტში და ეს პასუხი საზოგადოების ტრავმების შესამსუბუქებლად რელიგიური რიტუალებისა და საკულტო ინოვაციების დამკვიდრებაში გამოიხატება (ატკინსონი 2001: 35-52).

გორც დრამას, განვითარების თავისი საფეხურები აქვს. მეცნიერი დრამის I აქტს ეპიდემიის თანდათანობითი გამოვლენისა და აღიარების პროცესად განიხილავს. როგორც წესი, საზოგადოება დაავადების ნაკლებადშესამჩნევ გამოვლინებებს წაუყრუებს – ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, თვითდამშვიდების ინსტინქტი და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ინტერესები. ეპიდემიის აღიარების პროცესი ნელა მიმდინარეობს. აყოვნებს ხელისუფლებაც, რომელსაც საზოგადოებისთვის დაავადების ამხსნელი ჩარჩოს შემუშავება უჭირს. მაგრამ დგება გარკვეული კრიტიკული მომენტი, როცა ხელისუფლება იძულებულია იმოქმედოს. და დრამაშიც II აქტი იწყება, რაც ქაოსის მენეჯმენტსა და ამხსნელი ჩარჩოს შემუშავებას მოიცავს. უნდა გაირკვეს დაავადების წარმოქმნისა და გავრცელების მიზეზები, ასევე უნდა დადგინდეს შემოსვლის მარშრუტი. ეპიდემიათა შესახებ სხვადასხვა ეპოქის მონათხრობებში ავადობის ეს უნივერსალური მახასიათებლები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ანტიკურ ეპოქაში, ზოგადად, ეპიდემიათა წარმოშობის როგორც რაციონალურ, ისე ტრანსცენდენტურ მიზეზებს განიხილავდნენ. გარკვეულწილად გააზრებული ჰქონდათ ეპიდემიათა გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები.

ეპიდემიათა უნივერსალურ მახასიათებლად დაავადების შემომტანთა თუ გამავრცელებელთა – ანუ დამნაშავეთა ძიება მიჩნეული. ძირითადად დამნაშავეებად უცხოელები მოიაზრებია. შუა საუკუნეების ევროპაში ე.წ. „შავი სიკვდილის“ დროს (XIV ს.) განტევების ვაცები ებრაელები იყვნენ, რომლებსაც ჭების მოწამვლას აბრალებდნენ (ლონგრიგი 1992: 37). ხშირად დამნაშავეებად დაბალი კლასის წარმომადგენლები მიაჩნდათ. ღარიბები კი, თავის მხრივ, ფიქრობდნენ, რომ ეპიდემია სწორედ რომ მმართველმა კლასმა დაგეგმა მდაბიოთა მოსაწამლად (სლეკი 1992: 4).

პანიკურ განწყობას ამძაფრებდა ექიმების და ზოგადად, სამედიცინო სფეროს წარუმატებლობა, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მაინც. როგორც წესი, ექიმები, თვითონვე პირველნი ხდებოდნენ მსხვერპლნი. ეპიდემიათა წინაშე ანტიკური სამედიცინო ცოდნის კრაზზე რომ არაფერი ვთქვათ, გაცილებით გვიანდელ ეპოქებშიც მედიცინა მოლოდინს ვერ ამართლებდა (ჯონსი 2020).

უმრავლეს შემთხვევაში ადამიანებმა იცოდნენ, რომ დაავადება ადამიანიდან ადამიანზე გადადიოდა. ეს შენიშნული ჯერ კიდევ თუკიდიდეს ჰქონდა.* შესაბამისად, ადამიანები ინფიცირებული საცხოვრისიდან გაქცევას ცდილობდნენ, თუკი ამის შესაძლებლობა გააჩნდათ. ამისი მაგალითი მრავლად იყო შუა საუკუნეების იტალიაში, როცა მდიდრები დასნებოვანებულ ადგილებს ტოვებდნენ, რასაც მათი საქციელით აღშფოთება მოსდევდა (პულანი 1992: 116).

როზენბერგის მიხედვით, დრამის III აქტი საზოგადოების პასუხების/რეაქციების შემუშავება-შეთანხმებაა. ის საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელიც ახსნას მოჰყვება ხოლმე, შესაძლოა, არანაკლებ დრამატული და გამანადგურებელი იყოს, ვიდრე თავად სენი (ჯონსი 2020). როგორც წესი, ადამიანები მიმართავენ ტაძრებს, სამისნოებს. ეკლესიებში ტარდება კოლექტიური ლოცვა და დაწესებული კარანტინის მიუხედავად, ხალხი ტაძრებში იყრის თავს. მთავარი, როზენბერგის აზრით, კოლექტიური სოლიდარობის განცდის შექმნაა (როზენბერგი 1992: 285). კოლექტიური სოლიდარობა სხვა არარელიგიური ხასიათის რიტუალების დროსაც არსებითია. როდესაც ამ რიტუალების ჩატარების შემდგომ ეპიდემია მაინც არ ცხრება, როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ საკრალური სფერო უძლურია, ისინი იხსნას, მათი ნაწილი კარგავს ტრადიციული რელიგიისადმი ნდობას. შედეგად შესაძლოა ისინი სხვადასხვა ორგანისტულ კულტმსახურებაში ჩაებან, ან რელიგიური სექტის მიმდევარნი გახდნენ. ცნობილია, მაგალითად, ფლაგელანტთა მოძრაობა „შავი სიკვდილის“ პერიოდში. საინტერესო ფენომენი გახლავთ ასევე ისტერიულ-ექსცესური საცეკვაო მანია – ე.წ. წმ. ვიტუსის ცეკვა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში (ლონგრიგი 1992: 37).** მეორე მხრივ, სახელმწიფო და რელიგიური ავტორიტეტები ანტიკურობიდან მოყოლებული ცდილობდნენ გაემლიერებინათ ტრადიციული რელიგიური მსახურების ფორმები და სახეები. ამ მიზნით აარსებდნენ ახალ სამისნოებს, ამლიერებდნენ სატაძრო მედიცინას. ყოველივე ეს კი ემსახურებოდა „განრისხე-

* ამას ქვემოთ განვიხილავთ.

** წმ. ვიტუსის ცეკვის შესახებ იხ. დიანოსაშვილი 2014: 83-95.

ბული ღმერთების“ მოღმობიერებას, რამეთუ არსებობდა მოსაზრება, რომ ღმერთმა ადამიანებს მათი ცოდვების გამო ეპიდემია სასჯელად გამოუგზავნა.

რელიგიური პასუხების მსგავსად პოლარიზებული იყო ეპიდემიით განპირობებული სოციალური ქცევები. საყოველთაო პანიკის ფონზე, როგორც წესი, დემორალიზებული ადამიანები უგულვებლყოფდნენ ტრადიციებს. ადამიანებისთვის სახასიათო გახდა ოჯახის ავადმყოფი წევრებისა თუ ახლობლების მიტოვება, მიცვალებულის დაუმარხავად დატოვება. მეორე მხრივ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთ თავში თრგუნავდნენ შიშს და სრულიად უცნობ ადამიანებს უვლიდნენ.*

ჟამიანობისას გავრცელებულია კიდევ ერთი სახასიათო ქცევა. ადამიანური ბედის სწრაფმა და რადიკალურმა ცვლილებამ პიროვნებაში ფასეულობათა სიმყარე მოარყია, ამან კი ქვენა გრძნობების გათავისუფლება და წუთიერი განცხრომისკენ სწრაფვა გამოიწვია. ადამიანი მიეცა ჰედონიზმს – ანარქიის ისტორიულ მეწყვილეს. ცნობილი გამოთქმა „ლბინი ჭირის დროს“ სწორედ ამ მოვლენას გამოხატავს (ანტონოვი 2020).

ამავე აქტში თამამდება ხელისუფლების რეაქცია/პასუხები. ანტიკურ ეპოქაში ხელისუფლებას არ ჰქონდა შემუშავებული გარკვეული პოლიტიკა თუ ღონისძიებათა სისტემა ეპიდემიასთან საბრძოლველად. პირველი ადმინისტრაციული ზომები შუა საუკუნეებისა და ადრეული მოდერნიზმის დასავლეთ ევროპაში ჩნდება. მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ როგორი დიდი იყო სხვადასხვა ტიპის აღქმათა, მათ შორის ცრურწმენათა, გავლენა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ხელისუფალნი ახორციელებდნენ. როგორც წესი, დასნებოვანებული ადგილებიდან ხალხის მასობრივ ევუაკუაციასა და სახლებსა თუ „ლაზარეთებში“ ავადმყოფთა იზოლირებას მიმართავდნენ, ქმნიდნენ სანიტარულ კორდონებს და აწყობდნენ კარანტინს. დასახელებული ღონისძი-

* ამ მხრივ, საგულისხმოა პურიტანულ მღვდელმსახურთა საქციელი. პურიტანული რწმენის მიხედვით, ჭირი ღმერთის მოვლენილია. შესაბამისად, დაემართებოდა თუ არა სენი ადამიანს, მასზე არ იყო დამოკიდებული. და თუ კონკრეტული ადამიანის საქციელი ვერაფერს შეცვლიდა დაავადების ასაცილებლად, უმჯობესი იყო იგი ღმერთს მინდობოდა და მოყვასს დახმარებოდა (სლეკი 1985).

ებების უამრავი ხარვეზის მიუხედავად, სახელისუფლებო პოლიტიკას ეპიდემიასთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ჯანმრთელობის ამ პირველმა საბჭოებმა, რომლებიც ე.წ. „შავი სიკვდილის“ დასამარცხებლად თავდაპირველად ვენეციასა და ფლორენციაში შეიქმნა (1348 წ.), შემდგომში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სამსახურის ჩამოყალიბება განაპირობა.

ეპიდემიის უნივერსალური მახასიათებელია ხელისუფლების ღონისძიებათა მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილება. ამას იწვევდა, ერთი მხრივ, ის, რომ ხალხს გატარებული ღონისძიებები ზედმეტად მკაცრად მიაჩნდა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების უუნარობა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ მიღებული ზომები მათ საკეთილდღეოდ და არა რაიმე პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნისკენ იყო მიმართული. ღონისძიებებს, როგორც წესი, მოჰყვებოდა მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები, შესაძლოა ამბოხებაც კი. თუმცა, ეპიდემიებს გადამწყვეტი სოციალური პერტურბაცია არ გამოუწვევია (სლევი 1985: 295-305).*

ადრე თუ გვიან, კრიზისის გავლის შემდეგ, ეპიდემიები ქრება. როზენბერგის მოდელის ბოლო, IV აქტი ეპიდემიის თანდათანობითი დაცხრომა და მისი რეტროსპექტული ანალიზია. რეტროსპექტული განსჯა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შეფასებასთან ერთად მოიცავს გარკვეულ შეკითხვებს, მაგალითად, როგორ გაართვა თავი საზოგადოებამ გამოწვევას, რაში მდგომარეობს ეპიდემიის გრძელვადიანი ზეგავლენა; გამოიტანა კი ხალხმა გაკვეთილი, თუ დაუდევარი საზოგადოება ცხოვრების ჩვეულ ნირს მყისვე დაუბრუნდა (როზენბერგი 1992: 287).

მსგავსი კითხვების მიუხედავად, განსხვავებული ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე ეპიდემიის გრძელვადიანი ზეგავლენა ერთობ ინდივიდუალურია. საერთოა მხოლოდ ის, თუ რა სფეროზე ახდენს დაავადება ზეგავლენას – ესაა სოციალური პროცესები, რელიგიური მსახურების ფორმები, საზოგადოების მსოფლხედვა და სამეცნიერო სივრცე.

ახლა ვიდრე ამ ჩარჩოს მიხედვით თუკიდიდეს მონათხრობს გავანალიზებდეთ, სტატიის შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე მოკლედ განვიხილავთ, თუ რა გარემოებები უძღვოდა წინ

* იხ. ევანსი 1992: 162-163.

დაავადების გაჩენას და ასევე იმას, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობა ეპიდემიის მიმდინარეობისას.

ათენში ჭირი პელოპონესის ომის დაწყებიდან მეორე წელს – ძვ.წ. 430 წლის ადრეულ ზაფხულში გაჩნდა. ათენის სტრატეგოსის და პოლიტიკური ლიდერის – პერიკლეს გეგმით ათენს, როგორც საზღვაო ჰეგემონს, ბრძოლა ლაკედემონელებთან ზღვაზე უნდა წარემართა, ანუ ზღვიდან მიეტანა პელოპონესზე იერიში და აეძულებინა მტერი ატიკაში შემოსვლის ნაცვლად საკუთარი ტერიტორია დაეცვა. ამასთან, ათენს ყოველნაირად უნდა ეცადა, ხმელეთზე მასზე ძლიერ პელოპონესის არმიას არ დაპირისპირებოდა. შესაბამისად, როცა მტერი ატიკაში შემოიჭრებოდა, ატიკის მოსახლეობა დიდი კედლებით გამაგრებულ ათენს უნდა შეხიზნოდა. და მართლაც, ლაკედემონელთა შემოსევის მომლოდინე პერიკლემ ატიკის მოსახლეობის ათენში ევაკუაცია მოახდინა. ამან ქალაქში მოსახლეობის არნახული სიმჭიდროვე გამოიწვია. ლტოლვილები სახლდებოდნენ ყველგან, თვით ტაძრებშიც კი. ამ გაჭირვებას უკვე მტრის ატიკაში შემოჭრისა და ათენისთვის ალყის შემორტყმის შემდეგ წყლის პრობლემაც დაემატა. ათენის გარეთ მდებარე წყლის რეზერვუარს მტერი პერიოდულად კეტავდა, რაც გამდინარე წყლის გამოყენებას ზღუდავდა. მოსახლეობა იძულებული იყო წყალსატევები და ჭები გამოეყენებინა. თუკიდიდეს მიხედვით, მთარული სენი პირველად ძვ.წ. 430 წ-ს ლაკედემონელთა ატიკაში შეჭრიდან რამდენიმე დღეში გამოვლინდა. ეპიდემიამ უცბად იფეთქა, პირველად პირველში გაჩნდა და მალე ქალაქსაც მოედო. ასეთ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში შეუძლებელი იყო სოციალური დისტანციის დაცვა, რაც დაავადების უსწრაფესად გავრცელებას უწყობდა ხელს. ამაში დიდი როლი ითამაშა წყალსატევებში არსებულმა დაინფიცირებულმა წყალმაც. თუკიდიდე საკმაოდ დაწვრილებით და შთამბეჭდავად ალგვიწერს ამ ვერაგი სენის სიმპტომებს და მის მსვლელობას. მწერალი არაერთგზის აღნიშნავს, რომ სენი ყველა ფენას შეეხო. ილუპებოდნენ როგორც მდიდრები, ისე ღარიბებიც. დაავადება იმდენად ძლიერი იყო, რომ ყველანაირადამიანს ამარცხებდა – ფიზიკურად ჯანსაღსაც და სუსტსაც, მათი ცხოვრების ნირისგან განურჩევლად. ეპიდემიის ეს პირველი ტალ-

და მეტ-ნაკლები სიძლიერით 2 წელიწადს გაგრძელდა. ჭირის მეორე ტალღა ათენს თავს ძვ.წ. 427 წლის ზამთარში დაატყდა, ამჯერად მან თითქმის ერთი წელი გასტანა. ეპიდემია ძვ.წ. 425 წ-ს დასრულდა, მაშინ, როცა შეწყდა ატიკაში ლაკედემონელთა თავდასხმები, შესაბამისად, გაქრა ის წინაპირობები – ატიკის მთელი მოსახლეობის ათენში თავმოყრა, ქალაქში ადამიანთა არნახული სიმჭიდროვე, წყლით მომარაგების პრობლემა, რომლებმაც ეპიდემიის გავრცელება განაპირობა.

როგორც აღვნიშნეთ, როზენბერგის მოდელის თანახმად, დრამის I აქტში ეპიდემიის აღიარებას მოსდევს ამხსნელი ჩარჩოს შექმნა, რაც უპირველესად ავადობის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზების დადგენას გულისხმობს.* საერთოდ, ეპიდემიათა ანტიკური ნარატივები მოგვითხრობენ მოარული სენის წარმოშობის როგორც რაციონალური, ისე ტრანსცენდენტური მიზეზების შესახებ. შესაძლოა, ერთ მონათხრობში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი იყო ავადობის გაჩენის რაციონალური და ტრანსცენდენტური მიზეზები. თუკიდიდე, როგორც რაციონალისტი, ათენის ჭირის წარმოშობას ტრანსცენდენტურ კონტექსტში არ მოიაზრებს. თუმცა იგი არც მისი თანამედროვე სამედიცინო ცოდნისთვის დამახასიათებელ რაციონალურ მიზეზებს გვთავაზობს. როგორც ჩანს, ისტორიკოსი შეგნებულად არიდებს თავს, ანდა, შესაძლოა, ემიჯნება კიდევ ეპიდემიურ დაავადებათა წარმოშობის იმ მიზეზთა მოყვანას, რომლებსაც მისი თანამედროვე მედიცინა სთავაზობდა საზოგადოებას. კერძოდ, იმდროინდელი სამედიცინო ცოდნით, ეპიდემიათა გაჩენის მიზეზად ატმოსფერული ცვლილებები და მყრალი ანაორთქლით ჰაერის მოწამლვა სახელდება. ამ მოძღვრების პოსტულატებს ვხედავთ

* თუ როგორ მიმდინარეობდა ეპიდემიის თანდათანობითი გამოვლენა და აღიარება, თუკიდიდე არ მოგვითხრობს. მოვლენები, როგორც ჩანს, იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ პირდაპირ ამხსნელი ჩარჩოს შექმნის ეტაპზე გადავდივართ.

** ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში აღნიშნავდა კრაუფურდი, რომ თუკიდიდეს პოზიცია წარმოაჩენს მას არა მხოლოდ ცრუმორწმუნეობრივი გულუბრყვილობით შეპყრობილ თანამემამულეებზე აღმატებულად, არამედ მისი პერიოდის განათლებულ სამედიცინო მოაზროვნეებზე გაცილებით წინ მდგომადაც (კრაუფურდი 1914: 36).

ლივიუსის (XXV, 26), ლუკრეციუსის (De Rerum Natura 6, 1296) და დიოდორე სიცილიელის (XII, 58, 2-6) მონათხრობებში.

რაც შეეხება ჭირის გავრცელების მიზეზს – იმ საოცარ შემჭიდროებულობას, რომელსაც ომის დროს მოსახლეობა ათენში განიცდიდა და რომელიც სოციალური დისტანციის დაცვის ელემენტარულ ნორმებს გამორიცხავდა, ამას თუკიდიდე ახსენებს, თუმცა ჭირის გავრცელების მიზეზად პირდაპირ არ ასახელებს. ის აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ უბედურება, რომელიც ათენელებს თავს დაატყდათ, მთელი ქვეყნიდან ლტოლვილების ათენში თავმოყრამ კიდევ უფრო გაამძაფრა (Thuc. II, 52,1). თუკიდიდესაგან განსხვავებით, პლუტარქე პერიკლეს ბიოგრაფიაში ჭირის გავრცელების მიზეზად ატიკის მთელი მოსახლეობის ათენში შეხიზვნას მოიაზრებს (Plut. Pericl. 34). სენის გავრცელებას დიოდორე ქალაქში ატიკის მოსახლეობის თავმოყრას უკავშირებს (Diod. XII, 45,2).*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭირის გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა ათენის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, კერძოდ იმან, რომ მოსახლეობა წყალსატევებით სარგებლობდა, რომლებშიც დასწრეულეული ადამიანები დაუოკებელი წყურვილის მოსაკლავად და სხეულის მხურვალეობისგან გასაგრძობლად ხტებოდნენ. თუკიდიდე არ ამბობს, თუმცა ცხადია, რომ ეს ქმედება სასმელი წყლის დაინფიცირებასა და წყლით ინფექციის გადატანას იწვევდა.

ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება გახლავთ საყურადღებო. თუკიდიდეს მიხედვით, ჭირი ადამიანიდან ადამიანზე გადადიოდა. თანამედროვე ადამიანისთვის ორგანული ეპიდემიათა ეს მახასიათებელი ანტიკურ ეპოქაში სულაც არ იყო მოაზრებული ავადობის აუცილებელ შემადგენლად. კრაუფურდის აზრით, ჰიპოკრატეს მედიცინას ამ ფენომენის შესახებ უზოგადესი წარმოდგენაც კი არ გააჩნდა (კრაუფურდი 1914: 37). პუული და ჰოლადეი თვლიან, რომ თუკიდიდესთან

* მოსახლეობის შემჭიდროებულობის კოეფიციენტი, ანტონოვის მიხედვით, ალყაშემორტყმულ ათენში იყო დაახლოებით 14-20 000 1 კვ.კმ.-ზე, რაც არის მოსახლეობის შემჭიდროებულობის კოეფიციენტი თანამედროვე მუმბაიში, ამასთან, იქ მოსახლეობა მრავალსართულიან შენობებში ცხოვრობს (ანტონოვი 2020, 3 აპრ.).

პირველადაა ნათლად ფორმულირებული გადამდებობისა და შეძენილი იმუნიტეტის ფენომენი და რომ ჰიპოკრატულ მედიცინაში ეს მოვლენები გააზრებული არ ყოფილა.*

ეპიდემიის შემოტანასა თუ გავრცელებაში დამნაშავეთა ძიება და გარკვეული ჯგუფების – მტრების, „უცხოების“, ღარიბთა, ებრაელების და ა.შ., სტიგმატიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ეპიდემიის, როგორც სოციალური კონსტრუქტისათვის. საგულისხმოა, რომ ათენში დამნაშავეთა ძიების შესახებ თუკიდიდე სულ ერთი წინადადებით გვიყვება და ამას, როგორც მთარულ ხმას, გვაწვდის. მისი გადმოცემით, როცა თავდაპირველად პირველის მაცხოვრებლები დასნებოვნდნენ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მტრებმა (ე.ი. პელოპონესელებმა – შენიშვნა ჩვენია – ქ. ნ.) ჭები მოგვიწამლესო (Thuc. II, 48,2). შესაბამისად, ეპიდემიათა ნარატოლოგიაში თუკიდიდე იმ გამონაკლისად გვევლინება, რომელიც ავადობის გაჩენაში დამნაშავეთა ძიებას არ იწყებს. ეს განსაკუთრებით საკვირველი ჩანს იმ ფონზე, რომ ჭირი მტრის ქვეყანაში არ გადასულა და ძირითადად ატიკის მოსახლეობას გაავლო მუსრი. კონის აზრით, ანტიკური ეპოქის ეპიდემიათა თხრობისთვის საერთოდაც არ იყო დამახასიათებელი ე.წ. „სხვების“ დადანაშაულება, რამეთუ იმ პერიოდში ავადობის მიზეზს ტრანსცენდენტურ სივრცეში მოიაზრებდნენ (კონი 2012: 535-555). მიუხედავად კონის არაერთი საგულისხმო მოსაზრებისა, მის ამ ახსნას ვერ გავიზიარებთ. თუკიდიდე, როგორც რაციონალისტი, სენის წარმოშობის ტრანსცენდენტურ ახსნას არ გვთავაზობს. ამასთან, იგი შეგნებულად არიდებს თავს ავადობის მიზეზთა კვლევას და შესაბამისად, ის, რომ იგი ადამიანურ დამნაშავეებს არ ეძიებს ჭირის გავრცელების გასარკვევად, ისტორიკოსის ამ პოზიციის გამოძახილი უნდა იყოს.

ჭირზე თხრობისას თუკიდიდეც არც სამედიცინო სფეროს როლი ავიწყდება. მთარული სენის მიმდინარეობისას, ისევე როგორც სხვა ეპიდემიათა დროს, ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე მა-

* მოგვყავს ლონგრიგი 1992: 34-ის მიხედვით. ლონგრიგის აზრით, ის, რომ თუკიდიდეც შენიშნული აქვს გადამდებობის ფენომენი არ ნიშნავს, რომ მას გააზრებული ჰქონდა გადამდებობისა და იმუნიტეტის დოქტრინები და რომ ისინი თხზულებაში ფორმულირებული აქვს.

ინც, ექიმები ჭირთან ბრძოლაში მარცხდებიან. „ექიმებს, რომლებიც სენს პირველად კურნავდნენ და არ იცოდნენ მისი ბუნება, არ შეეძლოთ, დახმარებოდნენ ავადმყოფებს“ (Thuc. II, 47,4),^{*} გვეუბნება თუკიდიდე.

მედიცინის ისტორიის სპეციალისტთა აზრით, ათენში ექიმებს ამ სენის ბუნება რომც სცოდნოდათ, ისინი მაინც უძლურნი იქნებოდნენ, რამეთუ იმ პერიოდში არანაირი ეფექტური სამედიცინო საშუალება მის სამკურნალოდ არ არსებობდა. ავადობის სამკურნალო წამლის არარსებობას ხაზს უსვამს თუკიდიდეც (Thuc. II, 51,2). ამასთან დიდი იყო დანაკარგი ექიმთა შორის. „არ იცოდნენ რა როგორ ემკურნალათ, ისინი პირველნი ხდებოდნენ მსხვერპლნი, რადგან ყველაზე ხშირად უხდებოდათ ავადმყოფებთან შეხება“ (Thuc. II, 47,4).

როდესაც ვერც ექიმებმა, ვერც რაიმე სხვა ადამიანურმა ცოდნამ თუ პრაქტიკამ და ვერც საკრალურმა სფერომ ათენელებს ვერ უშველა, ადამიანებმა ხსნის იმედი საერთოდ დაკარგესო (Thuc. II, 47,4), გვიყვება თუკიდიდე. ისტორიკოსი უკიდურესი გასაჭირის ჟამს ექსტრემალური სოციალური ქცევების ფართო სპექტრს გვთავაზობს, რომელთაგან, მისი შეფასებით, ყველაზე შემადრწუნებელი სულით დაცემა იყო. თუკიდიდეს თქმით, დაავადებულს მაშინვე ეუფლებოდა სრული სასოწარკვეთა და სენთან ბრძოლას საერთოდ წყვეტდა (Thuc. II, 51,4). შემდგომში ეს მოვლენა ეპიდემიათა არქეტაპული მოდელის ძირითადი შემადგენელი და ეპიდემიის ლიტერატურულ ნარატივთა მთავარი თემა ხდება (კრაუფურდი 1914: 13).

და მაინც, რას აკეთებდნენ სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ თუ რა ხდებოდა მათ თავს? გაჭირვებისას, თუკიდიდეს გადმოცემით, ადამიანები რადიკალურად განსხვავებულ ქცევით მოდებდნენ მიმართავდნენ. კერძოდ, როდესაც ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ დაავადება გადამდები იყო და დასნებოვნებულების შიში გაუჩნდათ, ისინი ახლობელთა მოსა-

^{*} თუკიდიდეს თხზულების ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული კომენტარების ავტორი გომი ამ საკამათო პასაჟის კლასიკურ თარგმანს იზიარებს. “Treating the disease as they were for the first time, they could do little help, owing to their ignorance” (გომი 1956: 146). ჩვენც ამ საკამათო პასაჟის ინტერპრეტირებისას გომის პოზიციას ვიზიარებთ.

ნახულებლადაც აღარ მიდიოდნენ. თუმცა ისინი, რომლებიც არავის იკარებდნენ, თავადაც მარტო, მოუვლელნი ილუპებოდნენ (Thuc. II, 51,5). მეორე მხრივ, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ღირსების გრძნობიდან გამომდინარე თავს არ ზოგავდნენ და იმ ახლობლებთან მიდიოდნენ, ნათესავებს რომ მოემულებინათ.*

იმედწართმეულმა ადამიანებმა ტრადიციებისადმი პატივისცემა დაკარგეს. საერთოდ, საბერძნეთში ტაძრებში მიცვალებულთა დასვენება არ ხდებოდა. ახლა კი ლტოლვილნი არა მარტო სახლდებოდნენ წმინდა ადგილებში, არამედ იქვე იხოცებოდნენ კიდევ. ტაძრები გვამებით მოიფინა. ათენელები მიცვალებულთა დაკრძალვის დაუწერელ კანონებსაც კი არად დაგიდევდნენ. თუკი დიდეს გადმოცემით, ადამიანები ისე მარხავდნენ მიცვალებულებს, როგორც შეეძლოთ. ბევრი სამარცხვინოდაც იქცეოდა – თავის მიცვალებულს სხვისთვის დანთებულ კოცონზე წვავდა და გარბოდა (Thuc. II, 52, 3-4).

ათენში მცხოვრებნი ხედავდნენ, თუ რაოდენ წარმავალი გახდა ყველაფერი – მდიდრები მოულოდნელად კვდებოდნენ, უპოვარნი კი მათ ქონებას ეპატრონებოდნენ. „სიცოცხლეს და სიმდიდრეს წარმავალი ჩანდა და ყველას სურდა, ხორციელ ტკბობას დაწაფებოდა. აღარავის უნდოდა თავის გაწირვა მშვენიერი მიზნებისთვის“, – დანაწიებით აღნიშნავს მწერალი და აგრძელებს: „...მშვენივრად და სასარგებლოდ ის მიაჩნდათ, რაც იმ წამს მიანიჭებდა ტკბობას ან ის, რაც ამ ტკბობის მიღწევაში დაეხმარებოდა... არავის ჰქონდა იმდენ ხანს სიცოცხლის იმედი, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის სამართალში მიეცემოდა, ვინაიდან ბედს მათთვის უფრო მძიმე განაჩენი გამოეტანა და აღსასრულის მოსვლამდე, ცხადია, სიცოცხლით ტკბობა ეწადათ“ (Thuc. II, 53,2-54).” სასტიკი განსაცდელის დროს ადამიანთა ამგვარ მიდრეკილებას ჰედონიზმისადმი თუკი დიდეს ერთ-ერთ ყველა-

* თუკი დიდე ამგვარ საქციელს მაღალ შეფასებას აძლევს, მას სიქველის – ἀπειρή-ს რანგში განიხილავს და გმირთა სიქველეს უტოლებს (ჰიუ 2013: 120). მწერალი აღნიშნავს იმასაც, რომ ავადმყოფებს მომეტებულად სენ-მოხდილნი თანაუგრძნობდნენ. ისინი თამამად იქცეოდნენ, რადგან მეორედ სენი არავის შეყრია და არავინ მოუკლავს (Thuc. II, 52,6).

** თუკი დიდეს თხზულების II, 48 – II, 52 თავების ქართულად გადმოტანისას ვიყენებთ დ. ქურიძის თარგმანს, ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, წიგნი II, 2008: 21-23.

ზე ღირსშესანიშნავ დაკვირვებად მიიჩნევენ, რომელსაც შემდგომ არაერთგზის შევხვდებით ეპიდემიათა შესახებ მოთხრობისას.

რელიგიის სკეპტიკოსად მიჩნეული თუკიდიდე საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ როგორ იცვლებოდა მოსახლეობის რელიგიური განწყობები და ქცევები ეტაპობრივად ეპიდემიის მიმდინარეობისას. როცა ადამიანებს ვერც ექიმებმა და ვერც სხვა ადამიანურმა ცოდნამ ვერ უშველა, ისინი რელიგიისკენ მიტრიალდნენ: დაიწყეს ტაძრებში ლოცვა, მიმართეს წინასწარმეტყველებსა და სამისნოებს. თუმცა ესეც უშედეგო აღმოჩნდა (Thuc. II, 47,2). ამის შემდეგ, თუკიდიდეს გადმოცემით, ადამიანთა თვალში ტრადიციულ რელიგიას ავტორიტეტი შეერყა, რაც ეპიდემიური ნარატივების თითქმის უნივერსალურ მახასიათებლად გვევლინება. ტაძრების გვამებით მოფენა თუ მიცვალებულთა დაკრძალვის წმინდათა წმინდა წესების შერყვნა ხომ ამისი ნათელი დასტური გახლდათ. მაგრამ თუკიდიდე საკრალური სივრცის ავტორიტეტის დაცემის აღწერისას კიდევ უფრო შორს მიდის. როცა ათენელებმა აღმოაჩინეს, რომ ერთნაირად იღუპებოდნენ ისინი, ვინც ლოცულობდა და ისინიც, ვინც ასე არ იქცოდა, მათ ღვთის შიში დაკარგეს: „ხედავდნენ, რომ განურჩევლად ყველანი იღუპებოდნენ, ამიტომ ღმერთის პატივისცემა თუ უპატივცემულობა უმნიშვნელო რამედ ეჩვენებოდათ“ (Thuc. II, 53, 4). მხოლოდ ამ სავალალო სურათის წარმოდგენის შემდეგ იხსენებს თუკიდიდე ორ მისნობას. ერთი იუწყებოდა: „გაჩაღდება დორიული ომი და მას ჭირი მოჰყვებო“ (Thuc. II, 54,2). საგულისხმოა, მწერლის სკეპტიკური კომენტარი. თუკიდიდეს მიხედვით, სიტყვა „ჭირი“ – „loimos“ ხომ თითქმის ისევე წარმოითქმება, როგორც „შიმშილი“ – „limos“. შესაბამისად, მომავალში ამტყდარ ომს დორიელებთან შიმშილი რომ მოჰყვეს, ადამიანები ამ მისნობას ასეთივე წარმატებით სიტყვა „limos“ ანუ შიმშილს დაუკავშირებენო (Thuc. II, 54,3). მეორე მისნობა კი სპარტელებს მიუღიათ დელფოდან – აპოლონის სამისნო ცენტრიდან. ამ მისნობით აპოლონი სპარტელებს ომის დროს მათ მხარეზე ყოფნას დაპირებია. თავად ის ფაქტი, რომ ჭირი პელოპონესში არ გავიდა, ათენელებს სწორედ ამ მისნობის ახდენად მიუჩნევიათ, შენიშნავს თუკიდიდე.^{*}

* რელიგიის მიმართ თუკიდიდეს სკეფსისზე მსჯელობს მარტინეზი (მარტინეზი 2017: 140).

ჭირის შედეგად გაჩენილმა ამგვარმა რელიგიურმა განწყობებმა რადიკალურად განსხვავებული გავლენა იქონია ათენელების რელიგიურ გრძნობებზე გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით. ტრადიციული რელიგიისადმი გაუცხოებამ, მათ, ერთი მხრივ, ახალი ტიპის – ორგინალური თუ ექსტაზური რელიგიური პრაქტიკისკენ უბიძგა. ლონგრიგი ამგვარ კულტმსახურებად ფრიგიული კიბელეს, მისი თრაკიული ანალოგის – ბენდისის და თრაკიულ-ფრიგიული ღვთაების – საბადიოსის მისტერიებს მიიჩნევს (ლონგრიგი 1992: 37). ტრადიციულ რელიგიურ დოქტრინებს ასევე მძლავრად არყევდა ზოგადად იმ პერიოდის ბერძნულ აზროვნებაში მიმდინარე კარდინალური ძვრები, როგორებიც იყო: იონიური ფილოსოფიის მატერიალისტურ დებულებათა შემოსვლა, სოფისტური მოძღვრების ფართოდ გავრცელება, ქსენოფანეს კოლოფონელისა და ჰერაკლიტოს ეფესელის თეორიების ზეგავლენა და ა.შ. (ლონგრიგი 1992: 38-39).

მეორე მხრივ, ტრადიციული რელიგიის ავტორიტეტის დაკნინებამ, უღვთობის დასადგურებამ ამისი საპირისპირო – ტრადიციული ღვთისმსახურებისადმი ნდობის აღსადგენი ქმედებები განაპირობა. განსაკუთრებით მიაქციეს ყურადღება იმ ღვთაებებისადმი – აპოლონისა და ასკლეპიოსისადმი მსახურების გაფართოებას, რომლებიც ავადობის აცილებასა თუ მკურნალობასთან იყვნენ დაკავშირებული. ძვ.წ. 426/425 წ-ს – და ეს სწორედ ჭირის დასრულების პერიოდი – ათენელებმა კუნძული დელოსი აპოლონის სამისნო ცენტრად ხელახლა გამოაცხადეს (მანამდე იგი მიცვალებულთა ნეშტისაგან გაწმინდეს). ამასთან, მომავალში კუნძულზე არა მარტო მიცვალებულთა დამარხვა, არამედ მშობიარობაც აკრძალეს (Diod. XII, 58,4; Thuc. II, 104). ომის მიმდინარეობისას აპოლონის სამისნო ცენტრად დელოსის გამოცხადება დელფოსადმი – აპოლონის მთავარი სამისნოსადმი ათენელთა რთული დამოკიდებულებით იყო განპირობებული – დელფო სპარტის მხარეზე მდგომად მოიაზრებოდა, შესაბამისად, ათენელებს ვერც ექნებოდათ მოლოდინი, რომ დელფო მათ რაიმე მითითებას მისცემდა.* ამავე მიზნით, ძვ.წ. 420 წ-ს, ნიკიასის

* დელფოსა და სპარტელებს შორის არსებული კეთილგანწყობის დამადასტურებელი წყაროები წარმოდგენილი აქვს ატკინსონს (ატკინსონი 2001: 44).

ზავის შემდგომ ხანმოკლე მშვიდობიანობისას, ათენელებმა ეპიდავროსიდან გადმოიტანეს ასკლეპიოსის კულტმსახურება და დიონისეს თეატრის მახლობლად ასკლეპიოსის ტაძარი აღმართეს. პავსანიასი გადმოგვცემს იმასაც, რომ ათენელებმა აპოლონს „Alexikakos“-ის (ბოროტის ამცილებლის) ზედწოდება მიანიჭეს (Paus. I, 3,4). დაგვიანებით გატარებული ეს ღონისძიებანი ტრადიციული ღვთისმსახურების განსამტკიცებლად იყო მიმართული, თუმცა ისინი ასე ჭირით გამოწვეული პოლიტიკური კრიზისის დაძლევისათვის ემსახურებოდნენ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანტიკურ ეპოქაში ხელისუფლებებს არ ჰქონიათ შემუშავებული ადმინისტრაციული ღონისძიებანი ეპიდემიათა წინააღმდეგ. თუმცა, როგორც ჩანს, მოსახლეობა სახელისუფლებო ინსტიტუციებიდან ელოდა გამხნევებას, ისტერიულ განწყობათა შემსუბუქებას, გარკვეული გამოსავლის შეთავაზებას.

თუკი დიდეს მიხედვით, პერიკლემ – სტრატეგოსმა ხალხის გასამხნეველად საგანგებო სახალხო კრება მოიწვია. თუმცა, როგორც ჩანს, ამას მის წინააღმდეგ მოქალაქეთა საშინელი უკმაყოფილება უძღვოდა, მოქალაქეებისა, რომლებიც პერიკლეს ომის წამოწყებაში სდებდნენ ბრალს (Thuc. II, 59,2). შესაბამისად, პერიკლეს ეს ნაბიჯი ხალხის უკმაყოფილების ჩაქრობის მცდელობად უნდა განვიხილოთ. თუკი დიდესგან განსხვავებით, პლუტარქე პერიკლეზე ათენელთა გაღიზიანებას და მის დადანაშაულებას უშუალოდ ჭირს უკავშირებს. კერძოდ, მისი თქმით, ათენელები სტრატეგოსს ხალხის ქალაქში თავმოყრაში ადანაშაულებდნენ, რამაც ჭირის წარმოქმნა გამოიწვია (Plut. Peric. 34). თუკი დიდე წერს, რომ ხელისუფალს ესმოდა თავისი თანამოქალაქეების და მათ ასეთ ქცევას მოელოდა კიდევ. სახალხო კრებაზე წარმოთქმული ეს სიტყვა (Thuc. II, 60-II, 64) პერიკლეს უკანასკნელი სიტყვაა თუკი დიდეს ისტორიაში. ამ საკმაოდ ვრცელ სიტყვაში საკუთრივ ჭირს იგი მოკლედ ეხება. სტრატეგოსისთვის ჭირი ბედის უეცარი

* შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ხალხი ძირითადად ხელისუფლების მიერ ეპიდემიასთან საბრძოლველად გატარებულ ღონისძიებებს აპროტესტებდა. ათენში კი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ომის წარმოების სახელისუფლებო პოლიტიკით, ომისა, რის გამოც ახლა ისინი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

და წინასწარგანუჭკვრეტელი შეტრიალებაა, რაც სხვა უბედურებებთან ერთად ადამიანებში საკუთარი ძალის რწმენას ანადგურებს (Thuc. II, 61,3). ჭირს, როგორც მოვლენას, რომელიც მათ თავს დაატყდათ ყოველგვარი გათვლების საპირისპიროდ, პერიკლე ყველა უბედურებათაგან ყველაზე საშინელს უწოდებს. ჭირი არის ღმერთების გამოგზავნილი – τὰ δαίμονια, ღმერთების გზავნილი კი გვმართებს მორჩილებით ავიტანოთ (Thuc. II, 64,2). ამით პერიკლემ არა მარტო უთხრა ათენელებს, რომ ჭირის წინააღმდეგ ვერაფერს გავაკეთებთო, არამედ საკუთარი პასუხისმგებლობაც მოიხსნა იმ მოვლენის წინაშე, რომელიც განუჭკვრეტელი და ღმერთების გამოგზავნილია და შესაბამისად, ადამიანური ძალა მას ვერ შეეწინააღმდეგება.

და როგორი იყო ამაზე ხალხის რეაქცია? თუკიდიდეს მიხედვით, ამ სიტყვამ ხალხზე იმოქმედა, თუმცა მათი გაღიზიანება არ ჩამცხრაღა, ვიდრე სტრატეგოსს ფულადი ჯარიმის გადახდა არ დააკისრეს. პლუტარქესა და დიოდორეს მიხედვით, დაჯარიმებას მისი თანამდებობიდან გადაყენებაც მოჰყვა (Plut. Peric. 35,4; Diod. XII, 45,3). თუმცა ჯარიმის გადახდიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ პერიკლე ისევ აირჩიეს სტრატეგოსად. ამჯერად მთავარსარდლად დიდი ხნით ყოფნა მას არ დასცალდა, ჭირით დაავადდა და მალევე გარდაიცვალა.

აი ესაა, რაც თუკიდიდემ გვითხრა, ერთი მხრივ, იმის შესახებ, თუ როგორ და რა გააპროტესტა ჭირით დათრგუნულმა ათენის მოსახლეობამ და, მეორე მხრივ, იმის თაობაზე, რა იყო უმაღლესი ხელისუფლის და ამავდროულად უმაღლესი ავტორიტეტის მქონე ფიგურის პასუხი ამ გამოწვევაზე.

როზენბერგის მოდელის მიხედვით, ამ სოციალური დრამის ბოლო აქტი ეპიდემიის რეტროსპექტული ანალიზია. ისმის კითხვები: როგორ გაუმკლავდა საზოგადოება ამ გამოწვევას და რა იყო მისი გრძელვადიანი შედეგები. თუკიდიდეს მონათხრობში ათენის ჭირის რეტროსპექტული განსჯა მჭიდროდ უკავშირდება პელოპონესის ომის მისეულ ხედვას, იმ ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის ანალიზს, რომლის დროსაც ავადობა მიმდინარეობდა, საბოლოო ჯამში კი, მთელი ნაწარმოების დაწერის მწერლისეულ მიზანდასახულობას.

ის, როგორც თუკიდიდე ჭირის შესახებ თხრობას იწყებს, მიზნად ისახავს არა მარტო ამ სენის სისასტიკის მყისიერ წარმოჩენას, არამედ მიზნად ისახავს იმის წინასწარ შეტყობინებასაც, თუ როგორ, რა კატასტროფის მომტანად იქნა ჭირი ჩაბეჭდილი ადამიანთა მეხსიერებაში. თუკიდიდეს სმენია, რომ ეს დაავადება ადრეც ყოფილა მრავალ ადგილას, განსაკუთრებით ლემნოსსა და სხვა ადგილებში, მაგრამ ჭირს აქამდე არასოდეს მოუცელავს ასეთი სისწრაფით და ასეთი ძალით და ადამიანთა ხსოვნაში მას ამდენი სიცოცხლე არასოდეს წარუტაცია (Thuc. II, 47,3). ასეთივე სიმკვეთრით გამოირჩევა ავადობის მეორე და საბოლოო ტალღის შემდეგ გაკეთებული მისი განაცხადი, ჭირის შედეგების ერთგვარი შეჯამება: „არაფერს ისე არ დაუცია სულით ათენელები და არაფერს ისე არ დაუზიანებია მათი სამხედრო ძლიერება, როგორც ეს ამ სენმა გააკეთა“ (Thuc. III, 87,2).^{*} ჭირით გამოწვეული სამხედრო ძალის დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ ათენს ჭირის თავდაპირველი შემოტევიდან 15 წელი დასჭირდა მოსახლეობის რიცხოვნების აღსადგენად და ფინანსური რესურსების მობილიზაციისთვის. „ახლახანს გამოჯანმრთელდა ქალაქი ჭირისა და ხანგრძლივი ომისაგან“, – გვაუწყებს თუკიდიდე ძვ.წ. 415 წ-ის მოვლენებზე მოთხრობისას (Thuc. VI, 26,2).

სამხედრო ძალისთვის ასეთი დარტყმის მიყენების გარდა, თუკიდიდეს მიხედვით, ჟამიანობამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის მიმართ ათენელთა დამოკიდებულებაზე. მშვიდობისმოსურნე განწყობათა გზრდამ აქტიური სამხედრო კამპანიის წარმოების პერიკლესეულ სტრატეგიას შეუშალა ხელი, შეარყია ლიდერის ავტორიტეტი. საბოლოოდ, ჭირმა ფიზიკურად შეიწირა პერიკლე – საუკეთესო წინამძღოლი. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დარწმუნდნენ ათენელები, თუ რაოდენ სწორი იყო მთავარსარდლის ხედვა ომის სტრატეგიასთან მიმართებით (Thuc. II, 65,5).

*სამხედრო ძალის დანაკარგი – 4400 ჰოპლიტი და 300 მხედარი. შესაბამისად, ჭირს შეუწირავს (ომის დასაწყისისთვის ათენელთა სამხედრო ძალის რიცხოვნება წარმოდგენილია Thuc. II, 13,6) ყოველი მესამე ჰოპლიტი და ყოველი მეოთხე მხედარი. დანარჩენი მოსახლეობიდან დაღუპულთა რიცხვს ისტორიკოსი არ გვისახელებს. გომის მიხედვით, ეს რიცხვი 70 000-დან 80 000-მდე უნდა ყოფილიყო (გომი 1956: 388-389).

საშინელი სენის გრძელვადიანი შედეგი იყო ისიც, რომ ათენელთა მართვა პერიკლეს სრულიად საპირისპირო წინამძღოლთა – ათასი ჯურის დემაგოგთა ხელში აღმოჩნდა, რომელთა პირად გამორჩენას ყოველთვის ეწირებოდა სახელმწიფო ინტერესები (Thuc. II, 65,8-10). ხატოვნად გვიხატავს პლუტარქეც, თუ როგორ გამოვლინდა პერიკლეს სიკვდილის შემდეგ ის მრავალრიცხოვანი სიმდაბლე, რომელთაც სტრატეგოსი არ აძლევდა საშუალებას, თავი გამოეყო და მოურჩენელ სენად გადაქცეულიყო (Plut. Peric 39).

თუკი დიდეს ღრმა რწმენით, ჭირი ასევე იყო ათენში წარმოქმნილი სოციალურ ბოროტებათა წყარო და იყო გაცილებით მეტად, ვიდრე ომი (მარტინეზი 2017: 140).^{*} ჭირმა და ომმა ადამიანთა უმეტესობისთვის დაშალა სოციალური შედუღებულობა – სხვებზე ზრუნვა, ზრუნვა ერთობაზე, შეთანხმებულობა ანუ ყველაფერი ის, რაც საზოგადოებას ესოდენ სჭირდებოდა (ჰიუ 2013: 134). სენმა ხელი შეუწყო სოციალური და პოლიტიკური ძალმომრეობით იმ პროცესების განვითარებას, რომლებიც ძირს უთხრიდა გონიერებას, რამაც, საბოლოო ჯამში, ათენის საზოგადოების დეზინტეგრაცია განაპირობა (ლონგრიგი 1992: 33).

ვფიქრობთ, ათენის ჭირის თუკი დიდეს მონათხრობის, როგორც სოციალური კონსტრუქტის, ანალიზმა აჩვენა, რომ ჭირის მწერლისეული ინტერპრეტაცია მიესადაგება ეპიდემიური ნარატივის თაობაზე როზენბერგის მოდელს და ამასთან წარმოგვიდგენს ეპიდემიათა უნივერსალურად აღიარებულ მახასიათებლებს. იმ შემთხვევებში, როდესაც თუკი დიდესთან არაა აღწერილი არქექტიპული მოდელის რომელიმე ასპექტი, მაგალითად, ეპიდემიის წარმოშობის მიზეზები, ან ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ავადობის წინააღმდეგ და ა.შ., ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა, თუ რა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით იყო ეს განპირობებული.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ჟამიანობისას ადამიანთა სოციალური ქცევების ფართო სპექტრის წარმოჩენას, რომელიც თუკი დიდეს მაღალი მხატვრული ოსტატობით აქვს გადმოცემული. ეს გახლავთ, ალბათ, უპირველესად ის, რითაც „ჭირი

* იხილეთ ასევე ორვინი 1988: 831-847.

ათენში“ ამახსოვრდება მკითხველს და ის, რამაც თუკიდიდეს ნარატივის მიბამვა და მისი ეპიდემიათა ლიტერატურულ მოდე-
ლად გადაქცევა გამოიწვია.

და მაინც, სხვადასხვა ეპოქისა და გეოგრაფიული ლოკაციის ეპიდემიათა არაერთი მსგავსების მიუხედავად, განსხვავებული ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალური კონტექსტი განსაზღ-
ვრავდა ავადობაზე სხვადასხვა ინტელექტუალურ და საზოგადო-
ებრივ პასუხს. სხვა ფაქტორებთან ერთად პასუხი დიდწილად
დამოკიდებული იყო, თუ როგორ აღიქვამდა კონკრეტული სა-
ზოგადოება ეპიდემიას, დამოკიდებული იყო საზოგადოებაში
მრავლად არსებულ ცრურწმენებსა და შფოთზე, მოსახლეობის
განათლების დონეზე, ხალხის ცნობიერებაში რაციონალიზმისა და
ირაციონალიზმის წილზე.

თუკიდიდე საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენს ეპიდემიაზე
ძვ.წ. V ს-ის დემოკრატიული ათენის ინტელექტუალურ პასუხს.
ჭირის პერიკლესეული განმარტების მოყვანით, რომლის მიხედ-
ვითაც ჭირი არის ღმერთის გამოგზავნილი, წინასწარგანუჭვრე-
ტელი ფენომენი, ასევე ავადობასთან დაკავშირებით სხვადასხვა
მისნობის მოხმობითა თუ შეუცნობლის მიმართ მოსახლეობის
კაპიტულაციაზე ხაზგასმით, მწერალმა გვიჩვენა, რომ გარკვე-
ულწილად ამ მოვლენას საზოგადოება ირაციონალურ ფენომენად
აღიქვამდა. თუმცა ამასთან იგი ყველა შესაძლო შემთხვევაში
წარმოგვიდგენდა თავის რაციონალურ დამოკიდებულებას – მან
ხაზგასმით აუარა გვერდი ჭირის წარმოშობის მიზეზებზე, მათ
შორის ტრანსცენდენტურ მიზეზებზე მსჯელობას, არ დაიწყო ავა-
დობის შემოტანაში განტევების ვაცების მოძიება, სკეპტიკურად
შეაფასა საზოგადოებაში მოარული მისნობანი თუ ცრურწმენები.
თუკიდიდეს, განსწავლულ ფილოსოფიურ თვითმხილველს, გა-
მოუთქმელად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ღმერთისთვის პა-
სუხისმგებლობის მიწერა მხოლოდ უცოდინრობის აღიარება იყო
და ამგვარ აღქმაში ის მარტო არ უნდა ყოფილიყო (ჰიუ 2013: 134).

ჭირის ბუნებრივ პროცესად გააზრება წარმოგვიდგენს თუკი-
დიდეს არა მხოლოდ თავისი ეპოქის გამორჩეულ მოაზროვნე-
რაციონალისტად, არამედ ინტელექტუალურად წინ მდგომადაც
ოცდახუთი საუკუნის შემდეგ მცხოვრებ ადამიანთა გარკვეულ

ჯგუფებზე. ასე მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ, 1987 წ-ს ა.შ.შ.-ში შიდსთან დაკავშირებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამერიკელთა 43%-ის რწმენით, შიდსი ზნეობრივი დაცემის გამო ღმერთის სასჯელი იყო. ექიმთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვებმა კი უარესი შედეგი დადო – ნაწილმა განაცხადა, რომ თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში ისინი შიდსით ავადმყოფთაგან მხოლოდ იმათ უმკურნალებდნენ, ვინც „უცოდველად“ დაავადდა (ამუნდსენი 1996: 28).

დასასრულ, როდესაც ვმსჯელობთ, თუ რატომაა მნიშვნელოვანი ანტიკური ხანის ეპიდემიათა შესწავლა დღევანდელ დღეს, ასეთი მასშტაბის პანდემიის მიმდინარეობისას, ალბათ, უადგილო არ იქნება, გავხსენოთ სწორედ ამ კონტექსტში 2013 წელს დასმული ჰიუს შეკითხვა, რომელიც ასე ჟღერდა: ნეტავ, ჩვენმა გაზდილმა განსწავლულობამ გახადა თუ არა უკეთესი ჩვენი სოციალური კეთილგონიერება და გამოწვევისთვის თავის გართმევის უნარი? (ჰიუს 2013: 134).

დამოწმებანი:

ამუნდსენი 1996: Amundsen D.W., *Medicine, Society and Faith in the Ancient and Medieval World*. Baltimore: 1996.

ანტონოვი 2020: Антонов А. *Афинская Чума 430 г. до н. э. – Первая Пандемия в Истории*. 3 Апр., 2020 <https://vk.com/@istfacere1-afinskaya-chuma-430-g-do-ne-pervaya-pandemiya-v-istorii>

ატკინსონი 2001: Atkinson J. E. *Turning Crises into Drama: The Management of Epidemics in Classical Antiquity* ACTA CLASSICA, XLIV, 2001, 35-52.

გომი 1956: Gomme A.W. *A Historical Commentary on Thucydides*, vol. II. Oxford: University Press, 1956.

დიანოსაშვილი 2014: Dianosashvili N. *Mad Dance: From Bacchus to Rock*. Phasis, Greek and Roman Studies, 17, 2014, 83-95.

ევანსი 1992: Evans R. *Epidemics and Revolutions: Cholera in Nineteenth-century Europe*. in: Ranger T., Slack P.(ed.), 1992, 149-175.

თუკიდიდე 2002: თუკიდიდე. *ჭირი ათენში*, II, 48-52. ძველბერძნულიდან თარგმნა დ. ქურიძემ, ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, წიგნი II, შეადგინა ნ. ტონიამ. თბილისი: 2008.

კონი: Cohn S. *Pandemics: Waves of Disease, Waves of Hate from the Plague of Athens to A.I.D.S.* Historical Research, v.85, issue 230, 535-555.

კრაუფურდი 1914: Crawford R. *Plague and Pestilence in Literature and Art.* Oxford: 1914.

ლონგრიგი 1992: Longrigg J. *Epidemic, Ideas and Classical Athenian Society.* in: Ranger T., Slack P. (ed.), 1992, 21-45..

მარტინეზი 2017: Martinez J. *Political Consequences of the Plague of Athens.* Graeco-Latina Brunensia, vol. 22 (1), 2017, 135-146.

ორვინი 1988: Orwin C. *Stasis and Plague: Thucydides on the Dissolution of Society.* The Journal of Politics, vol. 50, No. 4, 1988, 831-847.

პულანი 1992: Pullan B. *Plague and Perceptions of the Poor in Early Modern Italy.* in: Ranger T., Slack P.(ed.), 1992, 101-125.

რენჯერი ... 1992: Ranger T., Slack P. (ed.). *Epidemics and Ideas: Essays on the Historical Perception of Pestilence.* Cambridge University Press, 1992.

როზენბერგი 1992: Rosenberg Ch. *What is an Epidemic? AIDS in Historical Perspective.* Ch.13 in: Rosenberg Ch. *Explaining Epidemics and Other Studies in the History of Medicine.* Cambridge University Press, 1992.

სლეკი 1985: Slack P. *Impact of Plague in Tudor and Stuart England.* London: 1985.

სლეკი 1992: Slack P. "Introduction" in: Ranger T., Slack P. (ed.), Cambridge University Press, 1992, 1-20.

ჯონსი 2020: Jones, M.D. *History in a Crisis – Lessons for Covid-19.* The New England Journal of Medicine, (March 12) 2020 <https://www.nejm.org/doi/full/10.1056/NEJMp2004361>

ჰიუ 2013: Hugh D. *Responses to Natural Disasters in the Greek and the Roman World.* in: *Forces of Nature and Cultural Responses,* Pfeifer K., Pfeifer N., (ed.), Springer, 2013, 111-139.

პანდემიის, როგორც მოულოდნელი განსაცდელის
გავლენა მსოფლიო და ქართულ კრიტიკასა
და პუბლიცისტიკაზე
**Impact of Pandemic as the Sudden Change on the World
and National Criticism**

Miranda Tkeshelashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**The Spread of Epidemics and the Social and Political Context of
the Events of that Time in the Georgian Democratic Press of the
Early 20th Century**

Summary

From the beginning of the 19th century to the first quarter of the 20th century, the Russian Empire was repeatedly *struck* by an *outbreak* of *cholera*, causing great damage to the population of Georgia. The event was being *covered extensively* by the Georgian press of that time. The newspapers covered the statistics of the epidemic.

It is interesting to look at the situation caused by the pandemic as described in the press, to discover how the nature of the disease was studied and what measures were taken by the government to prevent the spread of the disease, to discover the decrees issued by the city self-government to stop the pandemic, the means used by the population to avoid being infected by the dangerous disease.

Key Words: Epidemic; vaccination; preventive measures; Georgian Democratic Press.

მირანდა ტყემელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეპიდემიების გავრცელებისა და ამ მოვლენის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ასახვა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ დემოკრატიულ პრესაში

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით, რუსეთის იმპერიას, რომლის შემადგენლობაში იმ დროს საქართველოც იმყოფებოდა, ქოლერის რამდენიმე ტალღამ გადაუარა. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური 1890-იანი წლების პანდემია იყო. მას ფართოდ აშუქებდა იმდროინდელი ქართული პრესა, გამორჩეულად კი „ივერია“, რომელსაც განსაკუთრებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა ამ საკითხთან მიმართებაში. გაზეთი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს ქოლერის შესახებ. ხშირად, ეს პუბლიკაციები სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, ნათარგმნი და გადმობეჭდილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პრესიდან, მათში მოცემულია ინფორმაცია სენის გამომწვევი მიზეზების, გავრცელების მასშტაბების, პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ.

ისევე, როგორც თანამედროვე საქართველოში, ეპიდემიებისადმი დამოკიდებულება არასერიოზული ჩანს ამ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციებიდან. ადამიანები არ იჩენდნენ სიფრთხილეს, არ მიმართავდნენ პრევენციულ ზომებს, ზოგჯერ იუმორითაც უყურებდნენ ამ სიცოცხლისთვის საშიშ ვირუსს. განსაკუთრებით აშკარაა ასეთი დამოკიდებულება ადგილობრივ კორესპონდენტთა მიერ მოწოდებულ ყოველდღიურ ინფორმაციებში. მაგალითად, სოფელ მარტვილიდან წერენ, რომ იმედი აქვთ, ქოლერა გვერდს აუვლით. „თავზარი დაგვეცა როდესაც გავიგეთ, ქუთაისში ხოლერააო. გვეგონა, უსათუოდ ჩვენც გვეწვეოდა, მაგრამ არ დაგვიპატიჟნია და დაუპატიუქებლად მან არ იკადრა ჩვენთან მობრძანება. შენი მტერია, რომ გვეწვეოდა გავწყდებოდით,

არც სისუფთავეს, არც ხოლერის წინააღმდეგ დარიგებას კაცი ყურს არ უგდებდა, გლახეკაცობა ამბობდა, რაღაც ბასილაა, ის მე რას მიზამსო.“ კახელი კორესპონდენტი, სოფელ აწყურიდან თანასოფლელთა დამოკიდებულებას, ეპიდემიის მიმართ ასე აღწერს: „აქაურები ამბობენ ჩვენ მაგვარი სენი ვერაფერს დაგვაკლებს, რადგანაც მფარველად ჩვენი წმინდა ანუ თეთრი გიორგი გვეგულებაო. ბევრჯერ შევსწრებივართ ამ ხოლერიანობას, მაგრამ ჩვენის ძლიერის ხატის შიშით მას აქეთ ვერ გაუწაწანიაო“ („ივერია“ 1892: 183). აი, გურული კორესპონდენტი კი, ოზურგეთის მაზრის სოფელ აცანიდან, გულისტკივილით იუწყება, ხოლერა ჩვენ რას დაგვაკლებს, ტყვია და ბასრი ხანჯალია ჩვენი მტერიო და რომელიღაც თავყრილობისას ატეხილი ჩხუბის შესახებ უამბობს მკითხველს („ივერია“ 1892: 176)

აქტუალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ასევე, აცრასთან დაკავშირებული სტატიები. მე-18 საუკუნეში ჩვენში ევროპიდან შემოვიდა აცრის ვაქცინები, მაგრამ ამ მოვლენას ფართო ხასიათი მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს მიეცა.

1892 წლის 4 სექტემბრის „ივერია“ აქვეყნებს თედო სახოკიას ვრცელ სტატიას სათაურით „ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინის (ჩირქის) აცრა“, რომელშიც „პარიჟის პასტერის ინსტიტუტის ტენიკური სამიკრობო ლაბორატორიის“ მიღწევებზეა საუბარი. ვაქცინის გამომგონებელი ყოფილა ვინმე ვალდემარ ჰავკინი, ოცდაათიოდე წლის ებრაელი რუსეთის იმპერიიდან. სტატიის ავტორი ქებას არ იშურებს ახალგაზრდა მეცნიერის მიმართ. კაცობრიობის უზომო სიყვრულით განმსჭვალულმა ჰავკინმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა, როცა ზღვის გოჭებსა და კურდღლებზე წარმატებით წაქეზებულმა, ადამიანებზე მისი გამოცდაც გადაწყვიტა. პირველად საკუთარ თავზე სცადა ხოლერის შხამის ძალა, მზად იყო სასიკვდილოდაც, მაგრამ თვითონაც მშვიდობით გადარჩა და იმედიც გაუასკევდა, რომ მთელ კაცთა მოდგმას გაუწევს სამსახურსო.

„ივერიაში“ ამ დროისათვის მოკლე ცნობები ჰავკინის გამოგონების შესახებ უკვე დაბეჭდილი იყო, თედო სახოკიას ეს ვრცელი სტატია კი სააგიტაციო ხასიათს ატარებს, პუბლიცისტი მკითხველს სთავაზობს ჰავკინის მიერ პარიჟის საბიოლოგიო საზო-

გადობის წინაშე ორჯერ წარდგენილი მოხსენებების ვრცელი ამონარიდების თარგმანებს, აუწყებს, ფრანგული ორიგინალები ხელთა მაქვს და მინდა თქვენც გაგაცნოთო.

ჰავკინის მიერ გამოგონილი ვაქცინაც ორ აცრის საშუალებით კეთდებოდა, პირველი სუსტი და მეორე – ძლიერი. მკვლევარი მოხსენებაში დაწვრილებით აღწერს სუსტი აცრის შემდეგ ორგანიზმის მიერ გამოვლენილ რეაქციებს, ტემპერატურის ჯერ ზრდას, მერე კლებას, სხვა სიმპტომებსაც; მას შემდეგ, რაც ვაქცინა საკუთარ თავზე გამოსცადა, ჰავკინს მოხალისეებიც გამოსჩენია, რომელთა სიმპტომებსა და ორგანიზმის რეაქციებს ასევე დეტალებში აღწერს, წუთობრივი სიზუსტით. აღსანიშნავია, რომ პარიზში, პასტერის ინსტიტუტის მოხალისეთა შორის ყოფილა თბილისელი ექიმი თამამშოვი.

თედო სახოკია საბოლოოდ ასკვნის, რომ ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სრულიად არ არის და, მეტი დამაჯერებლობისთვის, ამატებს, რომ ჰავკინისებური წესი ხოლერის აცრისა და მისი გადადებისაგან ადამიანების უზრუნველყოფისა, ცნობილმა პროფესორებმა, მათ შორის, თვით გამოჩენილმა პასტერმაც ძალიან მოიწონეს.

ინფექციური სნეულებების, კერძოდ, ყვავილის წინააღმდეგ აცრების გამოყენების აუცილებლობას ეხება 1900 წლის „კვალის“ 43-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია:

„ამ ჩვენ დროში, უცხო სახელმწიფოებში ძნელათ შეხვდებით ახლა იმისთანა ბავშვს, რომ ყვავილი აცრილი არ ჰქონდეს. ამიტომ ძლიერ იშვიათია იქ კაცი ყვავილისგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში, დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავში უეჭველათ აცრილი იყოს. მაგალითათ ნემეცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 24 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა, რომლის ძალითაც ყველა ბავშვისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეორეთაც მეთუ წელიწადზე... მას შემდეგ, რაც ნემეცებმა შემოიღეს ხსენებული კანონი და თავის ბავშვებს ორ-ორჯელ დაუწყეს ყვავილის აცრა, ნემეცების ქვაყანაში ყვავილი იშვიათად-ლა იჩენდა ხოლმე თავს და მერე კი ყვავილის ხსენება სრულებითაც მოისპო. დღეს იქაურმა ხალხმა არც კი იცის, ყვავილით ავადმყოფობა რასა ჰქვია.

... სამწუხაროთ ქართველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იპოვით, სადაც არცერთ ბავშვს არა აქვს ყვავილი აცრილი. ხოლო რაც შეეხება მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს არამცთუ გლეხებში, თავად-აზნაურებშიაც ძნელათ თუ იპოვით ორ-ჯელ აცრილ ბავშვს.

საშინელებაა მეტადრე მიყრუებულ, მივარდნილ სოფლებში. გაუნათლებელი ხალხი ცრუ მორწმუნეობით არის შეჯაჭვული, ამისთანა სოფლებში როცა კი ყვავილი იჩენს ხოლმე თავს, ხოლერაზე უფრო ძლიერ ყლექს ხალხს. მერე რა არის ამის მიზეზი თუ არა ხალხის შეუგნებლობა. ცრუ მორწმუნე კაცს ყვავილი რადაც ანგელოზათ მიაჩნია და ყვავილის აცრა დიდი ცოდვა ჰგონია“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში ქოლერა კიდევ ერთხელ გავრცელდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მოსახლეობას. ამ მოვლენას დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს იმდროინდელი პრესა.

1900-იანი წლების დემოკრატიული მიმართულების გაზეთები აშუქებდნენ ეპიდემიის გავრცელების სტატისტიკას. ეს იყო ცნობები ყოველდღიურად დაღუპული ადამიანების შესახებ. ეს ციფრები, მითუმეტეს დღევანდელი პანდემიის პირობებში, საოცრად შთამბეჭდავია.

პრესაში, ქოლერის გამორჩეულად დიდი მასშტაბით გავრცელების ფონზე, ასახულია თბილისის მცხოვრებთა მდგომარეობა, სანიტარული და ეპიდემიოლოგიური ვითარება ქალაქში, საავადმყოფოების გადატვირთვა, მიმართვიანობის სიმრავლე და ავადმყოფების მკურნალობაში შექმნილი პრობლემები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ზღვისპირა ქალაქებში, რადგან ეპიდემია მეზღვაურებს შემოჰქონდათ. მდგომარეობა ისე რთული იყო, რომ 1902 წელსვე დაწყებულა ბათუმში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, რომლის გამგედ პეტერბურგელი ექიმი, ცნობილი სპეციალისტი ფოლკენშტიინი მოუწვევიათ („ივერია“ 1902: 167).

გაზეთების კორესპონდენტთა აზრით, ქოლერის მასობრივი გავრცელების მთავარი მიზეზი იყო ხალხის სიდატაკე, დაბალ სოციალურ ფენაში არსებული ანტისანიტარია და აუცილებელი საარსებო პირობების უქონლობა.

„თფილისში ხოლერა მძვინვარებს“, – ვკითხულობთ 1910 წლის ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში. „საყურადღებოა და საშიშარია ის გარემოება, – წერს სტატიის ავტორი, – რომ ეს საშინელი სენი გასაოცარი სისწრაფით ვრცელდება. 29 ივნისს სულ სიკვდილის ათამდე შემთხვევა იყო, 30-ს 15 თუ 17, პირველ ივლისს კი უკვე 60-ზე მეტი შემთხვევაა სადამოს ხუთ საათამდე. ასეთი პროპორციით თუ იმატა, რამდენიმე კვირაში სულ მუსრს გაავლებს ქალაქს. ამიტომაც არის საჭირო ამთავითვე ენერგიული ზომების მიღება, პირველყოვლისა, რასაკვირველია, ქალაქის თვითმმართველობისაგან“.

ხოლერისა და სხვა პანდემიური ავადმყოფობის გამო რთული მდგომარეობა იყო ქუთაისშიც, რაც აისახებოდა ამ ქალაქში გამომავალი პრესის ფურცლებზე. პატარა ქალაქებში არსებული ანტისანიტარია ეპიდვითარებას ამძიმებდა. ქუთაისის ამგვარ მდგომარეობას აღწერდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „იმერეთის“ კორესპონდენტი. პუბლიცისტურ ესკიზებში, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის მიერ განკარგულ ფინანსებს და მათ შორის აღებულ სესხს ეხებოდა, ავტორი წერდა, რომ ადამიანთა კეთილდღეობა დამოკიდებულია ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე, სისუფთავეზე.

„კარგად მოწყობილი ქუჩები, სადეზინფექციო კამერები, პარკები და სხვა, თითქოს „უნაყოფო“, ნივთიერად საზარალო საქმეა, მაგრამ თუ მომავლის თვალთ განვჭვრეტთ, ეს ასე არ არის. კეთილად მოწყობილ, სანიტარიისა და ჰიგიენის მაღალ დონეზე მდგომ ქალაქებმა არც კი იცის ეპიდემიური სენი – შავი ჭირი, ქოლერა და სხვა. საზოგადოთ ხომ, ასეთ ქალაქებში ავადმყოფთა რაოდენობა და სიკვდილის პროცენტი შედარებით ნაკლებია, ვინემ იმ ქალაქებში, რომელნიც მზგავს კეთილმოწყობას მოკლებულია? და სადაც მეტი ავადმყოფია და მეტი სიკვდილი, იქ ხომ ქალაქი იძულებული ხდება მეტი ხარჯები გაწიოს? დასავლეთ ევროპამ დიდი ხანია შეიგნო ეს ჭეშმარიტება. პუბლიცისტი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლობად მიიჩნევს სესხის აღებას ქალაქის სანიტარიისა და კეთილმოწყობისათვის“ („იმერეთი“ 1913: 31).

„იმერეთის“ ამავე წლის ნომრებში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ქოლერის ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით, ქალაქის სანიტრები – გელოვანი და ჩაჩანიძე უვარგის საქონელსა და პროდუქტებზე ოქმებს ადგენდნენ და მათ რეალიზატორებს აჯარიმებდნენ („იმერეთი“ 1913: 33).

ანტისანიტარია და ცუდი პირობები ზრდიდა ეპიდემიის გავრცელების მასშტაბს. დიდი იყო ეპიდემიის გავრცელება პატიმართა შორის, გაზეთ „იმერეთის“ ცნობით, 1913 წლის ზაფხულში ქუთაისის საპყრობილეში 47 ავადმყოფი პატიმარი იწვა სხვადასხვა ინფექციური დაავადებით. გაზეთი დროდადრო მათ გარდაცვალებასაც აუწყებდა მკითხველს („იმერეთი“ 1913: 3).

რთულ ვითარებაში გამოსავალი აცრა და მოსახლეობის ინფორმირება იყო ავადმყოფობის ხასიათსა და პრევენციული ზომების თაობაზე. ამას აკეთებდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც 1908 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე გარსევანიძემ დააარსა, რასაც მოჰყვა შემდეგში ამგვარი უნივერსიტეტების დაარსება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. სახალხო უნივერსიტეტში სხვადასხვა დაავადებებისა და ეპიდემიების შესახებ მოსახლეობის ცოდნის ასამაღლებლად ლექციებს კითხულობდნენ დარგის სპეციალისტები, სახელგანთქმული ექიმები. გაზეთ „იმერეთის“ ცნობით, 1913 წლის 10 თებერვალს ქუთაისში ასეთი ლექცია წაუკითხავს ექიმ მ. ნასარიძეს: „ლექტორმა მდაბიო, გასაგები ენით ახსნა საშინელი სახე და გადამდებლობა ჭლექისა, მოკლეთ გააცნო აუდიტორიას თვისებები და გამოკვლევა ჭლექის ბაცილების, კოხის ჩხირებისა, აჩვენა მიკროსკოპი, მიუთითა ჰიგიენის აუცილებელ საჭიროებებზე და სხვა ზომებზე, რომლითაც ჭლექს სამოქალაქო ომი უნდა გამოუცხადდეს“, – აღნიშნავდა სტატიის ავტორი. ამავე გაზეთის სხვა სტატიაში კი ვკითხულობთ:

„ქუთაისის აქიმებიც ცდილობენ შეერთებული ძალ-ღონით ებრძოლონ კაცობრიობის სასტიკ მტერს – ჭლექს. ამ მიზნით მოკლე ხანში მოხდება კრება წრის შესაკრავად და მმართველობის ასარჩევად“ („იმერეთი“ 1913: 38).

განსაკუთრებული მასშტაბი ეპიდემიურმა ვითარებამ პირველი მსოფლიო ომის დროს შეიძინა. საქართველო, როგორც ფრონ-

ტისპირა ქვეყანა, ვერ აცდებოდა საშიში ავადმყოფობის გავრცელებას. ბევრი ქართველი ყარსის ფრონტზე დაიჭრა და ბევრი ტიფითა და ხოლერით დაავადდა. ლაზარეთები გავსებული იყო ამგვარი ავადმყოფებით. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ორი ქალიშვილი მოწყალეების დეზად მუშაობდნენ პეტერბურგის ლაზარეთში. ქართველი ქალებიც არ ჩამორჩნენ ამ ინიციატივას. 1906 წელს დაარსებულმა ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციამ აქტიურად ჩართო მოხალისეები ამ საპატიო საქმეში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბევრ პრობლემასთან ერთად, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობად ქოლერის ეპიდემიის კიდევ ერთი აფეთქებაც მიიღო. რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და შიმშილის გამო, მრავალი ადამიანი იქცა ლტოლვილად, ისინი შემოდიოდნენ საქართველოში და ავრცელებდნენ სენს. ამის გარდა, ეპიდემიის გავრცელების სხვა წყაროებიც არსებობდა. 1918 წლის აგვისტოს გაზეთების ცნობით, ეპიდემია მთელ საქართველოს მოდებოდა.

სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოში, გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში „ავადმყოფობა და საექიმო დახმარება კახეთში“ ვკითხულობთ, რომ კახეთში დაუნდობელი სენი ქოლერა გავრცელებულა, სამედიცინო დახმარება კი ადამიანებს არ ჰქონიათ. სოფლებს არ ჰყავდა ექიმთა სათანადო რაოდენობა, რასაც პუბლიცისტი, ფსევდონიმით „დავიწყებული“, მთავრობის ბიუროკრატიულ პოლიტიკას აბრალებდა: „კახეთის გულში, ალაზნის მარცხენა მხრიდან მეტად არასასიამოვნო ამბები მოდის ხოლერის ავადმყოფობის და ხოცვის შესახებ. ამ რაიონებიდან არაერთხელ შემოუჩივლიათ, რომ ხალხში რაღაც სენია გავრცელებული, რომელიც მუსრს ავლებს და დახმარება და შველა კი არსაიდან არა სჩანს, ამ სამწუხარო ამბებს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს“... კორესპონდენტის თქმით, თელავში 8 ექიმი იყო, რაც საკმარისი ვერ იქნებოდა ეპიდემიის პირობებში, ზოგიერთი სოფლის ქსენონი არ მუშაობდა, რადგან ექიმები არ ჰყოფნიდათ, ავადმყოფობა ხელს უშლიდა მოსავლის აღება-დაბინავებას („სახალხო საქმე“ 1918, №275).

დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ყოველდღიურად აქვეყნებდა დაავადებულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკას.

1918 წლის 12 ივლისის ინფორმაცია ასეთი იყო:

უკანასკნელ დღე-ღამეში ქალაქის საავადმყოფოს ხოლერის განყოფილებაში მოიყვანეს 21 ავადმყოფი, გარდაიცვალა 6, საექვო ავადმყოფებში მოიყვანეს 16, აქედან გარდაიცვალა 4 („სახალხო საქმე“ 1918: №279).

„სახალხო საქმე“ 1918, №307 იუწყებოდა, რომ ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 6 ქოლერიანი და 8 საექვო ავადმყოფი, მორჩა 9, გარდაიცვალა 2, აგვისტოს სულ იყო 91 ხოლერიანი და 16 საექვო ავადმყოფი, სანიტარული კომისიის განკარგულებით, დუშეთის მაზრაში სასწრაფოდ გაიგზავნა ეპიდემიოლოგიური რაზმი ხოლერასათან საბრძოლველად.

სტატისტიკურ მონაცემებს ასევე აქვეყნებდა სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. მსგავსი ტიპის ცნობებს 1918 წლის აგვისტო-სექტემბრის თითქმის ყველა ნომერში შეხვდებით, 4 აგვისტოს ნომერში კი, „ახალი ამბების“ რუბრიკაში განცხადებაა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხოლერასთან საბრძოლველად გადადო 30 ათასი მანეთიო, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი ვერ იქნებოდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

რთული იყო 1919 წელიც. ამ წლის გაზეთები თითქმის ყოველდღიურად მიუთითებენ ეპიდემიით გამოწვეულ პრობლემებზე და სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, აღნიშნავენ, რომ ექიმებს დიდი რისკისა და თავდადების ფასად უწევთ მუშაობა. გაზეთ „ერთობაში“ სოციალ-დემოკრატთა პარტიულ გაზეთში ვკითხულობთ: „ავად გახდნენ საავადმყოფოს ექიმები: უფროსი ორდინატორი ექიმი ციციშვილი, ექიმი სლუცკაია და კიდევ რამდენიმე მოსამსახურე. ტფილისში ხოლერა გაჩნდა. რას აკეთებს ქალაქის სანიტარული ორგანიზაცია ამ საშინელი ეპიდემიის ხანაში? კანონის ძალით, ავადმყოფი იმ წამსვე უნდა იქნას წაყვანილი საავადმყოფოში, როგორც კი აცნობებენ ქალაქის სანიტარულ ორგანიზაციას. ნამდვილად კი 4-5 დღე გადის შეტყობინების შემდეგ ავადმყოფის წაყვანამდის, რაც ხელს უწყობს სენის გავრცელებას. თუ კერძო ეტლით მიიყვანეთ სახა-

დიანი საავადმყოფოში, ამ ეტლს დეზინფექციას არ უშვებიან და სენი გადადის მათზეც, ვინც ეტლში ჯდება“.

1919 წლის 10 თებერვალს თბილისის საბჭომ აირჩია გადამდებ სენით საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნათა განხილვისა და დასკვნისათვის საგანგებო კომისია, რომლის წევრი იყო ცნობილი ექიმი და სახელმწიფო მოღვაწე ივანე გომართელი. გაზეთმა „ერთობამაც“ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამოხმაურება არ დააყოვნა: „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი საბჭო დღიდან თავისი არსებობისა დიდ ყურადღებას მიაქცევს დანგრეული და მივიწყებული სანიტარული ორგანიზაციის შექმნას. მაგრამ ეს მომავლის საკითხია. დაყოვნება კი შეუძლებელია, როდესაც საშინელი სენი მუსრს ავლებს ხალხს. ამიტომ, თუ ქალაქის გამგეობა უძღურია რაიმე გააკეთოს, მთავრობა უნდა ჩაერიოს ამ საქმეში“ („ერთობა“ 1919: 40). რამდენიმე დღეში, იგივე გაზეთი კიდევ ერთ სტატიას აქვეყნებს ქოლერის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა და სასიკვდილო დაავადება მოსახლეობას უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნის. წერილში გადმოცემულია, რომ ქალაქის თვითმმართველობა უძღურია სენის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომები მიიღოს და თუ მდგომარეობა კვლავ თვითდინებაზე იქნება მიშვებული, ტფილისში ქოლერის მასშტაბური ეპიდემია დაიწყება“ („ერთობა“ 1919: 43). პრობლემები კვლავ უცვლელი იყო – გადატვირთული ქალაქი და საშინელი ანტისანიტარია.

1919 წლის 29 აპრილს ტფილისის თვითმმართველობაში ქოლერის შესაძლო ეპიდემიასთან დაკავშირებით საგანგებო თათბირი ჩატარდა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სამედიცინო-სანიტარული ბიუროს ინსპექტორი მიქელაძე. მომხსენებლის თქმით, საჭირო იყო ქალაქის ლტოლვილებისგან სასწრაფოდ გათავისუფლება და აგრეთვე, მაქსიმალურად გაწმენდა ნაგვისგან, ფეკალური მასებისა და ნარჩენებისგან. მან ქალაქის თვითმმართველობას წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა ქოლერის საწინააღმდეგო აცრებისთვის საჭირო ღონისძიების ჩასატარებლად. მისი აზრით, მოსახლეობაში დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ვინაიდან ქოლერის ეპიდემიის დროს, დაავადება ყველაზე ხშირად სწორედ წყლის საშუალებით ვრცელდებოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას სასმელი წყალი მოითხოვდა. თათბირზე ტფილისის თვითმმართველობამ დაადგინა, თხოვნით მიემართა ქვეყნის დამფუძნებელი კრებისთვის, რათა მას ბიუჯეტიდან 100 ათასი რუბლი გამოეყო, სუფთა სასმელი წყლის შესაძენად. ქალაქის სასმელი წყლის სისტემაში ქოლერის ბაცილები რომ არ მოხვედრილიყო, აიკრძალა ავჭალის წყალსაცავზე ქალაქისთვის სასმელი წყლის აღება სანაპირო ზოლიდან, სადაც მოსახლეობა ტანსაცმელს რეცხავდა და ხშირად საყოცხოვრებო ნარჩენებითაც ანაგვიანებდა. დაადგინეს, რომ ტფილისისთვის საჭირო წყალი მხოლოდ მდინარის შუა ნაწილიდან შეეგროვებინათ.

ტფილისის თვითმმართველობამ სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიას ქოლერის საწინააღმდეგო სპეციალური ვაქცინების დამზადების თხოვნით მიმართა. საპასუხოდ, სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიამ განაცხადა, რომ მზადაა, უსასყიდლოდ დაარიგოს 10 ათასი აგრისთვის სამყოფი ვაქცინა და დაიწყოს მუშაობა ახალი ვაქცინების შესაქმნელად.

1919 წლის 29 ივნისის ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ქალაქის თავის, სოციალ-დემოკრატ ბენია ჩხიკვიშვილის განცხადება-მოწოდება თბილისის მოსახლეობის მიმართ:

„მოქალაქეო,

ქალაქში უკვე იყო ხოლერის შემთხვევა. უკვე სიცხე იწყება და შეიძლება ხოლერის ეპიდემიამაც იფეთქოს. იცოდეთ, რომ ეხლანდელ პირობებში, საუკეთესო საშუალება ხოლერის წინააღმდეგ არის აცრა. ვაქცინები დამზადებულია ქალაქთა კავშირისა და სამხედრო მედიცინის ლაბორატორიასი და გადასინჯულია სპეციალური კომისიის მიერ. ეს აცრა უვნებელი და უმტკივნეულოა. აცრა მოხდება 1 ივლისიდან, ქალაქის საავადმყოფოებში, დილის ათიდან 3 საათამდე ქალაქის საავადმყოფოებში, ცენტრალურში (საღდათი ბაზარი), ავლაზრის (კახეთის მოედანი) და კუკიის (ანდრეევის ქუჩა №2).

მოქალაქენო, აიცერით ხოლერა, ურჩიეთ აცრა თქვენს ნაცნობებსაც. ამით თქვენ დაიცავთ თქვენს თავსაც და ახლობლებსაც საშინელი ავადმყოფობისგან.“

ახლად დაარსებული ქალაქის ერობები და თვითმმართველი ორგანოები ბევრს აკეთებდნენ ეპიდემიებთან საბრძოლველად. ერობებმა დაიწყეს საექიმო პერსონალის მობილიზება და კოორდინირება. პერიოდულად ეწყობოდა სამაზრო ექიმთა ყრილობები, რომელზეც ხდებოდა გამოცდილების შეჯერება და სამოქმედო პროგრამის შედგენა. მალევე კანონით განისაზღვრა საერობო მედიცინის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის მოდელს დაეფუძნა. მაზრები დაიყო სამედიცინო უბნებად, მოეწყო კლინიკები და ამბულატორიები. დაკომპლექტდა სამაზრო ექიმთა შტატი, რომელიც მაზრის მოსახლეობას უფასოდ ემსახურებოდა და ხელფასს ერობის ბიუჯეტიდან იღებდა. მოსახლეობას მხოლოდ მედიკამენტების ხარჯის გაღება უწევდათ, თუმცა, რეალობიდან გამომდინარე, რადგან უმეტესობა, ეკონომიკური კრიზისის, ეპიდემიების მასშტაბისა და ფარმაცევტული ბაზრის შეზღუდულობის გამო, ვერ ახერხებდა წამლების შეძენას, ერობათა დიდმა ნაწილმა თავადვე დაიწყო მედიკამენტებით მომარაგების საქმის მოწყობა“.

ქალაქი სხვადასხვა საშუალებებით უზრუნველყოფდა სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვას: გაძლიერდა ზედამხედველობა აბანოებსა და მეორადი ტანსაცმლით ვაჭრობაზე, საპირკმანხეროებსა და საზოგადოებრივ სამრეცხაოებზე, მოსახლეობის თავშეყრის ადგილებზე (განსაკუთრებით, ბაზრებზე), ღარიბ მოსახლეობას სანიტარული ექიმების მეშვეობით ურიგებდნენ აბანოს ბილეთებს, ყოველდღიურად წმენდნენ და დეზინფექციას უტარებდნენ ტრამვაის ვაგონებს, აიკრძალა ტრამვაის ვაგონების გადატვირთვა. ქალაქში ოთხ ენაზე გამოაკრა ინფექციების გავრცელების პრევენციის ინსტრუქცია, ქალაქის კლინიკებში გაფართოვდა ინფექციური განყოფილებები, სამედიცინო დაწესებულებები შეძლებისდაგვარად აღიჭურვა მედიკამენტებით და სადეზინფექციო საშუალებებით, საავადმყოფოების პერსონალი მოამარაგეს შესაბამისი ტანსაცმლით და აღჭურვილობით. საავად-

მყოფოებს მიწოდათ სპეციალური ინსტრუქცია ინფექციის შემთხვევაში მოქმედების შესახებ და სხვ. (კვარაცხელია 2017: 188).

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ქოლერა ტფილისში მაინც გავრცელდა, თუმცა მისი მასშტაბი მოსალოდნელზე გაცილებით უმნიშვნელო იყო. სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიის მიერ დამზადებული ვაქცინებისა და ქალაქის თვითმმართველობის მიერ გატარებული პრევენციული ზომების წყალობით, 1919 წელს დედაქალაქში ქოლერის მასშტაბური ეპიდემიის თავიდან აცილება მოხერხდა. თუმცა, 1920 წლის ზაფხულში მეზობელი ქვეყნების მხრიდან, საქართველოს მორიგი საფრთხე დაემუქრა, რაზეც 28 ივლისს, თბილისის თვითმმართველობის სხდომაზე, დეტალური ინფორმაცია მოისმინეს, სანიტარული ინსპექტორის, მეუნარგიას მოხსენების სახით:

„მიღებული ცნობების მიხედვით, ყირიმში ხოლერის ეპიდემია გავრცელდა, კონსტანტინოპოლში კი შავი ჭირი მძვინვარებს. არსებობს დიდი საშიშროება, რომ ეს დაავადებები სულ მალე ბათუმში, შემდეგ კი ტფილისშიც გავრცელდეს. ტფილისის დღევანდელი ფრიად სავალალო სანიტარული მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს დაავადებები ეპიდემიის სახეს მიიღებს...“ („ბორბა“ 1920: 39). აღნიშნული ცნობების გათვალისწინებით, ქალაქის თვითმმართველობამ, თხოვნით მიმართა მთავრობას, ქვეყნის ბიუჯეტიდან 48 მილიონი რუბლის გამოყოფის შესახებ, რომელიც ქალაქიდან დიდი რაოდენობით ნაგვისა და ფეკალური მასების გატანას, ქალაქის სანიტარულ მოწესრიგებას უნდა მოხმარებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეპიდემიის ახალი ტალღა საქართველოს სულ მალე დაატყდა თავს, შემოდგომაზე ის ტფილისის საპატიმროებშიც გავრცელდა, რის გამოც დროებით აიკრძალა პატიმრების მიღება ცენტრალურ ორთაჭალის ციხეში, შეიზღუდა პაემნები, მოხდა საექვო პატიმრების იზოლირება, ბრალდებულებისთვის კვირაში სამჯერ დაინიშნა აბანო, ციხის ხელმძღვანელობას კი დაევალა, შეძლებისდაგვარად, მათი სუფთა თეთრეულით უზრუნველყოფა.

გაზეთების ინფორმაციით, ოქტომბერში ქოლერას შავი ჭირის დაავადება დაემატა. თუმცა, ოქტობრის შემდეგ, ტფილისში არ-

სებული ეპიდემიური ვითარების შესახებ პრესაში ცნობები აღარ გამოქვეყნებულა, რასაც ორი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: შემოდგომაზე დაავადებათა გავრცელებამ იკლო, ან ქვეყანაში მიმდინარე იმ პოლიტიკური მოვლენების გამო, რომლებსაც სულ მალე ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, ქოლერისა და შავი ჭირისთვის არავის ეცალა.

